თიბისი ლიზინგი

შედეგზე ორიენტირებული განვითარება

სტრატეგიული წინსვლისა და წარმატებული შედეგების წელი

წლიური ანგარიში 2024

2024

თიბისი ლიზინგი

შინაარსი

6 - 81

სტრატეგიული ანგარიში

ვინ ვართ ჩვენ 6
ზოგადი ინფორმაცია 8

მთავარი ფინანსური მაჩვენებლები 10

დირექტორის განცხადება 14

საოპერაციო გარემო 16
საქართველოს ეკონომიკის მიმოხილვა 18
სექტორისა და ბაზრის მიმოხილვა 20

ბიზნესმოდელი 26

სეგმენტების მიმოხილვა 30
ბიზნესის სეგმენტი 32
საცალო სეგმენტი 44

ჩვენი სტრატეგია 48
ჩვენი განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიის ოთხი მთავარი პრინციპი 50

ბიზნესის პასუხისმგებლობით კეთება 56
ჩვენი კოლეგები 58
ჩვენი საზოგადოება 61
ჩვენი კლიენტები 63
ჩვენი ინვესტორები 64

რისკის მართვა 68
ძირითადი რისკები და გაურკვევლობა 70
საკრედიტო რისკის მართვა 73
ფინანსური რისკის მართვა 75
არაფინანსური რისკის მართვა 78

82 - 105

მართვა

კორპორაციული მართვა 84

სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ბიოგრაფიები და ძირითადი მოვალეობები 98

კომპანიის ხელმძღვანელ პირთა ბიოგრაფიები და მთავარი მოვალეობები 102

პასუხისმგებელი პირების განცხადება 104

106 - 173

ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 108

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 114

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 115

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 116

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 117

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები 118

თავი 1

ვინ ვართ ჩვენ

ზოგადი ინფორმაცია

საქართველოს ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა აქტივების დაფინანსების ინოვაციური, მოქნილი და მორგებული შეთავაზებების გზით

ჩვენ გვაქვს საქმიანობის 21-წლიანი ისტორია და ვუძღვებით საქართველოში არასათანადოდ ათვისებულ ლიზინგის სექტორს ბაზრის 86%-იანი წილით, ვემსახურებით 2,500-მდე კლიენტს და ვმართავთ 587 მილიონი ლარის მთლიან სალიზინგო პორტფელს.

კორპორაციულ კლიენტებს, მცირე და საშუალო საწარმოებს, სტარტაპებსა და ფიზიკურ პირებს ვთავაზობთ სალიზინგო პროდუქტების და დამატებითი საკონსულტაციო მომსახურების ფართო არჩევანს, მათ შორის ფინანსურ ლიზინგს, საოპერაციო ლიზინგს, გაყიდვას და უკულიზინგს. ჩვენი აქტივის დაფინანსების შეთავაზებების, ტექნიკური ნოუჰაუს და სპეციალისტთა კომპეტენციის ერთობლიობა საშუალებას გვაძლევს მომხმარებლებს მომსახურების სრული პაკეტი შევთავაზოთ.


ჩვენს მომხმარებლებს შეუძლიათ გაზარდონ თავიანთი საწარმოო სიმძლავრე მინიმალური მონაწილეობით, დამატებითი უზრუნველყოფის საგნის გარეშე, რაც მათ საშუალებას მისცემს მთელი ძალისხმევა და რესურსები თავიანთი ძირითადი კომპეტენციებისკენ მიმართონ. ჩვენი შეთავაზებები ძირითადად მოიცავს ფინანსურ და საოპერაციო ლიზინგს სხვადასხვა ტიპის აქტივისთვის.

ჩვენ ვსაქმიანობთ ორ საოპერაციო სეგმენტში: ბიზნესის სეგმენტი, რომელიც მოიცავს იურიდიულ პირებზე ან იურიდიული პირების ჯგუფებზე (მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოები და კორპორაციული კლიენტები) გაცემულ ლიზინგს, სადაც ნებისმიერი აქტივი შეიძლება დაფინანსდეს, და საცალო სეგმენტი, რომელიც მოიცავს არაკომერციულ ფიზიკურ პირზე გაცემულ ლიზინგს.

მთლიანი ლიზინგის პორტფელის ჩაშლა კლიენტების სეგმენტების მიხედვით



მთლიანი ლიზინგის პორტფელის ჩაშლა კლიენტების ზომის მიხედვით



ჩვენ ერთგულად ვასრულებთ ჩვენს მისიას, რაც გულისხმობს აქტივის დაფინანსების დაჩქარებას და გამარტივებას ჩვენი მომხმარებლების მოთხოვნებთან მისადაგებული კომპლექსური ფინანსური ინსტრუმენტების შეთავაზებით, ამით საქართველოს სალიზინგო ბაზრის უწყვეტი განვითარებისთვის ხელის შეწყობას და ქვეყნის ეკონომიკის ზრდაში წვლილის შეტანას.

ჩვენი წამყვანი პოზიცია ბაზარზე, უნიკალური ბიზნესმოდელი, რომელიც მოიცავს გაყიდვების არხების სინერგიის მნიშვნელოვან უპირატესობას და გამოცდილი გუნდი ჩვენ ინვესტიციის ძალზე საინტერესო მაგალითად გვაქცევს.

ბაზრის ლიდერი საქართველოში ბიზნესის თითოეულ საოპერაციო სეგმენტში

- ბიზნესის კლიენტებისთვის ლიზინგის უმსხვილესი მიმწოდებელი ბაზარზე დაახლოებით 87%-იანი წილით;
- საცალო მომხმარებლებისთვის ლიზინგის უმსხვილესი მიმწოდებელი ბაზარზე დაახლოებით 83%-იანი წილით;

უნიკალური ბიზნესმოდელი სალიზინგო საგნის მომწოდებლებისა და გაყიდვების არხის სინერგიებით

- თანამშრომლობა საერთაშორისო აღჭურვილობის წამყვან მომწოდებლებთან და ავტოდილერებთან, რაც ხელს უწყობს ეფექტურ და დროულ წვდომას მომხმარებლებზე და ამრიგად უზრუნველყოფს ფართომასშტაბიან გაყიდვებს;
- „მომხმარებლის გზის“ არსებობა და მშობელი კომპანიისგან კლიენტების რეკომენდაციების სინერგიები;
- წამყვანი სალიზინგო კომპანია საერთაშორისო კაპიტალის მოზიდვის თვალსაზრისით, რომელსაც აქვს მუდმივი მხარდაჭერა უმსხვილესი საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებისგან და განვითარების ფინანსური ინსტიტუტებისგან.

გრძელვადიანი, სწრაფი ტემპით ზრდის შესაძლებლობები

- ხელსაყრელი ბიზნეს და საგადასახადო გარემო და დაურეგულირებელი ბაზარი;
- საქართველოს კერძო სექტორის კრედიტის მშპ-სთან თანაფარდობის კოეფიციენტი 66%-ია. 2023 წელს საბანკო სესხების 31% გაცემული იყო მცირე და საშუალო ზომის საწარმოებზე, რაც მეტყველებს ქვეყანაში სახარბიელო ეკონომიკურ აქტივობაზე. ლიზინგის სფეროს წილი საქართველოში ამჟამად ქვეყნის მშპ-ის დაახლოებით 1%-ია, მაშინ, როცა ლიზინგის წილი მსგავსი ქვეყნების მშპ-ში დაახლოებით 5%-ია, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ საქართველოს ბაზარს ზრდის დიდი პოტენციალი აქვს.
- ევროპის საინვესტიციო ბანკის „საბანკო დაკრედიტების კვლევის“ თანახმად, საქართველოს ბაზარზე სესხებზე უარის მაჩვენებელი მაღალია. შესაფერისი უზრუნველყოფის საგნის არქონა და პროექტის რისკიანობა ხელს უშლის კომპანიებს ბანკის მოთხოვნების დაკმაყოფილებაში, რაც ლიზინგს დაფინანსების უფრო მიმზიდველ გზად აქცევს.

მთავარი ფინანსური მაჩვენებლები

2024 წელს კომპანიამ შთამბეჭდავი ფინანსური შედეგები აჩვენა შემოსავლის დივერსიფიცირებული წყაროებით, თანამშრომლების და მომხმარებლების გამოცდილების გაუმჯობესებით და ბაზრის წილის გაზრდით.

587 მლნ ლარი

+35.3% წლიური მუდმივი განაკვეთის საფუძველზე

მთლიანი სალიზინგო პორტფელი

23.1 მლნ ლარი

+37.8% წლიური

წმინდა მოგება

26%

1.8 პპ წლიური

უკუგება საშუალო კაპიტალზე

4.1%

0.2 პპ წლიური

უკუგება საშუალო აქტივებზე

14.7%

0.3 პპ წლიური

წმინდა საპროცენტო მარჟა

1.4%

-0.5 პპ წლიური

რისკის ხარჯი

50.6%

-1.1 პპ წლიური

ხარჯების შემოსავლებთან თანაფარდობის კოეფიციენტი

77%

+4 პპ წლიური

NPS

71%

+3 პპ წლიური

ENPS





Fitch Ratings-ის განახლება

2024 წელს Fitch Ratings-მა დაადასტურა „თიბისი ლიზინგის“ გრძელვადიანი ემიტენტის დეფოლტის “BB” რეიტინგი (IDR) და „სტაბილური“ პერსპექტივა „ნეგატიურით“ შეცვალა.

„თიბისი ლიზინგნის“ პერსპექტივის გადასინჯვა მოჰყვა „თიბისი ბანკის“ პერსპექტივის გადასინჯვას, რომელსაც, თავის მხრივ, წინ უსწრებდა საქართველოს სუვერენული რეიტინგის „სტაბილური“ პერსპექტივის შეცვლა „უარყოფითით“ (იხ. „Fitch ცვლის საქართველოს პერსპექტივას „უარყოფითით“; ადასტურებს „BB'' რეიტინგს 2024 წლის 6 დეკემბრის თარიღით“ ვებგვერდზე www.fitchratings.com). სუვერენული რეიტინგის ცვლილება ასახავდა გაზრდილ პოლიტიკურ და მმართველობის რისკებს, რაც მიუთითებს შესაძლო პოტენციურ გავლენაზე ქართული ბანკების ლიკვიდობასა და ვალუტის სტაბილურობაზე. საბანკო სექტორის მედეგობის მიუხედავად, სესხების დოლარიზაციის მაღალი დონე და დამოკიდებულება უცხოურ სესხებზე მოწყვლადობას განაპირობებს სტრესულ სცენარში, რაც უარყოფითად აისახება „თიბისი ბანკის“ საკრედიტო პორტფელზე და მის უნარზე, მხარი დაუჭიროს „თიბისი ლიზინგს“.

„თიბისი ლიზინგის“ ემიტენტის დეფოლტის რეიტინგს განაპირობებს მხარდაჭერა „თიბისი ბანკისგან“, რაც აისახება მის აქციონერთა მხარდაჭერის 'bb' რეიტინგზე. Fitch-ს მიაჩნია, რომ „თიბისი ბანკის“ მხრიდან „თიბისი ლიზინგის“ მხარდაჭერის სურვილი დიდია, რაზეც მეტყველებს მისი სრული საკუთრება, საერთო ბრენდინგი, ინტეგრაცია და კაპიტალის და დაფინანსების მხარდაჭერის ისტორია და მაღალი რეპუტაციული რისკები, რომლებიც წარმოიშობოდა შვილობილი საწარმოს დეფოლტის შედეგად. „თიბისი ბანკს“ უნდა შეეძლოს პოტენციური მხარდაჭერის აღმოჩენა, შვილობილი საწარმოს შედარებით მცირე ზომის გამო. „თიბისი ლიზინგი“ „თიბისი ბანკის“ კაპიტალის 2%-ზე ნაკლებს და მისი წმინდა შემოსავლის 2%-ზე შეადგენს.

რეიტინგის ბოლო განახლებების შესახებ ამ ბმულიდან შეიტყობთ:
fitchratings.com/entity/jsc-tbc-leasing-96849823#rating-actions

ოთხწლიანი წარმატება: TBC ლიზინგის გამორჩეული პოზიცია BARTA-ზე

„თიბისი ლიზინგმა“ BARTA-ს კონკურსში ზედიზედ მეოთხედ მოიპოვა გამარჯვება საუკეთესო წლიური ანგარიში და გამჭვირვალობა 2024 – მცირე და საშუალო კომპანიის კატეგორიაში. ეს მნიშვნელოვანი აღიარება ხაზს უსვამს ჩვენს ურყევ ერთგულებას მაღალი დონის გამჭვირვალობის, ფინანსური ანგარიშგებისა და კორპორაციული მმართველობის საერთაშორისო სტანდარტების მიმართ.

BARTA, რომელიც 2019 წელს დაარსდა, წარმოადგენს ევროკავშირის და მსოფლიო ბანკის ერთობლივ ინიციატივას და ხორციელდება ეროვნული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის რეფორმების მხარდამჭერი ფონდის (RSF) პარტნიორობით. კონკურსის მიზანია საქართველოში მაღალი ხარისხის კორპორაციული ანგარიშგების პოპულარიზაცია, გამჭვირვალობის ხელშეწყობა და ჯანსაღი კონკურენციის წახალისება. გლობალური ფინანსური ლანდშაფტის ცვლილებების ფონზე – განსაკუთრებით მდგრადობის ანგარიშგების მზარდი მნიშვნელობის პირობებში – ასეთი აღიარება არსებით როლს ასრულებს როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო ინვესტორების ნდობის გაძლიერებაში. დამატებითი ინფორმაცია ღონისძიებაზე ხელმისაწვდომია ბმულზე:
https://en.barta.ge













თიბისი ლიზინგს კორპორაციული მდგრადობის ჯილდო გადაეცა

2024 წელს „თიბისი ლიზინგმა“ საქართველოში მდგრადი დაფინანსების ხელშეწყობაში თავისი თვალსაჩინო წვლილისთვის პარტნიორობა მდგრადი განვითარებისთვის (SDG 17) კატეგორიაში გაიმარჯვა. ჯილდოთი კონკრეტულად აღინიშნა „თიბისი ლიზინგის“ პარტნიორობა „მწვანე ბრდის ფონდთან“ (GGF), რომელსაც წარმოადგენს Finance in Motion, Deep Greening – Scaling Initiative-ის ფარგლებში და მიზნად ისახავს საქართველოში მზის ფოტოვოლტური სისტემების დამკვიდრების ხელშეწყობას. ამ თანამშრომლობის ფარგლებში „თიბისი ლიზინგმა“ დააფინანსა დაახლოებით 7 მილიონი ლარის მზის პანელის პროექტები და 150,000 ევრომდე გრანტი გადასცა მომხმარებლებს მზის პანელების დიზაინისა და ინსტალაციისთვის. ეს გრანტები სუბსიდირებულია ევროკავშირის დაფინანსებით EU4Energy ინიციატივის ფარგლებში.

2024 წლის კორპორაციული მდგრადობის ჯილდოს მხარდამჭერი იყო შვედეთის მთავრობა, USAID-ის სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის პროგრამა და ევროპის საბჭოს ოფისი. ნომინაციები შეაფასა ქართველი და უცხოელი ექსპერტებისგან შემდგარმა საპატიო ჟიურიმ, გაეროს 2015 წელს მიღებული მდგრადი განვითარების მიზნების შესაბამისად.

დირექტორის განცხადება



პატივცემულო დაინტერესებულო მხარეებო,

2024 წელი მნიშვნელოვანი წელი იყო „თიბისი ლიზინგისთვის“ და გამოირჩეოდა შესაშური ფინანსური შედეგებითა და სტრატეგიული მიღწევებით. ჩვენ მივიღეთ რეკორდული წმინდა შემოსავალი, რომელიც აღემატებოდა 23 მილიონ ლარს, რაც შთამბეჭდავი – 26%-იანი უკუგებაა საშუალო კაპიტალზე და ჩვენი პორტფელი გავაფართოვეთ 35.3%-ით მუდმივი ვალუტის საფუძველზე. ეს მიღწევები მეტყველებს ჩვენი გამორჩეული გუნდის თავდაუზოგავ შრომაზე, სიმარჯვესა და გუნდური მუშაობის უნარზე.

სტრატეგიული მიღწევები


ფინანსური მაჩვენებლების გარდა, 2024 წელმა დაადასტურა, რომ „თიბისი ლიზინგი“ ღირსეული კორპორაციული მოქალაქეა. ჩვენ დიდი სიამაყით მივიღეთ კორპორაციული მდგრადობის ჯილდო 2024 წელს, რამაც ხაზი გაუსვა ჩვენს ძალისხმევას საქართველოში წავახალისოთ მდგრადი დაფინანსება. გარდა ამისა, ის ფაქტი, რომ უკვე ზედიზედ მეოთხედ მოვიპოვეთ საუკეთესო წლიური ანგარიშის და გამჭვირვალობის ჯილდო (BARTA), რომლითაც დაჯილდოვდა საუკეთესო წლიური ანგარიში და გამჭვირვალობა 2024 წელს მცირე და საშუალო ზომის კომპანიების კატეგორიაში, მოწმობს იმას, რომ ჩვენ დაუღალავად ვცდილობთ მივაღწიოთ გამჭვირვალობას, ანგარიშვალდებულებასა და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობას. მარტივად რომ ვთქვათ: ჩვენ სტანდარტს არა მხოლოდ ვქმნით, არამედ მას გამუდმებით ვამაღლებთ.

ფინანსური მედეგობა და კაპიტალის სიჯანსაღე

ჩვენი მძლავრი ფინანსური შედეგები ასახავს ჩვენი სამეთვალყურეო საბჭოს მიერ გრძელვადიანი სტრატეგიის ეფექტურად განხორციელებას და გონივრულ მმართველობას. ჩვენ შევინარჩუნეთ კაპიტალის მძლავრი ადეკვატურობა: პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი 15.9%-ს გაუტოლდა, ხოლო მეორადი კაპიტალის კოეფიციენტი – 24.0%-ს, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი სრულად მიესადაგება შიდა რისკის აპეტიტებსა და ჩვენი კრედიტორების ფინანსურ პირობებს. ეს ფინანსური მედეგობა განამტკიცებს ჩვენი მდგრადი ღირებულების შექმნის საფუძველს და ჩვენ სანდო პარტნიორად წარმოგვაჩენს როგორც ინვესტორების, ასევე კლიენტების თვალში.

აქციონერთათვის ღირებულების შექმნა

აღსანიშნავია, რომ „თიბისი ლიზინგმა“ 2024 წლის ნოემბერში გამოაცხადა და გაანაწილა საინაუგურაციო დივიდენდი 5 მილიონი ლარის ოდენობით, რაც ადასტურებს ჩვენს მყარ ფინანსურ პოზიციას და ურყევ სწრაფვას, აქციონერთათვის შევქმნათ ღირებულება. ეს ისტორიული პირველი დივიდენდი მძლავრ პრეცედენტს ქმნის მომავალი უკუგებებისთვის და ასახავს ჩვენს ნდობას როგორც ჩვენი ბიზნესმოდელის გამძლეობის, ისე ჩვენი სამომავლო ზრდის ტრაექტორიის მიმართ.



ციფრული ტრანსფორმაციის დანერგვა

ინოვაცია ჩვენი სტრატეგიული დღის წესრიგის პრიორიტეტად რჩება. ჩვენ გადავდივართ სრულად გაციფრულებულ პროდუქტებზე ჩვენი საცალო მომხმარებლებისთვის, რომელთა მიზანია გააუმჯობესონ მომხმარებელთა გამოცდილება, ხელი შეუწყონ საოპერაციო ეფექტურობასა და სამომავლოდ განამტკიცონ ჩვენი ბიზნესი. ამ სტრატეგიულ ძვრას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მომხმარებელთა მარად ცვალებადი მოლოდინების დაკმაყოფილებისა და ციფრულ დროში კონკურენტუნარიანად დარჩენისთვის.

ერთგულება მდგრადობის იდეისადმი

მდგრადობა ჩვენი ოპერაციების ქვაკუთხედად რჩება. ჩვენ პროაქტიულად მივმართავთ ინვესტიციებს მწვანე დაფინანსების გადაწყვეტებისკენ და ჩვენს კლიენტებს ვუბიძგებთ უფრო მდგრად პრაქტიკაზე გადასვლისადმი. ჩვენი ინიციატივები საგულდაგულოდ არის მისადაგებული მსოფლიოს საუკეთესო პრაქტიკასთან, მხარს უჭერს დეკარბონიზაციის, პასუხისმგებლობიანი დაფინანსებისა და გრძელვადიანი გარემოსდაცვითი საქმიანობის უფრო ფართო ინიციატივებს.

ინვესტირება ჩვენს თანამშრომლებში

ჩვენი თანამშრომლები ჩვენი ყველაზე ღირებული აქტივია – ჩვენი რეალური კონკურენტული უპირატესობა. სამუშაო სივრცეში ვაგრძელებთ ინკლუზიური, გამაძლიერებელი სამუშაო გარემოს შექმნას, რომელიც ხელს უწყობს პროფესიულ ზრდას, ინოვაციასა და თანამშრომლობას. დღეს ჩვენი გუნდის შესაძლებლობებში ინვესტირებით ჩვენს კომპანიას ვამზადებთ ხვალინდელი გამოწვევებისა და შესაძლებლობებისთვის.

სამომავლო პერსპექტივები.

2025 წელს და, საერთოდ, მომავალს ვხვდებით მკაფიო სტრატეგიული მიზნით, ბრწყინვალე საოპერაციო ფორმაში და სრულყოფილების მისაღწევად დაუღალავი ძალისხმევით. „თიბისი ლიზინგს“ განსაკუთრებით კარგი პოზიცია უკავია საიმისოდ, რომ მუდმივად ცვალებადი ბაზრის გარემოში მანევრირება მოახერხოს, შეითვისოს ციფრული ინოვაცია და დაიცვას მდგრადობა. ჩვენი გუნდის თავდადება და ჩვენი პარტნიორების ნდობა სტიმულს გვაძლევს, რომ გამოვიყენოთ ხვალინდელი შესაძლებლობები და ყველა დაინტერესებული მხარისთვის შევქმნათ უნაკლო ღირებულება. „თიბისი ლიზინგის“ სახელით დიდ მადლობას მოგახსენებთ თქვენი ნდობისთვის, პარტნიორობისა და მუდმივი მხარდაჭერისთვის.

გაიოზ გოგუა

დირექტორი

15 მაისი, 2025 წ.

თავი 2

ხვიჩა ყანჩაველი


საოპერაციო გარემო

საქართველოს ეკონომიკის მიმოხილვა

საქართველოს რეგიონში ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად განვითარებადი ეკონომიკა აქვს. საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგნოზით, 2024-2029 წლებში მოსალოდნელია, რომ რეალური მშპ საშუალოდ 5.6%[1]-ს მიაღწევს.

ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად განვითარებადი ეკონომიკა რეგიონში

რეალური მშპ-ის ზრდა ქვეყნების მიხედვით | 2024-2029



წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდის მსოფლიო ეკონომიკის პერსპექტივის მონაცემთა ბაზა, 2024 წლის ოქტომბერი

ნომინალური მშპ-ის ფართო და დივერსიფიცირებული სტრუქტურა

ნომინალური მშპ-ის სტრუქტურა




წყარო: საქსტატი, 2023 წ.

[1] წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდის მსოფლიო ეკონომიკის პერსპექტივა, 2023 წლის ოქტომბერი

მსოფლიო ბანკის „ბიზნესის კეთების“ 2020 წლის ანგარიშის მიხედვით, საქართველოს ერთ-ერთი საუკეთესო შედეგი ჰქონდა და რეიტინგში მე-7 ადგილი დაიკავა 83.7 ქულით, რაც რეგიონის თითქმის ყველა მაჩვენებლის საშუალოზე მაღალია. გარდა ამისა, საქართველოს ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი, Heritage Foundation-ის შეფასების მიხედვით, 71.8 არის, რის მიხედვითაც, მისი ეკონომიკა 177 ქვეყანას შორის 26-ე ადგილს იკავებს 2022 წლის თავისუფლების ინდექსის მხრივ. საქართველო ევროპის რეგიონის 45 ქვეყანას შორის მე-18 ადგილზეა, და მისი საერთო ქულა აღემატება როგორც რეგიონის (69.5), ისე მსოფლიოს საშუალო მაჩვენებელს (60.0).

რეიტინგი ბიზნესის კეთების მიხედვით



წყარო: ბიზნესის კეთების სიმარტივე, 2020 წ.

საქართველოს 16 უპირატესი სავაჭრო ხელშეკრულება აქვს გაფორმებული. ევროკავშირთან ასოცირების შესახებ 2014 წელს გაფორმებული შეთანხმება, რომელიც მოიცავს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის პრეფერენციულ სავაჭრო რეჟიმს და თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებები სხვა მსხვილ სავაჭრო პარტნიორებთან, როგორიცაა ევროკავშირი და ჩინეთი, საქართველოს დაეხმარება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვაში. შეთანხმება თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ჩინეთთან, რომელიც ძალაში შევიდა 2018 წლის იანვარში, შეთანხმება თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ჰონგ-კონგთან, რომელიც ძალაში შევიდა 2019 წლის თებერვალში, ზრდის საექსპორტო ბაზრებზე გასვლის კიდევ უფრო დაჩქარების და ინვესტორების მოზიდვის შესაძლებლობას მათი ბიზნესისთვის ხელსაყრელი გარემოს, მაღალი ხარისხის მმართველობის და სამ მილიარდ მომხმარებელზე წვდომის შეთავაზებით საბაჟო მოსაკრებლის გარეშე. გარდა ამისა, საქართველოს აქვს შეთანხმება თავისუფალი ვაჭრობის შესახებ თურქეთთან, თავისუფალი ვაჭრობის ევროპული ასოციაციის ქვეყნებთან (შვეიცარია, ნორვეგია, ისლანდია და ლიხტენშტაინი) და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) ქვეყნებთან. ევროკავშირთან უვიზო რეჟიმი, რომელიც საქართველოს პასპორტის მფლობელებს 2017 წლის მარტში მიენიჭათ, საქართველოს საგარეო პოლიტიკის კიდევ ერთი დიდი წარმატებაა.

2024 წლის ეკონომიკური სიახლეები


2024 წელი პოლიტიკურად აქტიური წელი იყო საქართველოში. დაძაბულობამ იმატა გაზაფხულის პროტესტების დროს და 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, რამაც უარყოფითად იმოქმედა ლარის მიმართ ნდობაზე და გაზარდა გაურკვევლობის დონე როგორც ქვეყნის შიდა, ისე საერთაშორისო ბაზარზე. ოქტომბერში ეროვნული ვალუტის გაუფასურების მოლოდინმა განაპირობა ლარზე ზეწოლა და ბაზარზე ლარის ლიკვიდურობის დეფიციტი შეიქმნა. ამავდროულად, უცხოური ვალუტის შემოდინება წლის განმავლობაში მაღალ დონეზე შენარჩუნდა; საქართველოს ეროვნულმა ბანკმაც სერიოზული ინტერვენცია მოახდინა ბაზარზე, რის შედეგადაც ლარი მეტწილად სტაბილური დარჩა და 1 აშშ დოლარზე 2.70-2.80 შეადგინა. წლის ბოლოს პოლიტიკური დაძაბულობის ზრდამ გარკვეულწილად უარყოფითად იმოქმედა ტურიზმზე, ხანგრძლივი მოხმარების საქონელზე მომხმარებლების ხარჯვაზე და მოლოდინებზე შემოდინებებისა და ზოგადი ეკონომიკური სტაბილურობის მიმართ. მართლაც, ამ გამოწვევების მიუხედავად, საქართველოს რეალური მშპ დეკემბერში, წინა წელთან შედარებით, 6.7%-ით მეტი იყო, ხოლო მთელ 2024 წელთან შედარებით, მისი 9.5%-იანი მაჩვენებელი საკმაოდ კარგად გამოიყურებოდა.

სექტორისა და ბაზრის მიმოხილვა

საქართველოს ლიზინგის სექტორზე დომინირებს ხუთი მთავარი კომპანია, რომლებიც მუშაობენ მსხვილ და მცირე და საშუალო ზომის დაწესებულებებზე, ხოლო საცალო ლიზინგის ბაზარი მეტწილად აუთვისებელია. საბაზრო წილის მხრივ ჩვენ ვინარჩუნებთ ჩვენი, როგორც ბაზრის ლიდერის, პოზიციას და 2024 წლის დეკემბრის მდგომარეობით გვაქვს ბაზრის 86%-იანი წილი.

ლიდერი საქართველოში დამკვიდრებული #1 საბაზრო პოზიციით

ბაზრის წილის დინამიკა




საქართველოში ლიზინგის სექტორი განვითარების ადრეულ ეტაპზეა და მისი განვითარების ტემპი მიჰყვება ეკონომიკის განვითარების ტენდენციას. საქართველოში ლიზინგის სექტორი დღესდღეობით შეადგენს ქვეყნის მშპ-ის დაახლოებით 1%-ს, 678 მილიონი ლარის სალიზინგო პორტფელით. იმის გათვალისწინებით, რომ ლიზინგის წილი დაახლოებით მშპ-ის 5%-ია მსგავს ქვეყნებში, ქართული სალიზინგო სექტორს ზრდის დიდი პოტენციალი გააჩნია. ლიზინგის სექტორი საქართველოში სწრაფად ვითარდება და სულ უფრო მძაფრი კონკურენციით ხასიათდება.

ბოლო ხუთი წლის განმავლობაში საქართველოს სალიზინგო ბაზარმა 7.3% რთული წლიური ზრდის ტემპი აჩვენა. სექტორის ზრდის უმთავრესი მიზეზი ისაა, რომ სალიზინგო პროდუქტების, როგორც დაფინანსების ალტერნატიული გზების, შესახებ ცნობადობა მნიშვნელოვნად გაიზარდა მცირე და საშუალო საწარმოებს შორის, რომლებიც სალიზინგო პროდუქტების მომხმარებელთა მთავარი მიზნობრივი სეგმენტია.


სალიზინგო ბაზრის ზრდა, სავარაუდოდ, გაგრძელდება

სალიზინგო ბაზრის დინამიკა



საქართველოს სამეწარმეო ლანდშაფტზე დომინირებენ მცირე და საშუალო საწარმოები და მათზე მთლიანი წარმოების ღირებულების 55% და კერძო სექტორის ბრუნვის 34% მოდის.

გამოშვებული პროდუქციის, ბრუნვის, ძირითადი საშუალებების გადანაწილება მცირე და საშუალო საწარმოებსა და მსხვილ საწარმოებზე




წყარო: საქსტატი – საქართველოს ბიზნესსექტორი 2024 წელს.

ევროპის საინვესტიციო ბანკის კვლევის ანგარიშის თანახმად, ფულად სახსრებზე შეზღუდული წვდომა რჩება საქართველოში მცირე და საშუალო საწარმოების განვითარების ერთ-ერთ მთავარ შემაფერხებელ ფაქტორად. განაცხადების უარყოფის მთავარი მიზეზებია სათანადო უზრუნველყოფის საგნის და საკრედიტო ისტორიის არარსებობა, პროექტის რისკიანობა და სუსტი ბიზნესგეგმა.

აღსანიშნავია, რომ პროექტების რისკიანობა მცირე და საშუალო საწარმოების სეგმენტში ბანკების მიერ სესხებზე განაცხადების უარის მთავარი მიზეზია. სათანადო უზრუნველყოფის საგნის არარსებობა ასევე მეტყველებს მცირე და საშუალო საწარმოების უუნარობაზე, დააკმაყოფილონ ბანკის მოთხოვნები უზრუნველყოფასთან დაკავშირებით. იმის გამო, რომ ქართულ ბიზნესს ნასესხები სახსრების მაღალი წილი ახასიათებს, ბანკები ჩვეულებრივ დამატებით უზრუნველყოფას მოითხოვენ უძრავ-მოძრავი ქონების სახით, ხოლო კომპანიებს არ აქვთ დამატებითი უზრუნველყოფის ულევი მარაგი, რომ დაფინანსების მოთხოვნები დააკმაყოფილონ.

აქედან გამომდინარე, ლიზინგი არის მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოებისთვის და კორპორაციული კლიენტებისთვის დაფინანსების გონივრული ალტერნატიული ფორმა, ვინაიდან უმეტეს შემთხვევაში დამატებითი უზრუნველყოფის საგანი არ მოითხოვება, რადგან ლიზინგით გადაცემული აქტივი თავად ასრულებს მთავარი უზრუნველყოფის საგნის ფუნქციას, რაზე საკუთრების უფლებასაც ფლობს სალიზინგო კომპანია.

სასესხო განაცხადის უარყოფის მიზეზები




წყარო: დაფინანსება საქართველოში – მცირე და საშუალო საწარმოები და კერძო სექტორი 2019 წელს

ბიზნესებისთვის დაფინანსების ყველაზე ფართოდ ხელმისაწვდომი წყარო არის საბანკო სესხები. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ლიზინგმა სულ უფრო დიდი მნიშვნელობა შეიძინა. როგორც მოსალოდნელია, ლიზინგზე, როგორც დაფინანსების ალტერნატიულ გზაზე, მოთხოვნა კიდევ უფრო გაიზრდება საბანკო სესხებთან შედარებით მეტი მოქნილობის და მაღალი რისკის ამტანობის გამო. ლიზინგის მომხმარებლებს არ უხდებათ სესხის უზრუნველყოფის და სესხის მომსახურების მაქსიმალური კოეფიციენტების ან გამკაცრებული ანდერაიტინგის მოთხოვნების დაკმაყოფილება. ლიზინგის მომხმარებლებს შეუძლიათ გაზარდონ საწარმოო სიმძლავრე და კონცენტრირდნენ თავიანთ მთავარ კომპეტენციებზე მინიმალური მონაწილეობით და დამატებითი უზრუნველყოფის გარეშე, რაც პირდაპირ უკავშირდება ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას და განვითარებას.

ჯერჯერობით ლიზინგი, როგორც პროდუქტი, განვითარების ადრეულ ეტაპზეა და თავისი სრული პოტენციალისთვის არ მიუღწევია. სალიზინგო ბაზრის მთავარი პორტფელი შედგება სტანდარტული ფინანსური ლიზინგისგან. დარგის განვითარების მეტწილად დადებითი ტენდენციების და მანქანა-დანადგარების ლიზინგის ბაზარზე შესაძლებლობების ზრდის გამო, საოპერაციო ლიზინგის ბაზარი, სავარაუდოდ, თანდათან გაძლიერდება და მეტ სტიმულს მისცემს ბანკების საკუთრებაში არსებულ სალიზინგო კომპანიებს, რომ ამ მიმართულებით განვითარდნენ.


საბანკო სექტორის ზრდასთან ერთად, გაუმჯობესდა წვდომა დაფინანსებაზე. ფინანსური საქმიანობის გაფართოება საქართველოში ხელსაყრელ ეკონომიკურ გარემოზე მეტყველებს. კერძო სექტორის კრედიტის მშპ-სთან თანაფარდობის მაჩვენებლის მიხედვით, საქართველო თავის მსგავს ქვეყნებს უტოლდება.

კერძო სექტორის კრედიტის მშპ-სთან თანაფარდობის კოეფიციენტი
(საქართველოს და სხვა ქვეყნების შედარება)



წყარო: მსოფლიო ბანკი, 2023 წ.


კერძო სექტორის კრედიტის მშპ-სთან თანაფარდობის კოეფიციენტი (საქართველო 2012-2023 წ.წ.)



წყარო: მსოფლიო ბანკი, 2023 წ.

მოცულობის თვალსაზრისით, საქართველოს სალიზინგო სექტორს ზრდის საკმაოდ დიდი პოტენციალი აქვს. უნდა აღინიშნოს, რომ ვინაიდან მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოები საქართველოში ბიზნესის უმეტეს წილს შეადგენს, მათ საქმიანობას და ინვესტიციებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისთვის. ლიზინგი, თავის მხრივ, საუკეთესო ფინანსური ინსტრუმენტია მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესების ძირითადი საშუალებების დასაფინანსებლად.


სასესხო პორტფელის შემადგენლობა სეგმენტების მიხედვით
(ბანკთაშორისი სესხების გამოკლებით, მილიარდ ლარში)



(დაკორექტირებულია სავალუტო კურსის ეფექტის მიხედვით, სავალუტო კურსი 2023 წლის ბოლოსთვის)
წყარო: სებ

[1] Source: National Bank of Georgia

ძირითად საშუალებებში ინვესტიციების შედარება სალიზინგო პორტფელის დინამიკასთან



წყარო: საქსტატი

მარეგულირებელი გარემო

The leasing industry in Georgia is not heavily regulated compared to other financial institutions such as banks and საქართველოში ლიზინგის სფერო, სხვა ფინანსურ ინსტიტუტებთან შედარებით, როგორიცაა ბანკები და მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, არ არის მკაცრად დარეგულირებული. იმის ნაცვლად, რომ მართული იყოს განცალკევებული, ზოგადი ჩარჩოთი, ლიზინგის სექტორი რეგულირდება ზოგადი კანონმდებლობით ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა სამეწარმეო სუბიექტი. სალიზინგო კომპანიებს არ მოეთხოვებათ არავითარი ლიცენზია, ნებართვა, აკრედიტაცია, ავტორიზაცია და არ ექვემდებარებიან კაპიტალის მინიმალურ მოთხოვნებს ან სხვა რამე მოთხოვნებს. ნებისმიერი არარეგულირებული საქმიანობის მსგავსად, ლიზინგი ექვემდებარება ბიზნესის, საგადასახადო და სამოქალაქო კანონმდებლობით გათვალისწინებულ ზოგად ნორმებს.

ერთადერთი რეგულაცია კონკრეტულად სალიზინგო კომპანიების შესახებ ისაა, რომ 200,000 ლარამდე ღირებულების ყველა სალიზინგო ოპერაცია უნდა განხორციელდეს ეროვნულ ვალუტაში და რომ ლიზინგის გამცემისთვის დაწესებულია მაქსიმალური წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 50%-ს.

რეგულაციის არარსებობის შემთხვევაში, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს დარგის ძლიერი ასოციაციის არსებობას, რომელიც წამყვან როლს ითამაშებს ლიზინგის სფეროს თვითრეგულირებაში. დარგის ძლიერი ასოციაცია იზრუნებს იმაზე, რომ ლიზინგის სფერო ურთიერთშეთანხმებულად ურთიერთობდეს მთავრობასთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან. გარდა ამისა, ლიზინგის სფერო მან გარკვეული ცოდნით და თანამედროვე სტანდარტებით უნდა უზრუნველყოს.

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში სახელმწიფოს ფინანსური მხარდაჭერის პროგრამებმა მნიშვნელოვანი მოთხოვნა შექმნა საწარმოო აღჭურვილობის ლიზინგზე. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და პრემიერ-მინისტრის კაბინეტი ხელს უწყობს საქართველოში ლიზინგის სფეროს განვითარებას.

გაერთიანებული სამეფოს „კარგი მმართველობის ფონდის“ მხარდაჭერით და ინვესტორთა საბჭოს ხელშეწყობით, ჩვენ განვახორციელეთ პროექტი საქართველოში სალიზინგო ბაზრის განვითარების უზრუნველსაყოფად. პროექტის ფარგლებში შეფასდა სალიზინგო ბაზრის იურიდიული, საგადასახადო, მარეგულირებელი და ბიზნეს გარემო და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკაზე დაყრდნობით შემუშავდა რეკომენდაციები. დოკუმენტი მთავრობას გადაეცა გადასახედად.





თავი 3

ხელოვნების ისტორია

ბიზნესმოდელი

ჩვენი მიზანია, ინოვაციის და კომპეტენციის გამოყენებით, ბაზარზე წამყვანი სალიზინგო პროდუქტების და მომსახურების შექმნა, ქართული ბიზნესისთვის დაფინანსების მოქნილი გზების შეთავაზება და ამით მთელ ეკონომიკაში ღირებულების შექმნა

ჩვენ ვქმნით მდგრად ღირებულებას მრავალფუნქციური აქტივებისთვის გრძელვადიანი ფინანსური ლიზინგის ინოვაციური და მოქნილი შეთავაზებებით. როგორც ბაზრის ლიდერი, ვთავაზობთ მომხმარებლებზე მორგებულ მომსახურებას მთელი საქართველოს მასშტაბით, სხვადასხვა სექტორის წარმომადგენელთა საჭიროებების დასაკმაყოფილებლად და მათი ბიზნესის ზრდის ხელშესაწყობად.

ჩვენი მოდელი მარტივია: ვყიდულობთ აქტივს, ლიზინგით გადავცემთ ჩვენს მომხმარებლებს; ვიღებთ ყოველწლიურ შემოსავალს, სანამ აქტივი ჩვენს საკუთრებაშია (საშუალოდ, სამიდან ხუთ წლამდე), ხოლო შემდეგ მას ვყიდით მეორად ბაზარზე ან ვარელიზინგებთ. ამ მომსახურების გაწევისას ჩვენ ვკისრულობთ დანახარჯებს, ძირითადად, თანამშრომლის ანაზღაურების, ტექნიკური მომსახურების, უძრავი ქონების, ტრანსპორტირების და ცვეთის ხარჯების სახით.

ჩვენი როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივი აქტივის მომწოდებლების ფართო ქსელი საშუალებას გვაძლევს, მოვახდინოთ სხვადასხვა ტიპის აქტივების ლიზინგი, დაწყებული მომცრო, ხელის ელექტრომოწყობილობებით, დამთავრებული დიდი საწარმოო დანადგარებით. აღჭურვილობას ვიძენთ ხარისხიანი და სანდო პროდუქტების კარგი რეპუტაციის მქონე ცნობილი მწარმოებლებისგან და მათთან ახლო ურთიერთობას ვინარჩუნებთ, რათა უზრუნველვყოთ საიმედო მიწოდება და შესყიდვის შემდგომი კარგი მომსახურება და მხარდაჭერა. სალიზინგო საგნის მომწოდებლებთან მუდმივ კავშირს ვინარჩუნებთ, რომ ადრევე გავუზიაროთ მათ ჩვენი საჭიროებები, რათა სალიზინგო საგანი დროულად მივიღოთ.


ჩვენი სერვისები ძირითადად მოიცავს ლიზინგს/აქტივების დაფინანსებას ტექნიკისა და აღჭურვილობისთვის, ავტომობილებისთვის, სამშენებლო, სასოფლო-სამეურნეო, საინფორმაციო ტექნოლოგიების და კავშირგაბმულობის აღჭურვილობისთვის, სამედიცინო ტექნოლოგიისთვის, უძრავი ქონებისთვის და მსხვილი მოძრავი აქტივებისთვის (თვითმფრინავები, იახტები და სხვა).

ჩვენი საკრედიტო განყოფილება წარმოადგენს ლიზინგის გაყიდვების ძირითად მამოძრავებელ ძალას.. იგი შედგება ანალიტიკური, გაყიდვების და პროდუქტის განვითარების გუნდებისგან. გაყიდვების განყოფილება სექტორული მიდგომით ხელმძღვანელობს და ჰყავს ორი ხელმძღვანელი, რომელიც სხვადასხვა სექტორს უძღვება: სამშენებლო და ჯანდაცვის სექტორს და წარმოების და მომსახურების სექტორს. საკრედიტო განყოფილების გარდა, ჩვენ ასევე გვაქვს ცალკე განყოფილება საავტომობილო სეგმენტისთვის.

გაყიდვების მიმართულება პირდაპირ კომუნიკაციას ახდენს კლიენტებთან, აცნობს მათ ჩვენს ზოგად პირობებს და აგროვებს დოკუმენტებს. დოკუმენტაციის პაკეტები შემდეგ გადაეცემათ ანალიტიკოსებს, რომ დაამუშაონ პროექტები და წარუდგინონ ის კომიტეტს. ანალიტიკოსები ჩართულები არიან მხოლოდ გეგმურ ფინანსურ მონიტორინგსა და რესტრუქტურიზაციის პროცესებში.

ამ სფეროში ჩვენი ნოუჰაუს, გამოცდილებისა და ცოდნის წყალობით, აქტივებთან დაკავშირებულ კომპეტენციას და ლიზინგის შეთავაზებებს ვუსადაგებთ ჩვენი კლიენტების ბიზნესსაქმიანობას. ამას ხელს უწყობს ჩვენი აქტივების მართვის განყოფილება. განყოფილება დაკომპლექტებულია თანამშრომლების გუნდით, რომელთა კომპეტენციები მოიცავს სხვადასხვა ტიპის აქტივების მახასიათებლების საფუძვლიან ცოდნას.

ლიზინგის პროცესი



გეოგრაფიული დაფარვა

ჩვენ მთლიანად ვფარავთ საქართველოს ტერიტორიას და პროდუქტებსა და მომსახურებას მომხმარებლებს ვაწვდით გაყიდვების სხვადასხვა ტიპის არხების მეშვეობით, რომელთა შორისაა ოფიციალური დილერები, ვენდორები, გაყიდვების პირდაპირი არხები და ჩვენი მშობელი ბანკის ფილიალები. ჩვენს გაყიდვების ფართო არეალს ხელს უწყობს ჩვენი მჭიდრო თანამშრომლობა სალიზინგო აღჭურვილობის წამყვან საერთაშორისო მომწოდებლებთან და ავტოდილერებთან. გარდა ამისა, გაყიდვებიდან შემოსავლის მიღებას კიდევ უფრო უწყობს ხელს „მომხმარებლის გზის“ არსებობა და ჩვენი მშობელი კომპანიისგან კლიენტების მოზიდვის სინერგია.

ჩვენ გვაქვს ოთხი ფილიალი საქართველოს უდიდეს ქალაქებში. 2023 წელს ჩვენ გავხსენით ახალი ფილიალი თბილისში, აღმაშენებლის ხეივანში, სადაც მომხმარებლები შეძლებენ მიიღონ სალიზინგო მომსახურებები ახალი და მეორადი მანქანებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და მძიმე ტექნიკისთვის.

მომხმარებელთა ბაზა

ჩვენ გვყავს სხვადასხვა ზომის და მასშტაბის კლიენტები, დაწყებული მცირე, საშუალო და კორპორაციული ბიზნესით, დამთავრებული საცალო პირებით, რომელთაც მხარს ვუჭერთ თავიანთი საქმიანობის დაფინანსებასა და გაფართოებაში. ჩვენი მომხმარებელთა ბაზა ასევე დივერსიფიცირებულია დარგების მხრივ, რომელთაგან არცერთი არ წარმოადგენს 19%-ზე მეტს. ჩვენს მომხმარებელთა დივერსიფიცირებული ბაზა მოიცავს ეკონომიკის ყველა სექტორს, მათ შორის მშენებლობას, დეველოპმენტს, მომსახურებას, საგზაო მშენებლობას, მედიცინას, სოფლის მეურნეობას, ვაჭრობას, ჰორეკას, მსუბუქ მრეწველობას, განახლებად ენერგიას, საავტომობილოს, ტექნოლოგიას, მედია და ტელეკომუნიკაციას და პოლიგრაფიას.


საოპერაციო სეგმენტი

ჩვენი საოპერაციო სეგმენტები არის ბიზნესსაქმიანობაში ჩართული კომპონენტები, რომლებმაც შეიძლება წარმოქმნას შემოსავლები ან გაწიოს ხარჯები. ჩვენი საოპერაციო სეგმენტებია:


- ბიზნეს სეგმენტი, რომლებიც მოიცავს იურიდიულ პირებზე ან იურიდიული პირების ჯგუფზე გაცემულ ლიზინგს, სადაც ნებისმიერი აქტივი შეიძლება დაფინანსდეს;
- საცალო სეგმენტი, რომელიც მოიცავს ფიზიკურ პირებს, რომლებიც არ წარმოადგენენ ბიზნესს.

ხელმძღვანელობა საოპერაციო სეგმენტების შედეგებს აფასებს წლის მთლიანი სრული შემოსავლის/(ზარალის) მიხედვით. საანგარიშგებო სეგმენტები იგივე საოპერაციო სეგმენტებია. სეგმენტის მიმოხილვა განხილულია ქვემოთ.


მთლიანი ლიზინგის პორტფელის ჩაშლა დარგების მიხედვით



მთლიანი ლიზინგის პორტფელის ჩაშლა აქტივების ტიპების მიხედვით



მთლიანი ლიზინგის პორტფელის ჩაშლა კლიენტების სეგმენტების მიხედვით



თავი

4

სეგმენტების მიმოხილვა

ბიზნესის სეგმენტი








ჩვენ ვართ ლიზინგის მომსახურების წამყვანი მიმწოდებელი ბიზნესის სეგმენტისთვის საქართველოში და 2024 წლისთვის გვიკავია ბაზრის 87%-იანი წილი, ბიზნესის სეგმენტის 692 კლიენტით და 511 მილიონი ლარის ბიზნესის მთლიანი სალიზინგო პორტფელით. 2024 წლის მდგომარეობით, ჩვენი ბიზნესის მთლიანი სალიზინგო პორტფელი წელიწადში საშუალოდ 17%-ით იზრდებოდა ბოლო სამი წლის განმავლობაში.


ბიზნესის სეგმენტი შეადგენს მთლიანი სალიზინგო პორტფელის 87%-ს და არის კარგად დივერსიფიცირებული, რადგან მოიცავს ბევრ სხვადასხვა დარგს.

ბიზნესის სეგმენტს მხარს ვუჭერთ კარგად სტრუქტურიზებული, ეფექტიანი და სასარგებლო სალიზინგო შეთავაზებების გზით. სალიზინგო საგნის წამყვან მომწოდებლებთან სპეციალური გარიგებებით და შესანიშნავი თანამშრომლობით, ჩვენ ვახერხებთ ფართო სპექტრის საწარმოო აქტივების დაფინანსებას მსხვილი საწარმოებისთვის და ვეხმარებით მათ საქმიანობის გაფართოებაში. გვეამაყება, რომ გვაქვს აქტივების მომწოდებლების ფართო ქსელი, რაც საშუალებას გვაძლევს მხარი დავუჭიროთ ჩვენს კლიენტებს თავიანთ საქმიანობაში. დროთა განმავლობაში წარმატებული პარტნიორობა დავამყარეთ უამრავ კორპორაციულ კლიენტთან და მათი წარმატების ნაწილი გავხდით.


ბიზნესის სეგმენტის წილი მთლიან სალიზინგო პორტფელში



ბიზნესის სეგმენტი მთლიანი სალიზინგო პორტფელი



ბიზნესის სეგმენტის საბაზრო წილის დინამიკა










ბიზნესის სეგმენტი მთლიანი ლიზინგის პორტფელის ჩაშლა სექტორების მიხედვით









შეთავაზებები

ფინანსური ლიზინგი

ფინანსური ლიზინგი ჩვენი მომხმარებლებისთვის ინვესტიციის ეფექტური მეთოდია, რომელიც იძლევა ნებისმიერი ახალი ან მეორადი აქტივის (როგორიცაა ჩვენი მომხმარებლის მიერ შერჩეული დანადგარი ან აღჭურვილობა) გამოყენების უფლებას წინასწარ განსაზღვრული ყოველთვიური სალიზინგო გადასახადის სანაცვლოდ, რა დროსაც აქტივზე საკუთრების უფლება სალიზინგო კომპანიას რჩება. ლიზინგის დაფინანსების გარდა, კლიენტებისთვის ღირებულებას ვქმნით დამატებითი მომსახურებითაც, როგორიცაა აღჭურვილობასთან დაკავშირებული საკონსულტაციო მომსახურება და გაყიდვის შემდგომი ტექნიკური მომსახურება.

თანამშრომლობა „აწარმოე საქართველოში“-სთან

პროგრამის მიზანია ახალი საწარმოების შექმნითა და გაფართოებით და არსებული საწარმოების ხელახლა აღჭურვით, საქართველოს მთავრობის მიერ ეკონომიკის პრიორიტეტულ სფეროებში ბიზნესების განვითარების მხარდაჭერა და შიდა წარმოების დივერსიფიკაცია. ამ პროექტის ფარგლებში 100,000-5,000,000 ლარის მოცულობის ლიზინგებისთვის, ლიზინგის მთლიან ვადაზე საპროცენტო განაკვეთის სუბსიდირება ხდება რეფინანსირების განაკვეთის მინუს 3%-ით. ამ დრომდე, სუბსიდირების პროგრამით ჩვენ დავაფინანსეთ 29 მილიონ ლარამდე ლიზინგები.

2022 წელს, სააგენტო „აწარმოე საქართველოში“-მ ექსპორტზე ორიენტირებული მცირე და საშუალო ბიზნესის საექსპორტო პოტენციალის ზრდის ხელშეწყობის მიზნით ექსპორტის სტიმულირების პროგრამა დაიწყო. პროგრამა ექსპორტიორი კომპანიების ტექნიკურ დახმარებას გულისხმობს. კერძოდ, ბენეფიციარ კომპანიებში ექსპორტის შემაფერხებელი ფაქტორების აღმოფხვრას და ექსპორტის მასტიმულირებელი მექანიზმების დანერგვას, რომლებიც ხელს შეუწყობს საექსპორტო ბაზრების, პროდუქტებისა და სერვისების დივერსიფიკაციას, მაღალი საექსპორტო პოტენციალის მქონე სექტორებისა და პროდუქტების იდენტიფიცირებას და საერთაშორისო გაყიდვების წახალისებას.

პროგრამა მოიცავს ტექნიკური დახმარების სამ კომპონენტს: პროდუქტის ლიცენზირება/სერტიფიცირება, რაც მოიცავს საწარმოს აუდიტის საერთაშორისო სტანდარტის დანერგვას; ხარისხის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატის მოპოვებას და მეწარმე სუბიექტის მიერ წარმოებული პროდუქტის ლიცენზირებას (დაფინანსების მოცულობა განისაზღვრა 20,000 ლარით); ბრენდინგი, რომელიც მოიცავს ბრენდის ჩამოყალიბებისა და განვითარების სტრატეგიის შემუშავებას, რებრენდინგსა და პროდუქციის შეფუთვას ბრენდბუქის შესაბამისად (დაფინანსების მოცულობა განისაზღვრა 20,000 ლარით); საერთაშორისო გაყიდვების სტიმულირება, რაც გულისხმობს საერთაშორისო სავაჭრო ქსელში შესვლის ხელშეწყობას, რაც მოიცავს ე.წ. Entry fee (შესვლის გადასახადი) ან მსგავსი საფასურის დაფინანსებას, დადგენილი ლიმიტების ფარგლებში შემდეგ სამიზნე ბაზრებზე: სპარსეთის ყურის ქვეყნები, ევროკავშირის ქვეყნები, დიდი ბრიტანეთი, აშშ, კანადა, და იაპონია (დაფინანსების მოცულობა – 10,000 ევროს ეკვივალენტი ეროვნულ ვალუტაში). პროგრამა მოიცავს შემდეგ სექტორებს: ტანსაცმელი, ტყავი და ტყავის საქონელი, ფეხსაცმელი, შინაური ცხოველების და ფრინველების საკვები, ვეტერინარული პროდუქტები, ავეჯის წარმოება, სამკაულების და მათთან დაკავშირებული საქონლის წარმოება, შესაფუთი მასალები, საკვები და სასმელი პროდუქტები (ღვინის გარდა).

თანამშრომლობა სოფლის განვითარების სააგენტოსთან

სოფლის განვითარების სააგენტოს მიზანია ძირითადი სასოფლო-სამეურნეო წარმოების, დამუშავების, შენახვის და გაყიდვის გაუმჯობესება იურიდიული და ფიზიკური პირებისთვის. იაფი, ხანგრძლივი ვადით ხელმისაწვდომი და შეღავათიანი ფულადი სახსრების ხელმისაწვდომობის გაზრდით გზით ხელს უწყობს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამატებითი ღირებულების შემქმნელი ინფრასტრუქტურის განვითარებას.

პროექტის ფარგლებში თანადაფინანსებით ისარგებლებენ საწარმოები, რომლებიც ქმნიან სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას (როგორიცაა თანამედროვე ფერმები, სასათბურე მეურნეობები და სხვა), ეწევიან სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ნებისმიერი სახით გადამუშავებას (შენახვა, დაფასოება, ხელმეორედ გამოყენება) ან აწარმოებენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შესაფუთ მასალებს.

ამ პროექტის ფარგლებში, 20,000-1,500,000 ლარის მოცულობის ლიზინგის საპროცენტო განაკვეთის სუბსიდიის ოდენობაა ლიზინგის მთლიან ვადაზე 12%-ს შეადგენს.

ამ დრომდე სუბსიდირების პროგრამით ჩვენ დავაფინანსეთ 14 მილიონ ლარამდე ლიზინგები.

სოფლის განვითარების სააგენტოს თანადაფინანსების პროგრამასთან თანამშრომლობით, ჩვენს მომხმარებლებს შევთავაზეთ სალიზინგო შეთავაზებები პირველადი თანამონაწილეობის მოთხოვნების გარეშე. სოფლის განვითარების სააგენტომ მოახდინა აქტივისთვის მოთხოვნილი თანხის 30-35%-ის სუბსიდირება, ხოლო დანარჩენი 65-70% ჩვენ დავაფინანსეთ. საზოგადოების მხრიდან მაღალი დაინტერესების გამო, ჩვენ აქტიურად გავავრცელეთ ინფორმაცია მონაწილე ვენდორების შესახები, რითაც გავუმარტივეთ მომხმარებლებს სასურველი აქტივის არჩევა.

სამშენებლო, სამედიცინო და სასოფლო-სამეურნეო აღჭურვილობის სწრაფი ლიზინგი

სწრაფი ლიზიგი განაცხადის და დამტკიცების გამარტივებული პროცესის მეშვეობით სტანდარტულ ფინანსურ ლიზინგთან შედარებით მეტად მოქნილი პროდუქტია, დამტკიცების პროცესს, როგორც წესი, ერთიდან სამ დღემდე სჭირდება.

კომერციული უძრავი ქონების ლიზინგი

2021 წელს საქართველოს ბაზარზე ჩვენ პირველებმა დავნერგეთ კომერციული უძრავი ქონების ლიზინგი. კომერციული უძრავი ქონების ლიზინგი ჩვენს კლიენტებს საშუალებას აძლევს, იქირაონ კომერციული ქონება ლიზინგის ვადის განმავლობაში ყოველთვიური სალიზინგო გადასახადის სანაცვლოდ და ლიზინგის ვადის ბოლოს გარანტირებულად მიიღონ ქონებაზე საკუთრების უფლება. 2024 წლის დეკემბრის მდგომარეობით, უძრავი ქონების პორტფელი გაუტოლდა 64 მილიონ ლარს (11%-იანი ზრდაა, წინა წელთან შედარებით).

საავტომობილო ლიზინგი

ჩვენი საავტომობილო სეგმენტის ფარგლებში ვაფინანსებთ ახალ და მეორად იმპორტირებულ და მეორად ადგილობრივ მანქანებს. ჩვენ საავტომობილო ლიზინგის მომსახურების წამყვანი მიმწოდებელი ვართ ბაზარზე, ავტომობილების პარკის ლიზინგის ჩათვლით, რაც მოიცავს ავტომობილის მთლიანი სასარგებლო მომსახურების ვადის მართვას ჩვენი კლიენტებისთვის, დაწყებული ყიდვით და ტექნიკური მომსახურებით, დამთავრებული ავტომობილის რემარკეტინგით. ავტომობილების პარკის მართვის ათწლიანი გამოცდილება საშუალებას გვაძლევს კომერციული ავტომობილის მომსახურების განმავლობაში აღმოვუჩინოთ მომხმარებლებს ტექნიკური მხარდაჭერა და მართვის უწყვეტი მომსახურება.

ჩვენ გვაქვს როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი გაყიდვები დილერების, ბანკების და ბროკერების მეშვეობით, რომლებიც კლიენტებს მოიზიდავენ „თიბისი ლიზინგისთვის“.





„თიბისი ლიზინგს“ ქართული ბიზნესგარემოს მხარდაჭერის 21-წლიანი ისტორია აქვს. „თიბისი ლიზინგი“ დაარსების დღიდან აფინანსებს ბიზნესების ზრდას.

ქართული ბიზნესგარემოს მხარდაჭერა და ქვეყნის საწარმოო სიმძლავრის განვითარებაში წვლილის შეტანა „თიბისი ლიზინგის“ მისიის ქვაკუთხედია. კლიენტების ბიზნესსაქმიანობისთვის მისადაგებული ფინანსური პროდუქტების შეთავაზებაზე ზრუნვის შედეგად, ბოლო 21 წლის განმავლობაში „თიბისი ლიზინგი“ იმდენად გაიზარდა, რომ ქვეყნის წამყვანი მიმწოდებელი გახდა მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისთვის, სტარტაპებისა და ფიზიკური პირებისთვის ალტერნატიული ფინანსური სერვისების მიწოდების თვალსაზრისით.

ახალ ბიზნესებს, განსაკუთრებით მათ, რომლებსაც არ აქვთ საკრედიტო ისტორია, უჭირთ საბანკო სესხების მიღება. საბედნიეროდ, ჩვენ მხარს ვუჭერთ სტარტაპებს, რომ ინვესტიცია განახორციელონ მნიშვნელოვან აღჭურვილობასა და აქტივებში სამომავლოდ და მათთვის ხელმისაწვდომად ვაქცევთ ტექნიკურ მხარდაჭერას, ამავდროულად ვახდენთ მათი ფულადი ნაკადებისა და საბრუნავი კაპიტალის ოპტიმიზაციას. 2024 წელს ჩვენ აქტიურ მხარდაჭერას აღმოვუჩენდით ქართულ სტარტაპებს, რომელთაგან ზოგიერთმა უცხოურ ბაზრებზე ექსპორტი დაიწყო. 2024 წელს რამდენიმე აღსანიშნავი პროექტი დაფინანსდა, რომლებიც აღწერილია ქვემოთ.

ბათუმში CAVEA-ს კინოთეატრის გახსნის მხარდაჭერა

„თიბისი ლიზინგის“ მხარდაჭერით, 2024 წელს ბათუმში CAVEA-ს კინოთეატრი გაიხსნა. გრანდ მოლის მე-4 სართულზე მდებარე კინოთეატრში ოთხი უახლესი ტექნოლოგიით აღჭურვილი დარბაზია. თანამედროვე სტანდარტების დასაკმაყოფილებლად, ახალი კინოთეატრი აღჭურვილია მოწინავე ხმის სისტემებით, უახლეს ვიზუალური ტექნოლოგიით და კომფორტული სავარძლებით, რაც კინოს მოყვარულებს არაჩვეულებრივ გამოცდილებას სთავაზობს. ამ პროექტით „თიბისი ლიზინგმა“ დააფინანსა ეს უმნიშვნელოვანესი აქტივები და ხელი შეუწყო ამ მაღალი ხარისხის ინიციატივის წარმატებით დანერგვას.









კაფე „დაფნას“ გაფართოების ხელშეწყობა

„დაფნა“ არის თბილისში მდებარე პოპულარული ობიექტი ნამდვილი ხინკლისა და თანამედროვე ქართული კერძების გასასინჯად. იგი „თბილისში 12 საუკეთესო ქართული რესტორნის“ ფორბსის სიაში მოხვდა. 2024 წელს „თიბისი ლიზინგი“ „დაფნას“ დაეხმარა გაფართოებაში ბათუმში ახალი კაფეს გახსნით.

მემედ აბაშიძის ქ.43-ში, ისტორიულ შენობაში, მდებარე ბათუმის კაფე დახვეწილი და მინიმალისტური დიზაინით გამოირჩევა და თბილისის ფილიალის წარმატებულ მოდელს იმეორებს. ეს გაფართოება არა მხოლოდ გაზრდის მის საბაზრო წილს, არამედ ასევე დაეხმარება მას გამორჩეული კულინარიული მომსახურების შეთავაზებაში, რაც იზიდავს, როგორც ადგილობრივებს, ისე უცხოელ ვიზიტორებს.

ზრდის ხელშეწყობა: „სკა ჯუს ბარი“

ქართული ბრენდი „სკა ჯუს ბარი“ ადგილობრივ ბაზარზე 2019 წელს გამოჩნდა. მას შემდეგ იგი გაფართოვდა არა მხოლოდ თბილისში, არამედ საერთაშორისო ასპარეზზეც და პრაღაში ფილიალი გახსნა. კომპანიის მისიაა იმ სტერეოტიპის დამსხვრევა, რომ ფასტ ფუდი არაჯანსაღი უნდა იყოს. „სკა ჯუს ბარი“ მომხმარებლებს სთავაზობს ახლად მომზადებულ წვენებს, სალათებს, სენდვიჩებს, სნექებსა და დესერტებს. გაფართოებასთან ერთად, კომპანიას გაუჩნდა შეკვეთის მიცემის უახლესი მონიტორების საჭიროება, რათა შესძლებოდა უფრო ეფექტური და დახვეწილი მომსახურების გაწევა. „თიბისი ლიზინგმა“ მას ეს ინიციატივა დაუფინანსა, რითაც ხელი შეუწყო კომპანიის შემდგომ ზრდასა და ინოვაციას.











PIZZA HUT: ამერიკული პიცის საქართველომდე მოტანა

„თიბისი ლიზინგის“ მხარდაჭერით, საქართველოში Pizza Hut-ის ქსელი გაფართოვდა, თბილისში ახალი ფილიალის გახსნით. Pizza Hut-ის ისტორია იწყება 1958 წელს, ორი ძმის $600-იანი ინვესტიციით და დღეისათვის მას მსოფლიოს გარშემო 16,000 რესტორანი აქვს. როგორც კომპანია აღნიშნავს, ყოველი ახალი ფილიალი წარმოადგენს არა მხოლოდ დამატებითი დასაქმების შესაძლებლობას, არამედ ასევე მომხმარებელთა კმაყოფილების მიღწევისკენ გადადგმულ კიდევ ერთ ნაბიჯს, რასაც კომპანია დიდი პასუხისმგებლობით უდგება. რესტორნების რაოდენობის ზრდის გარდა, კომპანიის ყურადღების მიღმა არ რჩება გამორჩეული კულინარიული მომსახურების გაწევა და მენიუს მუდმივი განახლება. სამზარეულოს აღჭურვილობა და ტექნიკა ამ გაფართოებისთვის „თიბისი ლიზინგის“ მეშვეობით დაფინანსდა.

საქართველოში ფარმაცევტული მომსახურების გარდაქმნა

„თიბისი ლიზინგის“ დახმარებით, „ფარმასახლმა“ დანერგა ინოვაციური და მაღალტექნოლოგიური რობოტული სერვისი თავისი მომხმარებლებისთვის. „ფარმასახლი“ არის პირველი ფარმაცევტული კომპანია სამხრეთ კავკასიაში, რომელმაც ფარმაცევტული რობოტები დანერგა. ეს ჭკვიანი მოწყობილობა, რომელიც იმართება ხელოვნური ინტელექტით, აუმჯობესებს მედიკამენტების ინვენტარის მართვას და ვადის გასვლის კონტროლს და ამარტივებს სამუშაო პროცესსა და მომსახურების დროს დაახლოებით 90%-ით ამცირებს.

კომპანიის გრძელვადიანი განვითარების სტრატეგიის ფარგლებში, ჩვენ ენთუზიაზმით ვაფინანსებთ ფართო სპექტრის ეკომეგობრულ და მდგრად პროექტებს.

ლიზინგი „მწვანეა“, რადგან იგი საშუალებას აძლევს ბიზნესებს, ინვესტიცია განახორციელონ უფრო ახალ და ეფექტიან აღჭურვილობაში, რომელიც ნაკლებ რესურსს მოიხმარს. მანქანა-დანადგარების მყისიერად შესყიდვისთვის კაპიტალის გამოყოფის ნაცვლად, განსაკუთრებით თუ შედარებით მოძველებული, ნაკლებად ეფექტიანი აღჭურვილობა ასრულებს კონკრეტულ ფუნქციას, უმჯობესია მიაკითხოთ სალიზინგო კომპანიას და მას სთხოვოთ დაფინანსება.

საქართველოში ჯერ კიდევ არ არის საკმარისად ათვისებული ლიზინგის ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული მიმართულება – სწრაფად მზარდი ინვესტიციები მდგრად აღჭურვილობაში, როგორიცაა ენერგოეფექტური აქტივები, განახლებადი ენერგია და ეკოლოგიურად უფრო სუფთა წარმოება.

მდგრადი განვითარებისკენ სწრაფვის ფარგლებში, მდგრადი აქტივების დაფინანსებით ჩვენ ვეხმარებით მომხმარებლებს გახდნენ უფრო „მწვანე“. ჩვენი პროექტების უმრავლესობა ფოკუსირებულია გარემოს დაცვასა და სუფთა ენერგიაზე – როგორიცაა მზის პანელები, ქარის ენერგია და მცირე ზომის ჰიდროელექტროსადგურები. ჩვენ ვაფინანსებთ ენერგოეფექტურ სასოფლო-სამეურნეო და საწარმოო აქტივებს, რის შედეგადაც 2024 წლისთვის ჩვენი მწვანე პორტფელი 40.2 მილიონ ლარს გაუტოლდა, საიდანაც 1.9 მილიონი ლარი მზის პანელების ინსტალაციაზე მოდიოდა. გარდა ამისა, 2024 წლისთვის ჰიბრიდული ავტომანქანები ჩვენს პორტფელში 6.9 მილიონ ლარს შეადგენდა.

ჩვენი გრძელვადიანი სტრატეგიის თანახმად, ჩვენ დიდი ენთუზიაზმით ვაფინანსებთ ფართო სპექტრის ეკომეგობრულ პროექტებს. საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებთან აქტიური თანამშრომლობით (მაგ. ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკი (EBRD), საფრანგეთის განვითარების სააგენტო (PROPARCO), ჰოლანდიის განვითარების ბანკი (FMO), Cassa Depositi e Prestiti (CDP), ფონდი მწვანე ზრდისთვის (GGF), ევროპული ფონდი სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისთვის (EFSE) და სხვ.), ჩვენ აქტიურად დავიწყეთ ახალი პროდუქტების შექმნა, რაც დაგვეხმარება ენერგოეფექტური აქტივების დაფინანსების მოცულობის გაზრდაში და ასევე განახლებადი ენერგიის წარმოების დაფინანსებაში, როგორიცაა მზის პანელები და მცირე ზომის ჰიდროელექტროსადგურები.

ჩვენი გრძელვადიანი პარტნიორების მხარდაჭერის წყალობით, მწვანე და პასუხისმგებლიან დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდით, ჩვენ ხელი შევუწყვეთ ადგილობრივი მცირე და საშუალო ზომის საწარმოების კიდევ უფრო გაძლიერებასა და მათი მწვანე საქმიანობის გაფართოებას. ჩვენი, როგორც საქართველოს წამყვანი სალიზინგო კომპანიის, როლია ხელი შევუწყოთ ამ პროცესს და შევქმნათ პროდუქტების უფრო ფართო არჩევანი, რაც ადგილობრივ მცირე და საშუალო ზომის საწარმოებს საშუალებას მისცემს ისარგებლონ დაფინანსების ალტერნატიული საშუალებებით, რათა გააფართოონ თავიანთი ბიზნესსაქმიანობა.

ჩვენ აქტიურად ვეძებთ მზის ენერგიის ეკოსისტემის მხარდაჭერის, კერძოდ, ბაზარზე არსებული დეფიციტის შევსების, გზებს. ერთ-ერთი გამოწვევა, რომელიც აბრკოლებს მზის ენერგიის სისტემების დამკვიდრებას საქართველოში, არის სადემონსტრაციო პროექტების არარსებობა, რაც გაზრდიდა ნდობას და მოახდენდა მოთხოვნის სტიმულირებას. თუმცა ბოლო დროს საქართველოში საყოფაცხოვრებო და კომერციული მომხმარებლებისთვის ელექტროენერგიის ტარიფების მკვეთრი ზრდის გამო მზის ენერგიის მიმართ ინტერესი მატულობს.

განახლებადი ენერგიის მოხმარება რომ წაგვეხალისებინა და ჩვენი კლიენტების ინტერესი მდგრადი ენერგიის მოხმარებისკენ მიგვემართა, ვითანამშრომლეთ სოფლის განვითარების სააგენტოსთან და „აწარმოე საქართველოში“-სთან, რათა შეგვეთავაზებინა ისეთი სუბსიდირების პროგრამები, რომლებიც მნიშვნელოვნად ამცირებს ჩვენი კლიენტების ყოველთვიური ლიზინგის შენატანებს და ახდენს ელექტროენერგიის ხარჯების ოპტიმიზაციას.

მწვანე ინიციატივა: საქართველოში მზის ფოტოვოლტური სისტემების დამკვიდრების ხელშეწყობა

საქართველოში განვითარებული ბოლოდროინდელი მოვლენების გათვალისწინებით, ფონდი მწვანე ზრდისთვის (GGF), რომელსაც წარმოადგენს Finance in Motion, დაგვეხმარა ჩვენს კომერციულ და მეწარმე კლიენტებთან მზის ფოტოვოლტური პროექტების წამოწყებაში.

GGF-ის საკრედიტო ხაზის პარალელურად, GGF-ის ტექნიკურმა მხარდაჭერამ საშუალება მოგვცა მომხმარებლებისთვის დაგვეფინანსებინა მზის პანელების პროექტებთან დაკავშირებული ძირითადი მწვანე მომსახურებები, კერძოდ, ინსტალაციასთან დაკავშირებული ხარჯები. გრანტის მთლიანი ბიუჯეტი 150,000 ევროა. იგი ხელმისაწვდომია კომერციული და მეწარმე კლიენტებისთვის და თითო კლიენტისთვის პროექტირების და ინსტალაციის 10,000 ევრომდე ხარჯის დაფარვას ითვალისწინებს.

დღემდე ჩვენ დავაფინანსეთ მზის პანელების პროექტები, რომელთა მთლიანი დაფინანსების მოცულობა იყო დაახლოებით 6.8 მილიონი ლარი. GGF-ის გრანტი სუბსიდირდება ევროკავშირიდან EU4Energy ინიციატივის ფარგლებში მიღებული დაფინანსებით.

ადგილობრივი ბიზნესების, განსაკუთრებით მცირე და საშუალო ზომის საწარმოების მიმართ ჩვენი მხარდაჭერის ფარგლებში, ჩვენ წარმატებით მოვიზიდეთ მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსები ჩვენი პარტნიორი საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებისგან.

10 მილიონი ევროს მნიშვნელოვანი საკრედიტო ხაზის მიღება იტალიის ეროვნული განვითარების ინსტიტუციისგან – CASSA DEPOSITI E PRESTITI (CDP), რაც მისი პირველი ინვესტიციაა საქართველოში

2024 წელს ჩვენ წარმატებით მოვიზიდეთ 10 მილიონი ევრო იტალიის ფინანსური ინსტიტუცია საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობისთვის – Cassa Depositi e Prestiti-სგან (CDP). ეს უმნიშვნელოვანესი გარიგება CDP-ის პირველი ინვესტიციაა საქართველოში, რაც ისტორიული პრეცედენტია ქვეყნის ფინანსურ სექტორისთვის ახალი საერთაშორისო დაწესებულების კაპიტალის მოზიდვის თვალსაზრისით.

საკრედიტო ხაზი, რომლის მიზანია ფინანსური ინკლუზიურობის გაძლიერება და ადგილობრივი საწარმოების განვითარების ხელშეწყობაა, ხაზს უსვამს ჩვენს მუდმივ ძალისხმევას, საქართველოში მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოებს შევთავაზოთ მათზე მისადაგებული ფინანსური გადაწყვეტები, რომლებიც მათ მზარდ საჭიროებებს დააკმაყოფილებს, რადგან მიკრო, მცირე და საშუალო ზომის საწარმოებზე მთლიანი საწარმოო ღირებულების 55%-ზე მეტი მოდის და ისინი კერძო სექტორის ბრუნვის 35%-ს შეადგენენ.

ეს პარტნიორობა მნიშვნელოვნად გაზრდის მოქნილი და ინოვაციური დაფინანსების ხელმისაწვდომობას, ხელს შეუწყობს ინოვაციური ფინანსური ინსტრუმენტების დანერგვას, რომლებიც ზრდის წვდომას კაპიტალზე და ამით ქართული საწარმოების განვითარებისა და მედეგობის ხელშეწყობა. ამ სტრატეგიულ პარტნიორობას მხარს უჭერს მდგრადი განვითარების ევროპული ფონდი (EFSD), წამყვანი ინიციატივა, რომლის მიზანია დაფინანსების შესაძლებლობის გაუმჯობესება მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოებისთვის, განსაკუთრებით ევროპულ საზოგადოებებში. ეს პროგრამა ხელს უწყობს უთანასწორობის შემცირებას, სამუშაო ადგილების შექმნას და შემოსავლების ზრდას მთელ რეგიონში.









დაფინანსების მზარდი ხელმისაწვდომობა ქართული მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოებისთვის მწვანე ზრდის ფონდისგან

მწვანე ზრდის ფონდმა („GGF“) შვიდი მილიონი ევრო გამოყო საქართველოში მიკრო, მცირე და საშუალო ზომის საწარმოებს შორის მდგრადი ეკონომიკური განვითარების წასახალისებლად, რაც ფონდთან ჩვენი მეორე წარმატებული გარიგებაა. ეს ახალი კრედიტი საქართველოში სხვადასხვა სალიზინგო პროგრამას დააფინანსებს.

თანამშრომლობა PROPARCO-სთან საქართველოში მდგრადი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის მიზნით

ჩვენი 2019 წლის პირველი თანამშრომლობის შემდეგ, 2023 წელს ჩვენ მეორე წარმატებული გარიგება დავდეთ PROPARCO-სთან, რომლის მიზანი იყო საქართველოში მდგრადი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა. ეს 10 მილიონი ევროს დაფინანსებამ საშუალებას მოგვცა დავხმარებოდით მცირე და საშუალო ზომის ქართულ საწარმოებს, კლიმატურ ცვლილებასთან ბრძოლისა და ქალების ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერის პარალელურად. საკრედიტო ხაზის 40% გამიზნული იყო სუფთა ენერგიის და ენერგოეფექტურობის პროექტებისთვის, ხოლო 10% გამოყენებული იქნა იმ პროექტების მხარდასაჭერად, რომლებიც აძლიერებს ქალებს, როგორც მეწარმეებს, ბიზნესლიდერებს, დასაქმებულებს და იმ პროდუქტებისა და სერვისების მომხმარებლებს, რომლებიც აუმჯობესებენ მათ ეკონომიკურ ჩართულობას.

6.9%

მწვანე პორტფელის წილი მთლიან სალიზინგო პორტფელში

40,244,468 ლარი

მწვანე პორტფელის მოცულობა

15 მილიონი ევროს საკრედიტო ხაზი FMO-სგან ფინანსური ინკლუზიურობის წასახალისებლად და მდგრადი განვითარების მხარდასაჭერად საქართველოში









ჩვენ გავაფორმეთ 15 მილიონი ევროს საკრედიტო ხაზის ხელშეკრულება ნიდერლანდების განვითარების ბანკთან - FMO-სთან, რაც მეორე წარმატებული თანამშრომლობაა. 2019 წელს მჭიდრო პარტნიორობის დაწყების შემდეგ, ეს ახალი თანამშრომლობა მიზნად ისახავს, წაახალისოს მდგრადი ეკონომიკური ზრდა საქართველოში ფინანსური ინკლუზიის გაძლიერებით და სამეწარმეო გარემოში ნაკლებად წარმოდგენილი ჯგუფების გაძლიერებით.

საკრედიტო ხაზი გამიზნულია ქალებისა და ახალგაზრდა მეწარმეების, ასევე მწვანე პროექტების მხარდასაჭერად, რომლებიც შესაბამისობაშია გარემოსდაცვითი მდგრადობის მიზნებთან. საკრედიტო ხაზის 85% კონკრეტულად გამიზნულია ქალებისა და ახალგაზრდების მიერ მართული ბიზნესების ფინანსური ლიზინგებისთვის. „თიბისი ლიზინგი“ ადასტურებს თავის მზაობას, შეავსოს ფინანსური დეფიციტი, ხელი შეუწყოს მეწარმეობას და წაახალისოს თანასწორი წვდომა კაპიტალზე. დარჩენილი 15% გაუნაწილდება მწვანე პროექტებს, რაც ხაზს უსვამს ორივე დაწესებულების საზიარო მიზანს, მხარი დაუჭიროს გარემოსდაცვით ინიციატივებს.

ინოვაციური ფინანსური გადაწყვეტების გამოყენებით, ეს პარტნიორობა მზადაა, გააძლიეროს საქართველოს სამეწარმეო ეკოსისტემა, საფუძველი ჩაუყაროს ბიზნესის მედეგობას და, ზოგადად, წვლილი შეიტანოს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში. „თიბისი ლიზინგი“ კვლავაც მზადაა სხვადასხვა ბიზნეს თემის გასაძლიერებლად და მდგრადი განვითარების დასაჩქარებლად, მომავალი თაობის ქართულ საწარმოებში მიზნობრივი, შედეგიანი ინვესტიციების განხორციელების მეშვეობით.

მწვანე ბონდები







2023 წელს, ლარში დენომინირებული ფინანსურ ინსტიტუტებს შორის პირველი მწვანე საჯარო ობლიგაციები წარმატებით განათვათავსეთ. განთავსების მოცულობამ 15 მილიონი ლარი შეადგინა. ემისიის შედეგად განვათავსეთ ფინანსური რესურსი მწვანე სალიზინგო პორტფელის ზრდის დაფინანსებას მოხმარდა.

აღნიშნული ემისიის ფარგლებში, აღნიშნული ემისიის მწვანე ობლიგაციების ჩარჩოსთან დაკავშირებით, მეორე მხარის მოსაზრება საერთაშორისო სარეიტინგო კომპანია Scope Group-ისგან მივიღეთ. ამ მოსაზრების თანახმად, თიბისი ლიზინგის მწვანე ობლიგაციების ჩარჩო სრულ შესაბამისობაშია საერთაშორისო კაპიტალის ბაზრების ასოციაციის (ICMA) მიერ შემუშავებულ მწვანე ობლიგაციების პრინციპებთან (GBP).

ამ განთავსების ფარგლებში, „თიბისი ლიზინგი“ გახდა კაპიტალის ბაზრების მხარდაჭერის პროგრამის გამარჯვებული საქართველოს კაპიტალის ბაზარზე ფინანსურ ინსტიტუტებს შორის ლარში დენომინირებული პირველი მწვანე ობლიგაციების წარმატებული განთავსებისთვის, რაც მოიცავდა ფულად კონტრიბუციას ევროკავშირისგან ემისიასთან დაკავშირებული ხარჯების თანადაფინანსებისთვის. მხარდაჭერის მექანიზმი ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკმა (EBRD) უზრუნველყო.

ქვედა ცხრილში მოცემულია ბონდის ალოკაციის რეპორტი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

კატეგორია	გაცემული მოცულობა (ლარი)	გაცემული მოცულობის წილი (%)	გაუნაწილებელი მოცულობა (ლარი)	გაუნაწილებელი მოცულობის წილი (%)
ენერგოეფექტური აქტივები	2,696,147	18%	4,803,853	32%
ეკომეგობრული სატრანსპორტო საშუალებები	3,243,942	22%	4,256,058	28%
სულ:	5,940,089	40%	9,059,911	60%

საცალო სეგმენტი

ჩვენ ვართ ავტომანქანების დასაფინანსებლად ლიზინგის მომსახურების წამყვანი მიმწოდებელი ფიზიკური პირებისთვის და 2024 წლის მდგომარეობით გვიკავია ბაზრის 83%-იანი წილი, 75 მილიონი ლარის მთლიანი სალიზინგო პორტფელით. საცალო სეგმენტი შეადგენს მთლიანი სალიზინგო პორტფელის 13%-ს და არის კომპანიის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური და სწრაფად მზარდი მიმართულება.

საცალო სეგმენტის ფარგლებში ჩვენ ვაფინანსებთ სასოფლო-სამეურნეო, ახალ, მეორად იმპორტირებულ და მეორად ადგილობრივ მანქანებს და სხვადასხვა ტიპის აქტივებს ფიზიკური პირებისთვის. ჩვენ ვთანამშრომლობთ ყველა ოფიციალურ ავტოცენტრთან და ავტოდილერთან საქართველოში. თუმცა ჩვენს კლიენტებს ასევე შეუძლიათ ისარგებლონ ოფიციალური იმპორტიორი კომპანიების მომსახურებით და გამოიწერონ მათ მიერ შერჩეული მეორადი ავტომობილი აშშ-დან, ევროპიდან ან იაპონიიდან ან მსგავსი მოდელი ადგილობრივ ბაზარზე იპოვონ.


სულ უფრო იზრდება მოთხოვნა ლიზინგზე მეორადი იმპორტირებული მანქანების დასაფინანსებლად, რადგან, საბანკო დაფინანსებასთან შედარებით, მას უფრო მოქნილი და კონკურენტუნარიანი პირობები აქვს. იმპორტირებული მეორადი მანქანების შემთხვევაში, მომხმარებლები თავისუფლდებიან ლიზინგის გადახდებისგან ტრანსპორტირების პერიოდში და ყოველთვიური გადახდა იწყება მას შემდეგ, რაც დაფინანსებული აქტივი საქართველოს საზღვრებს გადმოლახავს.

სტრატეგიულად მნიშვნელოვან მიზნად განვსაზღვრეთ პოზიციის გამყარება ახალი ავტომობილების მიმართულებითაც, რისთვისაც პირველ რიგში, მჭიდრო პარტნიორიული ურთიერთობები დავამყარეთ ავტოცენტრებთან. როგორც სექტორის დიდი მხარდამჭერები, ჩვენ აქტიურად ვმონაწილეობთ სექტორისთვის სპეციფიკურ ღონისძიებებში და ვთანამშრომლობთ ბაზრის მონაწილეებთან, რათა მომხმარებლებისთვის ექსკლუზიური შეთავაზებები და პროდუქტები დავნერგოთ.


ჩვენი საცალო ზრდის სტრატეგიის ფარგლებში მოვახდინეთ ჩვენი საკომუნიკაციო არხების დივერსიფიცირება. კერძოდ, 2024 წელს ჩვენ გამოვიყენეთ ახალი პლატფორმები, როგორიცაა TikTok, რომ პროდუქტების შესახებ ინფორმაცია გამარტივებული ფორმატით მიგვეტანა მომხმარებლებამდე. ჩვენ ასევე გამოვიყენეთ Google Ads, რაც მოიცავს ბანერების განთავსებას Google-ის პარტნიორ ვებგვერდებზე, YouTube-ზე რეკლამებს ვიდეოს დასაწყისში და ინტერნეტში ძიებისას გამოჩენილ რეკლამებს (Search Ads). ეს ფორმატები მიზნობრივი რეკლამირების საშუალებას გვაძლევს შესაბამისი საძიებელი სიტყვების მიხედვით. გარდა ამისა, ვითანამშრომლეთ ზოგიერთ ყველაზე ყურებად ქართული YouTube შოუებთან და ინფლუენსერებთან, რომლებიც დღეისათვის მისაბაძად ითვლებიან, რომ გაევრცელებინათ ჩვენი გზავნილები ავტომობილის დაფინანსების გადაწყვეტებთან დაკავშირებით. ტრადიციული მედიის მხრივ, ჩვენ აქტიურად გამოვიყენეთ რადიო და ისეთი უნიკალური ფორმატები, როგორიცაა რეკლამების განთავსება CAVEA-ს კინოთეატრებში. ამ სტრატეგიამ მნიშვნელოვნად გაზარდა ჩვენი ოფლაინ მომხმარებლების ყოველთვიური მოცვა და მთლიანი აუდიტორია დაახლოებით 900,000 ადამიანამდე გაზარდა.

საცალო სეგმენტის ზრდის ხელშესაწყობად შემოვიღეთ ახალი პროდუქტები და მომხმარებლებს შევთავაზეთ სპეციალური პრომოუშენები სხვადასხვა მომწოდებლებთან თანამშრომლობით. ამავდროულად, ჩვენ განვახორციელეთ ინოვაციური პროდუქტები ჩვენი ციფრული ტრანსფორმაციის ინიციატივების ფარგლებში, რომლებიც აღწერილია ქვემოთ.

საცალო სეგმენტის წილი მთლიან სალიზინგო პორტფელში




საცალო სეგმენტის პორტფელის საბაზრო წილის დინამიკა



საცალო სეგმენტი მთლიანი სალიზინგო პორტფელი











ავტომობილის სურათების დისტანციურად ატვირთვა

„აზრისთან“ პარტნიორობით შევქმენით მარტივი აპლიკაცია ავტომობილის სურათების დისტანციურად ატვირთვისთვის. შექმნის პროცესში ჩვენ გავითვალისწინეთ უკუკავშირი როგორც კომპეტენტური სპეციალისტებისგან, ისე მომხმარებლებისგან, რომ შეგვექმნა ინტუიციური მომხმარებლის ინტერფეისი/მომხმარებლის გამოცდილება (UI/UX). ეს ინოვაცია ამარტივებს აქტივის შეფასების პროცესს. აპლიკაცია ლიზინგის პოტენციურ კლიენტს საშუალებას აძლევს მისთვის სასურველ ადგილზე გადაუღოს ავტომობილს საჭირო ფოტოები, ისე, რომ ჩვენს ოფისში ვიზიტი არ დასჭირდეს. იოლად გამოსაყენებელი ინსტრუქციის გაცნობის შემდეგ მომხმარებლებს შეუძლიათ ატვირთონ ფოტოები და დაელოდონ მენეჯერისგან ზარს. ლიზინგის მხარეზე, შემფასებლები იღებენ ინფორმაციასა და ფოტოებს, რომ განსაზღვრონ აქტივის ღირებულება. ეს პროცესი მნიშვნელოვნად ამცირებს ლიზინგის დამტკიცებისთვის საჭირო დროს და აუმჯობესებს მომხმარებლის გამოცდილებას.

MYAUTO.GE - ლიზინგის სპეციალური ღილაკი

TNET-ის პროდუქტების განვითარების მენეჯერებთან თანამშრომლობით შევქმენით საგანგებო ღილაკი, რომელიც ჩართულია საქართველოში ყველაზე მსხვილი საავტომობილო პორტალის – Myauto.ge-ის ავტომობილების ჩამონათვალის გვერდებზე. ეს ფუნქცია მომხმარებლებს საშუალებას აძლევს ლიზინგის განაცხადი წარადგინონ სწრაფად და ერთი დაწკაპუნებით მოითხოვონ 90%-მდე დაფინანსება.

TRADE-IN - ავტომობილის ჩანაცვლება

საბაზრო მოთხოვნის პასუხად, ჩვენ დავნერგეთ ახალი პროდუქტი – Trade-In, რომლის დანიშნულებაა ავტომობილის ყიდვა-გაყიდვის პროცესის გამარტივება. ნაცნობი პრაქტიკის მიხედვით, ეს პროდუქტი მომხმარებლებს საშუალებას აძლევს, ძველი ავტომობილები ახლით ჩაანაცვლონ. მომხმარებლებს შეუძლიათ მოიყვანონ თავიანთი ავტომობილი (2009 წელს ან შემდეგ წარმოებული), შეაფასებინოს ჩვენი შემფასებლების ჯგუფს და გადაცვალოს ის ახალი ავტომობილის დაფინანსების სანაცვლოდ. ამ პროდუქტმა, სიმარტივის დამსახურებით, საკმაოდ დიდი ინტერესი გამოიწვია.



თანამშრომლობა SCOOT SCOOT-თან

სკუტერებზე მოთხოვნა მაღალია და კიდევ უფრო მაღალია კომპანია Scoot Scoot-ის შემოთავაზებულ სკუტერებზე. Scoot Scoot-თან და სათვალეების ფრანგულ მწარმოებელ – Giggles-თან თანამშრომლობით სარეკლამო კამპანია დავიწყეთ. „შეიძინეთ ვესპა Scoot Scoot-ისგან, დააფინანსეთ ის „თიბისი ლიზინგის“ მეშვეობით და მიიღეთ 300-ლარიანი ვაუჩერი Izzy Pizzy-ისგან.“





უკულიზინგი

ჩვენ წამოვიწყეთ უკულიზინგის პროდუქტის კამპანია, რომელიც მომხმარებლებს საშუალებას აძლევს მიიღონ თავიანთ ავტომობილით უზრუნველყოფილი დაფინანსება.

ტაქსის ლიზინგი


Bolt-თან თანამშრომლობით დავნერგეთ სპეციალური პროდუქტი მისი მძღოლებისთვის, რაც მათ საშუალებას აძლევს შეისყიდონ ან განაახლონ თავიანთი ავტომობილები ლიზინგის გამარტივებული პროცესით. ამ სერვისზე ხელი მიუწვდებათ მძღოლებს, რომლებსაც აქვთ საშუალოდ 1,500 ლარის ყოველთვიური შემოსავალი და სამ თვეზე მეტია, რაც იყენებენ Bolt აპლიკაციას. გარდა ამისა, ავტოდილერებთან პარტნიორობით ჩვენ სპეციალური ფასდაკლებები დავაწესეთ ყველაზე ეკონომიურ ელექტრომანქანებზე, როგორიცაა Bestune, რომლებიც რეკლამირდებოდა პოპ-აპებით და პოსტებით Bolt-ის მძღოლების საკომუნიკაციო ჯგუფებში.

ხილვადობა მსხვილ ადგილობრივ ავტობაზრებზე

2022 წელს ჩვენ შევედით ორ მსხვილ ავტობაზარზე საქართველოში და გავავრცელეთ საინფორმაციო ბროშურები, ბანერები და ლაითბოქსები, საიდანაც მომხმარებლები უკვე შეუძლიათ ზოგადი ინფორმაციის მიღება ლიზინგის დაფინანსებისა და ლიზინგის ფასების შესახებ.

საავტომობილო სეგმენტის ჩვენი ერთ-ერთი სტრატეგიული პრიორიტეტია საქართველოში ავტოიმპორტის მზარდი ტენდენციის მიერ შექმნილი შესაძლებლობების გამოყენება. ამის გათვალისწინებით, ჩვენ პარტნიორობა დავამყარეთ ქვეყნის უმსხვილეს და ყველაზე გამოცდილ ავტოიმპორტიორთან, „კავკასიის ავტოიმპორტთან“, და, ჩვენი მომხმარებლებისთვის საქმე რომ გაგვეადვილებინა, შემოვიღეთ ახალი, მოქნილი პროდუქტი, რომლითაც ვაფინანსებთ შემოტანილი ავტომობილების 80%-ს.





20%-იანი ქეშბექი GT MOTORS-თან

GT Motors-თან თანამშრომლობით, ჩვენ წავახალისეთ მომხმარებლები, რომლებიც დროულად იხდიდნენ თავიანთ ლიზინგის შენატანებს. კერძოდ, მომხმარებლებს, რომლებმაც GT Motors-ისგან BMW შეიძინეს და სამი თვის განმავლობაში შენატანი დროულად განახორციელეს, შევთავაზეთ 20%-იანი ქეშბექი თავიანთ შენაძენზე.





საშეღავათო პერიოდის შემოღება

ახალი ავტომობილების შესყიდვის წასახალისებლად, ჩვენ განვიხილეთ მომხმარებელთა უკუკავშირი და სპეციალური პირობები შემოვიღეთ. სექტემბერში გავაკეთეთ შეთავაზება, რომელიც 6-თვიან საშეღავათო პერიოდს ითვალისწინებს 31 დეკემბრამდე ნებისმიერ ცენტრში ავტომობილების შესყიდვებზე.

TOYOTA EASY

ტოიოტას ოფიციალურ წარმომადგენლობასთან თანამშრომლობით, 2021 წელს ჩვენ შევქმენით ახალი პროდუქტი, TOYOTA EASY-ის პროდუქტის ხაზი, რომლის ფარგლებშიც კლიენტები იღებენ ექსკლუზიურ შეთავაზებებს ოფიციალური დილერებისგან, ხოლო განაცხადის დამტკიცების პროცედურები სწრაფი და მარტივია, ყოველგვარი წინასწარი შენატანის გარეშე. შეთავაზების მიმზიდველობა მდგომარეობს იმაში, რომ კლიენტებს შეუძლიათ ავტომობილის შენარჩუნება წინასწარ განსაზღვრული ნარჩენი ღირებულების გადახდით ან ავტომობილის განახლება, რისთვისაც ძველი უნდა დააბრუნონ სერვისცენტრში.

LEXUS EASY

2023 წელს ჩვენ დავხვეწეთ და გავაფართოვეთ EASY საწარმოო ხაზი და საქართველოში Lexus-ის ოფიციალურ წარმომადგენლობასთან ერთად, LEXUS EASY-ის ახალი შეთავაზების ინიციატივით გამოვედით. ეს შეთავაზება კლიენტებს საშუალებას მისცემს, მიიღონ ექსკლუზიური შეთავაზებები ოფიციალური დილერებისგან, განაცხადის დამტკიცების სწრაფი და მარტივი პროცედურით, ყოველგვარი წინასწარი შენატანის გარეშე. შეთავაზების მიმზიდველობა მდგომარეობს იმაში, რომ კლიენტებს შეუძლიათ ავტომობილის შენარჩუნება წინასწარ განსაზღვრული ნარჩენი ღირებულების გადახდით ან ავტომობილის განახლება, რისთვისაც ძველი უნდა დააბრუნონ სერვისცენტრში.

თავი 5

ხვიჩა ყანჩაველი

ჩვენი სტრატეგია

ჩვენი განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიის ოთხი მთავარი პრინციპი

ლიზინგის ბაზრის ზრდა ლიზინგის შესახებ ცნობადობის ამაღლებით და მომხმარებელთა ბაზის გაფართოებით

ჩვენს მთავარ სტრატეგიულ პრიორიტეტად რჩება ჩვენს მომხმარებელთა ბაზის გაზრდა ლიზინგის, როგორც დაფინანსების ალტერნატიული გზის, შესახებ ცნობადობის ამაღლებით. მოსახლეობის უმრავლესობისთვის ლიზინგის არსი გაუგებარი ან ბუნდოვანი იყო და ჩვენი სამიზნე აუდიტორიის დიდი ნაწილი ლიზინგს უკავშირებდა ავტოსესხებს და არ განიხილავდა ფართო დიაპაზონის აქტივების დაფინანსების ინსტრუმენტად.

მცირე და საშუალო საწარმოებს ხშირად არ მიუწვდებათ ხელი დაფინანსებაზე, რომელიც სჭირდებათ თავიანთი ოპერაციების გაფართოვებისთვის საჭირო ახალი აღჭურვილობის ან ავტომობილების შესაძენად. უმნიშვნელოვანესია ზრდის შესაძლებლობების მიცემა მცირე და საშუალო საწარმოებისთვის, რათა მათ თავიანთი წვლილი შეიტანონ ქვეყნის განვითარებაში. ყოველივე ამის გათვალისწინებით, გაერთიანებული სამეფოს „კარგი მმართველობის ფონდთან“ თანამშრომლობით შევიმუშავეთ საქართველოს სალიზინგო ბაზრის განვითარების სტრატეგიული გეგმა, რომელიც საქართველოს მთავრობას გადაეცა.

ჩვენი ბრენდის კაპიტალის გასაზრდელად, ჩვენ როგორც ლიზინგის, ისე ჩვენი ბრენდის შესახებ ცნობადობას ვამაღლებთ ტრადიციული და ციფრული არხებით და ამასთანავე ვმუშაობთ სტრატეგიული შეხების წერტილების დადგენაზე, სადაც ჩვენი მიზნობრივი აუდიტორია იყრის თავს. 2024 წლისთვის სტრატეგიული კომუნიკაციების დაგეგმვის პროცესის ფარგლებში ჩვენ ყურადღება დავუთმეთ საცალო ბაზარზე ლიზინგის შესახებ ცნობადობის შეფასებასაც, ვინაიდან წინა რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევა მხოლოდ მცირე და საშუალო ზომის საწარმოებზე იყო ორიენტირებული.

ამ საცალო სეგმენტში ჩვენ ასევე გვაინტერესებდა, რამდენად მიიჩნევენ მომხმარებლები ლიზინგს საბანკო სესხის ალტერნატივად. საქართველოში ორი უმსხვილესი ბანკის კლიენტების გამოკითხვამ შემდეგი შედეგი აჩვენა: მომხმარებლების 57% არ განიხილავს ლიზინგს დაფინანსების ალტერნატიულ გზად, ხოლო 32%-მა დადებითად უპასუხა, 12%-ს გაუჭირდა პასუხის გაცემა. 2024 წელს მესამე მხარე ორგანიზაციის, ACT-ის (ანალიზის და კონსულტაციის გუნდი), მიერ ჩატარებულმა შემდგომმა კვლევებმა ასევე გამოავლინა მცირე და საშუალო ზომის საწარმოების სეგმენტში გამოკითხულთა მიერ პირველად დასახელების (Top of Mind) მონაცემების ზრდა.

გასულ წელს დიდი ყურადღება მივაქციეთ ავტომობილების ლიზინგის შესახებ ცნობადობის ამაღლებას. ამის მისაღწევად ჩვენ სპეციალური ვიდეოსერიები ჩავწერეთ, რომლებიც არა მხოლოდ Meta-სა და Google Ads-ებზე (YouTube-ის ჩათვლით) რეკლამირდებოდა, არამედ ასევე ნაჩვენები იყო მსხვილი კინოთეატრების ეკრანებზე მთელი საქართველოს მასშტაბით. ჩვენ გავაცნობიერეთ, რომ TikTok ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი პლატფორმაა და ამ არხისთვის სპეციალური კონტენტი შევქმენით, მათ შორის განმარტებითი ვიდეოები, რომელთა მიზანია მომხმარებელთა უფრო ეფექტურად მოზიდვა. გარდა ამისა, ჩვენ ვითანამშრომლეთ საქართველოს ზოგიერთ ყველაზე გავლენიან YouTuber-ებთან, რათა გაგვეზარდა ჩვენი მოცვა და გაგვეუმჯობესებინა მაყურებელთა ჩართულობა.

ამასთან, ამომწურავი კამპანია დავგეგმეთ ლიზინგის შესახებ დაწვრილებითი ინფორმაციის წარმოდგენით, რომელიც ყველაფერს მოიცავს, დაწყებული იურიდიული ასპექტებით, დამთავრებული გადახდის სტრუქტურებით. ეს ინფორმაციული ვიდეოები საჯაროდ ხელმისაწვდომი 2025 წლის პირველ კვარტალში გახდება.

ეს საინფორმაციო კამპანიები დაგვეხმარა ჩვენი მოქმედების არეალის კიდევ უფრო გაფართოებაში და უახლოეს მომავალში სხვა კამპანიებსაც ვგეგმავთ. წამოვიწყეთ ახალი კამპანია, რომლის ფარგლებშიც ახალი ტენდენციების დამამკვიდრებელი და საზოგადოებისთვის ავტორიტეტული პირები ლიზინგის შესახებ ცნობადობის ამაღლებას შეეცდებიან და ჩვენ მიერ შეთავაზებულ გადაწყვეტებს თვალშისაცემ მოკლე ვიდეოებში გააჟღერებენ. კამპანიის მიზანია მოიცვას ყველა ჩვენი ციფრული არხი, ასევე ონლაინ მედია და სატელევიზიო გადაცემები.

ჩვენი გრძელვადიანი მიზანია ლიზინგის შესახებ ჩვენი კლიენტი მცირე და საშუალო ზომის საწარმოებს შორის ცნობიერების 70%-მდე ამაღლება, და უფრო ფართო იმზანია საქართველოში ლიზინგის ბაზრის გაორმაგება. გასულ წელს ჩვენ აქტიურად გავარეკლამეთ ათი მომხმარებელი, ძირითადად ჩვენი საკუთარი არხების, მათ შორის, Meta-ს, TikTok-სა და გადახდილი ციფრული ახალი ამბების მეშვეობით და დიდი ყურადღება დავუთმეთ ბრენდის ხილვადობას. ამის შედეგად, ჩვენ მივაღწიეთ 2.3 მილიონ უნიკალურ მომხმარებელს.

ციფრული მარკეტინგის კონტენტის მაჩვენებლები

	2024
მოცვა	3,061,035
სიხშირე	19,97
სულ ინტერაქციების რაოდენობა	104,193
პოსტის გაზიარება	2,982
პოსტში ჩართულობა	10,932,306

ლიზინგის პორტფელის ზრდა ახალი პროდუქტების დანერგვით და მომხმარებელთა კმაყოფილების დონის გაუმჯობესებით

ჩვენი მიზანია მომხმარებლებისთვის საუკეთესო გამოცდილების შეთავაზება. გვინდა, რომ ჩვენს თანამშრომელთან პირველი კონტაქტის დამყარებიდან, მომხმარებლის გამოცდილება შეძლებისდაგვარად დადებითი და უპრობლემო იყოს. ეს მოითხოვს ჩვენს კლიენტებთან აქტიურ ჩართულობას სხვადასხვა არხის მეშვეობით, რათა მივიღოთ როგორც მათი უკუკავშირი ჩვენი მომსახურების ხარისხზე, ასევე შევიტყოთ, თუ რას ანიჭებენ ისინი უპირატესობას.

ჩვენი კლიენტებთან ურთიერთობის მართვის (CRM) სისტემა, რომელიც 2020 წელს დაინერგა, ინტეგრირებულია ჩვენს ქოლცენტრთან. CRM საშუალებას გვაძლევს, ეფექტურად ვმართოთ მომხმარებლის მიერ განვლილი მთლიანი გზა და განვამტკიცოთ თანამშრომლობა ჩვენი გაყიდვების, მარკეტინგის და კლიენტების მომსახურების განყოფილებებს შორის.

კერძოდ, ჩვენი CRM-ის სისტემა საშუალებას გვაძლევს თვალი მივადევნოთ და თავი მოვუყაროთ პოტენციური და არსებული მომხმარებლების მონაცემებს სხვადასხვა არხის ან საკონტაქტო პირების მეშვეობით და გადავამისამართოთ ისინი შესაბამის მენეჯერებთან. ყოველივე ეს გაყიდვების გუნდს საშუალებას აძლევს ერთ ადგილზე მოახდინოს პოტენციური კლიენტების მონაცემების შეყვანა, თვალის მიდევნება და გაანალიზება.

გაყიდვების და მარკეტინგის გუნდები პოტენციურ კლიენტებს ქოლცენტრიდან ან სოციალური მედიიდან იძიებენ და სისტემას ინფორმაციით აახლებენ მომხმარებელთან მთელი თანამშრომლობის განმავლობაში. სისტემა ანგარიშების გენერირებითა და ინდიკატორების პანელებით მათ შედეგების და პროდუქტიულობის მართვაში ეხმარება. 2022 წელს ასევე დავნერგეთ ავტომატური შეტყობინების პროცედურა, რომლის მიხედვითაც ყველა კლიენტი შეტყობინების სახით იღებს ინფორმაციას თავიანთი ლიზინგის მენეჯერის შესახებ.

ამასთანავე, CRM საშუალებას იძლევა, მომხმარებელთა ყოველდღიური პრობლემების რეგისტრაცია მოხდეს და თითოეულ შემთხვევასთან დაკავშირებული ყოველგვარი ინტერაქცია სისტემაში აღირიცხოს. ინფორმაციის შეგროვების შემდგომ, მომსახურეობის ზარებისა და ტექნიკური მხარდაჭერის სპეციალისტებთან ინტერაქციების საფუძველზე ხდება მომხმარებლის ისტორიული ჩანაწერების განახლება.

ჩვენ ასევე დავნერგეთ გამართული სისტემა მომხმარებელთა მიერ გამოთქმული უკმაყოფილების შემთხვევების დასარეგულირებლად, სამართავად, მათზე რეაგირების მოსახდენად და მათი ანგარიშგებისთვის, რაც მუდმივი მონიტორინგის და, შესაბამისად, ნებისმიერი პრობლემის უფრო სწრაფად გადაჭრის უზრუნველყოფის საშუალებას გვაძლევს. როდესაც მომხმარებელი საჩივარს წარადგენს, იგი გადაეცემა შესაბამის განყოფილებას ან პირს და ხდება თითოეული საჩივრის პროგრესის მონიტორინგი და დეტალური ანგარიშგება. CRM-მა არა მხოლოდ გაზარდა მომხმარებლების კმაყოფილება, არამედ ასევე განაპირობა ეფექტიანობის გაუმჯობესება.

ჩვენ დანერგილი გვაქვს სავალდებულო პროცედურები მომხმარებლის უკუკავშირისთვის, ასევე მომხმარებლებთან ურთიერთობის სახელმძღვანელო მითითებები და კითხვა-პასუხის დოკუმენტები. შიდა და გარე მომხმარებლებისთვის საქმის გასამარტივებლად, დავნერგეთ ავტომატური მესიჯების მაგენერირებელი სისტემა. ლიზინგის ყოველთვიური შეხსენების მესიჯები, რეფინანსირების განაკვეთის ცვლილებები, გარიგებები და სხვა ავტომატურ რეჟიმში ეგზავნება მომხმარებელს.

ჩვენ გვაქვს ცენტრალიზებული ქოლცენტრი, რომელიც არსებულ და ახალ მომხმარებელთა საკითხებს ამისამართებს შესაბამისი მიმართულებით.

მომხმარებლებისთვის საქმის გასაიოლებლად, 2022 წელს ჩვენ დავამატეთ გამარტივებული ცხელი ხაზის ნომერი, რაც კლიენტებს საშუალებას აძლევს აკრიფონ *2777 და მიიღონ საჭირო ინფორმაცია. 2023 წელს ტრენინგი ჩავუტარეთ ჩვენი ქოლცენტრის ოპერატორებს, რომ უფრო ეფექტურად მართონ პირველადი კონსულტაციები პრობლემების და პრეტენზიების შეფასებისას და მათ გადასაჭრელად შესაბამისი გამოსავალი გამონახონ.

გარდა ამისა, ქოლ-ცენტრის ოპერატორებს მივეცით წვდომა ჩვენს ლიზინგის მართვის სისტემაზე, რომლის მეშვეობითაც ისინი იოლად შეძლებენ ინფორმაციის მიწოდებას მომხმარებლებისთვის მიმდინარე დავალიანების, ჯარიმების, გადახდის თარიღისა და ოდენობის შესახებ.

2022 წელს ჩვენ გავაახლეთ ლიზინგის ცხელ ხაზზე ინტერაქტიური ხმოვანი პასუხი. მომხმარებელთა გამოცდილების გასაუმჯობესებლად და ბლოკირებული ზარების პროცენტის მინიმუმამდე დასაყვანად, ჩვენ შემოვიღეთ გადარეკვის სერვისი. ამასთანავე, ლოდინის დროის შესამცირებლად სამუშაო და არასამუშაო საათებში, გავააქტიურეთ „დატოვეთ ნომერი“ ღილაკი ჩვენს ცხელ ხაზზე, რითაც მომხმარებელს არჩევანი მივეცით – ან დაელოდონ ოპერატორს, ვიდრე ის არ გათავისუფლდება ზარის საპასუხოდ, ან დააჭირონ კონკრეტულ ღილაკს, დაგვიტოვონ ნომერი და მოგვიანებით გადავურეკოთ. ლოდინის დროის შესამცირებლად,



ჩვენი ქოლცენტრის ოპერატორები ასევე გადავიყვანეთ ავტოპასუხის რეჟიმში, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ აქამდე მათ ღილაკზე უნდა დაეჭირათ შემომავალი ზარების საპასუხოდ, ახლა პროგრამა ავტომატურად პასუხობს ზარს რამდენიმე წამში. დაბოლოს, ჩვენ დავამატეთ მომსახურების მიღების შემდგომი შეფასების სისტემა, რაც მომხმარებლებს საშუალებას აძლევს გაგვიზიარონ უკუკავშირი როგორც ქოლცენტრის მომსახურების, ისე თავიანთი ლიზინგის მენეჯერის მომსახურების შესახებ.

2024 წელს ჩვენი ბიზნეს და საცალო კლიენტების მომხმარებლის ლოიალურობის ინდექსის გამოკითხვების შედეგად, შესაბამისად, მივიღეთ 73% და 77%.

ინდექსი აფასებს, რამდენად სურთ მომხმარებლებს ჩვენი პროდუქტებისა და მომსახურებისთვის რეკომენდაციის გაწევა სხვებთან. გამოკითხვა ჩატარდა კორპორაციულ კლიენტებთან და მცირე და საშუალო საწარმოებთან.

2023 წელს შემოვიღეთ მომსახურების შემდგომი გამოკითხვა, რომელიც მომხმარებლებს საშუალებას აძლევს, ჩვენი ქოლცენტრების და სერვისცენტრების მომსახურება რეალურ დროში შეაფასონ. ეს კვლევა ჩვენი მომსახურების ხარისხის უკეთ გაანალიზების შესაძლებლობას გვაძლევს.

ჩვენი გრძელვადიანი სტრატეგია გულისხმობს აქტივებზე დაფუძნებული, ახალი, ინოვაციური ფინანსური პროდუქტების დანერგვას და ნარჩენი ღირებულების შეთავაზებებს, რომლებიც მისადაგებულია სხვადასხვა სექტორთან, მათ შორის უძრავი ქონების, მშენებლობის, მედიცინის, საავტომობილო და საცალო სექტორებთან. ეს ინიციატივა ემსახურება ჩვენს მიზანს, მივაღწიოთ მთლიანი სალიზინგო პორტფელის ორმაგ ზრდას და გავაორმაგოთ საცალო პორტფელის წილი მთლიან სალიზინგო პორტფელში.

პროცესის ოპტიმიზაცია და გაციფრულება

ჩვენი კლიენტების გამოცდილების გაუმჯობესება ასევე გულისხმობს ჩვენი როგორც შიდა, ისე გარე პროცესების გაციფრულებას, რაც არა მარტო გაუმარტივებდა საქმეს ჩვენს მომხმარებლებს, მაგრამ ამასთანავე თანამშრომლებს საშუალებას მისცემდა უფრო ეფექტურად იმუშაონ და საფუძვლიანად გაეცნონ ჩვენს შიდა პროცესებს.

როგორც ზემოთ აღინიშნა, 2020 წელს ჩვენ დავნერგეთ CRM, რამაც გაყიდვების ეტაპები სისტემატიზაცია მოახდინა. CRM გვეხმარება გაყიდვების ეფექტურობის გაუმჯობესებაში, ვინაიდან ტექნოლოგია საშუალებას გვაძლევს: თითოეული პროექტი ვმართოთ გაყიდვამდე, დინამიკურად წარვმართოთ გაყიდვების პროცესი, თვალი

მივადევნოთ გაყიდვამდე პროცესს, გამოვითვალოთ და გავაანალიზოთ ყოველგვარი ზარალის მიზეზები და ვმართოთ პორტფელი გაყიდვების ეტაპების მხრივ, ამავდროულად გავაანალიზოთ ფულადი და რაოდენობრივი კონცენტრაციები. ჩვენ დანერგილი გვაქვს ყოველდღიური დინამიკური ანალიზის სისტემა კომერციული მიმართულებისთვის, რაც გვაძლევს ლაივ რეჟიმში ანალიზს და ასრულებს მონიტორინგის ინსტრუმენტის ფუნქციას.

ჩვენს ლიზინგის მართვის სისტემაში (LMS) შევქმენით ელექტრონული აღრიცხვის სისტემა, რომლის მეშვეობითაც ყველა დოკუმენტის არქივირება ხდება, რაც ამცირებს ადამიანური შეცდომის დაშვების რისკს.

2021 წელს მოვახდინეთ ჩვენი სისტემის ინტეგრირება „კრედიტინფო საქართველოსთან“, რომელიც სპეციალიზდება საკრედიტო ინფორმაციაში და ინფორმაციის მიწოდებაში, რაც უმნიშვნელოვანესია ყველა ფინანსური ინსტიტუტის გადაწყვეტილების მიღების პროცესებისთვის. 2022 წელს ჩვენ მოვახდინეთ სისტემის განახლებული ვერსიის ინტეგრირება, რომელიც ტექნიკური და ოპერაციული თვალსაზრისით უფრო დახვეწილია და შესაბამისად, უფრო სწრაფი და გარკვევით აღსაქმელია.

2022 წელს ჩვენი მომხმარებლებისთვის პროცედურების კიდევ უფრო გასამარტივებლად, ჩვენ მოვახდინეთ სალიზინგო გადახდების ინტეგრირება „თიბისი ბანკის“ ონლაინ და მობილურ ბანკებში. ინტერნეტ ბანკინგის გადახდის სისტემაში ლიზინგის მომსახურების არჩევისას მომხმარებელს უკვე შეუძლია ინფორმაციის გადამოწმება და თანხის გადარიცხვა ორიდან რომელიმე გზით: გადახდა პირადი ნომრით / საიდენტიფიკაციო კოდით ან გადახდა ლიზინგის ხელშეკრულების სპეციალური ნომრით. კლიენტებს უკვე შეუძლიათ ლიზინგის ავტომატური გადახდის დაყენება თავიანთ ონლაინ/მობილურ საბანკო ანგარიშებზე და ყოველთვიური სალიზინგო გადასახადების ყოველგვარი დამატებითი ოპერაციის შესრულების გარეშე გადახდა.

„თიბისი ლიზინგი“ მიზნად ისახავდა ლიზინგის ციფრულ პროდუქტად ქცევას, რაც კიდევ უფრო გაზრდიდა მომხმარებელთა კმაყოფილებას. 2020 წელს დავიწყეთ გრძელვადიანი პროექტის დაგეგმვა და გარკვეულ მიზნებს მივაღწიეთ, როგორიცაა მომხმარებელთა პორტალის შექმნა და პოტენციური კლიენტების მოზიდვის მართვა CRM-ის ინსტრუმენტის მეშვეობით. მომხმარებლის პორტალი ჯერ კიდევ შექმნის პროცესშია და 2025 წლის ბოლოსთვის სრულად ამუშავდება. ეს გააუმჯობესებს კომუნიკაციას მომხმარებლებთან საოპერაციო საკითხებზე და ასევე რეკლამების და შეთავაზებების უფრო მიზნობრივად გაკეთების და დამატებითი მომსახურების გაწევის საშუალებას მოგვცემს. გარდა ამისა, დავზოგავთ ლიზინგის მენეჯერების დროს კომუნიკაციისა და ოპერაციების თვალსაზრისით.

ბიზნესის განვითარების ნაწილი მოიცავს გაყიდვების ახალ მოდელს, რომელიც იღებს ონლაინ განაცხადებს, რაც საშუალებას მოგვცემს ავტომატურად განვიხილოთ შემოსული განაცხადები და ლიზინგი დავამტკიცოთ წინასწარ დადგენილი პირობებით.

ჩვენი გრძელვადიანი ხედვა მოიცავს ლიზინგთან დაკავშირებული ყველა პროცესის ინტეგრირებას ჩვენს სისტემაში და საწარმოო რესურსების დაგეგმვის კომპლექსური სისტემის შემუშავებას, რომელიც მორგებული იქნება კომპანიის საჭიროებებზე. ეს ინიციატივა საშუალებას მოგვცემს სრულყოფილად დავნერგოთ ციფრული მომსახურების მთელი სპექტრი ჩვენს ეკოსისტემაში, რაც შედეგად გამოიღებს საცალო პროდუქტების ციფრული გაყიდვების წილის მნიშვნელოვან, მთლიანი გაყიდვების 50%-მდე, ზრდას. გარდა ამისა, ჩვენ მიზნად ვისახავთ კომპანიის აქტიური საცალო კლიენტების რაოდენობის გაორმაგებას ამ ციფრული არხებით.

დამატებითი ღირებულების მომტანი მომსახურებით და ინდივიდუალური პროდუქტების შექმნით მომგებიანობის და ეფექტიანობის გაუმჯობესება.

კომპანიის მთავარ სტრატეგიულ მიმართულებად რჩება აქტიური თანამშრომლობა სალიზინგო აქტივების ადგილობრივ და საერთაშორისო მომწოდებლებთან და ქვეყანაში ჩვენი მომწოდებლების ისედაც ფართო ქსელის უფრო მეტად გაფართოება, რაც საბოლოო ჯამში ლიზინგს კიდევ უფრო მიმზიდველ და უნიკალურ პროდუქტად აქცევს.

ის ფაქტი, რომ სალიზინგო კომპანია ფლობს სალიზინგო აქტივებზე საკუთრების უფლებას, შესაძლებელს ხდის კლიენტებისთვის ლიზინგთან დაკავშირებული დამატებითი სერვისების შეთავაზებას, რაზე დაყრდნობითაც შეიძლება მკაფიო სალიზინგო პროდუქტების შექმნა და კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესება. გარდა ამისა, სალიზინგო კომპანიის მძლავრი პოზიცია მოლაპარაკებებში, გამოცდილება და კომპეტენცია სხვადასხვა სექტორში კომპანიის მომგებიანობის და ეფექტიანობის გაუმჯობესების საფუძველს წარმოადგენს.

ისეთი სერვისები, როგორიცაა კონსულტაციები აქტივების შერჩევისას და შეძენისას, მომწოდებლების ფასდაკლებები, გამოსყიდვის ოფციონები, ბარგის ტრანსპორტირება და დაზღვევა, განბაჟება, ვაჭრობის დაფინანსება, წარმოებული ინსტრუმენტები, აქტივების შეფასება და მონიტორინგი, წარმოადგენს დამატებითი ღირებულების მქონე მომსახურების გაწევის პოტენციურ გზებს. ამ სერვისებს შეუძლია არა მხოლოდ გამოარჩიოს კომპანია ბაზარზე, არამედ გააუმჯობესოს კლიენტების კმაყოფილება და, საბოლოო ჯამში, გაზარდოს მომგებიანობა.

ლიზინგის, როგორც პროდუქტის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია სალიზინგო აქტივის ხარისხი, საიმედოობა, მრავალფეროვნება, მყისიერი ხელმისაწვდომობა და ფასი. როგორც ქვეყნის სალიზინგო ბაზრის მთავარი მოთამაშე, ჩვენ ღირებულებას ვქმნით ადგილობრივ და უცხოურ მომწოდებლებთან ურთიერთობის მრავალწლიანი გამოცდილებით, რის გამოც სხვადასხვა ტიპის აქტივის შესახებ გვაქვს წინასწარი ცოდნა, ვიდრე მომხმარებელი მოგვმართავს. ჩვენს მომწოდებლებთან გრძელვადიანი და სტაბილური თანამშრომლობა სალიზინგო აქტივის კონკურენტუნარიან ფასად შეთავაზების საშუალებას გვაძლევს.

ეს უპირატესობები საშუალებას გვაძლევს მომხმარებელს მოვემსახუროთ „ერთი ფანჯრის კონცეფციის“ პრინციპით, შევთავაზოთ მისთვის



სასურველი სხვადასხვა ტიპის აქტივები ერთ სივრცესა და დროში, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე, დავეხმაროთ მას სხვადასხვა მომწოდებლისგან აქტივის შესყიდვაში და, რაც მთავარია, სხვადასხვა ტიპის სალიზინგო აქტივებზე მივაწოდოთ სრული ინფორმაცია და გავუზიაროთ ცოდნა.

2021 წელს, ჩვენს სალიზინგო საგნის მომწოდებლებთან თანამშრომლობა რომ წაგვეხალისებინა და დავხმარებოდით მათ სალიზინგო პროდუქტების მეშვეობით გაყიდვების ზრდაში, წამოვიწყეთ ახალი კამპანია სახელწოდებით „ოქროს ვენდორი“. ამ ინიციატივამ ჩვენს მომწოდებლებს კონკურენტული უპირატესობა მიანიჭა სხვებთან შედარებით, წაახალისა ისინი, რომ ჩვენი მომსახურება შეეთავაზებინათ თავიანთი კლიენტებისთვის და ხელი შეუწყო სალიზინგო საგნის მომწოდებლებთან ჩვენი თანამშრომლობის დახვეწას.

ჩვენ გაწერილი გვაქვს პროცედურა, რომლის მიხედვითაც „ოქროს ვენდორის“ წოდება მიენიჭება საიმედო, კეთილსინდისიერ, გრძელვადიან პარტნიორ მომწოდებლებს. შესაბამისი დოკუმენტით განისაზღვრა ზუსტი პარამეტრები, რომელიც მოითხოვს როგორც დადებითი ფინანსური შედეგის, ისე ჩვენი განყოფილების უფროსების და მენეჯერების მხრიდან დამაკმაყოფილებელი შეფასების აუცილებლობას. „ოქროს ვენდორის“ წოდება შეიძლება მიენიჭოს კომპანიას ნებისმიერი სექტორიდან, რომელმაც ჩვენთან მჭიდროდ ითანამშრომლა ბოლო ორი წლის განმავლობაში და გააფორმა მინიმუმ სამი ხელშეკრულება ან მოგვაწოდა ერთი მილიონი ლარის მთლიანი ღირებულების აქტივები. „ოქროს ვენდორის“ წოდების მფლობელები ჩვენგან მიიღებენ სპეციალურ სალიზინგო შეთავაზებებს (არავითარი წინასწარი გადახდის მოთხოვნა, დაბალი საპროცენტო განაკვეთები, სწრაფი დამტკიცება და ინდივიდუალური მომსახურება) და სარგებლობენ მომხმარებლების რეკომენდაციებით, ასევე პიარის და გაყიდვების აქტიური კამპანიებით.

ჩვენი გრძელვადიანი სტრატეგია გულისხმობს ლიზინგთან დაკავშირებული სერვისების დახვეწას დამატებითი ღირებულების მომტანი პროდუქტების შესაქმნელად და კონკურენტუნარიანობის განმტკიცებას. ეს მიდგომა მიზნად ისახავს კომპანიის მომგებიანობის და ეფექტიანობის გაუმჯობესებას საკომისიო შემოსავლის მიღებით, რის საბოლოო მიზანია კაპიტალზე უკუგების 25%-ზე მაღალი და ხარჯების შემოსავლებთან თანაფარდობის 50%-ზე დაბალი კოეფიციენტის შენარჩუნება.

2024 წელს პროექტების მართვის განყოფილებამ პრიორიტეტი მიანიჭა კომპანიის ძირითადი

სალიზინგო სისტემის გაფართოებასა და დახვეწას და ამავდროულად მნიშვნელოვანი ციფრული პლატფორმების დანერგვასა და გაუმჯობესებას კომპანიის ცვალებადი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. ამ ინიციატივებით „თიბისი ლიზინგმა“ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა თავისი ტექნოლოგიური უნარების, ოპერაციების დახვეწისა და როგორც მომხმარებლის, ისე დასაქმებულთა გამოცდილების გაუმჯობესებისკენ.

ძირითადი სალიზინგო სისტემის გაუმჯობესებები

საგრძნობლად წაიწია წინ ვებ აპლიკაციის შექმნამ ავტომობილების სურათებისთვის და შესაბამისმა სისტემურმა განახლებებმა სალიზინგო ოპერაციების პლატფორმაზე. ეს ინოვაციური აპლიკაცია მომხმარებლებს საშუალებას აძლევს გადაუღონ ფოტოები თავიანთ ავტომობილს წინასწარ განსაზღვრული კუთხეებიდან და სურათები პირდაპირ ძირითად სალიზინგო სისტემაში წარადგინონ, რითაც აღმოიფხვრება ოფისში პირადად გამოცხადების აუცილებლობა. ამ სიახლემ მნიშვნელოვნად შეამცირა მოცდის დროები ლიზინგის პოტენციური კლიენტებისთვის და დახვეწა შიდა პროცესები.

გარდა ამისა, სტანდარტული დაფინანსების დამტკიცების პროცესებიც დაიხვეწა და ავტომატიზირდა. სისტემა ახლა იყენებს წინასწარ განსაზღვრულ მატრიცებს, რომ ავტომატურად დაამტკიცეს საკრედიტო ლიმიტები, როდესაც კმაყოფილდება კონკრეტული კრიტერიუმები, რაც აუმჯობესებს გადაწყვეტილების მიღების ეფექტურობასა და სიზუსტეს.

ინტეგრაცია პროგრამასთან „აწარმოე საქართველოში“

პარტნიორობა „თიბისი ლიზინგსა“ და პროგრამას „აწარმო საქართველოში“ შორის კიდევ უფრო დაიხვეწა და გაციფრულდა 2024 წელს. პროგრამის სისტემის ინტეგრაციით ჩვენ ახლა სრულად ვმართავთ პროცესებს პლატფორმის მეშვეობით, რაც აღმოფხვრის მონაცემთა გაცვლისა და კონტროლების ხელით შესრულების საჭიროებას.

მონაცემთა უსაფრთხოების გაუმჯობესება

მომხმარებელთა მონაცემების დაცვის პოლიტიკის შესაბამისად, ლიზინგის სისტემა დღეისათვის იყენებს ტელეფონის ნომრითა და ელფოსტით ვერიფიკაციის ფუნქციას. ეს უზრუნველყოფს იმას, რომ სენსიტიური ინფორმაციის გაზიარება მოხდეს მხოლოდ შემოწმებულ და ზუსტ საკონტაქტო დეტალებთან, რაც აუმჯობესებს კლიენტებთან ჩვენი კომუნიკაციის უსაფრთხოებას და სანდოობას.

პროცესის ოპტიმიზაცია შეწყვეტილი სალიზინგო ხელშეკრულებებისთვის

საფუძვლიანი გაუმჯობესება ჩაუტარდა ფუნქციებს, რომლებიც უკავშირდებოდა სალიზინგო ხელშეკრულებების შეწყვეტას, რას შედეგადაც პროცესი გახდა უფრო სტრუქტურირებული და ეფექტური.

სწავლის მართვის სისტემის დანერგვა

2024 წელს ჩვენ დავნერგეთ სწავლის მართვის სისტემა (LMS), რომლის მიზანი იყო არსებული თანამშრომლების უნარების გაუმჯობესებისა და ახალი თანამშრომლების დატრენინგების ხელშეწყობა. პლატფორმა მხარს უჭერს პერიოდულ ტესტირებასა და შეფასებას, რაც ხელს უწყობს ჩვენი გუნდის პროფესიონალიზმისა და კვალიფიკაციის ამაღლებას.

ინტრანეტის სისტემის განახლება

კომპანიის ინტრანეტის სისტემა სრულად განახლდა და მიესადაგა „თიბისი ლიზინგის“ კონკრეტულ საჭიროებებს, რის შედეგადაც შიდა კომუნიკაცია და თანამშრომლობა უფრო შეუფერხებელი გახდა.

მონაცემთა სარეზერვო ცენტრის შექმნა

„თიბისი ბანკის“ რეკომენდაციების თანახმად, სარეზერვო მონაცემების ცენტრი შეიქმნა. ის უზრუნველყოფს კომპანიის მონაცემების უსაფრთხოდ შენახვას და ამცირებს მონაცემთა ცენტრის მართვასთან დაკავშირებულ რისკებს, რის შედეგადაც ჩვენი კრიტიკული მნიშვნელობის საინფორმაციო აქტივები მტკიცედ არის დაცული.

თავი

6

ბიზნესის პასუხისმგებლობით კეთება





ჩვენი კოლეგები

თანამშრომელთა ჩართულობა და მოტივაცია

ჩვენი მიზანია კომპანიაში მოვიზიდოთ და გამოვზარდოთ ყველაზე ნიჭიერი ადამიანები, ვიზრუნოთ ჩვენი თანამშრომლების ჩართულობასა და მოტივირებაზე, რათა ხელი შევუწყოთ ჩვენ კორპორაციულ ღირებულებებს და მივაღწიოთ ჩვენს სტრატეგიულ მიზნებს.

ახალი თანამშრომლების შერჩევის ინტენსიური პროცესის მეშვეობით, რომელიც მორგებულია თითოეული თანამდებობის და როლის კონკრეტულ საჭიროებებზე, ჩვენ ვახერხებთ როგორც დიდი სამუშაო გამოცდილების მქონე თანამშრომლების, ისე ინოვაციური და ახალი იდეებით აღჭურვილი ნიჭიერი ახალგაზრდების მოზიდვას.

ჩვენს თანამშრომლებს ვთავაზობთ კონკურენტუნარიანი ანაზღაურების პაკეტებს, რაც შედგება ფიქსირებული ხელფასისგან, საქმიანობის შედეგებზე მიბმული პრემიებისგან და სოციალური პაკეტისგან, კერძოდ სამედიცინო დაზღვევისგან, ანაზღაურებული წლიური შვებულებისგან და ბიულეტენისგან, ასევე დედისა და მამისთვის ექვსთვიანი სრულად ანაზღაურებული დეკრეტული შვებულებისგან. დამატებითი სარგებელი მოიცავს ფულად საჩუქრებს ბავშვის შეძენის შემთხვევაში, დამატებით დასვენების დღეებს სამ ან მეტშვილიანი თანამშრომლებისთვის.

გარდა ამისა, თანამშრომლებს ვუფინანსებთ სხვადასხვა გარე კურსებზე დასწრებას და საერთაშორისო სერტიფიკატების მიღებას, როგორიცაა CFA, FRM, ACCA და სხვა. ამასთან, ჩვენს თანამშრომლებს ვუტარებთ სავალდებულო შიდა ტრენინგებს მათი საჭიროებების მიხედვით.

კომპანიის შიგნით ცოდნის გაზიარების მიზნით, ჩვენ ჩავატარეთ არაერთი შიდა ბიზნეს ტრენინგი, რომლის დროსაც სხვადასხვა განყოფილებებმა ერთმანეთს გამოცდილება გაუზიარეს. ცოდნის გავრცელებასთან ერთად, ამან ხელი შეუწყო კომუნიკაციის და პროცესების გამარტივებას განყოფილებებს შორის. საშუალო რგოლის ხელმძღვანელებმა დროის მართვის ინტენსიური კურსი გაიარეს. ამასთან, „თიბისი აკადემიასთან“ თანამშრომლობის შედეგად, ჩვენს თანამშრომლებს საშუალება მიეცათ დასწრებოდნენ მათთვის საინტერესო სატრენინგო კურსს, როგორიცაა ბრენდინგი, მარკეტინგი, ბიზნესი, იურისპრუდენცია, საინფორმაციო ტექნოლოგიები, რისკები, ციფრული პროდუქტების ტესტირება და სხვა.

თანამშრომელთა ჩართულობის და მოტივაციის მიზნით, ჩვენი ხელმძღვანელობა რეგულარულად ატარებს მათთან შეხვედრებს, რათა გაუზიაროს უახლესი ინფორმაცია კომპანიის მიერ სტრატეგიის შესრულების და ბოლოდროინდელი მიღწევების შესახებ. ეს შეხვედრები ინტერაქციული ხასიათისაა. თანამშრომლებს შესაძლებლობა ეძლევათ მონაწილეობა მიიღონ დიალოგში და გამოთქვან აზრი. ჩვენ ასევე გვაქვს ფეისბუკის შიდა ჯგუფი, რომელშიც რეგულარულად ვაზიარებთ ჩვენს მიღწევებს, ასევე თითოეული თანამშრომლის წარმატების ისტორიებს.

ნიჭიერი ახალგაზრდების მოზიდვისა და შედარებით უმცროსი თაობისთვის შესაძლებლობის შექმნის მიზნით, სტაჟირების პროგრამა დავიწყეთ. 2024 წელს, ამ პროგრამის ფარგლებში, სხვადასხვა განყოფილებაში ჯამში 15 სტაჟიორი ავიყვანეთ, საიდანაც 5-ს კომპანიაში დასაქმება შევთავაზეთ

თანასწორობა და დივერსიფიკაცია


ჩვენს ყველა თანამშრომელს ვეპყრობით თანასწორად და სამართლიანად, პატივს ვცემთ მათ და ერთნაირად ვაფასებთ, განურჩევლად სქესისა, ასაკისა, ეთნიკური კუთვნილებისა, რასისა, რელიგიური და პოლიტიკური მრწამსისა, სექსუალური ორიენტაციის ან შეზღუდული შესაძლებლობისა.

ჩვენ ჩამოვაყალიბეთ გენდერულად დაბალანსებული სამუშაო ძალა ჩვენს სამუშაო გარემოში, სადაც თანამშრომლების 57% ქალია, ხოლო ქალების წილი წამყვან პოზიციებზე 47%-ს შეადგენს. ამასთან, ჩვენი სამუშაო ძალა მრავალფეროვანია. იგი შედგება როგორც დიდი სამუშაო გამოცდილების მქონე თანამშრომლებისგან, ისე ინოვაციური და ახალი იდეებით აღჭურვილი ნიჭიერი ახალგაზრდებისგან, რომელთა თანამშრომლობა საუკეთესო შედეგს გვაძლევს.







თანამშრომელთა გენდერული გადანაწილება



საშუალო რგოლის ხელმძღვანელობის გენდერული გადანაწილება



თანამშრომელთა ასაკობრივი გადანაწილება



ეთიკური სტანდარტები და პასუხისმგებლობიანი ქცევა

ჩვენ ვიცავთ მაღალი დონის ეთიკურ სტანდარტებს, ღირებულებებს და პატივს ვცემთ ადამიანის უფლებებს. თანამშრომლებს მოვუწოდებთ, რომ ერთმანეთსა და სხვა დაინტერესებული მხარეებს მოეპყრონ ღირსეულად და პასუხისმგებლობის გრძნობით.

ჩვენ არა მხოლოდ სრულ შესაბამისობაში ვართ ნორმატიულ მოთხოვნებთან და საერთაშორისო პოლიტიკასთან, არამედ ასევე ვაგრძელებთ ჩვენი კორპორაციული მართვის გაუმჯობესებას საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის და ბიზნეს ეთიკის მიხედვით. ჩვენ დანერგილი გვაქვს მთელი რიგი შიდა პოლიტიკა და პროცედურები და მათ განხორციელებას ყურადღებით ვაკონტროლებთ. ეს პოლიტიკა და პროცედურები მოიცავს შემდეგს:

- ეთიკის კოდექსი
- ქცევის კოდექსი
- მრავალფეროვნების, თანასწორობის და ინკლუზიურობის პოლიტიკა
- ინციდენტებზე რეაგირების პოლიტიკა
- ფულის გათეთრებასთან ბრძოლის პოლიტიკა.

2021 წელს შემოვიღეთ და დავნერგეთ ინციდენტებზე რეაგირების პოლიტიკა, რომლის მიზანი არის ეფექტური კორპორაციული მართვის, ეთიკური გარემოს შენარჩუნების, საეჭვო დარღვევების დროული გამოვლენისა და პრევენციის, რისკის ეფექტური მართვა უზრუნველყოფა კომპანიის მასშტაბით, ასევე ჩვენი თანამშრომლების კეთილდღეობა და მათთვის უკეთესი სამუშაო პირობების შექმნა. გარდა ამისა, პოლიტიკა განსაზღვრავს სპეციალურ პროცედურებს, რათა დაეხმაროს თანამშრომლებს ნებისმიერი საეჭვო დარღვევისა და პრობლემების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებაში.


ეს პოლიტიკა განაპირობებს მიუღებელი ქცევის შესახებ ცნობადობის ამაღლებას და „აზრის ღიად გამოთქმის“ კულტურის დამკვიდრებას, რომელშიც თანამშრომლები გრძნობენ, რომ მათი აზრი მნიშვნელოვანია და დაცულები არიან საეჭვო გადაცდომების შეტყობინების შემთხვევაში.

სტაბილურობის შექმნა ორგანიზაციაში

ჩვენ მოვერგეთ პოსტპანდემიურ გარემოს და ჩვენი სამუშაო პირობები გადავიყვანეთ დისტანციურ და ჰიბრიდულ სტილზე. დღეისათვის ბექ ოფისის თანამშრომლების გარკვეული ნაწილი ჰიბრიდული სტილით მუშაობს, რომელიც გულისხმობს სამსახურში გასვლისა და დისტანციური მუშაობის მონაცვლეობას. ამ ინიციატივამ შედეგად გამოიღო არა მხოლოდ თანამშრომელთა კმაყოფილების დონის ზრდა, არამედ ასევე ეფექტურობის გაუმჯობესება მთელ კომპანიაში. ამ ახალ რეალობაში ჩვენს თანამშრომლებთან ახლო კონტაქტის შესანარჩუნებლად ჩვენი ზედა რგოლის ხელმძღვანელები რეგულარულად ატარებენ ონლაინ შეხვედრებს მათთან, რათა აცნობონ კომპანიის მიღწევები და სამომავლო გეგმები და რეაგირება მოახდინონ მათ წინაშე არსებულ პრობლემებზე.

ჩვენი თანამშრომლების ბედნიერების და კმაყოფილების შეფასებისა და კომპანიაში მის დინამიკაზე დაკვირვების მიზნით, ჩვენ ყოველწლიურად ვატარებთ ENPS და ბედნიერების გამოკითხვას. ამ გამოკითხვების შედეგები ჩვენი თანამშრომლების ემოციური მდგომარეობის კარგი მაჩვენებელია და გვეხმარება შესაბამისი აქტივობების დაგეგმვაში.

ENPS



ჩვენი საზოგადოება

ვინაიდან ლიზინგი განახლებადი ენერგორესურსების და ენერგოეფექტური აქტივების დაფინანსების ერთ-ერთ ყველაზე მიმზიდველ ინსტრუმენტად მიიჩნევა, იგი თვითონაც ხშირად „მწვანე“ პროდუქტად აღიქმება. ჩვენი დადებითი გარე ეკოლოგიური ნაკვალევის გარდა, ჩვენ ვახორციელებთ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის აქტივობებს, რომ მინიმუმამდე დავიყვანოთ ჩვენი შიდა ეკოლოგიური ნაკვალევი და აქტიურად ვეწევით საქართველოში მწვანე ინიციატივების ლობირებას.

ქაღალდის გადამუშავების ტრადიცია

ჩვენ მუდმივად ვცდილობთ ჩვენი ეკოლოგიური ნაკვალევის მინიმუმამდე დაყვანას. ქაღალდის წარმოებით გამოწვეული ზიანის შესამცირებლად ჩვენ ვახალისებთ ქაღალდის მოხმარების აღმოფხვრას კომპანიაში. ქაღალდის ნარჩენების გადასაყრელად ოფისში განთავსებული გვაქვს სპეციალური მწვანე ყუთები, რომლებშიც მაკულატურას ვაგროვებთ გადამუშავებისთვის. შეგროვილი ქაღალდით იბეჭდება ახალი წიგნები, რომლებიც პერიოდულად გამოიყენება საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში ბიბლიოთეკების გასაახლებლად. 2024 წელს დაახლოებით 450 კგ. ქაღალდი შეგროვდა და გადამუშავდა.

პრო ბონო

განვითარების საწყის ეტაპზე სტარტაპებს, მცირე ბიზნესებს და მეწარმეებს შეიძლება დასჭირდეთ გარკვეული უნარები იმისათვის, რომ შეძლონ თავიანთი გეგმების შესრულება, მაგრამ საჭირო პროფესიონალებისა და რესურსებისთვის ფინანსური რესურსი არ ჰყოფნიდეთ. პრო ბონო სერვისით ჩვენს თანამშრომლებს შეუძლიათ თავიანთი კომპეტენცია და ინტელექტუალური რესურსი უსასყიდლოდ შესთავაზონ ადგილობრივ მოსახლეობას ან ითანამშრომლონ ორგანიზაციებთან, რომლებიც საზოგადოებრივ კეთილდღეობას ემსახურებიან. ჩვენი პრო ბონო პროექტი იმიტომ არის მნიშვნელოვანი, რომ მისი მიზანი საერთო კეთილდღეობაა და ასახავს ჩვენს კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობას.

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის მედიაციით, ჩვენ წარმატებით განვახორციელეთ სამი პრო ბონო პროექტი სამ სოციალურ ორგანიზაციასთან: „ანა-ბანა“, „პოტერია“ და „დედიკო“.

„ანა-ბანას“ სჭირდებოდა დახმარება, ლაგოდეხში, ჰერეთის ისტორიულ მხარეში, რომელიც კავკასიის მთიანეთის ძირში მდებარეობს, საკითხავი სივრცის და ბიბლიოთეკის სივრცის მოწყობაში. ჩვენმა თანამშრომლებმა წიგნები შეაგროვეს და ბიბლიოთეკას გადასცეს.

„პოტერიას“ მისიაა ძალადობის მსხვერპლი ან სამართალდამრღვევი ქალების საზოგადოებაში რეინტეგრაცია ტრენინგით და შემოქმედებით სახელოსნოებში დასაქმებით. ჩვენ ორგანიზაციას დავეხმარეთ კორპორაციული შეთავაზების შექმნაში და გაყიდვების ზრდაში.

2021 წელს დაფუძნებული „დედიკო“ არის სოციალური საწარმო, რომლის მიზანია მარტოხელა დედებისა და მათი შვილების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება ბუნებრივი მასალებით დამზადებული ეკომეგობრული პროდუქტების წარმოებითა და გაყიდვით. „თიბისი ლიზინგმა“ „დედიკოს“ საქმიანობის მხარდასაჭერად გადასცა ისეთი საჭირო აღჭურვილობა, როგორიცაა საკერავი მანქანები.

გზა უფრო მწვანე მომავლისკენ – თანამშრომლობა „ტენესთან“

2023 წელს ჩვენ გავაფორმეთ თანამშრომლობის მემორანდუმი „ტენე“-სთან, პირველი ქართული USB კაბელის მწარმოებელთან, რომელიც ინოვაციური და ეკომეგობრული ტექნოლოგიების გამოყენებით უზრუნველყოფს თავისი მოწყობილობების ხანგრძლივ, უსაფრთხო ექსპლუატაციას. გარემოს დაცვის მხარდასაჭერად, „ტენე“ აგროვებს, გადაამუშავებს და იყენებს მყარ საყოფაცხოვრებო ნარჩენებს თავისი კაბელის წარმოების პროცესში, რაც შესაბამისობაშია, მის „ნულოვანი ემისიის“ პოლიტიკასთან და განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს პლასტმასის გადამუშავებას, ძირითადად, ბოთლის თავსახურავებიდან.

თანამშრომლობის ფარგლებში, „თიბისი ლიზინგის“ ოფისებში პლასტმასის, ქაღალდის და ელემენტების გადასამუშავებელი ურნები და პლასტმასის ჭიქების კოლექტორები განთავსდება. „ტენეს“ დამფუძნებელმა, სანდრო ლილუაშვილმა, ჩვენს თანამშრომლებს ტრენინგი ჩაუტარა ნარჩენების გადამუშავების მნიშვნელობაზე მათი ცნობიერების ამაღლების მიზნით. ამის შედეგად, ჩვენ პატარა ყოველკვირეულ ქვიზებს ვატარებთ თანამშრომლებში და მათ „ტენეს“ USB კაბელებით ვაჯილდოებთ ჩართულობისთვის.



სკუტერის დღე

სკუტერებზე მოთხოვნის გაზრდასთან ერთად, უსაფრთხო მგზავრობის საკითხი სულ უფრო კრიტიკულ მნიშვნელობას იძენს. ამ პრობლემის გადასაჭრელად ჩვენ მოვაწყვეთ „სკუტერის დღე“, ინიციატივა, რომლითაც მონაწილეებს შევთავაზეთ შესაძლებლობა, უფასოდ ესწავლათ სკუტერის ტარება, მიეღოთ რჩევები კვალიფიციური ტრენერებისგან და ამ სფეროს წამყვანი პროფესიონალებისგან. ამ აქტივობამ დიდი ყურადღება დაიმსახურა და, მისი მზარდი პოპულარობის გამო, ის მომავალ წელსაც გაიმართება.







ფონდი „ცხოვრება მშვენიერია“

ფონდი „ცხოვრება მშვენიერია“ 2013 წლიდან ეხმარება საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ფულადი სახსრების მოსაზიდად ღონისძიებებისა და კონცერტების გამართვაში. 2024 წელს, საქართველოში იტალიის საელჩოსთან თანამშრომლობით, ფონდი გაუმასპინძლდა ლეგენდარულ იტალიურ ჯგუფს „Ricchi e Poveri“-ის თბილისში. კონცერტიდან შემოსული თანხა მოხმარდა ოჯახური ძალადობის მსხვერპლი ქალების მხარდაჭერას. „თიბისი ლიზინგმა“ დიდი სიამაყით დაუჭირა მხარი ამ ინიციატივას თავისი სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში.



სტუდენტების დასპონსორება: ამერიკის სავაჭრო პალატის ინიციატივა

MAC Georgia-სთან თანამშრომლობით, ამერიკის სავაჭრო პალატამ წამოიწყო სტიპენდიის პროგრამა, რომლის მიზანია ამერიკის სავაჭრო პალატის წევრი ორგანიზაციების ფინანსური და ადამიანური რესურსების დახმარებით საქართველოში ფინანსური სიძნელეების მქონე ახალგაზრდებისთვის შესაძლებლობების შექმნა. სტიპენდიის პაკეტების დაფინანსებით, პროგრამა მიზნად ისახავს, რომ რისკის ქვეშ მყოფ სტუდენტებს დაეხმაროს უმაღლესი განათლების მიღებაში და აკადემიური და კარიერული მისწრაფებების რეალიზებაში. ჩვენ აქტიურად ვართ ჩართულები ამ პროგრამაში და გამოვყავით რესურსები სტუდენტებისთვის სწავლის გადასახადის დასაფარად.

ჩვენი კლიენტები

ბიზნესის მხარდაჭერა

ჩვენ ვაგრძელებთ ქართული ბიზნესების მხარდაჭერის ტრადიციას მასტიმულირებელი აქტივობებით კომუნიკაციის ყველა არხის მეშვეობით. ეს მასტიმულირებელი აქტივობები მოიცავს ბლოგებს ცალკეული კომპანიის შესახებ და ასევე თემებს, რომლებიც ჩვენს აუდიტორიას განსაკუთრებით აინტერესებს.

„თიბისი ლიზინგში“ დარწმუნებულები ვართ, რომ ჩვენი კლიენტების სასურველი აღჭურვილობის დაფინანსებაში დახმარების გარდა, არანაკლებ მნიშვნელოვანია მათი მხარდაჭერა კომუნიკაციასა და სხვა სტრატეგიულად მნიშვნელოვანი მომსახურების გაწევაში. სწორედ ამიტომ, როგორც კი ლიზინგი გაიცემა, ჩვენ ვიწყებთ ინფორმაციის გავრცელებას პრესრელიზის სახით 40-მდე რეიტინგული ბიზნეს მედიაპარტნიორებისთვის. 2024 წელს 20-მდე კლიენტს დავეხმარეთ სოციალურ მედიაში ინფორმაციის განთავსებაში, რის შედეგადაც, ეს ინფორმაცია სხვადასხვა არხის მეშვეობით, 1.5 მილიონ მომხმარებლამდე მივიტანეთ.

კლიენტებს ასევე მხარს ვუჭერთ პიარის და მარკეტინგის მომსახურებით და აქტივობებით, რათა დავეხმაროთ ბაზარზე პოზიციონირებაში. მცირე ბიზნესებს და სტარტაპებს ვეხმარებით სხვადასხვა ღონისძიებასა და პლატფორმაში ჩართვაში და ცნობადობის გაზრდაში სივრცის გამოყოფის ღირებულების და სხვა თანმდევი ხარჯების დაფინანსებით.

სუბსიდირების პროგრამებში ჩართულობა

ბიზნესის სტიმულირების მიზნით, ჩვენ ჩართულები ვართ სუბსიდირების ყველა პროგრამაში, რომელსაც ახორციელებენ „აწარმოე საქართველოში“ და სოფლის განვითარების სააგენტო. ამ პროგრამების ფარგლებში დავაფინანსეთ 146 პროექტი, რომელთა სუბსიდირება მოხდა ამ ორგანიზაციების მიერ (დაწვრილებითი ინფორმაციისთვის ნახეთ „ბიზნესის სეგმენტის“ მიმოხილვის თავი 34 გვერდზე).







146
პროექტები

70
აწარმოე საქართველოში

76
სოფლის განვითარების სააგენტო

ჩვენი ინვესტორები

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ასახული საყურადღებო ინფორმაცია

ათას ლარში	2024	2023	წლიური ცვლილება
ფინანსური შემოსავალი ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნებიდან	**91,465**	**71,837**	**27.3%**
ამონაგები საოპერაციო ლიზინგიდან	8	960	-99.2%
საპროცენტო ხარჯი	**(37,710)**	**(30,485)**	**23.7%**
პირდაპირი სალიზინგო დანახარჯები	(12,628)	(11,075)	14.0%
წმინდა სალიზინგო შემოსავალი	**41,135**	**31,237**	**31.7%**
ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნებიდან საკრედიტო ზარალის (რეზერვი) ამოღება	(3,055)	(2,000)	52.8%
საკრედიტო ზარალის რეზერვი სხვა ფინანსური აქტივებისთვის	(3,181)	(4,570)	-30.4%
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	**(17,186)**	**(13,092)**	**31.3%**
საპროცენტო შემოსავალი საბანკო ანაბრებზე	3,892	3,577	8.8%
წლის წმინდა მოგება	**23,054**	**16,728**	**37.8%**

ბალანსში ასახული საყურადღებო ინფორმაცია

ათას ლარში	31.12.2024	31.12.2023	წლიური ცვლილება
ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნები (მთლიანი)	445,865	376,055	18.6%
საკრედიტო ზარალის რეზერვი	(9,301)	(7,768)	19.7%
ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნები	**436,564**	**368,287**	**18.5%**
სალიზინგო ხელშეკრულებებზე გადახდილი ავანსები	**119,196**	**27,191**	**338.4%**
ლიზინგის შეწყვეტის შედეგად დასაკუთრებული აქტივები	4,433	2,935	51.0%
ძირითადი საშუალებები	3,275	3,292	-0.5%
სხვა ფინანსური აქტივები	29,002	29,624	-2.1%
სულ აქტივები	**676,933**	**514,452**	**31.6%**
ბანკებიდან და ფინანსური დაწესებულებებიდან მიღებული სესხები	356,288	255,898	39.2%
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	**114,656**	**103,127**	**11.2%**
სუბორდინირებული სესხები	49,676	42,184	17.8%
მომხმარებლებისგან მიღებული ავანსები	52,601	23,450	124.3%
სულ ვალდებულებები	**580,177**	**435,750**	**33.1%**
სულ საკუთარი კაპიტალი	**96,756**	**78,702**	**22.9%**

წმინდა შემოსავალი ლიზინგიდან

2024 წელს, სალიზინგო პორტფელზე კომპანიის შემოსავალი გაიზარდა, კერძოდ, 2023 წლის 22.5%-იანი მაჩვენებლიდან 2024 წელს 22.9%-მდე აიწია. ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნებიდან ფინანსური შემოსავალი მკვეთრად გაიზარდა და 92 მილიონი ლარი შეადგინა, რაც საგულისხმო, 27.3%-იანი, ზრდაა. გარდა ამისა, ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებულმა მთლიანმა მოთხოვნებმა 376 მილიონი ლარიდან 446 მილიონ ლარამდე ზრდა განიცადა – ტენდენცია, რომელიც ფინანსური შემოსავლის მატებასთან თანხვედრაშია.

საპროცენტო ხარჯი მნიშვნელოვნად, 23.7%-ით, გაიზარდა, რაც ძირითადად განპირობებულია სესხის მეტი მოცულობით ჩვენი პორტფელის ზრდის დასაფინანსებლად. ამის საპირისპიროდ, ჩვენი დაფინანსების გამარტივებული პროცესის შედეგად, როგორც მოსალოდნელია, მოზიდული ფინანსური სახსრების ხარჯი 9.0%-დან 8.7%-მდე შემცირდება.

ათას ლარში	**2024**	**2023**	**წლიური ცვლილება**
ფინანსური შემოსავალი ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნებიდან	91,465	71,837	27.3%
საპროცენტო შემოსავალი საბანკო ანაბრებზე	3,892	3,577	8.8%
საპროცენტო ხარჯი	(37,710)	(30,485)	23.7%
წმინდა სალიზინგო შემოსავალი	**57,647**	**44,929**	**28.3%**
ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მთლიანი მოთხოვნების საშუალო	400,192	319,762	25.2%
ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნების საშუალო	391,624	310,928	26.0%
ფულადი სახსრების საშუალო ნაშთი	433,838	339,395	27.8%
სარგებელი	**22.9%**	**22.5%**	**0.4 პროცენტული პუნქტი**
მოზიდული ფინანსური სახსრების ხარჯი	**8.7%**	**9.0%**	**-0.3 პროცენტული პუნქტი**
წმინდა საპროცენტო მარჟა	**14.7%**	**14.4%**	**0.3 პროცენტული პუნქტი**

სულ სალიზინგო პორტფელი

ათას ლარში	**2024**	**2023**	**წლიური ცვლილება**
მთლიანი სალიზინგო პორტფელი	586,573	427,920	37.1%
სულ სალიზინგო პორტფელი, სავალუტო კურსის ცვალებადობის მიხედვით დაკორექტირებული	579,151	427,920	35.3%

ჩვენი მთლიანი სალიზინგო პორტფელი წლის განმავლობაში 35.3%-ით გაიზარდა გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით. სავალუტო კურსის მერყეობის შესაბამისად პორტფელის დაკორექტირებისთვის გამოყენებულია 2023 წლის 31 დეკემბრის თარიღის ოფიციალური გაცვლითი კურსი.

ლიზინგის პორტფელის ხარისხი

2024 წელს პორტფელის ხარისხის მაჩვენებლები მძლავრი დარჩა. უიმედო სესხების კოეფიციენტი 2.7% იყო, რაც იმას ნიშნავს, რომ წინა წელთან შედარებით, 0.3 პროცენტული პუნქტით შემცირდა. გარდა ამისა, რისკის ხარჯი 1.4%-ს გაუტოლდა, რაც მიანიშნებს კომპანიის პორტფელთან დაკავშირებული რისკის მართვის ჯანსაღ პრაქტიკაზე.

ათას ლარში	**2024**	**2023**	**წლიური ცვლილება**
უმოქმედო ლიზინგი	16,009	12,684	26.2%
უმოქმედო სესხები	**2.7%**	**3.0%**	**-0.3 პროცენტული პუნქტი**
ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნებიდან საკრედიტო ზარალის (რეზერვი) ამოღება	3,055	2,000	52.8%
საკრედიტო ზარალის რეზერვი სხვა ფინანსური აქტივებისთვის	3,181	4,570	-30.4%
სულ შექმნილი ანარიცხები	**6,236**	**6,570**	**-5.1%**
COR	**1.4%**	**1.9%**	**-0.5 პროცენტული პუნქტი**

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები

პირდაპირი სალიზინგო დანახარჯები და ადმინისტრაციული ხარჯები ეფექტურად კონტროლდებოდა ჩვენი პორტფელის ზრდის მასშტაბის შესაბამისად. ამასთან, ჩვენ დავნერგეთ სტრატეგიები, რომლებიც ჩვენი საოპერაციო ეფექტიანობის გაუმჯობესებას ისახავს მიზნად. ხარჯების შემოსავლებთან თანაფარდობის კოეფიციენტი მიმდინარე წლისთვის 50.6%-ს შეადგენს.

2024 წელს ჩვენს კომპანიას გაეზარდა თანამშრომლებზე გაწეული ხარჯი ჩვენი ბიზნესოპერაციების გაფართოებისა და, შესაბამისად, ჩვენი სამუშაო ძალის ზრდის გამო. ჩვენი მზარდი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად საჭირო გახდა დამატებითი თანამშრომლების დაქირავება მომსახურების ხარისხისა და საოპერაციო ეფექტურობის შესანარჩუნებლად. ეს ინვესტიცია ადამიანურ კაპიტალში მეტყველებს ჩვენს მზაობაზე, უზრუნველვყოთ ჩვენი კომპანიის მდგრადი ზრდა.

ათას ლარში	**2024**	**2023**	**წლიური ცვლილება**
წმინდა სალიზინგო და საოპერაციო შემოსავალი	**58,897**	**46,732**	**26.0%**
თანამშრომლებზე გაწეული ხარჯები	11,459	8,568	33.7%
ცვეთისა და საამორტიზაციო დანარიცხი	1,310	1,222	7.2%
სხვა ადმინისტრაციული და საოპერაციო ხარჯები	4,417	3,302	33.8%
სულ ადმინისტრაციული და საოპერაციო ხარჯები	**17,186**	**13,092**	**31.3%**
პირდაპირი სალიზინგო დანახარჯები	12,628	11,075	14.0%
ხარჯების შემოსავლებთან თანაფარდობის კოეფიციენტი	**50.6%**	**51.7%**	**-1.1 პროცენტული პუნქტი**

წმინდა მოგება

უკვე მესამე წელია, კომპანია რეკორდულად მაღალ წმინდა მოგებას აჩვენებს:

ათას ლარში	**2024**	**2023**	**წლიური ცვლილება**
წმინდა მოგება	23,054	16,728	37.8%
საშუალო კაპიტალი	88,689	69,157	28.2%
უკუგება საშუალო კაპიტალზე	**26.0%**	**24.2%**	**1.8 პროცენტული პუნქტი**
უკუგება საშუალო კაპიტალზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვამდე	**33.0%**	**33.7%**	**-0.7 პროცენტული პუნქტი**

ათას ლარში	**2024**	**2023**	**წლიური ცვლილება**
წმინდა მოგება	23,054	16,728	37.8%
საშუალო აქტივები	560,579	432,996	29.5%
უკუგება საშუალო აქტივებზე	**4.1%**	**3.9%**	**0.2 პროცენტული პუნქტი**

კომპანია ყოველდღიურად ახდენს კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტების მონიტორინგს. წლის ბოლოსთვის მისი კაპიტალის და მთლიანი კაპიტალის კოეფიციენტები ასე გამოიყურებოდა:

კაპიტალის ადეკვატურობა	**2024**	**2023**	**წლიური ცვლილება**
პირველადი კაპიტალი	15.9%	17.6%	-1.7 პროცენტული პუნქტი
მეორადი კაპიტალი	24.0%	27.0%	-3.0 პროცენტული პუნქტი

ობლიგაციის პირობები

„თიბისი ლიზინგსა“ და ობლიგაციის მფლობელს შორის შეთანხმების პირობებთან შესაბამისობა მოცემულია ქვედა ცხრილში:

ხელშეკრულების ტიპი	**ლიმიტი**	**ფაქტობრივი 2024 წ.**	**ფაქტობრივი 2023 წ.**
ღია სავალუტო პოზიცია	<20%	5.4%	10.9%
სესხის მომსახურების კოეფიციენტი	>100%	595.6%	344.3%
კაპიტალის ადეკვატურობა 1	>9%	15.9%	17.2%
კაპიტალის ადეკვატურობა 2	>12%	19.5%	20.4%
ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტი	<91%	76.9%	78.0%
დაკავშირებული მხარის დავალიანების მოცულობა	<20%	4.4%	5.0%

კოეფიციენტების განმარტება

- **ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნები, მთლიანი** – მინიმალური სალიზინგო გადახდების აგრეგირებული თანხა, რაც წარმოადგენს ლიზინგის მიმღების მიერ გარანტირებულ თანხებს და ნებისმიერ არაგარანტირებულ ნარჩენ ღირებულებას, რომლებიც დისკონტირებულია სალიზინგო ხელშეკრულებაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით.
- **მთლიანი სალიზინგო პორტფელი** – მოიცავს ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებულ მთლიან მოთხოვნებს და ლიზინგებს, სადაც განხორციელდა ლიზინგის დაწყება.
- **COF** – მოზიდული ფინანსური სახსრების ხარჯი უდრის პერიოდის მთლიანი საპროცენტო ხარჯის თანაფარდობას იმავე პერიოდის საშუალო თვიური ფულადი სახსრების ნაშთზე.
- **NIM** – წმინდა საპროცენტო მარჟა უდრის წმინდა სალიზინგო შემოსავალს, ლიზინგის პირდაპირი ხარჯების გამოკლებით, შეფარდებულს იმავე პერიოდის ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნების საშუალო თვიურ მაჩვენებელზე.
- **წმინდა სალიზინგო შემოსავალი** – ფინანსური მაჩვენებლების დათვლის მიზნებისთვის წმინდა სალიზინგო შემოსავალი ასევე მოიცავს შემოსავალს დეპოზიტებზე დარიცხული პროცენტებიდან.
- **ROE** – უკუგება საშუალო კაპიტალზე უდრის კომპანიის წმინდა ზარალის/მოგების თანაფარდობას იმავე პერიოდის აქციონერთა მთლიანი კაპიტალის თვიურ საშუალო მაჩვენებელთან.
- **ROE მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვამდე** – ROE მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვამდე უდრის კომპანიის წმინდა ზარალს/მოგებას, ყოველგვარი საკრედიტო ზარალის რეზერვის გამოკლებით, შეფარდებულს იმავე პერიოდის აქციონერთა მთლიანი კაპიტალის თვიურ საშუალო მაჩვენებელზე.
- **ROA** – უკუგება საშუალო აქტივებზე უდრის კომპანიის წმინდა ზარალის/მოგების შეფარდებას იმავე პერიოდის მთლიანი აქტივების ყოველთვიურ საშუალო მაჩვენებელთან.
- **COR** – რისკის ხარჯი უდრის ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნების საკრედიტო ზარალის (რეზერვს)/ამოღებას დამატებული სხვა ფინანსური აქტივებისთვის შექმნილი საკრედიტო ზარალის რეზერვი, გაყოფილი ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მთლიანი მოთხოვნების საშუალო თვიური მაჩვენებლისა იმავე პერიოდის წმინდა სხვა ფინანსური აქტივების საშუალო მაჩვენებლის ჯამზე.
- **CIR** – ხარჯების შემოსავლებთან თანაფარდობის კოეფიციენტი უდრის ამავე პერიოდის ადმინისტრაციული და სხვა სალიზინგო ხარჯების ჯამის თანაფარდობას იმავე პერიოდის წმინდა სალიზინგო შემოსავალთან და სხვა საოპერაციო შემოსავალთან
- **NPL** - უმოქმედო სესხები გამოითვლება, როგორც 90 დღიანი ვადაგადაცილებული სალიზინგო პორტფელისა და 90 დღეზე ნაკლები არაჯანსაღი რესტრუქტურიზებული სალიზინგო პორტფელის მოცულობის ჯამის თანაფარდობა მთლიან სალიზინგო პორტფელთან.
- **Tier 1** – პირველადი კაპიტალი – კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი 1, რომელიც უდრის აქციონერთა კაპიტალის თანაფარდობას მთლიან აქტივებთან, ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტებისა და ბანკების მიმართ მოთხოვნების გამოკლებით.
- **Tier 2** – მეორადი კაპიტალი – კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი 2, რომელიც უდრის აქციონერთა მთლიანი კაპიტალისა და სუბორდინირებული სესხების თანაფარდობას მთლიან აქტივებთან, ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტებისა და ბანკების მიმართ მოთხოვნების გამოკლებით.

საობლიგაციო შეთანხმების განმარტება

- **ღია სავალუტო პოზიცია** – OCP კოეფიციენტი არის აქციონერთა კაპიტალის თანაფარდობა სუბორდინირებულ სესხებთან.
- **DSCR** – სესხის მომსახურების კოეფიციენტი არის ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, მოთხოვნები ბანკების მიმართ, 6 თვემდე ვადის მქონე ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მთლიანი მოთხოვნების 10%-ის და დამტკიცებული ფინანსური რესურსების წილის თანაფარდობა კომპანიის 6 თვემდე ვადის მქონე სასესხო ვალდებულებებთან.
- **კაპიტალის ადეკვატურობა 1** – აქციონერთა კაპიტალის თანაფარდობა კომპანიის მთლიან აქტივებთან, ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების გამოკლებით.
- **კაპიტალის ადეკვატურობა 2** – აქციონერთა კაპიტალის თანაფარდობა კომპანიის სუბორდინირებულ ვალთან, უცხოურ ვალუტაში ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მთლიანი მოთხოვნების 50%-თან, დამატებული მთლიანი აქტივები ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების გარეშე.
- **ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტი** – ბანკებისგან მიღებული სესხების, ასევე სავალო ფასიანი ქაღალდებისა და სუბორდინირებული სესხების თანაფარდობა მთლიან აქტივებთან.
- **დაკავშირებული მხარეების რისკის მოცულობა** – დაკავშირებული მხარეების რისკის მოცულობა შეფარდებული აქციონერთა კაპიტალისა და სუბორდინირებული ვალის ჯამთან.

თავი 7

ნიკოლოზ ფანცხავა

რისკის მართვა

ქეთევან ყასიტაშვილი

ძირითადი რისკები და გაურკვევლობა

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს კომპანიის წინაშე მდგარ ყველაზე არსებით რისკს, ვინაიდან სალიზინგო კომპანია მეტწილად ტრადიციული საკრედიტო საქმიანობითაა დაკავებული. კომპანიის მომხმარებლები არიან იურიდიული და ფიზიკური პირები.

საკრედიტო რისკი უკავშირდება მომხმარებლის ან მესამე პირის მხრიდან სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობას, რაც მოიცავს მიმდინარე ვალდებულების დაფარვას შეთანხმებულ ვადებში. საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი კომპონენტია სავალუტო რისკი, რომელიც არაჰეჯირებულ მომხმარებლებზე გაცემულ უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ ლიზინგს უკავშირდება. საკრედიტო რისკი ასევე მოიცავს კონცენტრაციის რისკს. ეს არის სალიზინგო პორტფელის ხარისხის გაუარესებასთან დაკავშირებული რისკი. ის შესაძლოა წარმოიშვას ერთ საწარმოსთან ან დაკავშირებულ საწარმოებთან დიდი ზომის პორტფელის შექმნიდან, ან კონკრეტულ სექტორში პორტფელის კონცენტრაციიდან. ზარალი შესაძლოა ასევე კიდევ უფრო გაიზარდოს არახელსაყრელი მაკროეკონომიკური პირობების გამო.

ორგანიზაციაში საკრედიტო ანალიზისა და დამტკიცების პროცესში ჩართულ მხარეებს შორის მოვალეობების მკაფიო განაწილებით საკრედიტო რისკის შეფასების სრულყოფილი სტრუქტურა არსებობს. კრედიტის შეფასების პროცესი განსხვავდება სეგმენტებისა და ინდივიდუალური პროდუქტების მიხედვით, რათა სათანადოდ მოხდეს აქტივების სხვადასხვა ჯგუფების შესაბამისი თავისებურებების გათვალისწინება. დაკრედიტების წესები შეიმუშავა რისკების განყოფილებამ, რომლებიც ლიზინგისა და ბიზნესის სტრუქტურული ერთეულებისგან დამოუკიდებელი განყოფილებაა. კორპორაციული და საშუალო ზომის ბიზნეს-მომხმარებლების შემთხვევაში, ლიზინგის დაფინანსების განხილვის პროცესი ხორციელდება კონკრეტული სექტორული ერთეულების მიერ, რომლებშიც აკუმულირდება შესაბამისი სექტორული განვითარების შესახებ საფუძვლიანი ცოდნა.

კომპანია იყენებს პორტფელის მონიტორინგის სისტემას, პორტფელის გაუარესების შემთხვევაში სწრაფი რეაგირების მიზნით. ეს მონიტორინგის სისტემა საკრედიტო პორტფელში არსებული სისუსტეების გამოვლენის შესაძლებლობას იძლევა, რის შემდეგაც მიიღება გადაწყვეტილებები რიკის მართვის მიმართულებით. მონიტორინგის პროცესი მორგებულია ცალკეულ მიმართულებებზე და მოიცავს ინდივიდუალური სასესხო დავალიანებების მონიტორინგს, პორტფელის საერთო მონიტორინგსა და გარე ტენდენციების ანალიზს, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს პორტფელის რისკის პროფილზე. ამასთან, კომპანია იყენებს პორტფელის მონიტორინგის კომპლექსურ სისტემას შესუსტებული მახასიათებლების მქონე კრედიტების გამოსავლენად და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი ზომების მისაღებად.

კომპანიის სალიზინგო პორტფელი სტრუქტურულად დივერსიფიცირებულია მომხმარებელთა ტიპების, პროდუქტის ტიპებისა და დარგობრივი სეგმენტების მიხედვით, რასაც მინიმუმამდე დაჰყავს საკრედიტო რისკი. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბიზნესის სეგმენტი მთლიანი პორტფელის 87%-ს მოიცავდა, ხოლო საცალო სეგმენტი 13%-ს შეადგენდა, რაც საავტომობილო ლიზინგს მოიცავს. 2024 წლის ბოლოს ბიზნეს პორტფელში სამი ტოპ-სექტორია: ინფრასტრუქტურის განვითარება, ვაჭრობა და საცალო ვაჭრობა, რომლებშიც კონცენტრაცია შესაბამისად ასე ნაწილდება: 19%, 17% და 13%.

სალიზინგო ვალდებულების საკრედიტო რისკის მიტიგაციის ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია თანამონაწილეობა, რომელიც უნდა განახორციელოს ლიზინგის მიმღებმა ხელშეკრულების გაფორმებისას. ამავდროულად საკრედიტო რისკის მართვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია დაფინანსებული სალიზინგო აქტივის ეფექტური მართვა, რაც ფიზიკური და ტექნიკური გაუფასურების მოსალოდნელი რისკის თავიდან აცილებას უწყობს ხელს. ამასთან, სალიზინგო ხელშეკრულებების უზრუნველყოფა შესაძლოა იყოს: უძრავი ქონება, საბალანსო აქტივების და წილების გირავნობა, მესამე მხარის თავდებობა და გამოსყიდვის ოფციონი, რომელსაც მიმწოდებელი გასცემს.

„თიბისი ლიზინგის“ მთლიანი პორტფელი უზრუნველყოფილია ყველა ინდუსტრიის სეგმენტში, სადაც უზრუნველყოფის საგანი თავად სალიზინგო აქტივია. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის სალიზინგო აქტივებით პორტფელის უზრუნველყოფის კოეფიციენტი 140%-ით განისაზღვრა. დაფინანსებულ აქტივებში თანამონაწილეობის მოცულობის სწორი განსაზღვრება უზრუნველყოფს მომხმარებლების ვალდებულებების დაფარვის მაღალ მაჩვენებელს.

ამასთან, „თიბისი ლიზინგი“ აქტიურად ატარებს სტრესული მდგომარეობის ტესტებს და სცენარის ანალიზს სხვადასხვა სტრესული ვითარებების მიმართ მომხმარებლების მოქნილობის შესაფასებლად. სტრესული მდგომარეობის ტესტი მოიცავს დაშვებებს ვალუტის გადაფასების, მშპ-ის ზრდის, სექტორული ზრდის, ინფლაციის, საპროცენტო განაკვეთის ცვლილების, უძრავი ქონებისა და საქონლის ფასების შესახებ. „თიბისი ლიზინგი“ მომხმარებლების ინტენსიურ ფინანსურ მონიტორინგს ახორციელებს იმ მომხმარებლების დასაიდენტიფიცირებლად, რომლებსაც შესუსტებული ფინანსური და ბიზნეს-პერსპექტივების აქვთ. რის შედეგადაც მათ ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული რესტრუქტურიზაციის გეგმას სთავაზობს.

სავალუტო კურსის ცვლილებით გამოწვეული საკრედიტო რისკი

„თიბისი ლიზინგი“ დგას სავალუტო კურსის ცვლილებით გამოწვეული საკრედიტო რისკის წინაშე. ვინაიდან კომპანიის პორტფელში დაფინანსებული თანხების დიდი ნაწილი დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, ლარის პოტენციური მნიშვნელოვანი გაუფასურება მნიშვნელოვანი რისკია, რამაც შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს პორტფელის ხარისხზე. არაჰეჯირებულ მსესხებლებს შეიძლება ვალის ტვირთი უფრო მეტად დააწვეთ, როდესაც გაიზრდება უცხოურ ვალუტაში გამოხატული მათი ვალდებულებები.

მიუხედავად იმისა, რომ სალიზინგო კომპანიებს ეხება სებ-ის რეგულაცია ლარში დაფინანსების შესახებ, რომლის მიხედვითაც 200,000 ლარზე ნაკლები მოცულობის ლიზინგი მხოლოდ ადგილობრივ ვალუტაში შეიძლება გაიცეს, „თიბისი ლიზინგის“ პორტფელის მნიშვნელოვანი ნაწილი ჯერ კიდევ აშშ დოლარსა და ევროშია გამოხატული, რაც 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 72%-ს შეადგენდა. ვინაიდან იმ მომხმარებლების უმეტესობა, რომლებსაც სალიზინგო ხელშეკრულება უცხოურ ვალუტაში აქვთ გაფორმებული, შემოსავალს ეროვნულ ვალუტაში იღებს, ისინი არ არიან დაცულები ლარის გაცვლითი კურსის მერყეობისგან.

კომპანია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სავალუტო კურსის ცვლილებით გამოწვეულ საკრედიტო რისკს, რადგან მისი სალიზინგო პორფელის დიდი ნაწილი უცხოურ ვალუტაშია დენომინირებული. ვალუტის გაუფასურების მონიტორინგი რეგულარულად ხდება, საჭიროების შემთხვევაში ზომების დაუყოვნებლივ მისაღებად. ჩვენს დაკრედიტების სტანდარტებში გათვალისწინებულია კონკრეტული გაცვლითი კურსის გაუფასურების მიმართ მდგრადობა და არაჰეჯირებული მომხმარებლებისთვის განსაზღვრულია ვალუტის გაუფასურების რისკის ბუფერი.

„თიბისი ლიზინგი“ ანდერაიტინგის პროცესში გატარებულ ღონისძიებებთან ერთად იყენებს კონსერვატორულ დაკრედიტების სტანდარტებს, რომელთა დაფინანსებული თანხები უცხოურ ვალუტაშია გამოხატული იმის უზრუნველსაყოფად, რომ მათ შეძლონ გაცვლითი კურსის მერყეობის კონკრეტულ დონესთან გამკლავება.

კონცენტრაციის რისკი

„თიბისი ლიზინგი“ დგას კონცენტრაციის რისკის წინაშე, რომელიც განისაზღვრება, როგორც პორტფელის ხარისხის პოტენციური გაუარესებით სუბიექტებზე, ისე სექტორებზე დიდი ოდენობით დაფინანსების გაცემით.

როგორც წესი, განვითარებად ბაზარზე მოქმედი სალიზინგო კომპანიების წინაშე თავს იჩენს კონცენტრაციის რისკები, როგორც ცალკეულ მომხმარებლებზე, ისე – სექტორებზე. „თიბისი ლიზინგი“ აფინანსებს იურიდიულ და ფიზიკურ პირებს, რომელთა პოტენციური დეფოლტი გულისხმობს გაზრდილ საკრედიტო დანაკარგებსა და გაუფასურების რეზერვის მაღალ ხარჯს. „თიბისი ლიზინგის“ პორტფელი კარგად დივერსიფიცირებულია სექტორების მიხედვით, რაც განაპირობებს სექტორული კონცენტრაციის რისკის ზომიერ ნიშნულს. თუმცა, მთავარი რისკების მატარებლების მთლიანი სესხის ზრდის შემთხვევაში, რისკებიც შესაბამისად გაიზრდება.

კომპანია ფლობს საშუალებებს კონცენტრაციის რისკის, კერძოდ კი, პორტფელში ცალკეული პირებისა და სექტორების კონცენტრაციის ეფექტური მართვისათვის. „თიბისი ლიზინგს“ აქვს კონცენტრაციის ლიმიტები ცალკეული სუბიექტებისა და სექტორებისთვის, ასევე კონცენტრირებულია თავისი პორტფელის სტრუქტურისა და ხარისხის ოპტიმიზაციაზე. ამასთან, ჩვენ გვაქვს რისკის აპეტიტის ზღვარი ტოპ 10 და 20 მსესხებლისთვის, რომლებიც ყოველთვიური მონიტორინგის საგანს წარმოადგენენ. „თიბისი ლიზინგი“ მუდმივად აკონტროლებს რისკის კონცენტრაციას ინდივიდუალური მსესხებლების, სექტორებისა და მნიშვნელოვანი რისკის მატარებლებისთვის და განსაზღვრავს ლიმიტებს რისკის შესამცირებლად. რისკის აპეტიტის ფარგლებში, კომპანია განსაზღვრავს ლიმიტებს როგორც ინდივიდუალური, ისე – სექტორული კონცენტრაციებისთვის. რისკის აპეტიტის კრიტერიუმი წელიწადში ერთხელ გადაიხედება წარმოშობილი კონცენტრაციის რისკის შესამცირებლად. ლიმიტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად გამოიყენება ეფექტური მონიტორინგის საშუალებები.

„თიბისი ლიზინგის“ საკრედიტო პორტფელი გონივრულად და ადეკვატურად არის დივერსიფიცირებული და მაქსიმალური პორტფელის მოცულობა ერთ-ერთ უმსხვილეს სექტორზე (ინფრასტრუქტურის განვითარება) 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სალიზინგო პორტფელის 19%-ს შეადგენს. 2024 წლის ბოლოსთვის 10 და 20 უმსხვილესი მსესხებლის სალიზინგო პორტფელი მთლიანი პორტფელის 10.2%-ს და 18.7%-ს შეადგენდა, შესაბამისად, რომელთაგან ორივე მწვანე ზონაშია (კომპანია იყენებს სამშრიან შუქნიშნის მიდგომას რისკების ლიმიტების დადგენისას: მწვანე ზონა – სასურველი ზონა კომპანიის რისკის აპეტიტისთვის, ყვითელი ზონა, რომელიც მიანიშნებს იმაზე, რომ სასურველი ზონა დაირღვა, მაგრამ რისკის დონე მაინც მისაღებია კომპანიისთვის; და წითელი ზონა, რომელიც აღნიშნავს იმას, რომ რისკის დონე აღემატება დასაშვებ ლიმიტს და სცდება რისკის აპეტიტის საზღვრებს).

თაღლითობის რისკი

გარე და შიდა თაღლითობის რისკები „თიბისი ლიზინგის“ საქმიანობის საოპერაციო რისკის განუყოფელი ნაწილია. ოპერაციების მზარდი სირთულის და მრავალფეროვნების გათვალისწინებით, ფინანსური სექტორის დიგიტალიზაციასთან ერთად იზრდება თაღლითობის რისკებიც. პროაქტიული მართვის გარეშე თაღლითობის შემთხვევებმა შეიძლება არსებითი ზეგავლენა მოახდინონ კომპანიის მომგებიანობასა და რეპუტაციაზე.

კომპანიის საწინააღმდეგოდ განხორციელებული გარე თაღლითობა შეიძლება მომდინარეობდეს მესამე მხარის ქმედებებიდან. ყველაზე ხშირად აღნიშნული შემთხვევები დაკავშირებულია საბანკო ბარათებთან და ნაღდ ფულთან. შიდა თაღლითობა მომდინარეობს კომპანიის თანამშრომლების მიერ განხორციელებული ქმედებებიდან და მსგავსი შემთხვევები შედარებით ნაკლებად, მაგრამ მაინც ხდება. 2024 წელს არცერთ ამგვარ

შემთხვევას არსებითი გავლენა არ მოუხდენია კომპანიის მოგება-ზარალის ანგარიშზე.

კომპანია აქტიურად აკონტროლებს, მართავს და აღკვეთს თაღლითობასთან დაკავშირებულ რისკებს. ძირითადი მიმართულება რისკის მინიმიზებაა პროცედურების ავტომატიზაციის, ორმაგი კონტროლის და სხვა პრევენციული მექანიზმების დანერგვის გზით. იქმნება მუდმივი მონიტორინგის პროცესები უჩვეულო მოქმედებების დროულად დაფიქსირების მიზნით. რისკის და კონტროლის თვით-შეფასების პროცესი მიმართულია იმ საბაზისო პროცესების ნარჩენ რისკებზე, რომელთა გამოსწორებაც შესაძლებელია. თაღლითობის რისკების მონიტორინგსა და შერბილებაზე ჩვენი მუდმივი ძალისხმევის შედეგად, შიდა პროცესების სირთულის მიუხედავად, კომპანია უზრუნველყოფს თაღლითური ქმედებების დროულად აღმოჩენას და კონტროლს.

სამეწარმეო რისკის მართვა

სამეწარმეო რისკის მართვის (ERM) ცენტრალიზებული განყოფილება უზრუნველყოფს რისკის სტრატეგიისა და რისკის აპეტიტის ეფექტურად შემუშავებას, კომუნიკაციას და დანერგვას კომპანიის მასშტაბით. ორგანიზაციის რისკის მართვის განყოფილება ხელს უწყობს რისკის ჯვარედინ ღონისძიებებს, როგორებიც არის აგრეგირება, ანალიზი და რეპორტინგი და ეხება ისეთ პრობლემებს, რომლებიც არ ახასიათებს რომელიმე ერთი ტიპის რისკს. ორგანიზაციის რისკის მართვა უზრუნველყოფს პროცესების ჰარმონიზაციას ოპტიმალური დაცვის მექანიზმების დასანერგად, ამარტივებს მიმართულებებს შორის მმართველობითი საკითხების ლოგიკურ და ეფექტურ მოძრაობას, ხელს უწყობს ისეთი საკითხების მოგვარებას, რომლებიც სხვადასხვა განყოფილებების ჩართულობას საჭიროებს.

სტრესული ტესტირება რისკის იდენტიფიცირების, შეფასებისა და მიტიგაციის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია. „თიბისი ლიზინგი“ ჯგუფის დონეზე მაკროეკონომისტების მიერ შემუშავებულ საპროგნოზო სცენარებს ეყრდნობა და აანალიზებს მათ შესაძლო შედეგების გათვალისწინების და კომპანიაში ადეკვატური კაპიტალის უზრუნველყოფის მიზნით.

რისკების მართვის პრაქტიკების თანამიმდევრულობა ორგანიზაციის რისკის მართვის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პრაქტიკაა. თანმიმდევრულობის უზრუნველყოფისკენ მიმართული რისკების მართვის ფუნქცია, რისკების ოპტიმალური გზით იდენტიფიცირებას, შეფასებას და მართვას ახორციელებს.

რისკზე ადეკვატური უკუგების გამომუშავებას კრიტიკული მნიშვნელობა აქვს ბიზნეს-მოდელის მდგრადობისთვის. რისკების გათვალისწინება ფასწარმოქმნის პროცესში ისე ხდება, რომ თავიდან იქნეს აცილებული ჭარბი ოდენობით რისკის აღება და კომპანიამ გარანტირებულად აიღოს ადეკვატური საფასო რისკები.

საკრედიტო რისკის მართვა

საკრედიტო რისკის მართვის მთავარი მიზანია კომპანიაში არსებობდეს გამართული პროცესები, რომლებიც უზრუნველყოფს ინდივიდუალური ტრანზაქციების დონეზე მიღებული გადაწყვეტილებების მისაღები რისკის დონესთან შესაბამისობას, ლიზინგის დამტკიცების გამართული პროცესი ინფორმირებული რისკის მიღებისთვის და პროცედურები რისკის ეფექტური იდენტიფიცირების, მონიტორინგისა და შეფასებისთვის.

ლიზინგის დამტკიცება

„თიბისი ლიზინგის“ მიზანია უზრუნველყოს სალიზინგო დაფინანსების ჯანსაღი პროცესის არსებობა, ლიზინგის გაცემის კრიტერიუმების მკაფიოდ ჩამოყალიბებისა და მომხმარებლის რისკის პროფილის შეფასების ეფექტური პროცესის დანერგვის მეშვეობით. „თიბისი ლიზინგში“ დაფინანსების ანალიზისა და დამტკიცების პროცესში ჩართულ მხარეებს შორის მოვალეობების მკაფიო დანაწილების მეშვეობით საკრედიტო რისკის შეფასების სრულყოფილი სტრუქტურა არსებობს. დაფინანსების შეფასების პროცესი განსხვავდება სეგმენტებისა და ინდივიდუალური პროდუქტების მიხედვით, იმისათვის რომ სათანადოდ მოხდეს აქტივების სხვადასხვა ჯგუფების შესაბამისი თავისებურებების გათვალისწინება. კორპორაციული, მცირე და საშუალო საწარმოების და მსხვილი საცალო და მიკრო ლიზინგების შეფასება ინდივიდუალურ დონეზე ხორციელდება. ლიზინგის მიმღებების მოთხოვნების საფუძვლიანად შეფასების შემდეგ საკრედიტო განყოფილება ამზადებს პროექტს, რომელშიც ასახულია პოტენციურ მსესხებელთან დაკავშირებული კონკრეტული მნიშვნელოვანი ინფორმაცია და განსახილველად წარუდგენს მას საკრედიტო რისკების მართვის განყოფილებას. რისკების მენეჯერი უზრუნველყოფს პროექტის ანალიზის დასრულებას და ყველა რისკის და შესაბამისი მიტიგაციის ფაქტორის განსაზღვრას და ადეკვატურად მართვას.

ლიზინგის დამტკიცების კომიტეტების სტრუქტურა მრავალდონიანია და დამტკიცების უფლებამოსილებები განსხვავებულია ლიზინგის მიმღების საერთო კრედიტუნარიანობის შესაბამისად. აღნიშნული კომიტეტები პასუხს აგებენ საკრედიტო განცხადებების განხილვასა და დამტკიცებაზე სხვადასხვა კომიტეტებთან ერთად, ლიზინგის მოცულობის და რისკის საფუძველზე. ყველაზე მაღალი დონის კომიტეტში, 1 მილიონი აშშ დოლარიდან 1.5 მილიონი აშშ დოლარამდე ლიზინგის თანხის შემთხვევაში, მონაწილეობენ: გენერალური დირექტორი, კომერციული დირექტორი და რისკების დირექტორი. თუ მსესხებლის სალიზინგო განაცხადის თანხა აღემატება 1.5 მილიონი აშშ დოლარს, იგი საჭიროებს სამეთვალყურეო საბჭოს რისკის კომიტეტის მიერ განხილვასა და დამტკიცებას. ამასთან, თუ მსესხებლის სალიზინგო განაცხადის თანხა აღემატება 1.5 მილიონ აშშ დოლარს და ასევე აღემატება „თიბისი ლიზინგის“ კაპიტალის 15%-ს, იგი საჭიროებს განხილვასა და დამტკიცებას სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მიერ, სამეთვალყურეო საბჭოს რისკის კომიტეტთან ერთად. მიკრო, მცირე, საშუალო და საცალო ლიზინგის დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საკრედიტო რისკების მართვის განყოფილება, სადაც განაცხადს კომიტეტი წინასწარ განსაზღვრული ლიმიტების ფარგლებში განიხილავს. გადაწყვეტილების მიღებისთვის გამოიყენება შიდა სქორინგის მოდელები და საკრედიტო ბიუროს მიერ წინასწარ წარმოდგენილი რეიტინგები. სქორინგის მოდელები განსხვავებულია პროდუქტის ტიპებისა და მსესხებლების საკრედიტო პროფილის მიხედვით, და ითვალისწინებს სხვადასხვა ტიპის შიდა და გარე მონაცემებს. სქორინგის მოდელების მონიტორინგი ყურადღებით ხორციელდება, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მიღებული გადაწყვეტილებების წინასწარ განსაზღვრული რისკის ლიმიტებთან შესაბამისობა.

ლიზინგის მონიტორინგი

„თიბისი ლიზინგის“ რისკის მართვის პოლიტიკა და პროცესები ისეა შემუშავებული, რომ დროულად გამოვლინდეს და გაანალიზდეს სხვადასხვა ტიპის რისკები და საიმედო და დროულ მონაცემებზე დაყრდნობით განხორციელდეს წინასწარ დადგენილ ლიმიტებთან შესაბამისობის მონიტორინგი. „თიბისი ლიზინგი“ მნიშვნელოვან რესურსებს გამოყოფს სხვადასხვა ინდუსტრიულ სეგმენტებში არსებული საკრედიტო რისკების ზუსტად შესაფასებლად. კომპანია იყენებს პორტფელის მონიტორინგის გამართულ სისტემას, რათა სწრაფად მოახდინოს რეაგირება მაკრო და მიკრო მოვლენებზე, საკრედიტო პორტფელში სისუსტეების იდენტიფიკაცია და ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღება რისკის მართვის კუთხით. მონიტორინგის პროცესი მორგებულია დარგობრივ სეგმენტებზე და მოიცავს ინდივიდუალური დაფინანსების მონიტორინგს, პორტფელურ მონიტორინგსა და გარე ტენდენციების ანალიზს, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს პორტფელის ხარისხზე.

რესტრუქტურიზაცია და თანხების ამოღება

„თიბისი ლიზინგი“ იყენებს პორტფელის მონიტორინგის კომპლექსურ სისტემას შესუსტებული მახასიათებლების მქონე ლიზინგების გამოსავლენად და, საჭიროების შემთხვევაში, მყისიერი და სწრაფი ზომების მისაღებად. შიდა კომიტეტის განხილვის ფორმატში პროცესების დეტალური განხილვა ხდება მაშინ, როდესაც მსესხებელი არ ასრულებს გადახდის შეთანხმებულ პირობებს ან მისი ფინანსური მდგომარეობა შესუსტებულია, რაც პოტენციურად საფრთხეს უქმნის კრედიტის დაფარვას. შესაბამისი რესტრუქტურიზაციის და თანხების ამოღების განყოფილებები ახორციელებენ იმ მსესხებლების მართვას, რომელთა ფინანსური მდგომარეობა გაუარესებულია, ბიზნეს-სეგმენტებზე და ინდივიდუალური დავალიანების კატეგორიებზე მორგებული ამოღებისა და ანაზღაურების სტრატეგიებით. რესტრუქტურიზაციის ქვედანაყოფის ძირითადი მიზანია მსესხებლის რეაბილიტაცია და ლიზინგის ისევ სტანდარტულ კატეგორიაში გადაყვანა. რეაბილიტაციის პროცესის მიდგომა და კომპლექსურობა ლიზინგის ტიპზე და მოცულობაზეა დამოკიდებული. კორპორაციული და მცირე და საშუალო ბიზნეს-მსესხებლები პრობლემური აქტივების მართვის განყოფილებას გადაეცემა, როდესაც არსებობს კომპანიის შემოსავლების

მკვეთრად გაუარესების, გადახდისუუნარობის, გაკოტრების, აქტივების მნიშვნელოვანი გაუფასურების ან მსგავსი ცვლილების ძლიერი ალბათობა. ლიზინგის ამოღების გეგმები შეიძლება მოიცავდეს დავალიანების ამოღების ყველა ხელმისაწვდომ რესურსს, მაგალითად მსესხებლის აქტივების გაყიდვას, უზრუნველყოფის რეალიზაციას ან გარანტიების/თავდებობების გამოყენებას.

სალიზინგო დავალიანების ამოღების პროცესში, პრობლემური აქტივების მართვის განყოფილების მიზანია გადახდის სტრატეგიის შემუშავება და მსესხებელთან შეთანხმება შეძლებისდაგვარად მაქსიმალური ოდენობით თანხის გადახდაზე ან სალიზინგო ვალდებულების გადახდის შეთანხმება უზრუნველყოფის გაყიდვის ან დასაკუთრების გზით.

რეაბილიტაციისა და პრობლემური აქტივების მართვის განყოფილება ახორციელებს ვადაგადაცილებული მსესხებლების ფინანსურ მონიტორინგს, ამზადებს შესაბამის პროექტებს, წარუდგენს მათ კომიტეტებს და დგამს საჭირო ნაბიჯებს დამატებითი ვადების დამტკიცების ან მოთხოვნის შემდეგ. მათი ძალისხმევა, როგორც თავად განყოფილების რესურსებით, ისე აღმასრულებლის ჩართულობით, მიმართულია სალიზინგო ვალდებულების მაქსიმალურად გაუქმებისკენ.

სალიზინგო ვალდებულების დაფარვის სტრატეგიები განისაზღვრება ლიზინგის თანხის, ბიზნესის სპეციფიკის და კომპანიის ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით. ინდივიდუალური სტრატეგიები მორგებულია მომხმარებლების სხვადასხვა ქვეჯგუფზე და ასახავს შესაბამისი რისკის დონეებს ისე, რომ მეტი ძალისხმევა ხმარდება უფრო მაღალი რისკის პროფილის მქონე მომხმარებლებს.

კლიენტები პრობლემური აქტივების მართვის განყოფილებას გადაეცემა საფუძვლიანი განხილვის საფუძველზე. განხილვა იწყება 45 დღით ვადაგადაცილების თარიღიდან, რათა უზრუნველყოფილი იქნეს დროული ზომების მიღება და მოხდეს პოტენციური ზარალის მინიმუმამდე დაყვანა.

პრობლემური აქტივების მართვის განყოფილებაზე გადაცემის შემდეგ, როდესაც კომპანიას არ შეუძლია მისაღები პირობებით მსესხებელთან მოლაპარაკების წარმოება, მას შეუძლია დაიწყოს უზრუნველყოფის დასაკუთრების პროცესი, რაც ჩვეულებრივ სტანდარტული პროცესია მცირე იურიდიული გართულებებით, რამაც შეიძლება მოიცვას სასამართლო, საარბიტრაჟო ან სანოტარო პროცედურებიც. რეაბილიტაციისა და პრობლემური აქტივების მართვის განყოფილებები კვალიფიციური მოქმედი ექსპერტებით და იურისტებითაა დაკომპლექტებული იმისათვის, რომ სასამართლო და ქონების დასაკუთრების პროცესები ეფექტურად წარიმართოს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება

სხვადასხვა ბიზნეს მიმართულებებისა და პროდუქტების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება, მონიტორინგი და ანალიზი სტრატეგიის მთავარი კომპონენტებია.

„თიბისი ლიზინგი“ იყენებს პორტფელის დარეზერვების მეთოდოლოგიას ფასს (IFRS) 9-ის მოთხოვნების შესაბამისად, რაც მოიცავს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებას მაკროეკონომიკური სცენარების და საპროგნოზო ინფორმაციის გამოყენებით.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) შეფასებისთვის კომპანია ოთხ კომპონენტს იყენებს: (i) დეფოლტის ალბათობა (PD), (ii) დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანება (EAD), (iii) დანაკარგები დეფოლტის შემთხვევაში (LGD) და (iv) დისკონტირების განაკვეთი (DF). მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად კომპანია მიმართავს სამი სტადიის მოდელს და თავის მსესხებლებს მიაკუთვნებს შემდეგ სამ სტადიას:

- I სტადია – კომპანია თავის კრედიტის ოდენობას პირველ სტადიას მიაკუთვნებს, თუ საწყისი აღიარების შემდეგ საკრედიტო ხარისხი მნიშვნელოვნად არ გაუარესებულა და ინსტრუმენტი არ იყო საკრედიტო რისკით გაუფასურებული თავდაპირველი აღიარებისას;
- II სტადია – კრედიტის ოდენობა მეორე სტადიას მიეკუთვნება, თუ საწყისი აღიარების შემდეგ დაფიქსირდა საკრედიტო ხარისხის მნიშვნელოვანი გაუარესება, მაგრამ ფინანსური ინსტრუმენტი არ მიიჩნევა საკრედიტო რისკით გაუფასურებულად;
- III სტადია – კრედიტის ოდენობა, რომელზეც გამოვლენილია საკრედიტო რისკით გაუფასურების ნიშნები, მიეკუთვნება მესამე სტადიის ინსტრუმენტებს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ოდენობა განსხვავდება კრედიტის ოდენობის ერთ-ერთი სტადიისთვის მიკუთვნების მიხედვით:

- I სტადიის ინსტრუმენტები – მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი წარმოადგენს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის იმ ნაწილს, რომელიც შეიძლება მიეკუთვნოს საანგარიშგებო თარიღიდან მომდევნო 12 თვის განმავლობაში დამდგარ დეფოლტის მოვლენებს;
- II სტადიის ინსტრუმენტები – მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი წარმოადგენს არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, ანუ საკრედიტო ზარალს, რომელიც შეიძლება მიეკუთვნოს შესაძლო დეფოლტის მოვლენებს ფინანსური ინსტრუმენტის მთლიანი არსებობის ვადის განმავლობაში. როგორც წესი, არსებობის ვადა უდრის ფინანსური ინსტრუმენტის დარჩენილ სახელშეკრულებო ვადას. ისეთი ფაქტორები, როგორიცაა ხელშეკრულების მიხედვით დაფარვის გრაფიკის არსებობა, დაფარვის ვადის გაგრძელების უფლებები და მონიტორინგის პროცესები კომპანიის მხრიდან მოქმედებს ვადის განსაზღვრაზე;
- III სტადიის ინსტრუმენტები – დეფოლტის მოვლენა უკვე დამდგარია და არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება თანხების მოსალოდნელი ამოღების საფუძველზე.

კომპანია აქტიურად განიხილავს და აკონტროლებს ფასს (IFRS) 9 მოდელებიდან წარმოებულ შედეგებს, იმის უზრუნველსაყოფად, რომ შესაბამისი შედეგები ადეკვატურად მოიცავდნენ მოსალოდნელ ზარალს.

ფინანსური რისკის მართვა

ფინანსური დაწესებულებების მთავარი ამოცანაა მომგებიანობის გაზრდა, რისი მიღწევაც შესაძლებელია გაზრდილი რისკით. როგორც ასეთი, რისკის ეფექტურად მართვას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს „თიბისი ლიზინგისთვის“. სხვა ფინანსური დაწესებულებების მსგავსად, „თიბისი ლიზინგს“ აქვს ფინანსური რისკები, რომლებსაც შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა მის ოპერაციებზე, ლიზინგის სერვისებისა და მისი ეკონომიკური მოდელის ხასიათიდან გამომდინარე.

კომპანიას რისკები აქვს როგორც შიდა, ისე გარე ფაქტორების გამო, რომელთა თავიდან აცილება მთლიანად შეუძლებელია, მაგრამ საჭიროა მათი შემცირება. ამ რისკების იდენტიფიცირებით, „თიბისი ლიზინგი“ უზრუნველყოფს იმას, რომ მის მიერ გამოყენებული ნებისმიერი ფინანსური ინსტრუმენტის მიზანი იყოს პოტენციური დანაკარგების თავიდან აცილება ან მინიმუმამდე დაყვანა.

„თიბისი ლიზინგი“ წინასწარ შემუშავებული პრინციპების დაცვით მოქმედებს დასახული მიზნების მისაღწევად, რომლებიც უფრო დეტალურად ქვემოთ არის განხილული.

ლიკვიდობის რისკი

„თიბისი ლიზინგისთვის“ ლიკვიდობის რისკი უპირველესად გულისხმობს გადახდისუუნარობას ან გადახდისუნარიანობას მაღალი დანახარჯებით. იმის გათვალისწინებით, რომ კომპანიის მთავარი საქმიანობა ლიზინგის პროდუქტებია, მისი ამოცანაა ყველა მონაწილე მხარის საჭიროების დაკმაყოფილება და, ამავდროულად, თავისი მთავარი ბიზნესოპერაციების მხარდაჭერა. რისკის მოცულობის შეფასებითა და იდენტიფიცირებით, „თიბისი ლიზინგი“ დგამს პროაქტიულ ნაბიჯებს, შეიმუშავებს დაფინანსების გეგმებს, რომ გაუმკლავდეს პოტენციურ კრიზისებს და გაუთვალისწინებელ გარემოებებს, ეყრდნობა თავის გამოცდილებას და წარმატებულ პარტნიორობას ადგილობრივ ბანკებთან და უცხოურ ფინანსურ დაწესებულებებთან.

„თიბისი ლიზინგი“ ლიკვიდობის რისკის, მათ შორის ლიკვიდური აქტივების და ფულადი ნაკადების შეფასების რამდენიმე მეთოდს იყენებს. როგორც ინდივიდუალური, ისე კომბინირებული შეფასებები უზრუნველყოფს იმას, რომ ფულადი შემოდინებები შესაბამისობაში იყოს გადინებებთან მოკლე, საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში, ფინანსური საქმიანობიდან, მაგალითად, ლიზინგის ხელშეკრულების დაფარვიდან მიღებული რესურსებისა და ხელმისაწვდომი დაფინანსების გათვალისწინებით. ლიკვიდური აქტივების შემთხვევაში, კომპანია ყურადღებას ამახვილებს იოლად ხელმისაწვდომ ბალანსის მუხლებზე, რომელთა სწრაფად ლიკვიდირება არის შესაძლებელი, როგორიცაა ვადიანი ანაბრები, დეპოზიტური ხელშეკრულებები და ბანკებში განთავსებული სხვა ინსტრუმენტები.

კომპანია ატარებს ლიკვიდობის სტრესული მდგომარეობის ტესტს შიდა ინსტიტუციურ და გარემო ფაქტორებზე დაყრდნობით. ეს მოიცავს ფულადი ნაკადების მთავარი განმაპირობებელი ფაქტორებისა და ბიზნესის ზოგადი გარემოს გაანალიზებას, პროგნოზების გამოყენებას სტრატეგიული ალტერნატივების დასადგენად მსუბუქი, სისტემური და ძლიერი ზეგავლენების პასუხად. ამასთან „თიბისი ლიზინგი“ ატარებს ლიკვიდობის ტესტირებას მომსახურების ან დაფინანსების საჭიროებების ცვალებადობასთან, ასევე სეზონური მოთხოვნის მერყეობასთან მიმართებით გარკვეული სალიზინგო პროდუქტებისთვის.

სხვაობების ანალიზთან ერთად, კომპანია მონიტორინგს უწევს რისკის შესაბამისობას 3 თვიდან 1 წლამდე პერიოდში ისეთი ფინანსური ინდიკატორების გამოყენებით, როგორიც არის – ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი, მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი და წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი.

„თიბისი ლიზინგის“ პორტფელის საშუალო დაფარვის ვადაა 48 თვე, რაც უზრუნველყოფს დადებით ლიკვიდობას მოკლე და საშუალო ვადებში. 72-120 თვის ვადის მქონე ახალი პროდუქტების დანერგვამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა გრძელვადიანი აქტივების ლიკვიდობა.

არსებული და პროგნოზირებული სცენარებისთვის ლიკვიდობის კოეფიციენტები ანგარიშის სახით წარედგინება კომპანიის ხელმძღვანელობას, სამეთვალყურეო საბჭოს, მშობელ საწარმოს და კრედიტორებს. „თიბისი ლიზინგი“ როგორც წესი, ზღუდავს ნაღდი ფულის დონეებს, რომ მაქსიმალურად გაზარდოს მომგებიანობა და უზრუნველყოს ეფექტური უკუგება აქტივებზე. თუმცა, გაუთვალისწინებელი გარემოებების შემთხვევაში, ლიკვიდობის კრიზისის რისკის შესამცირებლად, ხელმძღვანელობა ინარჩუნებს ლიკვიდობის მაღალ დონეს, მთლიანი აქტივების დაახლოებით 10-12%-ის ოდენობით. ძირითადი მაჩვენებლები გვიჩვენებს, რომ ამ მიდგომას მხოლოდ მინიმალური უარყოფითი გავლენა აქვს კომპანიის ფინანსურ სიმტკიცესა და მომგებიანობაზე. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში, ლიკვიდობის დონე ნარჩუნდება მთლიანი აქტივების დაახლოებით 3-5%-ის ოდენობით.

ჩვენ მიერ რისკის გულდასმით შეფასება, ფულადი ნაკადების დეტალური პროგნოზირება და დივერსიფიცირებული საინვესტიციო სტრატეგია კომპანიას გრძელვადიანი ორგანიზაციული და ფინანსური მიზნების მიღწევაში ეხმარება.

კაპიტალის რისკი

კომპანიას აქვს კაპიტალის რისკი, რაც ნიშნავს იმას, რომ კაპიტალის ადეკვატურობის მინიმალური მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობამ, შესაძლოა განაპირობოს „დეფოლტის შემთხვევა“, რაც პოტენციურად გამოიწვევს იმას, რომ კრედიტორები მოითხოვენ არსებული სესხების ვადაზე ადრე დაფარვას.

ლიზინგი საქართველოში არ არის რეგულირებული დარგი და შესაბამისად სალიზინგო კომპანიები არ ექვემდებარებიან ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული მინიმალური საზედამხედველო კაპიტალის მოთხოვნებს. ზოგადად, სალიზინგო ბიზნესს ახასიათებს ჭარბვალიანობა და კაპიტალიზაციის დაბალი დონე. მიუხედავად ამისა, კომპანია ექვემდებარება კაპიტალის ადეკვატურობის მინიმალურ მოთხოვნებს როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო კრედიტორებისგან, რომელთაგან ყველაზე მაღალია 9% პირველადი კაპიტალისთვის და 18% პირველადი და მეორადი კაპიტალისთვის. ვინაიდან კომპანიის პორტფელის 72% გამოხატულია უცხოურ ვალუტაში, არსებობს იმის რისკი, რომ ქართული ლარის სწრაფმა გაუფასურებამ კომპანიას დაარღვევინოს ეს ლიმიტები. ამ რისკის შესამცირებლად კომპანიას აქვს კაპიტალის ბუფერები, რომ გაუძლოს ვალუტის გაუფასურების პოტენციურ ზეგავლენას. სტრესული მდგომარეობის ტესტის ანალიზი მიანიშნებს იმაზე, რომ ლარის 10%-ით გაუფასურება გამოიწვევდა კაპიტალის ადეკვატურობის ლიმიტის შემცირებას 1.01 პროცენტული პუნქტით.

კომპანია მუდმივად ატარებს სტრესულ და მგრძნობელობის ანალიზებს, რომ პროაქტიულად გამოავლინოს პოტენციური რისკები და უზრუნველყოს ადეკვატური კაპიტალის ბუფერების დადგენა. კაპიტალის ადეკვატურობის მონიტორინგი ყოველდღიურად ხდება და კომპანიის ხელმძღვანელობა ცდილობს შეინარჩუნოს კაპიტალის სათანადო დონე, რათა უზრუნველყოფს ბიზნესის შეუფერხებელი ფუნქციონირება და დააკმაყოფილოს კრედიტორთა მოთხოვნები.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიქმნება საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვალებადობისგან, რამაც შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე. ეს რისკი შეიძლება განაპირობოს შეუსაბამობებმა აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის პროფილებს შორის, ასევე ამ ფინანსური ინსტრუმენტების გადაფასების მახასიათებლებმა.

„თიბისი ლიზინგი“ თავის კლიენტებს სთავაზობს როგორც ცვალებადი, ისე ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე პროდუქტებს. ლარში გამოხატული ხელშეკრულებები, ცვლადი საპროცენტო განაკვეთით, მიბმულია თბილისის ბანკთაშორისი საპროცენტო განაკვეთთან, ხოლო უცხოურ ვალუტებში, მაგალითად აშშ დოლარსა და ევროში, გამოხატული ლიზინგები იყენებს ექვსთვიან SOFR-ისა და EURIBOR-ის განაკვეთებს, შესაბამისად.

ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის ლიზინგები კომპანიის მიერ მოზიდულ ცვლადგანაკვეთიან სასესხო ვალდებულებებს შეესაბამება, კერძოდ კომპანიის მიერ მოზიდული ცვლადგანაკვეთიანი სესხებით ფინანსდება ცვლადგანაკვეთიანი ლიზინგები. შედეგად, მიიღწევა სამართლიანი თანაფარდობა: ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი იცვლება დაფინანსების ხარჯების შესაბამისად, ასევე საბაზრო განაკვეთის შემცირების შესაბამისად მომხმარებლებს სალიზინგო გადასახადები უმცირდებათ. ამ მიდგომის წყალობით კომპანიას საშუალება მიეცა გაეუმჯობესებინა თავისი შეფასების ძირითადი ინდიკატორები.

საპროცენტო განაკვეთებს შორის სხვაობის ანალიზი მოთხოვნების და ვალდებულებების დაფარვის ვადების შეფასებას ეფუძნება. კომპანიის მიზანია შეინარჩუნოს მომგებიანობის სტანდარტული მრუდი, რაც გრძელვადიანი და მოკლევადიანი კომპონენტების ჰეჯირებით მიიღწევა. საპროცენტო განაკვეთის რისკი ძირითადად იმართება ორი საზომის გამოყენებით: კაპიტალის ეკონომიკური ღირებულება და წმინდა საპროცენტო შემოსავალი, რომელთაგან ორივეს ყოველთვიური რეგულარული მონიტორინგი ხდება.

სავალუტო რისკი

„თიბისი ლიზინგი“ ფლობს აქტივებს და ვალდებულებებს, რომლებიც უცხოურ ვალუტაშია გამოხატული, ამრიგად, იგი ფუნქციონირებს ცვალებადი სავალუტო კურსის ბაზარზე. სავალუტო კურსების ცვლილებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს კომპანიის უცხოურ ვალუტაში გაცხადებულ აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე. სავალუტო რისკები წარმოიშობა უცხოური აქტივების და ვალდებულებების შეუსაბამო პოზიციიდან, რის შედეგადაც უცაბედმა მერყეობამ და არასტაბილურობამ შესაძლოა წარმოშვას რისკი და გამოიწვიოს მნიშვნელოვანი მომგებიანობის გაუარესება. ამის აღსაკვეთად რისკის დასაშვები დონის დაცვით რისკის მართვა ყოველდღიურად ხორციელდება.

იმის გამო, რომ „თიბისი ლიზინგს“ სავალუტო რისკები აქვს, მათი გავლენის სამართავად მას დანერგილი აქვს კორპორაციული პოლიტიკა და პროცედურები. პოლიტიკის სწორად განსასაზღვრად და ადეკვატური ზომების მისაღებად მნიშვნელოვანი ეტაპია რისკების გამოვლენა და იდენტიფიცირება სწორ დროს, რადგან ფინანსური რისკების მართვა შეუძლებელია ამ რისკების გაზომვის შესაბამისი მეთოდოლოგიისა და პრაქტიკის გარეშე, რომელსაც კომპანიაში საფუძვლად ედება ყველა არსებული ფაქტი და მოსალოდნელი დაშვება.

ჩვენი მეთოდოლოგიის თანახმად, მთავარი საოპერაციო ვალუტების – ევროსა და აშშ დოლარის – ღია სავალუტო პოზიციების მონიტორინგი ინდივიდუალურად და კოლექტიურად ხორციელდება. პოზიციებთან დაკავშირებით გამოიყენება ადეკვატური შეზღუდვები და მათი შესრულების მაჩვენებლები კომპანიის ხელმძღვანელობის და გუნდის დონეებზე აღირიცხება.

კომპანიაზე სავალუტო რისკის გავლენის ხარისხს მაკონტროლებელი მხარეები აფასებენ ინდივიდუალური სავალუტო რისკის კოეფიციენტების, მთლიანი სავალუტო რისკის კოეფიციენტების და ღია სავალუტო პოზიციის კოეფიციენტების გათვალისწინებით. კომპანია თავის სავალუტო რისკს ზღუდავს თავისი მთლიანი კაპიტალის საფუძველზე, აგრეგირებული ღია სავალუტო პოზიციისთვის მაქსიმალური რეზერვის 10%-ის ოდენობით განსაზღვრის გზით. ამასთან, კომპანიის ღია სავალუტო პოზიციის ლიმიტები იმართება სხვადასხვა დონეზე: ყველაზე მკაცრი ლიმიტი წესდება ხაზინის მმართველის დონეზე, ხოლო ყველაზე ლმობიერი ლიმიტი – გენერალური დირექტორის დონეზე.

არასტაბილურობამ ყოველდღიურ საქმიანობაში და ვალუტების მერყეობამ შესაძლოა გამოიწვიოს ზარალი, თუმცა მისი აღმოფხვრა შესაძლებელია სავალუტო რისკის მართვის და მოლოდინების და ჰეჯირების შეფასების გზით. კომპანიის მიზანია დახურული პოზიციის შენარჩუნება, 0%-თან ახლოს, რისთვისაც ის კონკრეტულ ფინანსურ ინსტრუმენტებს იყენებს. ჰეჯირების ოპერაციები კომპანიის ჰეჯირებისა და რისკის მართვის სტრატეგიისა და პოლიტიკების მიხედვით ხორციელდება და ის გულისხმობს ფორვარდული ოპერაციების, სვოპ-ხელშეკრულებების, სპოტ-კონვერტაციებისა და საქართველოს სავალუტო ბაზარზე ხელმისაწვდომი სხვა ფინანსური პროდუქტების გამოყენებას. ფინანსური საქმიანობა, სალიზინგო პორტფელის ცვლილება და მოზიდული უცხოური ინვესტიცია შესაძლოა ჰეჯირების საგანი იყოს მეორე მხარესთან შესაბამის ურთიერთობაში შესვლის მომენტიდან.

შედეგად, დახურული სავალუტო პოზიცია კომპანიას არასასურველი მერყეობებისგან იცავს და ეხმარება მას პოტენციური დანაკარგების თავიდან აცილებაში ლარის გაუფასურების ან გამყარების დროს.

2024 წელს „თიბისი ლიზინგმა“ შეინარჩუნა ჰეჯირების პოზიცია სავალუტო რისკების ჰეჯირებისთვის, თავისი მთლიანი საკუთარი კაპიტალის საშუალოდ 2%-ის ფარგლებში მერყევი აგრეგირებული ღია სავალუტო პოზიციით.

არაფინანსური რისკის მართვა

საოპერაციო რისკის მართვა

კომპანიის წინაშე არსებული რისკებიდან ერთ-ერთი მთავარია საოპერაციო რისკი, რომელიც არის შიდა და გარე თაღლითობის შემთხვევების, არაადეკვატური პროცესების ან პროდუქტების, ბიზნესის დესტაბილიზაციის და სისტემის გაუმართაობის, ადამიანური შეცდომების ან აქტივების დაზიანების რისკი. საოპერაციო რისკი ასევე მოიცავს იურიდიული, რეპუტაციული, შესაბამისობის ან კიბერუსაფრთხოების რისკებით გამოწვეულ ზიანს.

კომპანიას აქვს სხვადასხვა სახის საოპერაციო რისკი, რომელთა შორისაცაა: თაღლითობა და სხვა შიდა თუ გარე კრიმინალური ქმედებები; პროცესების, კონტროლის ან პროცედურების დარღვევა; სისტემების შეფერხებები ან გარე მხარისაგან კიბერშეტევები მიზნობრივი მომხმარებლებისთვის მომსახურების ან დამხმარე ინფრასტრუქტურის ხელმიუწვდომლობის მიზნით, რაც, თავის მხრივ, საფრთხის ქვეშ აყენებს დაცულ ინფორმაციასა და ფინანსურ ოპერაციებს.

გარდა ამისა, კომპანია გასწევს ისეთ რისკებს, რომლებიც იწვევენ კრიტიკული ფუნქციების მქონე სისტემების ან ბიზნესის შეფერხებას ისეთი მოვლენების შედეგად, რომლებიც მის კონტროლს საერთოდ ან ნაწილობრივ არ ექვემდებარება. ამგვარი მოვლენებია: ბუნებრივი კატასტროფები, სატრანსპორტო ან კომუნალური მომსახურების შეფერხება და სხვა, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ზარალი ან მომხმარებელთა მომსახურების შენელება ან წყვეტა და/ან ეკონომიკური ზარალი.

ზემოთ განხილული საოპერაციო რისკები ვრცელდება ისეთ სიტუაციებზეც, როდესაც კომპანია მომსახურებას გარე მომწოდებლებისგან იღებს. სწრაფად ცვალებადი გარემოს, ასევე ფინანსური მომსახურების და პოტენციურ თაღლითობათა სირთულის გათვალისწინებით, იზრდება პროცესების, კონტროლის, პროცედურებისა და სისტემების მუდმივად გაუმჯობესების მნიშვნელობა, რათა თავიდან იქნეს აცილებული რისკი ან შემცირდეს კომპანიის მიერ ზარალის მიღების რისკი. რისკებისა და კონტროლის თვითშეფასების მნიშვნელოვანი მექანიზმი (RCSA), რომელიც მიმართულია ოპერაციებსა და პროცესებში პოტენციური გადახრების იდენტიფიცირებაზე შესაბამისი დაცვის საშუალებების შესათავაზებლად, რაც მოიცავს, როგორც პროცესების და პროცედურების სრულყოფას, ისე სადაზღვევო კომპანიებთან თანამშრომლობას რისკების გადაცემისთვის.

ჩვენი კომპანია აქტიურად ახდენს თავისი რისკის აპეტიტის მონიტორინგს, რათა უზრუნველყოს შესაბამისობა სტრატეგიულ მიზნებთან და ერთმანეთთან დააბალანსოს შესაძლებლობები და რისკის მოცულობები. ჩვენ ვქმნით და ვახორციელებთ სატესტო შემთხვევებს, რათა შევაფასოთ საოპერაციო რისკის კონტროლების ეფექტურობა და განვსაზღვროთ ნაკლოვანებები და გასაუმჯობესებელი ასპექტები. გარდა ამისა, ჩვენ ვმართავთ შიდა კონტროლის ინსტრუმენტების პაკეტს, რომელთა მიზანია რისკის მართვის პროცესების დახვეწა, შესაბამისობის გაუმჯობესება, პროაქტიული გადაწყვეტილების მიღების მხარდაჭერა, მედეგობისა და ოპერაციების წარმატების ხელშეწყობა.

საოპერაციო რისკის შემთხვევის იდენტიფიცირების ანგარიშგება ხდება მშობელი კომპანიის დონეზე, რის შემდეგაც ტარდება სისტემური ანალიზი და მიიღება აღმომფხვრელი და პრევენციული ზომები.

გარემოსდაცვითი და სოციალური რისკის მართვის სისტემა (ESMS)

ჩვენი კომპანია აღიარებს გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის (ESG) რისკების მზარდ მნიშვნელობას დღევანდელი ბიზნესგარემოსთვის. გარემოსდაცვითი რისკები მოიცავს ისეთ გამოწვევებს, როგორიცაა კლიმატის ცვლილება, რესურსების ამოწურვა, და გარემოსდაცვითი შესაბამისობა, რომლებმაც შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს ოპერაციებსა და რეპუტაციაზე. სოციალური რისკები მოიცავს შრომით პრაქტიკას, მრავალფეროვნებასა და ინკლუზიას, ადამიანის უფლებებს და საზოგადოებასთან ურთიერთობებს, რაც აისახება დაინტერესებული მხარეების ნდობაზე და სამუშაო ძალის განწყობაზე. მმართველობის რისკებს განაპირობებს ისეთი საკითხები, როგორიცაა ეთიკური ქცევა, გამჭვირვალობა, რეგულატორული შესაბამისობა და საბჭოს ეფექტურობა, რაც გავლენას ახდენს ორგანიზაციის კეთილსინდისიერებასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესზე. ჩვენ ESG რისკის შეფასებები შეტანილი გვაქვს უფრო ფართო რისკის მართვის ჩარჩოში და უზრუნველვყოფთ, რომ ეს ფაქტორები იყო გაკონტროლებული, შემცირებული და შესაბამისობაში მოყვანილი ჩვენს კორპორაციულ ღირებულებებთან. ამით ჩვენ მიზნად ვისახავთ, გავამართლოთ დაინტერესებულ მხარეთა მოლოდინები, შევინარჩუნოთ რეგულატორული შესაბამისობა და წვლილი შევიტანოთ მდგრად განვითარებაში, და ამავდროულად შევამციროთ ESG-სთან დაკავშირებული პოტენციური შეფერხებები.

ჩვენი გარემოსდაცვითი პოლიტიკა შემუშავებულია „თიბისი ჯგუფის“ საუკეთესო პრაქტიკის საფუძველზე და უზრუნველყოფს ჩვენს შესაბამისობას გარემოსდაცვით, ჯანდაცვის, უსაფრთხოების და შრომის მოქმედ რეგულაციებთან და საუკეთესო პრაქტიკის განხორციელებას, ასევე სათანადო ზომების მიღებას იმისათვის, რომ ჩვენი მომხმარებლები ასრულებდნენ გარემოსდაცვით და სოციალურ პასუხისმგებლობებს. ჩვენი გარემოსდაცვითი პოლიტიკა სრულ შესაბამისობაშია საქართველოს გარემოსდაცვით კანონმდებლობასთან, მათ შორის, „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონთან და საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკასთან. სრული პოლიტიკა ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: www.tbcleasing.ge

გარემოსდაცვითი და სოციალური რისკის მართვის ფუნქციები გადანაწილებულია სამეწარმეო რისკის მართვის განყოფილებასა და საკრედიტო რისკის განყოფილებას შორის. ორივე სტრუქტურული ერთეული

ანგარიშვალდებულია კომპანიის რისკის დირექტორის წინაშე. „თიბისი ლიზინგის“ რისკის და კომერციული მიმართულებების გუნდები ყოველწლიურად გადიან „თიბისი ბანკის“ გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვის გუნდის მიერ ჩატარებულ ინტენსიურ ტრენინგს. ტრენინგი მოიცავს გარემოსდაცვით და სოციალურ რისკებს, მათი მართვის გზებს და ამ პროცესში დაგროვილ პრაქტიკულ გამოცდილებას.

ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლა (AML)

კომპანიას აქვს ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსებისგან დაცვის (ALM/CTF) მაღალი სტანდარტები და თავისი ყველა თანამშრომლისა და ხელმძღვანელი პირისგან მოითხოვს ამ სტანდარტების დაცვას, „თიბისი ლიზინგის“ პროდუქტების და მომსახურებების ფულის გათეთრების/ტერორიზმის დაფინანსების შემთხვევებისგან დასაცავად. კომპანიის ALM/CTF პროგრამა მოქმედ სამართლებრივ და მარეგულირებელ მოთხოვნებს ეფუძნება, რომლებიც შეესაბამება დანაშაულებრივი გზით მოპოვებულ შემოსავალთან ბრძოლის საერთაშორისო ორგანიზაციის (FATF) რეკომენდაციებს, ევროკავშირის რეგულაციებს და საუკეთესო პრაქტიკებს. კომპანიას დანერგილი აქვს შიდა პოლიტიკები, პროცედურები და დეტალური ინსტრუქციები, რომელთა მიზანია არ დაუშვას კომპანიის გამოყენება ან ჩართვა ფულის გათეთრებაში, ტერორიზმის დაფინანსებაში ან სხვა უკანონო ქმედებებში, როგორიცაა ქრთამი, კორუფცია ან გადასახადებისგან თავის არიდება.

კომპანიის AML/CTF შესაბამისობის პროგრამა მოიცავს წერილობით პოლიტიკას, პროცედურებს, შიდა კონტროლის მექანიზმებს და სისტემებს, მათ შორის, შეუზღუდავად: პოლიტიკას და პროცედურებს AML კანონებთან და რეგულაციებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის; „იცნობდე შენს კლიენტს“ (KYC) პრევენციულ ზომებს (მომხმარებლის კომპლექსური შემოწმების პროცედურა); მომხმარებლების იდენტიფიცირებისა და ვერიფიკაციის წესებს; მომხმარებლების რისკების კლასიფიცირებას და რისკების კატეგორიებს; მომხმარებლის შემოწმებას ტერორისტების და განსაკუთრებული კატეგორიის და აკრძალულ პირთა ოფიციალურ სიებში, ასევე ფინანსური და სხვა სანქციების სიებში; კომპანიის მომხმარებლების გარიგებების/ტრანზაქციების და საეჭვო საქმიანობების მონიტორინგის და ანგარიშგების პროცედურებს; პერსონალის რეგულარულ ტრენინგს და ცნობადობის ამაღლებას.

დამატებითი დაცვის სახით, იურიდიული განყოფილება, რომელიც AML-ის და შესაბამისობის ფუნქციებს ასრულებს, უზრუნველყოფს რისკების მართვას კომპანიის მიერ განსაზღვრული რისკის აპეტიტის შესაბამისად და ხელს უწყობს რისკის ძლიერი კულტურის განვითარებას ორგანიზაციის მასშტაბით.

კომპანიას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს თავისი AML/CFT ჩარჩო პოლიტიკა, რომელიც სრულად შეესაბამება როგორც ქართულ, ისე – საერთაშორისო სამართლებრივ მოთხოვნებს და რეგულაციებს. ახალი რეგულაცია აფართოებს პოლიტიკურად აქტიური პირის (PEP) მნიშვნელობას და დამატებით მოთხოვნებს აწესებს KYC პრევენციულ ღონისძიებებზე.

იურიდიული რისკი

კომპანიის იურიდიული განყოფილება პასუხისმგებელია ყოველგვარი იურიდიული ვალდებულების და შესაბამისობის საკითხის მართვაზე, რომელიც წარმოიშობა კომპანიაში იურიდიული რისკების შედეგად. მისი მიზნებია:

- იურიდიული რისკების განსაზღვრა. ბიზნესგეგმებთან და ინიციატივებთან დაკავშირებული იურიდიული რისკების გაანალიზება, შესაბამისობის და ვალდებულების რისკების , ასევე ბიზნესგადაწყვეტილებებთან დაკავშირებული რისკების ჩათვლით.
- იურიდიული რისკების კალიბრაცია. კომპანიის წინაშე მდგომი რისკების შეფასება და კალიბრაცია, შესაბამისობის გუნდთან ერთად, მარეგულირებლის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად და კომპანიის რისკისადმი ტოლერანტობის და რისკის დასაშვები დონის დადგენა.
- იურიდიული რისკების მართვა. სტრატეგიების, გეგმების, პროცესების და პოლიტიკის შემუშავება და იურიდიული და სხვა საჭირო რესურსების უზრუნველყოფა მათ განსახორციელებლად.

იურიდიული განყოფილება ამ ამოცანების შესრულებას ცდილობს ფართო სპექტრის იურიდიული მომსახურების გაწევით: (i) ურთიერთობა შიდა და გარე კლიენტებთან, ასევე გარე იურისტებთან, სახელმწიფო ორგანოებთან და მარეგულირებელ უწყებებთან; (ii) შენიშვნების და დასკვნების გაცემა; (iii) სტანდარტული და სპეციფიკური ხასიათის ხელშეკრულებების შედგენა; (iv) კორპორაციული მართვის საკითხებზე პასუხისმგებლობის აღება; (v) მარეგულირებელ გარემოში მომხდარი განახლებების გაცნობა და (vi) კომპანიის წარმოდგენა სასამართლოებში, დავების განხილვის სხვა დაწესებულებებში და მესამე პირების წინაშე.

სხვადასხვა ცოდნის და გამოცდილების მქონე იურისტებისგან შემდგარი იურიდიული გუნდი შემდეგი განყოფილებებისგან შედგება: იურიდიული მხარდაჭერა და ადმინისტრირება; ლიზინგის ხელშეკრულებების მართვის ჯგუფი; ინვესტორებთან ურთიერთობები / ტრანსსასაზღვრო ტრანზაქციები; კორპორაციული მართვა და AML / შესაბამისობა. თითოეული განყოფილება მოქმედებს მკაფიო და კონკრეტული თანამდებობრივი ინსტრუქციების ფარგლებში, თავისი წევრების ცოდნის, უნარების და შესაძლებლობების გათვალისწინებით. განყოფილება უზრუნველყოფს თავისი მოვალეობების ეფექტურ განხორციელებას სხვადასხვა პროცესებით და პროცედურებით.

იურიდიული განყოფილება ასრულებს შესაბამისობის ფუნქციებს კომპანიაში, რათა უზრუნველყოს შესაბამისობის პროგრამის ეფექტური განხორციელება, რისთვისაც: (i) ეხმარება კომპანიას საკანონმდებლო და მარეგულირებელ გარემოში შესული ცვლილებების გაგებაში, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მის ბიზნესმოდელსა და ოპერაციებზე, და (ii) ეხმარება კომპანიას თავისი ახალი პროექტების, პროდუქტების, სერვისების და გაფართოების

გეგმების საკანონმდებლო და მარეგულირებელ გარემოსთან შესაბამისობის შეფასებაში.

კომპანიის მთავარი იურისტი (იურიდიული განყოფილების უფროსი) მართავს იურიდიულ განყოფილებას და განსაზღვრავს ყველა იურიდიული გუნდის ძირითად ამოცანებს, პოლიტიკას და ხედვას და უზრუნველყოფს თანამშრომელთა მიერ თავიანთი მოვალეობების სათანადოდ შესრულებას. კომპანიის მთავარი იურისტი ანგარიშვალდებულია რისკის მართვის დირექტორის წინაშე იურიდიული რისკების განვითარების, მიტიგაციის სტრატეგიების და ეფექტური მართვის მიმართულებით.

თანამშრომლებთან დაკავშირებული რისკი

ქცევის რისკი

ქცევის რისკი განიმარტება, როგორც ობიექტური შედეგების მიწოდების რისკი მომხმარებლებისა და სხვა დაინტერესებული პირებისათვის. „თიბისი ლიზინგის“ ქცევის კოდექსში განსაზღვრულია მაღალი ეთიკური სტანდარტები და ის ვრცელდება ყველა თანამშრომელზე.

ჩვენი თანამშრომლები ზედმიწევნით ასრულებენ მათზე დაკისრებულ პასუხისმგებლობებს. კომპანიის რეპუტაციის დასაცავად და მისი ოპერაციების შეუფერხებლად შესასრულებლად, თანამშრომლების ქცევა უნდა ხასიათდებოდეს სანდოობით, ერთგულებით, წინდახედულობით და სიფრთხილით.

კომპანიის ხელმძღვანელობა აცნობიერებს, რომ ის ანგარიშვალდებულია ადგილობრივი და საერთაშორისო ინვესტორების წინაშე და ამიტომ საჭიროებს წესების და მექანიზმების შემუშავებას მომხმარებლების დასაცავად, ინვესტორის და ფინანსური ბაზრის ნდობის შესანარჩუნებლად. კომპანიის დირექტორები ნერგავენ სწორად ქცევის პრინციპებს და ამ მიმართულებით აქვთ აქტიური კომუნიკაცია თანამშრომლებთან.

„თიბისი ლიზინგის“ სამეწარმეო რისკის დეპარტამენტი, საოპერაციო განყოფილება და HR განყოფილება ერთად მუშაობენ ქცევის რისკის გაერთიანებული ჩარჩოს შესაქმნელად და ბიზნეს-მიმართულებების და სხვა განყოფილებების დასახმარებლად:

- პოლიტიკებისა და პროცედურების დანერგვასა და მართვაში, რათა უზრუნველყოფილ იქნეს შესაბამისი განყოფილებებისა და ინდივიდუალური თანამშრომლების მიერ მარეგულირებელი დებულებების, ქცევის კოდექსის, ეთიკის კოდექსისა და კომპანიის წესების დაცვა.
- თანამშრომლების მიერ მომხმარებლებისთვის პროდუქტის შესახებ მიწოდებული ინფორმაცია უნდა იყოს ზუსტი და სრული, ეს ინფორმაცია მიეწოდოს მარტივ და გასარკვევ ენაზე (როგორც წერილობითი, ისე ზეპირი ფორმით), მომხმარებლის ტიპის შესაბამისად.
- მნიშვნელოვანია ამგვარი საუბრების და ელექტრონული ფოსტით კომუნიკაციის წარმოება კლიენტებთან და გაყიდვებთან დაკავშირებული ინფორმაციის აღრიცხვა, მათ შორის ინფორმაციისა მომხმარებლების მოზიდვის და არსებული და პოტენციური კლიენტებისთვის კომპლექსური პროდუქტების შეთავაზების შესახებ.
- ახალი თანამშრომლებისთვის შესაბამისი ქცევის შესახებ შესავალი ტრენინგის დროულად ჩატარება. მნიშვნელოვანია თანამშრომლებს პერიოდულად ჩაუტარდეთ ტრენინგი შესაბამისი შემუშავებული და განახლებული სტანდარტების შესახებ.
- ჯანსაღი კორპორაციული კულტურის შექმნა, რომელიც ხელს უწყობს თანამშრომელთა გახსნილობას და მათ აზრის გულწრფელად გამოხატვის საშუალებას აძლევს. კონკრეტულად ეს ნიშნავს პროცესების დანერგვას ინტერესთა კონფლიქტის პრევენციისა და აღმოჩენისათვის, ეთიკური ინიციატივების და ბონუსების ფორმულების შექმნას, და მოტივირებისა და დისციპლინური პრაქტიკების მიღებას.
- ზემოაღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს, რომ ქცევის რისკის მართვა მხოლოდ რისკის მართვის ქვედანაყოფებით არ შემოიფარგლებოდეს, არამედ სრულად მოიცავდეს გაყიდვების განყოფილებებს, ამასთან სრულად ახდენდეს სათანადო ქცევის ინტეგრირებას მუშაობისათვის საჭირო უნარ-ჩვევებში. ქცევის რისკის მართვის მიზნით, ჩვენ მონიტორინგს ვუწევთ თანამშრომლებს შორის აზარტული თამაშის შემთხვევებს: კვარტალში ერთხელ, თანამშრომლების თანხმობით, ვამოწმებთ მათ საბანკო ანგარიშებს შესაძლო აზარტული თამაშის მონიტორინგის მიზნით. მსგავსი შემთხვევის აღმოჩენის დროს, ვიღებ პრევენციულ ზომებს, რომ არ დავუშვათ ამის გამეორება. ჩვენ დავნერგეთ ინციდენტების მართვის პოლიტიკა, რომლის მეშვეობითაც თანამშრომლებს შეუძლიათ სამუშაო ადგილზე მომხდარი ინციდენტების, მაგალითად, შევიწროების, თაღლითობის, დისციპლინარული დარღვევის და სხვ. ანონიმურად შეტყობინება. ამ პოლიტიკის მიზანია ჯანსაღი სამუშაო გარემოს შექმნა და ეთიკური ქცევის წახალისება.





თავი

8

ნათია ყახნდორ

...

მართვა

ხელვაჩაური

კორპორაციული მართვა

სააქციო საზოგადოება „თიბისი ლიზინგს“ („კომპანია“ ან „თიბისი ლიზინგი“) გაცნობიერებული აქვს კორპორაციული მართვის ჯანსაღი პრაქტიკის მნიშვნელობა და იცავს კორპორაციული მართვის მაღალ სტანდარტებს.

თიბისი ლიზინგის კორპორაციული მართვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით, მათ შორის, კომპანიის კორპორაციული მართვა შესაბამისობაშია საქართველოს ეროვნული ბანკის 2021 წლის 07 დეკემბრის N172/04 ბრძანებით დამტკიცებულ „საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტებისათვის კორპორაციული მართვის კოდექსთან“(„კოდექსი“). რამდენადაც კომპანია წარმოადგენს საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტ პირს, მასზე ვრცელდება კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნები. კომპანია სრული პასუხისმგებლობით იზიარებს კოდექსით გათვალისწინებულ ვალდებულებებს გამართული კორპორაციული მართვის ჩარჩოს უზრუნველყოფის თაობაზე პარტნიორთა და ინვესტორების უფლებების დაცვის მიზნით და შესაბამისი გულისყურით ეკიდება მმართველი ორგანოების დაკომპლექტების საკითხს, ისევე როგორც სათანადო პოლიტიკებისა და პროცედურების შემუშავების საჭიროებას.

კომპანიის კორპორაციული მართვის მოდელი

„თიბისი ლიზინგი“ არის საქართველოში უმსხვილესი კომერციული ბანკის – სს „თიბისი ბანკის“ – ყველაზე დიდი შვილობილი საწარმო, ხოლო „თიბისი ბანკი“, თავის მხრივ, არის ლონდონში რეგისტრირებული და ლონდონის საფონდო ბირჟის პრემიუმ სეგმენტში განთავსებული კომპანიის – TBC Bank Group PLC-ის შვილობილი საწარმო.

კომპანიის კორპორაციული მართვის სისტემა, ისევე როგორც სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა უნარების და გამოცდილების ფართო სპექტრი, გარანტორია გადაწყვეტილების მიღების პროცესში მათი დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და კეთილსინდისიერების.

კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად კომპანიაში დაცულია სამეთვალყურეო საბჭოსთან და მის კომიტეტებთან დაკავშირებულ ისეთ საკითხები, როგორიცაა გენდერული ბალანსი სამეთვალყურეო საბჭოში, წევრების რაოდენობა, მათი დამოუკიდებლობა, კვალიფიკაციები, პასუხისმგებლობა და უფლებამოსილების დელეგირება, ასევე აღმასრულებელი ორგანოს, რისკის მართვისა და შიდა კონტროლის მიმართულებების შემადგენლობა და მათი წევრების კომპეტენცია.

კომპანიის მთავარი გადაწყვეტილების მიმღები ორგანოებია აქციონერთა საერთო კრება, სამეთვალყურეო საბჭო, ხელმძღვანელი ორგანო, რომელსაც უძღვება დირექტორი (მართვის დუალისტური სისტემა). მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი წევრები არ ფლობენ კომპანიის აქციებს. კომპანიის წესდება ორიენტირებულია სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორის ფუნქციების იმგვარად დანაწილებაზე, რომ გამართული იყოს მართვის და ეფექტიანი გადაწყვეტილების მიღების პროცესი.

კომპანია აღიარებს მრავალფეროვნების უზრუნველყოფის მნიშვნელობას და თავისი ბიზნესისთვის დიდად სასარგებლოდ მიიჩნევს ისეთი სამეთვალყურეო საბჭოს და ხელმძღვანელი ორგანოს ყოლას, რომელიც ერთმანეთისგან განსხვავებული პირებისგან არის დაკომპლექტებული, ვინაიდან მათი ფასდაუდებელი გამოცდილება, კომპეტენცია, კულტურული მრავალფეროვნება და განსხვავებული თვალთახედვა შეხვედრებზე, რომელიც ხელს უწყობს გადაწყვეტილებების მიღების ეფექტურობას. წამყვან პოზიციებზე არაერთი ნიჭიერი ქალია, რომლებიც ხელმძღვანელი ორგანოს წინაშე არიან ანგარიშვალდებულები. 2024 წლის 31 დეკემბრისთვის ქალები კომპანიის საშუალო რგოლის ხელმძღვანელების 47%-ს, ხოლო კომპანიაში დასაქმებული მთლიანი სამუშაო ძალის 57%-ს შეადგენდნენ.

კომპანიის უმაღლესი მმართველობითი ორგანო არის აქციონერთა საერთო კრება. საერთო კრება შეიძლება იყოს მორიგი ან რიგგარეშე. მორიგი კრებები ტარდება ყოველწლიურად წლიური ბალანსის შედგენიდან არაუგვიანეს ექვსი თვის განმავლობაში, მაგრამ ეკონომიკური წლის დასრულებიდან არაუგვიანეს სამ თვეში. ყველა სხვა შემთხვევაში ტარდება რიგგარეშე საერთო კრებები. აქციონერთა საერთო კრება გადაწყვეტილებებს იღებს აქციონერთა საერთო კრებისთვის საქართველოს კანონმდებლობითა და კომპანიის წესდებით მინიჭებული კომპეტენციით გათვალისწინებულ საკითხებზე.


სამეთვალყურეო საბჭო ასრულებს ხელმძღვანელი ორგანოს მიერ შესრულებული სამუშაოს ზედამხედველობის და კონტროლის ფუნქციას, თანამშრომლობს მასთან გარკვეულ საზღვრებში კომპანიისთვის მნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრის მოსამზადებლად, იღებს გადაწყვეტილებებს კანონმდებლობის, კომპანიის წესდების, კომპანიის შინაგანაწესის საფუძველზე; და პასუხისმგებლობას იღებს კოდექსით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე;

აუდიტის კომიტეტი, რომელიც შედგება სამი წევრისგან, შექმნილია სამეთვალყურეო საბჭოს მიერ და ანგარიშებს წარუდგენს სამეთვალყურეო საბჭოს წლიური და ნახევარწლიური ანგარიში დამტკიცების პერიოდულობით. საჭიროების შემთხვევაში, აუდიტის კომიტეტს შეუძლია მოითხოვოს ხელმძღვანელი ორგანოს, შიდა და გარე აუდიტორების და სხვა დაქირავებული პირების დასწრება სხდომებზე. აუდიტის კომიტეტს თავმჯდომარეობს სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, რომელიც არის დამოუკიდებელი პირი, რომელიც კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად არ შეიძლება იყოს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე და/ან სხვა კომიტეტის თავმჯდომარე.

ხელმძღვანელი ორგანო ახორციელებს კომპანიის სტრატეგიას, ქმნის ეფექტურ სისტემებს, პროცესებს და კონტროლის მექანიზმებს ფინანსური და არაფინანსური რისკის სამართავად, და ხელს უწყობს რისკების მართვის კულტურის ჩამოყალიბებას და დანერგვას. ხელმძღვანელი ორგანო კომპანიის ფარგლებში ეფექტურად ახორციელებს შესაბამისი ორგანოების მიერ დამტკიცებულ სხვადასხვა კორპორაციული მართვის პროცედურას და პოლიტიკას; ეს უკანასკნელი რეგულარულად წარუდგენს ინფორმაციას სამეთვალყურეო საბჭოს კომპანიის მნიშვნელოვანი საკითხებისა და პრობლემების შესახებ. ხელმძღვანელი ორგანო ასევე პასუხს აგებს კომპანიაში დასაქმებულთა შორის ფუნქცია-მოვალეობების სწორად გადანაწილებაზე და მართვის ეფექტური სტრუქტურისა და შიდა კონტროლის მექანიზმების შექმნაზე, რომელიც უზრუნველყოფს კომპანიაში ანგარიშვალდებულებას და გამჭვირვალობას.

კომპანიის დირექტორი შეუზღუდავად და ერთპიროვნულად ასრულებს კომპანიის მართვის ფუნქციებს. კომპანიის დირექტორის ერთპიროვნული წარმომადგენლობითი უფლებამოსილება მესამე მხარეების წინაშე შეუზღუდავია.

მმართველობა და კომპანიის ორგანიზაციული სტრუქტურა



აქციონერთა საერთო კრება

აქციონერთა უფლებები წარმოდგენილია კომპანიის წესდებაში და რეგულირდება „მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონით“. საერთო კრება შეიძლება იყოს მორიგი ან რიგგარეშე და მისი მოწვევა და ჩატარება ხდება კომპანიის წესდებაში მოცემული პროცედურების შესაბამისად, როგორც ამას ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობა.

კომპანიის დირექტორის პასუხისმგებლობაა საერთო კრების მოწვევა. თუ კომპანიის დირექტორი არ შეასრულებს თავის მოვალეობას და არ მოიწვევს საერთო კრებას, საერთო კრების მოწვევის ვალდებულება დაეკისრება სამეთვალყურეო საბჭოს.

საერთო კრების მოწვევის შესახებ გამოქვეყნებული ინფორმაცია უნდა მოიცავდეს მინიმუმ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მონაცემებს და საერთო კრების დღის წესრიგის მასალებს, რომლებიც მოიცავს ყოველგვარ ინფორმაციას, რაც საჭიროა გადაწყვეტილების მისაღებად. საერთო კრების მოწვევის წესდებით გათვალისწინებული პროცედურის დარღვევის შემთხვევაში, გადაწყვეტილების მიღება შესაძლებელია, თუ ყველა აქციონერი მიიღებს მონაწილეობას კრებაში და შეთანხმდება, რომ კრება შედგა და გადაწყვეტილება მიღებული იქნა. აქციონერისგან თანხმობა მიღებულად ჩაითვლება, თუ ის არ მოითხოვს, რომ კრება სხვა დროს ჩატარდეს კრების მოწვევის პროცედურის დარღვევის გამო.

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, კომპანიის ხელმძღვანელი ორგანო და სამეთვალყურეო საბჭო ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს საერთო კრების მუშაობაში;

აქციონერთა საერთო კრებას უძღვება სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე. თავმჯდომარის მოადგილის არყოფნის პერიოდში, მას თავმჯდომარეობს საერთო კრების არჩევით სამეთვალყურეო საბჭოს ერთ-ერთი წევრი ან კომპანიის დირექტორი.

აქციონერთა საერთო კრებას შეუძლია გადაწყვეტილებების მიღება, თუ მას ესწრება ხმის უფლების მქონე აქციონერების უმრავლესობა, გარდა ისეთი საკითხის განხილვისა, რაც წესდებით ან საქართველოს კანონმდებლობით საჭიროებს უფრო მეტი ხმის უფლების მქონე აქციონერთა დასწრებას. თუ საერთო კრება ვერ შეძლებს გადაწყვეტილების მიღებას, კრების მომწვევ პირს შეუძლია დამატებითი კრების მოწვევა იმავე პროცედურის დაცვით და იმავე დღის წესრიგით. თუ საქართველოს კანონმდებლობა სხვა რამეს არ ითვალისწინებს, მეორე კრებას შეუძლია გადაწყვეტილების მიღება, მიუხედავად იმისა, თუ რამდენი ხმის უფლების მქონე აქციონერი მიიღებს მასში მონაწილეობას. აქციონერთა საერთო კრება გადაწყვეტილებას იღებს კენჭისყრაში მონაწილე აქციონერთა ხმების უმრავლესობით, ხოლო ისეთ საკითხებზე, რომლის გადაწყვეტისათვის კანონმდებლობით დადგენილია აქციონერის ხმათა უფრო დიდი რაოდენობა, საკითხი გადაწყდება კანონით განსაზღვრული ქვორუმის შესაბამისად.

საერთო კრება გადაწყვეტილებებს იღებს საკითხებზე თავისი კომპეტენციის ფარგლებში, როგორც განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობისა და წესდების მიერ. საერთო კრებას უფლება არა აქვს მიიღოს გადაწყვეტილებები ისეთ საკითხებზე, რომლებიც განეკუთვნება სხვა მმართველობითი ორგანოების კომპეტენციას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს ორგანოები საერთო კრებას მიმართავენ მათი კომპეტენციის ფარგლებში არსებული საკითხების გადასაჭრელად.

თუ კომპანიას ერთი აქციონერი ჰყავს, ეს უკანასკნელი ახორციელებს საერთო კრების უფლებამოსილებას. უფლებამოსილების ფარგლებში გადაწყვეტილების მიღება ხდება წერილობით.

საერთო კრება განიხილავს და გადაწყვეტილებებს იღებს შემდეგ საკითხებზე:

- სამეთვალყურეო საბჭოს წევრების დანიშვნა, განთავისუფლება და ანაზღაურება;
- ხელმძღვანელი ორგანოსა და სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშების, მათ შორის, ფინანსური ანგარიშების დამტკიცება;
- მოგების (დივიდენდის) განაწილება ან განაწილებაზე უარის თქმა სამეთვალყურეო საბჭოსა და ხელმძღვანელი ორგანოს მიერ მომზადებული წინადადების შესაბამისად;
- სადამფუძნებლო შეთანხმებასა და წესდებაში ცვლილებების შეტანა, და წესდების ახალი რედაქციის დამტკიცება;
- აუდიტის განმახორციელებელი პირის შერჩევა, შეცვლა, დადებული ხელშეკრულებიდან გასვლა და აუდიტის ანგარიშის დამტკიცება;
- განთავსებული კაპიტალის ცვლილება, აქციების რაოდენობის, მათი ნომინალური ღირებულების, კლასებისა და დაკავშირებული უფლებების განსაზღვრა;
- კომპანიის სააქციო კაპიტალის ან მისი აქციების ან ფასიანი ქაღალდების შემცირება, რომლებიც იძლევა საზოგადოების სააქციო კაპიტალის შეძენის უფლებას (ოფციის, გარანტიისა და სხვა უფლებების ჩათვლით) კონვერტაციით, გაცვლით ან სხვაგვარად;;
- კომპანიის რეორგანიზაცია;
- კომპანიის ლიკვიდაცია, გადახდისუუნარობა, გაკოტრება, ქონების გადაცემა კრედიტორის სასარგებლოდ;
- სასამართლო პროცესში მონაწილეობა ხელმძღვანელი ორგანოს და სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრების წინააღმდეგ, მათ შორის წარმომადგენლის დანიშვნა აღნიშნული პროცესისთვის;
- გადაწყვეტილების მიღება ნებისმიერ სხვა საკითხზე, რომელიც საჭიროებს საერთო კრების თანხმობას საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით და რომლის დელეგირება სხვა მმართველობით ორგანოზე არ ხდება;

2024 წლის მორიგი საერთო კრება

კომპანიამ რიგითი საერთო კრება გამართა 2024 წლის 4 ნოემბერს, რომელზეც გადაწყვეტილება იქნა მიღებული შემდეგი საკითხების დამტკიცებაზე, აერთო კრების ოქმი საჯაროდ ხელმისაწვდომია მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში, სს თიბისი ლიზინგის

ავტორიზებული მომხმარებლის ვებ გვერდზე: https://public.reestri.gov.ge

კომპანიის ახალი წესდების დამტკიცება

სამეთვალყურეო საბჭოს უფლებამოსილების ნაწილი დადელეგირდა „თიბისი ლიზინგის“ გენერალურ დირექტორზე. კერძოდ, გენერალურ დირექტორს მიეცა უფლება, მიიღოს დამოუკიდებელი გადაწყვეტილებები კომპანიის ქონების (მათ შორის, უძრავი ქონების) უფლებრივად დატვირთვის შესახებ ჩვეული სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში. ეს უფლებამოსილება გაზრდის ლიზინგის ოპერაციების მოქნილობასა და პროდუქტიულობას და დადებითად აისახება კომპანიის საერთო საქმიანობაზე. ახალი წესდება საჯაროდ არის ხელმისაწვდომი და განთავსებულია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ვებგვერდზე, მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში: https://public.reestri.gov.ge

დივიდენდების განაწილება

კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საფუძვლიანი ანალიზის შედეგად, „თიბისი ლიზინგის“ აქციონერმა მიიღო გადაწყვეტილება პირველი დივიდენდის გამოცხადებასა და გადახდასთან დაკავშირებით. ბოლო წლებში კომპანიამ მიაღწია მომგებიანობის არსებით ზრდას, რამაც, ძლიერი კაპიტალის პოზიციასთან ერთად (პირველადი და მეორეული კაპიტალის კოეფიციენტები 2024 წლის ივნისის მდგომარეობით შეადგენდა შესაბამისად 17.4% და 26.02%), შესაძლებელი გახადა, ერთდროულად დაეჯილდოებინა აქციონერები და გაეგრძელებინა სტრატეგიული ზრდის მიმართულებით პროგრესირება. დივიდენდის გადახდა განხორციელდა 2008–2016 წლებში დაგროვილი გაუნაწილებელი მოგების საფუძველზე. საბოლოო დივიდენდის ჯამურმა მოცულობამ შეადგინა 5,000,000 ლარი, შესაბამისად თითო ჩვეულებრივ აქციაზე დივიდენდის მოცულობამ შეადგინა 1,366.49 ლარი.

ცვლილებები სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში

სამეთვალყურეო საბჭომ დააკმაყოფილა სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ნინო მასურაშვილისა და მერი ჩაჩანიძის მოთხოვნა სამეთვალყურეო საბჭოს წევრობიდან გადადგომის თაობაზე. ამავდროულად, მათ ნაცვლად ვეფხია ლომინაშვილი და ნათია პაჭიკაშვილი შემოუერთდნენ სამეთვალყურეო საბჭოს ახალი წევრების რანგში, ხოლო დანარჩენი სამი წევრი ხელახლა არჩეული იქნა 3 (სამი) წლის ვადით, რაც დაუყოვნებლივ შევიდა ძალაში. სამეთვალყურეო საბჭოს ახალმა შემადგენლობამ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარედ აირჩია თორნიკე გოგიჩაიშვილი, ხოლო თავმჯდომარის მოადგილედ –ნათია პაჭიკაშვილი. შესაბამისად 2024 წლის 04 ნოემბრის ცვლილებით „თიბისი ლიზინგის“ სამეთვალყურეო საბჭო ჩამოყალიბდა შემდეგი შემადგენლობით:

- თორნიკე გოგიჩაიშვილი – სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე;
- ნათია პაჭიკაშვილი – სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
- ვეფხია ლომინაშვილი – სამეთვალყურეო საბჭოს წევრი;
- გიორგი თხელიძე – სამეთვალყურეო საბჭოს წევრი;
- ზურაბ ფიჩხაია – სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი/აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარე.

კორპორაციული მდივანი

კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნის შესაბამისად კომპანიას ჰყავს კორპორაციული მდივანი, რომელიც ხელს უწყობს მართვის კარგი პრაქტიკის დანერგვას. კორპორაციული მდივნის მთავარი მოვალეობებია:

- საერთო კრების, სამეთვალყურეო საბჭოს (მათ შორის, კომიტეტების) და ხელმძღვანელი ორგანოს დახმარება თავიანთი საქმიანობის შესრულებაში საორგანიზაციო და საინფორმაციო მხარდაჭერის აღმოჩენით;
- სამეთვალყურეო საბჭოსა და ხელმძღვანელი ორგანოსთვის რეკომენდაციების მიცემა კორპორაციულ დოკუმენტაციასთან და პროცედურულ საკითხებთან დაკავშირებით;
- სამეთვალყურეო საბჭოსთან და ხელმძღვანელ ორგანოსთან მჭიდროდ თანამშრომლობა კრების დღის წესრიგის შედგენის და მიწოდების, კრებების ორგანიზებისა და ჩატარების, და შეტყობინებების გაგზავნის მხრივ;
- საჭირო ტრენინგებისა და მოსამზადებელი შეხვედრების დაგეგმვა სამეთვალყურეო საბჭოსა და ხელმძღვანელი ორგანოს არსებულ ან ახლად დანიშნულ/არჩეულ წევრებთან;
- მდივნის ფუნქციის შესრულება სამეთვალყურეო საბჭოსა და ხელმძღვანელი ორგანოს სხდომებზე, ასევე აქციონერთა საერთო კრებაზე და ოქმების შედგენა, ასეთ კრებებზე მიღებული ყველა რელევანტური გადაწყვეტილების ჩანიშვნა და ყველა კორპორაციული დოკუმენტის შენახვა მინიმუმ ექვსი წლით;
- შუამავლის როლის შესრულება აქციონერებს, სამეთვალყურეო საბჭოსა და ხელმძღვანელ ორგანოს შორის;
- აქციონერთა საერთო კრების ორგანიზება და რიგგარეშე კრების მოწვევა; კრების ჩასატარებლად საჭირო ყველა პირობისა და პროცედურების შესრულების უზრუნველყოფა; იმაზე ზრუნვა, რომ კრების ოფიციალურად მომწვევი პირი სრულ ინფორმაციას ფლობდეს იმ საკითხებზე, რომელთა დღის წესრიგში შეტანა აქციონერებმა, სამეთვალყურეო საბჭოს ან ხელმძღვანელი ორგანოს წევრებმა მოითხოვეს ყველა რელევანტური კანონისა და კომპანიის წესდების შესაბამისად;
- კორპორაციულ მართვასთან დაკავშირებით მარეგულირებელი ორგანოების მიერ მიღებული საკანონმდებლო პრინციპების, და კომპანიის მიერ მიღებული კორპორაციული მართვის კოდექსის პრინციპების დაცვის უზრუნველყოფა;

სამეთვალყურეო საბჭო

სამეთვალყურეო საბჭო განსაზღვრავს კომპანიის პოლიტიკას და მეთვალყურეობს კომპანიის საქმიანობას წესდებისა და აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებების მიხედვით. სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს ირჩევს აქციონერთა საერთო კრება სამი წლის ვადით. სამეთვალყურეო საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადა მისი ამოწურვის შემდეგ ავტომატურად გრძელდება საერთო კრების ჩატარებამდე. სამეთვალყურეო საბჭოს წევრები შეიძლება არჩეულ იქნენ ახალი ვადით რამდენჯერმე. სამეთვალყურეო საბჭოს არჩეული წევრები საერთო კრების გადაწყვეტილებით ნებისმიერ დროს შეიძლება გამოწვეულ იქნენ წევრობიდან; სამეთვალყურეო საბჭოს ყოველ წევრს ნებისმიერ დროს შეუძლია გავიდეს სამეთვალყურეო საბჭოს წევრობიდან, ისე, რომ ზიანი არ მიადგეს საზოგადოებას. სამეთვალყურეო საბჭოს წევრთან ურთიერთობის შინაარსი და მისი საქმიანობის ანაზღაურება განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით, სასამსახურო ხელშეკრულებითა და თიბისი ჯგუფის სტანდარტების შესაბამისად. სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ერთობლივად არიან პასუხისმგებელნი საზოგადოების საერთო ინტერესებზე. სამეთვალყურეო საბჭოს წევრი არ შეიძლება იმავდროულად იყოს საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოს წევრი.

სამეთვალყურეო საბჭო, საბჭოს წევრებიდან ირჩევს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს კენჭისყრაში მონაწილე ხმათა უმრავლესობით. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე კოორდინაციას უწევს საბჭოს მუშაობას, თავმჯდომარეობს საბჭოს კრებებს, წარმოადგენს საბჭოს სხვა ორგანოების, ოფიციალური პირებისა და თანამშრომლების წინაშე, ზოგადად, და პასუხისმგებელია საბჭოს ეფექტიან ფუნქციონირებაზე, მათ შორის, საბჭოს წევრებს შორის ნდობისა და კოლეგიალური ურთიერთობის ჩამოყალიბებაზე, ხელმძღვანელ ორგანოსა და სამეთვალყურეო საბჭოს შორის კოორდინაციასა და ეფექტიან თანამშრომლობაზე. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ასრულებს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობას მისი არყოფნის შემთხვევაში, ან მაშინ, როდესაც ეს უკანასკნელი ვერ ასრულებს თავის მოვალეობებს.

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, ან, მისი არყოფნის შემთხვევაში, მისი მოადგილე, უფლებამოსილია მოიწვიოს სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა და გაუძღვეს მას. თუ საქართველოს კანონმდებლობითა და წესდებით სხვა რამე არ არის განსაზღვრული, სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებები მიიღება ხმების უმრავლესობით და საბჭოს ყოველ წევრს თითო ხმა აქვს. თუ ხმები თანაბრად გაიყოფა, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს აქვს გადამწყვეტი ხმა, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში – შესაბამისი კრების თავმჯდომარეს. სამეთვალყურეო საბჭოს კრებები უნდა ჩატარდეს მინიმუმ კვარტალში ერთხელ კომპანიის მისამართზე ან ონლაინ. სამეთვალყურეო საბჭოს წევრები შეიძლება წარმოადგინონ სხვა წევრებმა, თუმცა ერთ წევრს შეუძლია ერთდროულად მხოლოდ თითო წევრის წარმოდგენა.

სამეთვალყურეო საბჭო უზრუნველყოფს იმას, რომ კომპანიის მმართველობითი სტრუქტურა იძლეოდეს ადეკვატური ზედამხედველობის და ანგარიშვალდებულების, ასევე მოვალეობების მკაფიოდ განაწილების საშუალებას. რისკის მართვაში მმართველობის ყველა დონის ჩართვით და უფლებამოსილების მკაფიო გამიჯვნისა და სხვადასხვა მიმართულებებს შორის ეფექტური კომუნიკაციის უზრუნველყოფით, მართვის სტრუქტურა ხელს უწყობს დასახული სტრატეგიების გამჭვირვალობას და მათ მიღწევას, და ასევე დადგენილ რისკის აპეტიტთან, რისკის ბიუჯეტთან და რისკის მართვასთან დაკავშირებული ამოცანების შესრულებას.

გარდა ამისა, სამეთვალყურეო საბჭო სრულად არის პასუხისმგებელი კომპანიის სტრატეგიული მართვისთვის სათანადო გარემოს შექმნაზე და კომპანიის მიზნებთან შესაბამისობის მეთვალყურეობაზე, ხოლო დირექტორთა საბჭოს პასუხისმგებლობაა კომპანიის ყოველდღიური ოპერაციების მართვა და ზედამხედველობა.

ინტერესთა კონფლიქტი

თუ სამეთვალყურეო საბჭო იმსჯელებს ან გადაწყვეტილებას მიიღებს ისეთ საკითხ(ებ)ზე, რომელთანაც/რომლებთანაც პირდაპირ ან არაპირდაპირ არის დაკავშირებული სამეთვალყურეო საბჭოს რომელიმე წევრი (მათ შორის, თავმჯდომარე) და ამან შეიძლება წარმოშვას ინტერესთა კონფლიქტი, აღნიშნულმა წევრმა უნდა განაცხადოს ინტერესთა კონფლიქტის შესახებ. კონფლიქტის არსებობის შემთხვევაში, მან მონაწილეობა არ უნდა მიიღოს აღნიშნული საკითხის განხილვაში და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებაში.

ამასთან, თუ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი (მათ შორის, თავმჯდომარე) პირდაპირ არის დაკავშირებული განსახილველ საკითხთან, კომპანიამ უნდა შეაფასოს და გაითვალისწინოს ინტერესთა კონფლიქტის რისკები გადაწყვეტილების მიღების პროცესებში, ხოლო წევრმა თავი უნდა შეიკავოს საკითხის განხილვაში მონაწილეობისგან.

სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა

კომპანიის წესდებით გათვალისწინებულია, რომ სამეთვალყურეო საბჭო შედგება სულ მცირე 5 (ხუთი) და არაუმეტეს 21 (ოცდაერთი) წევრისაგან. სამეთვალყურეო საბჭო ირჩევს თავმჯდომარეს და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს თავისი წევრებიდან ხმათა უმრავლესობით. თუ კანდიდატები თანაბარ ხმებს მოიპოვებენ, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნება უფროსი კანდიდატი.

2024 წლისთვის სამეთვალყურეო საბჭო შედგება ხუთი წევრისგან, რომელთაგან ერთი ქალია. წევრების უმრავლესობა ირჩევა „თიბისი ჯგუფის“ დონეზე და არიან „თიბისი ბანკის“ დირექტორთა საბჭოს წევრები. კომპანიის წესდების და კოდექსით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ამავდროულად არ შეიძლება იყვნენ კომპანიის ხელმძღვანელი ორგანოს წევრები.

მიმდინარე მდგომარეობით სამეთვალყურეო საბჭოში წარმოდგენილია ერთი დამოუკიდებელი წევრი ხოლო საბჭოს თავმჯდომარე არის „თიბისი ბანკის“ გენერალური დირექტორის მოადგილე.

კოდექსით დადგენილი დამოუკიდებლობის კრიტერიუმები გულისხმობს, რომ სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელ წევრებს უნდა შეეძლოთ ობიექტური და დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღება, რომელიც თავისუფალია მესამე მხარეების გავლენისგან ან პოტენციური გავლენისგან და უნდა შეეძლოთ ნებისმიერი ინტერესთა კონფლიქტის განხილვა/თავიდან არიდება. ინტერესთა ასეთი კონფლიქტი ჩნდება მაშინ, როდესაც პირს:

- აქვს ფინანსური, იურიდიული, ეკონომიკური ან სხვაგვარი დამოკიდებულება კომპანიაზე, ხელმძღვანელ ორგანოზე ან მნიშვნელოვან აქციონერზე;
- აქვს ფინანსური ინტერესი (მაგალითად, ინვესტიცია, ქონება) კომპანიაში;
- ჰქონდა პროფესიული და/ან შრომითი (მათ შორის, მომსახურების გაწევა) ურთიერთობა კომპანიასთან წინა წლებში;
- ჰქონდა ბიზნეს პარტნიორობა (პირდაპირი/არაპირდაპირი) ან სხვა ტიპის ბიზნეს ურთიერთობა კომპანიასთან, ხელმძღვანელ ორგანოსთან ან მნიშვნელოვან აქციონერთან წინა ორი წლის განმავლობაში;
- იღებს დამატებით კომპენსაციებს, რომლებიც უკავშირდება კომპანიის აქციების ფლობას ან საბჭოს წევრობასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას.
- არის ხელმძღვანელი ორგანოს წევრის ან მნიშვნელოვანი აქციონერის ნათესავი;
- აქვს რამე სხვა ტიპის ურთიერთობა, კავშირი ან მდგომარეობა კომპანიაში, რომელიც გავლენას ახდენს კომპანიის ინტერესზე, სამეთვალყურეო საბჭოზე ან აუდიტის კომიტეტზე, მათ შორის, პირადი ან საქმიანი ურთიერთობა მნიშვნელოვანი აქციონერის ოჯახის წევრთან.

სამეთვალყურეო საბჭოს შემდეგი ძირითადი მოვალეობები აქვს:

- ნიშნავს და ათავისუფლებს საზოგადოების დირექტორს, განსაზღვრავს მისი ანაზღაურების საკითხს;
- ქმნის სამეთვალყურეო საბჭოსთან არსებულ კომიტეტებს;
- ამტკიცებს საზოგადოების ფილიალების დაფუძნებასა და ლიკვიდაციას;
- გასცემს რეკომენდაციას საზოგადოების გარე აუდიტორის არჩევასთან, შეცვლასთან ან აუდიტორთან დადებული ხელშეკრულებიდან გასვლასთან დაკავშირებით;
- ამტკიცებს საფონდო ბირჟაზე საზოგადოების აქციების, ობლიგაციებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების განთავსებას;
- განიხილავს და ამტკიცებს ფინანსურ მაჩვენებლებს მომავალი წლისათვის, ბიზნეს გეგმის ან წლიური ბიუჯეტის ჩათვლით; ;
- ამტკიცებს სამეთვალყურეო საბჭოს და ხელმძღვანელი ორგანოს დებულებებს ;
- ამტკიცებს საზოგადოების ქონების შეძენის, გასხვისების (ან ერთმანეთთან დაკავშირებული ასეთი გარიგებების) შესახებ გადაწყვეტილებას, რომელთა ღირებულება შეადგენს საზოგადოების კაპიტალის 3%-ზე მეტს, გარდა ისეთი გარიგებებისა, რომლებიც წარმოადგენს ჩვეულ სამეწარმეო საქმიანობას.
- კომპანიის მიერ ინვესტიციების მოზიდვის, მათ შორის, კრედიტების ან სესხების აღებასთან დაკავშირებული გარიგების ან გარიგებების ჯგუფის დამტკიცება;
- ამტკიცებს სხვა იურიდიული პირების შექმნას/დაფუძნებას, მათში ინვესტირებას ან სხვა საწარმოში/იურიდიულ პირში აქციების/წილების/წილობრივ მონაწილეობას, უფლებრივ დატვირთვას ან განკარგვას;
- ამტკიცებს საზოგადოებასთან და მის საქმიანობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან პოლიტიკებს, ქცევის კოდექსსა და სხვა მარეგულირებელი დოკუმენტებს;
- განიხილავს საზოგადოების საქმიანობის ანგარიშებს, ასევე შიდა აუდიტის სამსახურისა და დამოუკიდებელი შემოწმების შესახებ ინფორმაციებს;
- იწვევს აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრებას, თუ აღნიშნულს მოითხოვს საზოგადოების ინტერესები;
- იღებს გადაწყვეტილებას ნებისმიერ სხვა საკითხზე, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის ან წინამდებარე წესდების შესაბამისად მიეკუთვნება სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციას
- გადაწყვეტილებებს იღებს კომპანიის ახალი სახის საქმიანობის დაწყებაზე ან არსებული სახის საქმიანობის შეჩერება / შეწყვეტაზე;
- გადაწყვეტილებებს იღებს კომპანიის ქონების უზრუნველყოფის სახით უფლებრივი დატვირთვის შესახებ, გარდა ჩვეული სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში საზოგადოების ქონების (ლიზინგის საგნები) უზრუნველყოფის სახით უფლებრივი დატვირთვის შესახებ გადაწყვეტილებისა; ;
- გადაწყვეტილებებს იღებს კომპანიის აქციათა დამოუკიდებელი რეგისტრატორის დაქირავების, შეცვლის ან განთავისუფლების შესახებ

სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ინდივიდუალურად და ერთობლივად პასუხისმგებელნი არიან:

- განსაზღვრონ საზოგადოების ღირებულებები, ხედვა, მისია, ორგანიზაციული სტრუქტურა და უზრუნველყონ, რომ საზოგადოება იმართებოდეს სამართლიანობის, კომპეტენტურობის, პროფესიონალიზმისა და ეთიკის პრინციპების სრული დაცვით;
- განსაზღვრონ საზოგადოების ეთიკის სტანდარტები, ქცევის კოდექსი და მუდმივად აფასებდნენ ხელმძღვანელი ორგანოს როლს ჯანსაღი კორპორაციული და ეთიკური გარემოს დამყარებასა და შენარჩუნებაში;
- განსაზღვრონ საზოგადოების სტრატეგია და მონიტორინგი გაუწიონ ხელმძღვანელი ორგანოს მიერ სტრატეგიული მიზნების შესრულებას;
- უზრუნველყონ საზოგადოების საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის, საზედამხედველო მოთხოვნებთან შესაბამისობა;
- მონიტორინგი გაუწიონ ხელმძღვანელი ორგანოს საქმიანობას, შეაფასონ ხელმძღვანელი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და შეფასების შედეგად მიიღონ შესაბამისი ზომები;
- უზრუნველყონ კანონმდებლობით, საზოგადოების შიდა კორპორაციული აქტებითა და მათთან გაფორმებული ხელშეკრულებით დადგენილი მოთხოვნების განუხრელად დაცვა და ფუნქციების შესრულება.
- სამეთვალყურეო საბჭოს ან მის წევრებს არ შეუძლიათ სხვებისათვის თავიანთი

უფლებების დელეგირება. აღნიშნული არ ეხება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ საკუთარი უფლებამოსილებების, საბჭოს დონეზე შექმნილ კომიტეტებზე დელეგირებას, ასევე დელეგირებას, რომელიც დასაშვებია საქართველოს კანონმდებლობით.

სამეთვალყურეო საბჭოს სხდომები

- სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა უნდა ჩატარდეს კვარტალში ერთხელ მაინც, საზოგადოების მისამართზე ან ნებისმიერ სხვა ადგილას ან ელექტრონულად. სამეთვალყურეო საბჭოს წევრები შესაძლოა წარმოდგენილი იყვნენ სხვა წევრების მიერ. ერთი წევრი შესაძლოა წარმოადგენდეს მხოლოდ ერთ წევრს. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ვალდებულია უზრუნველყოს სხდომების ჩატარება. საბჭოს წევრები სხდომას უნდა დაესწრონ პირადად, ხოლო თუ წევრი ვერ ახერხებს პირადად დასწრებას, მაშინ დასაშვებია სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ჩატარება ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებებით.
- სხდომას იწვევს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე. სამეთვალყურეო საბჭოს ყოველ წევრს ან ხელმძღვანელი ორგანოს წევრს აქვს უფლება სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარისაგან მოითხოვოს საბჭოს სხდომის დაუყოვნებლივ მოწვევა. მოთხოვნაში უნდა მიეთითოს რიგგარეშე სხდომის ჩატარების მიზეზები და მიზნები. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ვალდებულია მოთხოვნიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში უზრუნველყოს სხდომის ჩატარება. თუ სხდომის მოწვევის შესახებ მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება, სამეთვალყურეო საბჭოს წევრს ან დირექტორს შეუძლია, თვითონ მოიწვიონ სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა;
- სამეთვალყურეო საბჭოს სხდომებს უძღვება სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში თავმჯდომარის მოადგილე, ხოლო ორივეს არყოფნის შემთხვევაში საბჭოს მიერ არჩეული სამეთვალყურეო საბჭოს ერთ-ერთი წევრი.
- სხდომის მიმდინარეობა და საბჭოს გადაწყვეტილებები ფორმდება ოქმში ჩანაწერით/წერილობით რეზოლუციაზე ხელმოწერით. ოქმს/წერილობით რეზოლუციას ადგენს და ხელს აწერს მიმდინარე სხდომის თავმჯდომარე და კორპორაციული მდივანი. კრების ოქმის ნამდვილობასა და მასში მითითებული ფაქტების სისწორეზე პასუხისმგებელია სხდომის თავმჯდომარე და კორპორაციული მდივანი. თუ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით არ ესწრება სხდომას, ოქმი ეგზავნება სამეთვალყურეო საბჭოს ყველა ასეთ წევრს, მათ შორის, ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით და მტკიცდება ყველა წევრის წერილობითი (მათ შორის ელექტრონული კომუნიკაციის მეშვეობით). სამეთვალყურეო საბჭო გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ სხდომას ესწრება სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა სულ მცირე ნახევარი;
- თუ სამეთვალყურეო საბჭო არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, სხდომის თავმჯომარე ვალდებულია არაუგვიანეს 10 (ათი) დღისა მოიწვიოს ახალი სხდომა, რომელიც გადაწყვეტილებაუნარიანი იქნება კენჭისყრაში მონაწილე წევრთა რაოდენობის მიუხედავად.
- სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა მოიწვევა 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე შეტყობინების გაგზავნით. გამონაკლისს შემთხვევაში, სამეთვალყურეო საბჭოს სხდომები შეიძლება მოწვეული იქნას უფრო მოკლე ვადებში, მაგრამ არანაკლებ 24 (ოცდაოთხი) საათით ადრე შეტყობინებით.
- სამეთვალყურეო საბჭოს მიერ, მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხზე გადაწყვეტილების მიღება დასაშვებია წერილობითი ან ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით (მათ შორის, ელექტრონული ფოსტის მეშვეობით) სხდომის ჩატარების გარეშე. ასეთ შემთხვევაში წერილობითი რეზოლუციის პროექტი (მატერიალური სახით ან ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით (მათ შორის ელექტრონული ფოსტის მეშვეობით) სამეთვალყურეო საბჭოს თითოეულ წევრს, ერთდროულად ეგზავნება კორპორაციული მდივნის მიერ. კორპორაციული მდივნის შეტყობინებაში უნდა მიეთითოს წერილობით რეზოლუციაზე თანხმობის/უარყოფითი პოზიციის გაცემის წესი და ვადა. გადაწყვეტილება მიღებულად მიიჩნევა წერილობითი რეზოლუციაზე სამეთვალყურეო საბჭოს ყველა წევრის მიერ, შეტყობინებაში განსაზღვრული წესით, თანხმობის/უარყოფითი პოზიციის დაფიქსირების შემდგომ. თუ სამეთვალყურეო საბჭოს რომელიმე წევრი ამგვარი პროცედურის წინააღმდეგია, საკითხის განსახილველად ჩატარდება სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა;

სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტები

სამეთვალყურეო საბჭო უფლებამოსილია გადაწყვეტილება მიიღოს კომიტეტის შექმნაზე ხმათა უბრალო უმრავლესობით. კომიტეტების შემადგენლობა და ფუნქციები განისაზღვრება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ. კომიტეტი თავის დასკვნებს და რეკომენდაციებს წარუდგენს სამეთვალყურეო საბჭოს.

კომპანიამ მინიმუმ აუდიტის კომიტეტი მაინც უნდა ჩამოაყალიბოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისგან. ამ კომიტეტის გარდა, საბჭომ შეიძლება ასევე შექმნას რისკის მართვის, კომპენსაციის, კორპორაციული მართვისა და ნომინაციის კომიტეტები.

თითოეულ კომიტეტს უნდა ჰქონდეს შესაბამისი მარეგულირებელი დოკუმენტაცია, სადაც მოცემული იქნება კომიტეტის უფლებამოსილება, საქმიანობის მიმართულებები და პროცედურები, რომლებიც, სხვებთან ერთად, მოიცავს ინფორმაციას კომიტეტის მიერ საბჭოსთვის რეგულარული ანგარიშების წარდგენას, თანამშრომლობას კომიტეტებს შორის, შეზღუდვებს კომიტეტის წევრობასთან დაკავშირებით, და კომიტეტის წევრების ფუნქცია-მოვალეობებს. სამეთვალყურეო საბჭომ უნდა შეცვალოს კომიტეტის თავმჯდომარე და წევრები გონივრული ინტერვალით, რათა კომიტეტის საქმიანობაში შეიტანოს ახალი ხედვა და მიმართულება.

კომიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ შესაბამისი ჩანაწერები უნდა იწარმოებოდეს. გარდა ამისა, კომიტეტი რეგულარულად უნდა წარუდგენდეს გადაწყვეტილებების შესახებ ანგარიშსა და რეკომენდაციებს სამეთვალყურეო საბჭოს.

კომიტეტებს უნდა შეეძლოთ კომპანიის შესახებ

სრული ინფორმაციის მიღება თითოეული მათგანის მიერ მოთხოვნილი ფორმატით და სიხშირით. ამასთან, მათ უნდა შეეძლოთ დამოუკიდებლად შეხვდნენ კონტროლის თანამშრომლებს, გარე კონსულტანტებს ან გარე აუდიტორებს ხელმძღვანელი ორგანოს წევრების დასწრების გარეშე. კომიტეტებში უნდა წახალისდეს ყველა წევრის ობიექტურობა და აქტიური მონაწილეობა, რათა შეიქმნას ჯანსაღი გადაწყვეტილებების მიღებისთვის საჭირო გარემო.

თუ საქართველოს კანონმდებლობა სხვა რამეს არ ითვალისწინებს, კომიტეტები, სულ მცირე, შემდეგ პირობებს უნდა აკმაყოფილებდნენ:

ა) ისინი უნდა შედგებოდნენ მინიმუმ სამი წევრისგან. სამეთვალყურეო საბჭოს წევრი არ უნდა იყოს ერთდროულად ორზე მეტი კომიტეტის წევრი;

ბ) კომიტეტის წევრები ინდივიდუალურად და ერთობლივად უნდა ფლობდნენ თავიანთი ფუნქცია-მოვალეობების შესრულებისა და კომიტეტის საქმიანობისთვის საჭირო ცოდნას, უნარებს და გამოცდილებას, რაც მათ საშუალებას მისცემს სათანადოდ გამოიყენონ მიღებული უფლებამოსილება და შეასრულონ ნაკისრი ვალდებულებები.

თუ კომიტეტი კომპანიაში არ არის ჩამოყალიბებული, კომიტეტების საქმიანობის განხორციელებაზე პასუხისმგებელია სამეთვალყურეო საბჭო. კომიტეტის სხდომები უნდა გაიმართოს მინიმუმ წელიწადში ორჯერ, მაგრამ შეიძლება უფრო რეგულარულადაც, საჭიროების შემთხვევაში, ნებისმიერ დროს.

რისკის მართვის კომიტეტი

რისკის მართვის კომიტეტი კომპანიაში ნერგავს რისკის მართვის პრინციპებს და იცავს პროდუქტებთან და პროცესებთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს სახიფათო რისკებისგან.

რისკის ეფექტურად მართვის ფარგლებში, ხელმძღვანელ ორგანოს შეუძლია გააუმჯობესოს კომპანიის აქტივების თვითღირებულება, მოახდინოს მომავალში მოსალოდნელი ზარალის პროგნოზირება, დახვეწოს სისტემური გადაწყვეტილებების მეთოდები და პროცესები ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საფუძველზე, გამოიყენოს კომპანიის მონაცემთა ბაზა მისი მუშაობის შესაფასებლად, ასევე შეაფასოს ბიზნეს საქმიანობისთვის და კომპლექსური ფინანსური ინსტრუმენტებისთვის დამახასიათებელი რისკები და შექმნას რისკის მართვის ჯანსაღი ინფრასტრუქტურა, რომელიც გააუმჯობესებს კონკურენტუნარიანობას.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ნაცვლად, რისკის მართვის კომიტეტში შედიან ხელმძღვანელი ორგანოს წევრები, დირექტორის მოადგილეები და საშუალო რგოლის ხელმძღვანელები. კომიტეტის თავმჯდომარე არის დირექტორი, რომელიც ამტკიცებს კომიტეტის სხვა წევრებს. კომიტეტი შედგება შემდეგი წევრებისგან: დირექტორების (ფინანსური დირექტორი და რისკების მართვის დირექტორი) მოადგილეები, საოპერაციო განყოფილების უფროსი, ფინანსური განყოფილების უფროსი, კორპორაციული და აქტივების მართვის განყოფილების უფროსი, იურიდიული და შესაბამისობის დეპარტამენტის უფროსი. საოპერაციო რისკების მენეჯერი ასრულებს კომიტეტის მდივნის ფუნქციას. ამასთან, სხვადასხვა მიმართულების წარმომადგენლები, ასევე სამეთვალყურეო საბჭოს წევრები შეიძლება იქნენ მიწვეულნი კომიტეტის ამა თუ იმ სხდომაზე დასასწრებად. კომიტეტი იკრიბება კვარტალში ერთხელ, კომიტეტის ქვორუმი დგება თუ იკრიბება კომიტეტის წევრთა ნახევარზე მეტი.

კომიტეტის მოვალეობებია:

- რისკის მართვის სტრატეგიის, პოლიტიკისა და სამოქმედო გეგმის მიმოხილვა და დამტკიცება;
- კომპანიის მნიშვნელოვანი რისკებისა და რისკის მართვის ფარგლებში მიღებული ზომების მიმოხილვა და ზედამხედველობა;
- რისკის შემცირების ზომებისა და მათი ეფექტურობის მიმოხილვა;
- რისკის ზღვრული დონეების განსაზღვრა;
- კომპანიის მიერ შეთავაზებული პროდუქტებისა და სერვისების ბიზნესმოდელთან შესაბამისობის ზედამხედველობა;
- საოპერაციო, იურიდიული, ფინანსური შესაბამისობის, რეპუტაციული და ტექნოლოგიური რისკების მართვის მონიტორინგი, რაც მოიცავს ბიზნესის უწყვეტობის დაგეგმვას, კიბერუსაფრთხოებას და მონაცემების დაცვას;
- შიდა და გარე აუდიტორების მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი;
- სამეთვალყურეო საბჭოს ინფორმირება არსებითი რისკების შესახებ და დასამტკიცებლად სამოქმედო გეგმის წარდგენა.

რისკის მართვის კომიტეტი ანგარიშვალდებულია სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე და კვარტალში ერთხელ საბჭოს ანგარიშს წარუდგენს. გარდა ამისა, კომიტეტს უფლება აქვს, კომიტეტის წევრების ხმათა უმრავლესობით, საკითხი გაიტანოს სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე.

ანაზღაურების კომიტეტი

ანაზღაურების კომიტეტის ნაცვლად, ანაზღაურების საკითხები იმართება შიდა ჯგუფის მიერ კომპანიაში. ჯგუფი შედგება შემდეგი წევრებისგან: დირექტორი, დირექტორის მოადგილეები, რეპორტინგისა და ბიუჯეტირების დეპარტამენტის უფროსი და ადამიანური რესურსების განყოფილების უფროსი. ჯგუფი ასრულებს ანაზღაურების კომიტეტის ფუნქციებს:

- ანაზღაურების პოლიტიკის პერიოდული მიმოხილვა და რეკომენდაციების მიცემა სამეთვალყურეო საბჭოსთვის;
- კომპანიის ანაზღაურების პოლიტიკის ეფექტურობისა და საკანონმდებლო მოთხოვნებთან მისი შესაბამისობის შეფასება;

აუდიტის კომიტეტი

სამეთვალყურეო საბჭომ შექმნა აუდიტის კომიტეტი, რომელიც მისი ქვეკომიტეტია. აუდიტის კომიტეტი შედგება სამეთვალყურეო საბჭოს სამი წევრისგან. კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად, სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარეა.

კომპანიის ამჟამინდელი აუდიტის ფირმის/ აუდიტორის ნებისმიერი ყოფილი პარტნიორი ან დირექტორი არ შეიძლება ამავდროულად იყოს კომპანიის აუდიტის კომიტეტის წევრი: ა) აუდიტის ფირმის პარტნიორის ან დირექტორის

თანამდებობის დატოვებიდან თორმეტი თვის განმავლობაში; და/ან ბ) თუ მას აქვს ფინანსური ინტერესი აუდიტის ფირმაში მიუხედავად იმისა, დატოვა თანამდებობა თუ არა.

აუდიტის კომიტეტი იკრიბება წელიწადში ოთხჯერ და ანგარიშებს წარუდგენს სამეთვალყურეო საბჭოს წლიური და ნახევარწლიური ანგარიშების დამტკიცების პერიოდების შესაბამისად. საჭიროების შემთხვევაში, აუდიტის კომიტეტს შეუძლია მოითხოვოს ხელმძღვანელი ორგანოს, შიდა და გარე აუდიტორების და სხვა დაქირავებული პირების დასწრება სხდომებზე. სხვა ფუნქციებთან ერთად, აუდიტის კომიტეტი ასევე პასუხისმგებელია შემდეგზე:

- შიდა აუდიტის და ფინანსური ანგარიშგების პოლიტიკის განსაზღვრა;
- ფინანსური ანგარიშგების და არაფინანსური ანგარიშების შედგენის პროცესის მონიტორინგი;
- კომპანიის შიდა და გარე აუდიტორების მონიტორინგი და მათთან აქტიური თანამშრომლობა;
- გარე აუდიტორის ეფექტურობისა შეფასება და შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობის ეფექტურობისა და დამოუკიდებლობის შეფასება;
- გარე აუდიტორის მიერ მომზადებული სარეკომენდაციო წერილის განხილვა და არსებული სისუსტეების აღმოსაფხვრელად ხელმძღვანელი ორგანოს მიერ შესაბამისი ზომების განხორციელების მონიტორინგი;
- შიდა აუდიტის ანგარიშების მიღება და იმის უზრუნველყოფა, რომ ხელმძღვანელი ორგანო დროულად იღებდეს სათანადო ზომებს აუდიტის პროცესში, რათა აღმოფხვრას კონტროლის მექანიზმების ნაკლოვანებები, კანონმდებლობასთან შეუსაბამობა ან სხვა კონტროლის ფუნქციების მიერ გამოვლენილი სხვა ნაკლოვანებები;
- კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკისა და პრაქტიკის შემუშავების მონიტორინგი; და
- კომპანიის მთლიანი რისკის მართვის ჩარჩოსა და შიდა კონტროლის სისტემების ეფექტურობისა და ეფექტიანობის განხილვა.

აუდიტის კომიტეტის წევრებს მუდმივად უნდა ჰქონდეთ სრული წვდომა ხელმძღვანელი ორგანოს, შიდა აუდიტისა და რისკების მართვის ფუნქციებთან. აუდიტის კომიტეტი ყოველწლიურად უნდა განიხილავდეს გარე აუდიტორთა დამოუკიდებლობას და კორპორაციული მართვის ანგარიშში ამჟღავნებდეს შემდეგი სახის ინფორმაციას:

- გარე აუდიტორებზე მთლიანი საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში გაცემული ანაზღაურების შესახებ;
- საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში აუდიტორული და სხვა სახის მომსახურებებზე გაცემული ანაზღაურების ელემენტებს ან შესაბამის უარყოფით მოსაზრებას საზოგადოების წლიურ ანგარიშში. თუ გარე აუდიტორები, გარდა აუდიტორული მომსახურებისა, იმავდროულად უზრუნველყოფენ საზოგადოებისათვის სხვა სახის მომსახურების გაწევას, აუდიტის კომიტეტი უნდა განიხილავდეს ამ მომსახურებათა შინაარსსა და ფარგლებს და უზრუნველყოფდეს ობიექტურობის შენარჩუნებასა და ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვას.

აუდიტის კომიტეტის მიმდინარე წევრები არიან:

- ზურაბ ფიჩხაია - კომიტეტის თავმჯდომარე/ დამოუკიდებელი წევრი
- თორნიკე გოგიჩაიშვილი - წევრი
- ნათია პაჭკაშვილი - წევრი

ხელმძღვანელი ორგანო

ხელმძღვანელი ორგანო შედგება დირექტორისგან, რომელიც ხელმძღვანელობს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული კორპორაციული მართვის სხვადასხვა პოლიტიკის ეფექტურად დანერგვას. დირექტორი ასევე არის კომპანიის გადაწყვეტილების მიმღები მთავარი ორგანო და პასუხისმგებელია კომპანიის ყოველდღიურ ადმინისტრაციულ მართვაზე სამეთვალყურეო საბჭოს დადგენილებებისა და მითითებების თანახმად, ასევე კომპანიის მიზნების, კულტურის, ღირებულებების და გრძელვადიანი წარმატების სტრატეგიის ხელშეწყობაზე და მდგრადი ღირებულებების განსაზღვრაზე. სამეთვალყურეო საბჭოს რეგულარულად უნდა მიეწოდებოდეს ინფორმაცია საზოგადოების მნიშვნელოვან საკითხებსა და პრობლემებზე საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოს მიერ, რომელიც ასევე პასუხისმგებელია საზოგადოების თანამშრომელთა ფუნქცია-მოვალეობების სწორად გადანაწილებასა და ეფექტური მმართველობის სტრუქტურის შექმნაზე, რაც საზოგადოების შიგნით უნდა უზრუნველყოფდეს ანგარიშვალდებულებასა და გამჭვირვალობას.

სამეთვალყურეო საბჭო ნიშნავს დირექტორს თანამდებობაზე მაქსიმუმ სამი წლის ვადით და შეუძლია გაათავისუფლოს ის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურის შესაბამისად. დირექტორი არის კომპანიის იურიდიული და სრულუფლებიანი წარმომადგენელი მესამე მხარეებთან ურთიერთობის პროცესში. თუ ვადის გასვლის შემდეგ დირექტორის ახალი უფლებამოსილების ვადა ან ხელმძღვანელობის და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის შეცვლა არ დარეგისტრირდება კანონით გათვალისწინებული პროცედურის თანახმად, რეგისტრირებული ხელმძღვანელი პირის უფლებამოსილება ჩაითვლება განუსაზღვრელი ვადით გაგრძელებულად.

ხელმძღვანელი ორგანოს დებულებებს ამტკიცებს სამეთვალყურეო საბჭო. დირექტორთან ურთიერთობის შინაარსს და მისი შრომის ანაზღაურებას განსაზღვრავს საქართველოს კანონმდებლობა და სასამსახურო ხელშეკრულება. სამეთვალყურეო საბჭოს აქვს უფლებამოსილება, ნებისმიერ დროს გაათავისუფლოს დირექტორი თანამდებობიდან შესაბამისი მიზეზების წარმოდგენის გარეშე.

დირექტორი უზრუნველყოფს სამეთვალყურეო საბჭოსა და აქციონერთა საერთო კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულებას. სხვა ფუნქციებთან ერთად, დირექტორი აღასრულებს კომპანიის ბიზნეს სტრატეგიებს, ქმნის ეფექტურ სისტემებს ფინანსური და არაფინანსური რისკის სამართავად, ხელს უწყობს რისკის კულტურის შემუშავებასა და დამკვიდრებას, პროცესებსა და კონტროლებს. დირექტორი ასევე პასუხისმგებელია ანაზღაურების სისტემის ეფექტურ ფუნქციონირებაზე. გარდა ამისა, დირექტორი

სამეთვალყურეო საბჭოს აწვდის თავისი ფუნქციების შესასრულებლად საჭირო ინფორმაციას იმ ფორმატითა და იმ სიხშირით, რომელიც განსაზღვრულია სამეთვალყურეო საბჭოსა და კომიტეტების მიერ და ყოველგვარ დამატებით ინფორმაციას, რომელსაც დირექტორი საჭიროდ მიიჩნევს იმისათვის, რომ სამეთვალყურეო საბჭომ მიიღოს გადაწყვეტილება.

დირექტორი ასევე პასუხს აგებს კომპანიაში დასაქმებულთა შორის ფუნქცია-მოვალეობების გადანაწილებაზე და მართვის ეფექტური სტრუქტურის შექმნაზე, რომელიც უზრუნველყოფს კომპანიაში ანგარიშვალდებულებას და გამჭვირვალობას. კომპანიას ჰყავს დირექტორის მოადგილეები, რომლებსაც ნიშნავს დირექტორი.

დირექტორი იღებს გადაწყვეტილებებს ყველა იმ საკითხზე, რომლებიც არ განეკუთვნება აქციონერთა საერთო კრების და/ან კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციას წესდების მიხედვით.

დირექტორის ფუნქციების გადაცემა არ შეიძლება სამეთვალყურეო საბჭოსთვის. გარდა ამისა, დირექტორი არ შეიძლება იყოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრი.

დირექტორის ძირითადი მოვალეობებია:

- კომპანიის ყოველდღიური მართვის უზრუნველყოფა; კომპანიის ხელმძღვანელობა და მესამე პირებთან ერთპიროვნული წარმომადგენლობა;
- კომპანიის ფილიალების, სერვისცენტრების და სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის და მათზე დაკისრებული ამოცანების შესრულების ზედამხედველობა;
- ფინანსური წლის ბოლოს მიმდინარე წლის ბიზნეს გეგმის შედგენა და სამეთვალყურეო საბჭოსთვის დასამტკიცებლად წარდგენა. ბიზნეს გეგმა უნდა მოიცავდეს წლიურ ბიუჯეტს და მოგება-ზარალის ანგარიშს, ასევე კომპანიის საინვესტიციო გეგმას;
- წლიური ანგარიშების (ასეთის არსებობის შემთხვევაში), მათ შორის მოგების განაწილების შეთავაზების მომზადება;
- შიდა აუდიტის გადაწყვეტილებების განხილვა;
- აქციონერთა საერთო კრებისა და სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებების აღსრულება;
- კომპანიის შიდა მარეგულირებელი აქტებისა და პროცედურების შედგენა და კომპანიის შეუფერხებლად ფუნქციონირების უზრუნველყოფა, ამავდროულად, პასუხისმგებლობა კომპანიის შიდა ოპერაციებზე, შესაბამისობასა და შედეგებზე;
- კომპანიასა და სამეთვალყურეო საბჭოს შორის მთავარი დამაკავშირებელი რგოლის ფუნქციის შესრულება;
- გადაწყვეტილებების მიღება კომპანიის მიერ პერსონალის შერჩევის, განთავისუფლების, კვალიფიკაციის ამაღლების და შრომის ანაზღაურების თაობაზე, და თანამშრომლების დანიშვნასა და გათავისუფლებაზე სახელფასო გეგმის მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- გადაწყვეტილებების მიღება დირექტორთა იმ მოადგილეების შერჩევაზე, დანიშვნასა და დათხოვნაზე, რომლებიც მართავენ კომპანიის შესაბამის მიმართულებებს თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში;
- ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ხელშეკრულებებზე ხელის მოწერა;
- კომპანიის წარმოდგენა სასამართლოში და/ან მესამე მხარესთან ურთიერთობაში შეუზღუდავად.
- გადაწყვეტილებების მიღება კომპანიის ქონების (მათ შორის, უძრავი ქონების) შეძენასთან, გასხვისებასთან, გადაცვლასთან და უფლებრივად დატვირთვასთან და ჩვეული საქმიანობის პირობებში გარიგებების გაფორმებასთან დაკავშირებით.
- გადაწყვეტილებების მიღება კომპანიის ქონების შეძენისა და გასხვისების (ან მსგავსი ურთიერთდაკავშირებული გარიგებების) შესახებ და ისეთი ხელშეკრულებების გაფორმება, რომლებიც არ არის ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესი და რომლის ღირებულება კომპანიის კაპიტალის 3%-ზე ნაკლებია; და
- წესდებით, ხელმძღვანელი ორგანოს დებულებებით და სხვა შიდა კორპორაციული აქტებით გათვალისწინებული ფუნქციების შესრულება;

კომპანიის ხელმძღვანელი ორგანოების პასუხისმგებლობა

მოვალეობების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში, კომპანიის ხელმძღვანელ ორგანოს დაეკისრება პასუხისმგებლობა მოქმედი კანონმდებლობის, მასთან გაფორმებული ხელშეკრულებისა და კომპანიის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტაციის შესაბამისად;

კომპანიის აქციონერები, სამეთვალყურეო საბჭო, ხელმძღვანელი ორგანო და მისი წევრები ვალდებულნი არიან იმოქმედონ კომპანიის ინტერესებიდან გამომდინარე და მათი გათვალისწინებით.

ინფორმაციის გამჭვირვალობის წესი

კომპანიის ხელმძღვანელი ორგანო თანაბრად ეპყრობა საჯარო ფასიანი ქაღალდების ყველა მფლობელს და კომპანიის ინვესტორებს, რომლებიც არიან თანაბარ პირობებში. თანაბარი მოპყრობა გულისხმობს შემდეგს:

- კომპანია პასუხისმგებელია, უზრუნველყოს, დროული და ზუსტი ინფორმაციის მიწოდება ყველა სათანადო პირისთვის კომპანიის ყველა არსებით საკითხზე, მათ შორის, ფინანსური მდგომარეობის, საქმიანობის ეფექტურობის, საკუთრების და კომპანიის ხელმძღვანელობის შესახებ, ისე, რომ აღნიშნული ინფორმაცია ადვილად ხელმისაწვდომი იყოს დაინტერესებული მხარეებისათვის;
- წილობრივი ფასიანი ქაღალდების სხვადასხვა ტიპის უფლებებში ნებისმიერი ცვლილების დაუყოვნებლივ გაცხადება;
- ინფორმაციის გამოქვეყნება წილობრივ ფასიან ქაღალდებზე დივიდენდების განაწილების და გადახდის, ასევე ახალი წილობრივი ფასიანი ქაღალდების გამოშვების შესახებ, მათ შორის, აქციების განთავსების, შეძენის, კონვერტაციის ან გაუქმების შესახებ;
- ინფორმაციის მიწოდება სავალო ფასიანი ქაღალდების საპროცენტო განაკვეთის, პერიოდული გადახდების, კონვერტაციის/

გადაცვლის, ყიდვის ან გაუქმების უფლების ან დაფარვის შესახებ.

კორპორაციული მართვის კოდექსთან შესაბამისობა, მართვის შიდა წესები და რეგულაციები

„თიბისი ლიზინგის“ მართვის შიდა სტრატეგია კარგად არის მისადაგებული „თიბისი ჯგუფის“ მიზნებთან, რაც „თიბისი ლიზინგს“ დაეხმარება საქართველოს განვითარების დღის წესრიგში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანაში.

„თიბისი ლიზინგს“ დანერგილი აქვს ეფექტური მართვის პოლიტიკის სისტემა, რათა უზრუნველყოს ზუსტი და საიმედო მართვა. შიდა პოლიტიკა იქმნება კომპანიის საქმიანობის, ზომისა და კომპლექსურობის გათვალისწინებით. მთავარი დოკუმენტები და დებულებები მოიცავს შემდეგს:

- კომპანიის წესდება,რომელიც საჯაროა განსაზღვრავს და ანიჭებს სამეთვალყურეო საბჭოსა და ხელმძღვანელი ორგანოს სხვადასხვა ფუნქცია-მოვალეობას, რათა უზრუნველყოს მათი მუშაობისა და გადაწყვეტილების მიღების ეფექტურობა;
- ეთიკის კოდექსი, რომელიც საჯაროა და რომლითაც დანერგილია ეთიკური ქცევის მაღალი სტანდარტები თანამშრომლებისა და ხელმძღვანელი ორგანოსთვის და არეგულირებს ინტერესთა კონფლიქტის, უფლებამოსილების გადამეტების, კორუფციის შემთხვევების, ფულის გათეთრების და სხვა უკანონო საქმიანობის პრევენციას;
- მდგრადი განვითარების მიზნები, მათ შორის, გარემოსდაცვითი და სოციალური მმართველობის საკითხები;
- კომპანიის სტრატეგია და სათანადო რესურსები, რათა მიღწეულ იქნეს დასახული მიზნები, მათ შორის, მდგრადი განვითარების მიზნები, რომელიც მოიცავს ადამიანური რესურსების პოლიტიკას, რომელიც შესაბამისობაშია საქართველოს კანონმდებლობასთან, ასევე დასაქმების საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკას და პრინციპებს ადამიანური უფლებების დაცვის, ყველა თანამშრომლისთვის უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს უზრუნველყოფის თვალსაზრისით;
- სამეთვალყურეო საბჭოსთან შექმნილი აუდიტის კომიტეტის დებულება, რომელშიც გაწერილია კომიტეტის მანდატი, საქმიანობის მიმართულებები და პროცედურები, მათ შორის, კომიტეტის სამეთვალყურეო საბჭოსთან ანგარიშგების, კომიტეტის წევრობასთან დაკავშირებული შეზღუდვების, კომიტეტის წევრთა როლებისა და ფუნქციების შესახებ საკითხები;
- რისკის მართვის ჩარჩო და რისკების მართვის კომიტეტის დებულება, რომლითაც განსაზღვრულია რისკების მართვის სისტემა და რომელის მართვაზე საბოლოო პასუხიმგებლობა აკისრია სამეთვალყურეო საბჭოს;
- კომიტეტის პროცედურები აღწერს შესაბამისი კომიტეტის საქმიანობის უფლებამოსილებას და მიმართულებებს;
- მკაფიოდ განსაზღვრული ორგანიზაციული და მმართველობის სტრუქტურა, სადაც არავინ სარგებლობს შეუზღუდავი უფლებამოსილებებით და რომელიც უზრუნველყოფს პასუხისმგებლობების განსაზღვრის, რისკების ეფექტიანი იდენტიფიცირების, მართვის, მონიტორინგისა და ანგარიშგების პროცესებს, შესაბამის შიდა კონტროლის მექანიზმებს, მათ შორის, ჯანსაღი ადმინისტრირებისა და სააღრიცხვო პროცედურებს, რისკების მართვის ეფექტურ საინფორმაციო სისტემებსა და კონტროლებს;
- შიდა კონტროლის განხორციელების პოლიტიკა;
- მრავალფეროვნების, თანასწორობის და ჩართულობის პოლიტიკა;
- ინციდენტებზე რეაგირების პოლიტიკის მიზანია ეფექტური კორპორაციული მართვის, ეთიკური გარემოს შენარჩუნების, საეჭვო დარღვევების დროული გამოვლენისა და პრევენციის, რისკის ეფექტური მართვის უზრუნველყოფა კომპანიის მასშტაბით, ასევე თანამშრომლების კეთილდღეობა და მათთვის უკეთესი სამუშაო პირობების შექმნა. პოლიტიკა განსაზღვრავს სპეციალურ პროცედურებს, რათა დაეხმაროს თანამშრომლებს ნებისმიერი საეჭვო დარღვევისა და პრობლემების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებაში;
- ანონიმური მხილების სისტემა, რომელიც განსაზღვრავს შიდა თანამშრომლებს, ვისაც მიმართავენ დასაქმებულები, მომხმარებლები და მომწოდებლები საეჭვო, სერიოზული დარღვევების შესატყობინებლად, თუ მამხილებელს გარკვეული მიზეზებით არ სურს მისი შეტყობინება ჩვეული შიდა არხების მეშვეობით.

ფინანსური ანგარიშგების შიდა კონტროლი და რისკების მართვის სისტემები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად. კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცედურებს მართავს და აკონტროლებს ფინანსური დეპარტამენტი. ფინანსური ანგარიშგების სპეციალური გუნდი, რომელიც შედგება ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების გამოცდილების მქონე პროფესიონალებისგან, ამზადებს ფინანსურ ანგარიშგებას თიბისი ლიზინგის ყოველდღიურ, ყოველთვიურ, კვარტალურ და წლიურ საფუძველზე. პროცესის მთლიან მონიტორინგს ახორციელებს კომპანიის ფინანსური დირექტორი.

კომპანიას გააჩნია შიდა კოტროლის განხორციელების პროცედურა, რომელიც ხელმძღვანელ ორგანოს საშუალებას აძლევს შეასრულოს მისი პასუხისმგებლობები ფინანსური ანგარიშგების პროცესთან დაკავშირებით, ასევე შეიქმნა შიდა კონტროლის შესაბამისი გარემო ფინანსური და მმართველობის ანგარიშგების მთლიანობისა და სიზუსტის, ასევე მარეგულირებელ საკითხებთან შესაბამისობის მხარდასაჭერად:

- კომპანიაში შექმნილია შიდა კონტროლის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ფინანსურ ანგარიშგებას ასევე ზუსტ და დროულ მართვას. ფინანსური და მმართველობის ანგარიშგების მხარდამჭერი შიდა კონტროლი მოიცავს, თუმცა არ შემოიფარგლება: უფლებამოსილების დელეგირებას (დამტკიცებები); საბალანსო

უწყისების შეჯერებას; მოგების ან ზარალის ანგარიშგების და საბალანსო უწყისის განხილვას ბიუჯეტისა და ფაქტობრივი მონაცემების შედარების ჩათვლით; სააღრიცხვო რეესტრის მიმოხილვებს და დამტკიცებებს; და მოვალეობების გამიჯვნის მიღებას ფულადი სახსრების შემოდინების/გადინების კუთხით.

- შიდა აუდიტის მიმართულება მინიმუმ კვარტალში ერთხელ, ანგარიშს შიდა აუდიტისა კომიტეტს აწვდის. შიდა აუდიტის ანგარიში მოიცავს მის საქმიანობას წინასწარ დამტკიცებული შიდა აუდიტის წლიური გეგმის შესაბამისად და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას საანგარიშგებო პერიოდში.
- კომპანიის რისკის მართვის ძირითადი ორგანოებია: სამეთვალყურეო საბჭო, აღმასრულებელი ორგანო, აუდიტის კომიტეტი, შიდა აუდიტი, ფინანსური დეპარტამენტი, იურიდიული დეპარტამენტი, რეპორტინგისა და ანგარიშგების დეპარტამენტი.

კორპორაციული მართვის ალტერნატიული მიდგომები

კომპანიის კორპორაციული მართვისას გააზრებულად სრულდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტებისთვის დადგენილი მოთხოვნები, თუმცა ვინაიდან, კოდექსი ეფუძნება მიდგომას: „შეასრულე ან განმარტე და წარმოადგინე ალტერნატივა“, კოდექსით გათვალისწინებულ იმ მოთხოვნებზე, რომლის შესრულებაც არ არის იმპერატიულად სავალდებულო სხვა ნორმატიული აქტით, კომპანიას მიმართული აქვს ალტერნატიული მეთოდებისთვის კერძოდ:

კოდექსის მოთხოვნა	აღწერა	ალტერნატიული მიდგომა და დასაბუთება
1. სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრების რაოდენობა	არანაკლებ სამეთვალყურეო საბჭოს ორი წევრი, ანუ ყველა წევრის მინიმუმ 1/3 უნდა იყოს დამოუკიდებელი.	სამეთვალყურეო საბჭოს ყავს ერთი დამოუკიდებელი წევრი, რომელიც ამავდროულად აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარეა, კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნის შესაბამისად. . აქციონერის აზრით, კოდექსის მოთხოვნის მიმართ ალტერნატიულ მიდგომას შემდეგი საგანგებო მიზეზები აქვს: აღნიშნული არ წარმოადგენს სხვა ნორმატიული აქტით გათვალისწინებულ იმპერატიულ მოთხოვნას. საბჭოში არსებულ დამოუკიდებელ წევრს საქმიანობის განხორციელებისას აქვს ობიექტური და დამოუკიდებელი ან სხვა გარე მხარის გავლენის/პოტენციური გავლენის გარეშე გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობა და საბჭოში დამოუკიდებელი წევრის რაოდენობა უზრუნველყოფს ნებისმიერი არსებითი ინტერესთა კონფლიქტის სათანადოდ განხილვის/აღმოფხვრის შესაძლებლობას. ამასთან ვინაიდან „თიბისი ლიზინგის“ აქციების 100%-ის მფლობელი აქციონერია სს თიბისი ბანკი, სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა ძირითადად დაკოპლექტებულია „თიბისი ბანკის“ დირექტორთა საბჭოს წევრებისგან, რომლებსაც გააჩნიათ თიბისი ჯგუფის ბიზნესის განვითარების ხედვა და სტრატეგიული მიზნების მიღწევისთვის საჭირო საუკეთესო უნარები, ასევე კარგად იცნობენ სალიზინგო საქმიანობის სპეციფიკას, აქვთ პროფესიული გამოცდილება საბანკო და საინვესტიციო სფეროში, , აქტივების მართვასა და კაპიტალის ბაზრებში. აქციონერი მიიჩნევს, რომ თიბისი ბანკის დირექტორთა საბჭოს წევრს გააჩნია საკმარისი მოტივაცია და შესაძლებლობა მიაღწიოს დასახულ მიზნებს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ გარდა სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრისა, „თიბისი ბანკის“ დირექტორთა საბჭოს წევრები, თიბისი ლიზინგის საბჭოს წევრობისთვის არ იღებენ დამატებით ანაზღაურებას როგორც ფიქსირებული, ისე საბონუსე ანაზღაურების სახით, რაც დამატებით ხარჯების ოპტიმიზაციას უწყობს ხელს.
2. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის დამოუკიდებლობის სტატუსი	სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე დამოუკიდებელი წევრი უნდა იყოს.	თიბისი ლიზინგის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე კომპანიის დაფუძნების ეტაპიდან იყო თიბისი ბანკის დირექტორთა საბჭოს ან სამეთვალყურეო საბჭოს ერთ-ერთი წევრი. ამჟამადაც სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეა თიბისი ბანკის დირექტორთა საბჭოს წევრი, მისი საბჭოს თავმჯდომარედ დანიშვნის მიმართ მიდგომა იდენტურია იმ დასაბუთებისა, რომელიც ზემოთ არის აღნიშნული საბჭოს იმ წევრების დანიშვნის მიმართ, რომელთა უმეტესობა ასევე თიბისი ბანკის დირექტორთა საბჭოს წევრები არიან

კოდექსის მოთხოვნა	აღწერა	ალტერნატიული მიდგომა და დასაბუთება
3. საბჭოს შეფასების, თვითშეფასების და საბჭოს წევრების შერჩევის კრიეტრიუმები	კოდექსის მოთხოვნის შესაბამისად სამეთვალყურეო საბჭოს უნდა გააჩნდეს თვითშეფასების, შეფასების და საბჭოს წევრების შერჩევის შესაბამისი პროცედურები, ამასთან, საწარმოში უნდა არსებობდეს სამეთვალყურეო საბჭოს შერჩევის კრიტერიუმებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისათვის სათანადო პოლიტიკა და პროცედურები	თიბისი ჯგუფის პოლიტიკა საბჭოს დივერსიფიკაციის შესახებ არეგულირებს ჯგუფში შემავალი კომპანიების სამეთვალყურეო საბჭოს დივერსიფიკაციის კრიტერიუმებს. კომპანიაში წერილობითი სახით არ არსებობს სამეთვალყურეო საბჭოს თვითშეფასების და შეფასების შესაბამისი პროცედურები, საბჭოს თვითშეფასების საკითხი რეგულირდება თიბისი ჯგუფის პოლიტიკის შესაბამისად აქციონერის მიერ
4. კორპორაციული მდივანი	კორპორაციული მდივანი უშუალოდ სამეთვალყურეო საბჭოს დაქვემდებარებაში უნდა იყოს. სამეთვალყურეო საბჭო განსაზღვრავს ამ თანამდებობაზე დანიშნულთან შრომითი ხელშეკრულების პირობებს. კორპორაციული მდივანი არ უნდა იყოს ხელმძღვანელი ორგანოს წევრი ან სხვაგვარად დაკავშირებული კომპანიასთან, რათა გამოირიცხოს ყოველგვარი მიკერძოება გადაწყვეტილების მიღების პროცესში და დამოუკიდებლად შეასრულოს თავისი ფუნქციები.	კომპანია მცირე ზომის საწარმოა და ამ ეტაპისთვის შედგება 180 მდე თანამშრომლისგან. ვინაიდან კომპანიაში არსებობს რამდენიმე ფუნქცია, რომელიც არ მოითხოვს საგანგებოდ გამოყოფილ, სრულ განაკვეთიან კადრებს, ამ ფუნქციებს წარმატებით ფარავენ და ითავსებენ სხვა პოზიციაზე მყოფი პირები. ასეთი მიდგომა ერთის მხრივ განპირობებულია კომპანიის მასშტაბით, ამასთან ხარჯების ოპტიმიზაციას უწყობს ხელს მოცემულ ეტაპზე კომპანიის გადაწყვეტილებით შეთავსებად პოზიციას წარმოადგენს კორპორაციული მდივნის თანამდებობაც, რომელსაც ითავსებს ბიუჯეტირებისა და ანგარიშგების დეპარტამენტის უფროსი, რომელიც ანგარიშვალდებულია კომპანიის ფინანსური დირექტორის წინაშე.
5. რისკის მართვის კომიტეტი	შეიძლება შეიქმნას რისკის მართვის კომიტეტი, რომელიც დაკომპლექტებული იქნება სამეთვალყურეო საბჭოს წევრებით.	სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ნაცვლად, თიბისი ლიზინგის რისკების მართვის კომიტეტში შედიან ხელმძღვანელი ორგანოს წევრები, დირექტორის მოადგილეები და საშუალო რგოლის ხელმძღვანელები. კომიტეტი ანგარიშვალდებულია სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე. კომპანიის შეფასებით ასეთ ალტერნატიულ მიდგომას შემდეგი სპეციფიკური მიზეზები აქვს: ამ შემადგენლობით კომიტეტი ეფექტურად უძღვება რისკებთან დაკავშირებულ მართვის პროცესებს. ამავდროულად კომიტეტი ანგარიშვალდებულია საბჭოს წინაშე, რომელსაც აქვს შესაბამისი ცოდნა და კომპეტენცია. საერთო ჯამში, გამოცდილება აჩვენებს, რომ თანამშრომლობის ეს მოდელი ეფექტურია დასახული მიზნის მისაღწევად.

კოდექსის მოთხოვნა	აღწერა	ალტერნატიული მიდგომა და დასაბუთება
6. ანაზღაურების კომიტეტი	შეიძლება შეიქმნას ანაზღაურების კომიტეტი, რომელიც დაკომპლექტებული იქნება სამეთვალყურეო საბჭოს წევრებით	ანაზღაურების კომიტეტის ალტერნატივას წარმოადგენს კომპანიაში არსებული შიდა ჯგუფი, რომელიც შედგება შემდეგი წევრებისგან: დირექტორი, დირექტორის მოადგილეები, ფინანსური დეპარტამენტის უფროსი, ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი. ჯგუფი ასრულებს ანაზღაურების კომიტეტის ფუნქციებს. კომპანიის შეფასებით ასეთ ალტერნატიულ მიდგომას შემდეგი სპეციფიკური მიზეზები აქვს: ვინაიდან კომპანია მცირე ზომის საწარმოა და შედგება დაახლოებით 180 მდე თანამშრომლისგან, თანამშრომელთა ანაზღაურებისთვის აუცილებელი არ არის სპეციალური კომიტეტის ჩამოყალიბება. ჯგუფი, სამეთვალყურეო საბჭოსთან თანამშრომლობით, ეფექტურად მართავს ანაზღაურების საკითხებს. მიუხედავად იმისა, რომ კომპანიას ჯერ არ შეუმუშავებია ანაზღაურების პოლიტიკა, ანაზღაურებისა და ბონუსების გაცემის პროცესი იმართება შიდა რეგულაციებითა და ბონუსების პოლიტიკით. ანაზღაურების დიაპაზონს თითოეული თანამდებობისთვის ადგენს ხელმძღვანელი ორგანო. ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება შრომითი ხელშეკრულებით. ანაზღაურება გადაიხედება ხელმძღვანელი ორგანოს მიერ, თანამშრომლის საქმიანობის შედეგებისა და კომპეტენციის საფუძველზე. ბონუსების სქემა შემუშავდება და მტკიცდება თითოეული თანამდებობისთვის საქმიანობის შეფასების კრიტერიუმებზე, საბონუსე მალთიფლაიერზე და ბონუსის გაცემის ინტერვალებზე დაყრდნობით. ანაზღაურება გადაიხდება გარკვეული პერიოდულობით საქმიანობის შედეგების მაჩვენებლებიდან გამომდინარე. არაფულადი ჯილდოების სახით, კომპანია ფარავს ჯანმრთელობის დაზღვევის ხარჯებს –საპენსიო შენატანებს, მათ შორის თანამშრომლის წილს საპენსიო შენატანში.
7. კორპორაციული მართვისა და ნომინაციის კომიტეტი	შეიძლება შეიქმნას კორპორაციული მართვისა და ნომინაციის კომიტეტი, რომელიც დაკომპლექტებული იქნება სამეთვალყურეო საბჭოს წევრებით.	ასეთი კომიტეტი ამჟამად არ არსებობს. ამის ნაცვლად, კორპორაციული მართვის საკითხებზე მუშაობს იურიდიული და შესაბამისობის დეპარტამენტი, ხოლო გადაწყვეტილებებს ნომინაციის საკითხების შესახებ შვილობილი საწარმოებისთვის იღებს აქციონერი ჯგუფის დონეზე.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ბიოგრაფიები და ძირითადი მოვალეობები



თორნიკე გოგიჩაიშვილი

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

თორნიკეს გოგიჩაიშვილს აქვს ფინანსური მომსახურებისა და ოპერაციების მართვის 20 წელზე მეტი ხნის გამოცდილება საქართველოსა და ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში. „თიბისიში“ მოსვლამდე მუშაობდა „საქართველოს ბანკის ჯგუფში“ გენერალური დირექტორის მოადგილედ და ოპერაციების მართვის დირექტორად. მანამდე კი ამავე ჯგუფში სხვადასხვა მნიშვნელოვან თანამდებობაზე საქმიანობდა. 2008-2010 წლებში ეკავა ფინანსური დირექტორის თანამდებობა „საქართველოს ბანკის“ შვილობილ კომპანია BG Bank Ukraine-ში. კარიერის დასაწყისში, თორნიკე იყო საქართველოს სადაზღვევო კომპანია „ალდაგის" გენერალური დირექტორი, UEDC PA საკონსულტაციო კომპანიის ფინანსური დირექტორი და ეკავა სხვადასხვა ხელმძღვანელი თანამდებობა BCI Insurance-ში.

თორნიკე ფლობს კავკასიის ბიზნესის სკოლის ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხს და ოქსფორდის უნივერსიტეტის საიდის ბიზნესის სკოლის აღმასრულებელ დიპლომს.



ნათია პაჭიკაშვილი

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე

ნათია პაჭიკაშვილი რისკების გამოცდილი პროფესიონალია და მისი კარიერა საფინანსო სექტორში თითქმის 15 წელს მოიცავს. იგი თიბისი ბანკის გუნდს 2013 წელს შემოუერთდა, რის შემდეგაც მისი წარმატებული კარიერა სწრაფად განვითარდა. ნათია ცოტა ხნის წინ დაწინაურდა ბანკის რისკების უფროსის მოადგილის პოზიციაზე (ძალაში 2025 წლის 1-ელი იანვრიდან). მანამდე ის გახლდათ სამეწარმეო რისკების მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი 2017 წლიდან. სხვადასხვა დროს, ის ბანკის მასშტაბით იკავებდა მნიშვნელოვან თანამდებობებს, მათ შორის, იყო საკრედიტო რისკების განყოფილების უფროსის მოადგილე. თიბისი ბანკამდე ნათია მუშაობდა, როგორც ფინანსური მენეჯერი და ბიზნეს ანალიტიკოსი. ნათია ფლობს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის ხარისხს და Executive MBA-ს (წარჩინებით) HEC Paris-დან. მას 2017 წლიდან აქვს ფინანსური რისკების მენეჯერის (FRM) სერტიფიკატი და 2018 წლიდან CFA სერტიფიკატი.



გიორგი თხელიძე

სამეთვალყურეო საბჭოს წევრი

გიორგი თხელიძე 2016 წლის ნოემბერში დაინიშნა მიმდინარე პოზიციაზე ბანკში და ხელმძღვანელობს კორპორაციულ და საინვესტიციო საბანკო საქმეებს. 2021 წლის იანვრიდან გიორგი ასევე პასუხისმგებელია ბანკის დაგროვილი ქონების მართვისა და ლიზინგის მიმართულებებზე. „თიბისის“ შემოუერთდა 2014 წელს, როგორც აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე და რისკების მართვის დირექტორი.

გიორგის 20 წელზე მეტი ხნის გამოცდილება აქვს გლობალურ ფინანსურ სერვისებში. „თიბისიში“ მოსვლამდე მუშაობდა ბარკლის საინვესტიციო ბანკიდან, სადაც იყო ევროპის, შუა აზიის და აფრიკის რეგიონის (EMEA) ფინანსური ინსტიტუტების ჯგუფის ვიცეპრეზიდენტი. მანამდე კი იყო ბარკლის სასესხო დაფინანსების და რესტრუქტურიზაციის ჯგუფების ასოცირებული დირექტორი. თავისი კარიერის მანძილზე ბარკლიში, ლონდონში, მუშაობდა და წარმატებით განახორციელა არაერთი შერწყმისა და შთანთქმის გარიგება, სასესხო და კაპიტალის ბაზრის ტრანზაქციები ევროპის ფინანსურ ინსტიტუტებთან. კარიერის დასაწყისში საქართველოს წამყვანი სადაზღვევო კომპანია ალდაგის გენერალური დირექტორის იყო; ხოლო მანამდე ეკავა მზარდი თანამდებობები ამავე კომპანიაში.

გიორგი არის სტენფორდის აღმასრულებელი პროგრამის (SEP) კურსდამთავრებული და ფლობს ლონდონის ბიზნეს სკოლის ბიზნესის ადმინისტრირების ხარისხს და ნოტინჰემის უნივერსიტეტის სამართლის მაგისტრის ხარისხს (LLM) საერთაშორისო კომერციულ სამართალში.



ვეფხია ლომინაშვილი

სამეთვალყურეო საბჭოს წევრი

ვეფხვია ლომინაშვილი საბანკო ინდუსტრიაში მუშაობის 20 წლიან გამოცდილებას ფლობს. ვეფხვია ლომინაშვილი საბანკო ინდუსტრიაში მუშაობის 20 წლიან გამოცდილებას ფლობს. ამჟამად ბატონი ლომინაშვილი თიბისი ბანკის MSME სეგმენტის დეპარტამენტის ხელმძღვანელია, სადაც პასუხისმგებელია სტრატეგიების შემუშავებაზე ისეთი ძირითადი მიმართულებებისთვის, როგორიცაა დაკრედიტების პროცესის ავტომატიზაცია და გაციფრულება, მომხმარებელთა მოზიდვა და მათთვის საუკეთესო გამოცდილების მინიჭება, მარკეტინგი, ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამები და საერთო კომერციული წარმატება. თიბისი ბანკში მისი კარიერის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე, რამდენიმე მნიშვნელოვან ხელმძღვანელ როლს იკავებდა, იყო SME კომერციული მენეჯმენტ გუნდის უფროსი, აგრო ბიზნეს განყოფილების უფროსი, რეგიონული დირექტორი „თიბისი ბანკ კონსტანტაში“ და ფილიალის დირექტორი. მისმა ფართო გამოცდილება და სტრატეგიაზე ორიენტირებულობა მნიშვნელოვან როლს თამაშობს ბანკის მასშტაბით ზრდისა და ინოვაციების ხელშეწყობაში. ბატონმა ლომინაშვილმა დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი კომერციული და მარკეტინგის სპეციალიზაციით.



ზურაბ ფიჩხაია

სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი / აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარე

ზურაბ ფიჩხაია არის „თიბისი ლიზინგის“ სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი. ზურაბი „ანაკლიის განვითარების კონსორციუმის“ და „ლისი დეველოპმენტის“ ფინანსური დირექტორი იყო. იგი „თიბისი ბანკში“ რისკების მართვის დირექტორის მოადგილის თანამდებობას იკავებდა და სამეწარმეო რისკების მართვასა და სტრატეგიული პროექტების განხორციელებას ზედამხედველობდა. ასევე მუშაობდა „თიბისი ბანკის“ ფინანსური დირექტორის მოადგილედ, სადაც მის მოვალეობებში შედიოდა ბანკის ფინანსური რისკის მართვის ზედამხედველობა, მომგებიანობის ანალიზი და ანგარიშგების ფუნქციები. კარიერის საწყის ეტაპზე, ფიჩხაია იკავებდა სხვადასხვა თანამდებობას საკრედიტო, სადაზღვევო და შიდა აუდიტის სფეროებში „ვითიბი ბანკი ჯორჯიაში“, „ბანკი რესპუბლიკა სოსიეტე ჟენერალის ჯგუფში“ და „პრივატბანკ საქართველოში“.

ზურაბი ფლობს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბაკალავრის ხარისხს ეკონომიკის განხრით და მაგისტრის ხარისხს ბიზნესის ადმინისტრირებაში. გარდა ამისა, ფლობს პენსილვანიის უნივერსიტეტის უორტონის ბიზნესის სკოლის ხარისხს ბიზნესის ადმინისტრირებაში, ფინანსების მიმართულებით.

მოვალეობების განაწილება

როგორც თავმჯდომარე, თორნიკე გოგიჩაიშვილი პასუხისმგებელია იმაზე, რომ მთლიანი სამეთვალყურეო საბჭო სრულად და კონსტრუქციულად ასრულებდეს თავის როლს კომპანიის სტრატეგიის და საერთო კომერციული მიზნების შემუშავებასა და განსაზღვრაში. იგი ასევე ზედამხედველობს საბჭოს გადაწყვეტილების მიღების პროცესს. მაშინ, როცა თავმჯდომარე განსაზღვრავს სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებს, საბჭოს სხვა წევრების მოვალეობაა ოპერაციების ეფექტური ზედამხედველობა და მიმოხილვა. ისინი ადგენენ კომპანიის რისკის აპეტიტს, მონიტორინგს უწევენ საოპერაციო და ფინანსურ შედეგებს და ანგარიშგებას, უზრუნველყოფენ, რომ კომპანია ადეკვატურად იყოს აღჭურვილი ეფექტური კონტროლებით და ანაზღაურების პოლიტიკით, და ამოწმებენ, რომ სახელმძღვანელო პოზიციებისთვის რეზერვი სათანადოდ იყოს დაგეგმილი.

ზურაბ ფიჩხაია, საბჭოს დამოუკიდებელი წევრი და აუდიტის კომიტეტის უფროსი, ხელმძღვანელობისგან დამოუკიდებლად მოქმედებს აქციონერების წინაშე თავისი ნდობითი ვალდებულების შესასრულებლად და იმის უზრუნველსაყოფად, რომ მათი ინტერესები სათანადოდ იყოს დაცული ეფექტური შიდა კონტროლებით, ფინანსური ანგარიშგებით და გარე აუდიტორებთან სათანადო ურთიერთობით. მისი ძირითადი მოვალეობებია:

- კომპანიის შიდა ფინანსური კონტროლების და სხვა შიდა კონტროლების გადამოწმება, რათა უზრუნველყოს შიდა კონტროლების სტრუქტურის ეფექტურობა და განიხილოს მათში ცვლილებების შეტანის შესახებ რეკომენდაციები;
- კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების მთლიანობის მონიტორინგი, რათა უზრუნველყოს, რომ ისინი აკმაყოფილებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა მოთხოვნას და ფინანსური ანგარიშგების შესაბამის საერთაშორისო სტანდარტებს;
- კომპანიის შესაბამისობისა და ფულის გათეთრებასთან ბრძოლის ფუნქციების მეთვალყურეობა; და
- შიდა აუდიტის საქმიანობის ეფექტურობისა და დამოუკიდებლობის და გარე აუდიტორებთან მისი ურთიერთობის განხილვა.

კომპანიის ხელმძღვანელ პირთა ბიოგრაფიები და მთავარი მოვალეობები



გაიოზ გოგუა

დირექტორი

გაიოზ (გაგა) გოგუა 2017 წლიდან „თიბისი ლიზინგის“ დირექტორია. „თიბისი ბანკში“ მას საბანკო სექტორში მუშაობის 18-წლიანი გამოცდილება აქვს. გაგამ კარიერა „თიბისიში“ 2001 წელს საკრედიტო ოფიცრის თანამდებობაზე მუშაობით დაიწყო. 2003-2004 წლებში ის საკრედიტო განყოფილების უფროსის პოსტს იკავებდა, ხოლო შემდეგ თბილისსა და რეგიონებში „თიბისი ბანკის“ სხვადასხვა ფილიალის დირექტორად მუშაობდა. 2005-2008 წლებში გაგა „თიბისის“ მარკეტინგის კომიტეტის წევრად დაინიშნა. 2008 წლიდან 2016-მდე, ის სხვადასხვა ფილიალის რეგიონულ დირექტორად მუშაობდა, შემდეგ კი, 2017 წელს, რეგიონული მართვის უფროსად დაინიშნა. იგი ფლობს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბაკალავრისა და მაგისტრის ხარისხს ფიზიკის მიმართულებით, ასევე TACIS Tbilisi-ს ბაკალავრის ხარისხს მენეჯმენტის მიმართულებით და თავისუფალი უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრატურის ხარისხს.

როგორც დირექტორი, გაგა გოგუა პასუხს აგებს კომპანიის ყოველდღიურ მართვაზე და, თავმჯდომარესთან და სამეთვალყურეო საბჭოსთან კონსულტაციებით, ხელმძღვანელობს სტრატეგიისა და საერთო კომერციული მიზნების შეთავაზებას, შემუშავებას და დანერგვას.



ნუგზარ ლოლაძე

ფინანსური დირექტორი

ნუგზარ ლოლაძე „თიბისი ლიზინგის“ გუნდს ფინანსური დირექტორის პოზიციაზე 2014 წელს შემოუერთდა. პარალელურად, 2017-2018 წლებში ის კომპანიის რისკების მართვის ხელმძღვანელიც იყო. „თიბისი ლიზინგში“ გადმოსვლამდე, 2008 წელს მან აუდიტორულ კომპანია EY-ში დაიწყო მუშაობა, სადაც უფროს აუდიტორამდე დაწინაურდა. 2012 წელს ის დაინიშნა დსთ-ის ქვეყნებში ტრანზაქციების საკონსულტაციო მიმართულების ხელმძღვანელად. აღნიშნულ პოზიციებზე მუშაობისას ის ხელმძღვანელობდა და მონაწილეობას იღებდა შემდეგი მსხვილი კომპანიების პროექტებში: „ბი თი ეი ჯორჯია“, „ვითიბი ჯორჯია“, „სოკარ ენერჯი ჯორჯია“, „ტავ ურბან საქართველო“, „საქართველოს ეროვნული ბანკი“, „საქართველოს ბანკი“, „ჰაიდელბერგცემენტი“, „ყაზტრანსგაზი“, „V-Tell“ და სხვა. ნუგზარი ფლობს კავკასიის ბიზნესის სკოლის ბაკალავრის ხარისხს ფინანსური მიმართულებით.

როგორც ფინანსური დირექტორი, ნუგზარი უძღვება კომპანიის ფინანსურ და საოპერაციო განყოფილებებს. იგი ზედამხედველობს ხაზინის, დაფინანსების, ბიუჯეტირების, ანგარიშგების, საინფორმაციო ტექნოლოგიების, პროექტების მართვის და შესყიდვების გუნდების ყოველდღიურ ოპერაციებს. ფინანსური დირექტორი პასუხს აგებს და უშუალოდ არის ჩართული შიდა კონტროლის სისტემების დანერგვასა და შემოღებაში, პროცესების და ტრანზაქციების გამჭვირვალობის უზრუნველყოფაში, კომპანიის სტრატეგიული და ფინანსური მიზნების მიღწევაში.



ზურაბ გუგუშვილი

კომერციული დირექტორი

ზურაბ გუგუშვილი სს „თიბისი ლიზინგის“ კომერციულ დირექტორად 2021 წლის მარტში დაინიშნა. „თიბისი ლიზინგში“ გადმოსვლამდე, 2018 წელს ზურაბი სადაზღვევო კომპანია „უნისონის“ კომერციული დირექტორის თანამდებობაზე დაინიშნა. სადაზღვევო სფეროში მოღვაწეობამდე, ზურაბი 12 წლის განმავლობაში „თიბისი ჯგუფის“ გუნდის წევრი იყო და 2006 წლიდან სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობდა. 2008 წლიდან ზურაბის ძირითადი საქმიანობა მოზიდვები და იურიდიულ პირთა მომსახურება იყო, ექსპერტების ზედამხედველობის ნაცვლად. „თიბისიში“ მუშაობის ბოლო ცხრა წლის განმავლობაში, იგი უძღვებოდა მთავარ მიმართულებებს კორპორაციულ სექტორში, ძირითადად საცალო ვაჭრობასა და ავტოინდუსტრიას, თუმცა პერიოდულად ებარა განათლების, მასპინძლობის, კომერციული უძრავი ქონებისა და სხვა სექტორების ზედამხედველობა. 2016 წლიდან, ჯგუფის გაზრდასთან ერთად, ზურაბი დაინიშნა კორპორაციული განყოფილების უფროსად და კორპორაციული ბიზნესის დაახლოებით 20%-ზე აგებდა პასუხს.

როგორც კომერციულ დირექტორს, აბარია კომპანიის შემოსავლების გენერირება, ახალი მომხმარებლების მოზიდვა და არსებული მომხმარებლების შენარჩუნება. ახალი პროდუქტების შექმნით და არსებული პროდუქტების დახვეწით, მისი მთავარი მიზანი ჯანსაღი, გრძელვადიანი სალიზინგო პორტფელის შექმნაა.



გიორგი მაისურაძე

რისკების მართვის დირექტორი

გიორგი მაისურაძე „თიბისი ლიზინგის“ გუნდს 2018 წელს შემოუერთდა – რისკების მართვის დირექტორის თანამდებობაზე. გიორგის ფინანსური სექტორში მუშაობის 23 წლის გამოცდილება აქვს, რომლის თითქმის ნახევარი მან რისკის მართვის სფეროს დაუთმო. მან კარიერა Baker Tilly-ს კომპანიაში დაიწყო აუდიტის მენეჯერად. შემდეგ გამოცდილება დააგროვა საქართველოში მოქმედ სხვადასხვა ბანკში: „თიბისი ბანკი“, „საქართველოს ბანკი“, „ბანკი რესპუბლიკა სოსიეტე ჟენერალი“, „პროკრედიტ ბანკი“, „პრივატ ბანკი“ და „ბაზის ბანკი“. 2010-2014 წლებში გიორგი მუშაობდა საკრედიტო რისკის მენეჯერად საქართველოს ეროვნულ ბანკში. 2015-2018 წლებში ის წამყვან მენეჯერულ პოზიციებს იკავებდა ბაზის ბანკში. მას განათლება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე აქვს მიღებული – ფლობს ბაკალავრისა და მაგისტრის ხარისხს მაკროეკონომიკის მიმართულებით. ასევე ფლობს კორპორაციული ფინანსების ინსტიტუტის (CFI) რამდენიმე სერტიფიკატს: კაპიტალის ბაზრების და ფასიანი ქაღალდების ანალიტიკოსი (CMSA), ფინანსური მოდელირების და შეფასების ანალიტიკოსი (FMVA), და ფინანსური დაგეგმვა და დაგროვილი ქონების მართვა (FPWM).

როგორც რისკების დირექტორი, გიორგი ზედამხედველობს საკრედიტო რისკის, სამეწარმეო რისკის მართვის, პრობლემური აქტივების მართვისა და ამოღების და იურიდიულ განყოფილებებს. იგი ახორციელებს სხვადასხვა კონტროლის სისტემას, რათა უზრუნველყოს ჯანსაღი სალიზინგო პორტფელი ანდერაიტინგის ეფექტური პროცესებით და დავალიანების ამოღების ჯანსაღი ღონისძიებებით.

პასუხისმგებელი პირების განცხადება

მმართველობის ანგარიშგება და ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მოქმედი კანონებისა და რეგულაციების შესაბამისად.

ჩვენ ვადასტურებთ, რომ:

- ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და სრულად, ზუსტად და სამართლიანად ასახავს კომპანიის აქტივებს, ვალდებულებს, შემოსავალსა და ხარჯებს, ფინანსურ მდგომარეობას, მოგებასა და ზარალს და ფულად ნაკადებს.
- მმართველობის ანგარიშგება მოიცავს ბიზნესისა და კომპანიის პოზიციის განვითარების, საქმიანობის შედეგებისა და პირობების სამართლიან მიმოხილვას, ძირითადი რისკებისა და განუსაზღვრელობების აღწერას.
- მმართველობის ანგარიშგება და ფინანსური ანგარიშგება არის სამართლიანი, დაბალანსებული და გასაგები და უზრუნველყოფს აქციონერებისთვის ინფორმაციის მიწოდებას კომპანიის მდგომარეობის, საქმიანობის შედეგებისა და ბიზნესსტრატეგიის შესაფასებლად.

პასუხისმგებელი პირების განცხადება დამტკიცებულია კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოს მიერ.

თორნიკე გოგიჩაიშვილი
სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

15 მაისი, 2025 წ.

გაიოზ გოგუა
დირექტორი

15 მაისი, 2025 წ.

თავი 9

ხელი ეხება

სააქციო საზოგადოება „თიბისი ლიზინგი“

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა და ფინანსური ანგარიშგება

31 დეკემბერი, 2024 წ.

ტელ: +995 32 2545 845
ტელ: +995 32 2188 188
www.bdo.ge

თარხნიშვილის ქუჩა 2
ვერეს ბიზნეს ცენტრი
0108, თბილისი, საქართველო

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „თიბისი ლიზინგის“ აქციონერებსა და ხელმძღვანელობას

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

მოსაზრება

ჩავატარეთ სს „თიბისი ლიზინგის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება:

- 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან;
- ამავე თარიღით დასრულებული წლის მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან;
- ამავე თარიღით დასრულებული წლის საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისგან;
- ამავე თარიღით დასრულებული წლის ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან; და
- ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარვმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის – „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ – ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის (ბესსს-ის კოდექსი) და იმ ეთიკური მოთხოვნების შესაბამისად, რომლებიც ეხება საქართველოში ფინანსური ანგარიშგების ჩვენ მიერ ჩატარებულ აუდიტს, და შესრულებული გვაქვს ამ მოთხოვნებით და ბესსს-ის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტის მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

შპს „ბიდიო აუდიტი“, საქართველოში მოქმედი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (საიდენტიფიკაციო ნომრით 205145403) არის დიდ ბრიტანეთში დაფუძნებული გარანტიით შეზღუდული კომპანიის, „ბიდიო ინტერნეშენალ ლიმიტედის“ წევრი და მიეკუთვნება ბიდიოს დამოუკიდებელი წევრი ფირმების საერთაშორისო ქსელს.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია, რომელიც შეტანილია თანდართულ მმართველობის ანგარიშგებაში მიღებული გვქონდა აუდიტორის დასკვნის თარიღისთვის და მასზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოხსენებულ სხვა ინფორმაციას.

ჩვენ მიერ ჩატარებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციასაც და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

აუდიტის ძირითადი საკითხები

აუდიტის ძირითად საკითხებად მიიჩნევა ისეთი საკითხები, რომლებიც, ჩვენი პროფესიული შეფასებით, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების ჩვენ მიერ ჩატარებულ აუდიტში. ეს საკითხები მთლიანობაში განვიხილეთ ჩვენ მიერ ჩატარებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტისა და თანდართული ფინანსური ანგარიშგების შესახებ ჩვენი მოსაზრების ჩამოყალიბების კონტექსტში და ამ საკითხებზე ცალკე მოსაზრებას არ გამოვთქვამთ.

აუდიტის ძირითადი საკითხი	როგორ მივუდექით ამ საკითხს ჩვენი აუდიტის განმავლობაში

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებულ მოთხოვნებზე

ამ საკითხზე ყურადღება იმიტომ გავამახვილეთ, რომ ხელმძღვანელობის შეფასებები ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნებისთვის შექმნილ მოსალოდნელ საკრედიტო ზარალის რეზერვთან დაკავშირებით კომპლექსურია, მათში მნიშვნელოვანი დოზით მონაწილეობს განსჯა და ისინი ექვემდებარება შეფასების მაღალი დონის განუსაზღვრელობას.

ფასს 9-ის „ფინანსური ინსტრუმენტები“ („ფასს 9“) მიხედვით, ხელმძღვანელობას მოეთხოვება საკრედიტო ზარალის რეზერვის განსაზღვრა, რომლის დადგომა მოსალოდნელია 12-თვიანი პერიოდის განმავლობაში ან აქტივის დარჩენილი ვადის მანძილზე, ცალკეული აქტივისთვის მინიჭებული სტადიიდან გამომდინარე. ესა თუ ის სტადია განისაზღვრება იმის შეფასებით, საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა (საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა) ან აღმოჩნდა თუ არა ლიზინგის მიმღები დეფოლტის სიტუაციაში სალიზინგო ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრისას ასევე საჭიროა სამომავლო მაკროეკონომიკური პირობების გავლენის გათვალისწინება. ეკონომიკური პერსპექტივა სტაბილურია ინფლაციური ზეწოლების

ჩვენ შევაფასეთ, ხელმძღვანელობის მიერ ფასს 9-ის მიხედვით შემუშავებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელის მეთოდოლოგიები რამდენად მართებული იყო, რაშიც ჩავრთეთ ჩვენი საკრედიტო რისკის მოდელირების სპეციალისტები და დავეყრდენით დარგის შესახებ ჩვენს ცოდნასა და ბიზნესის სპეციფიკას. ამასთანავე შევაფასეთ ხელმძღვანელობის მიერ დაწესებული კრიტერიუმები იმის დასადგენად, მოხდა თუ არა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა ან დეფოლტი, და მოდელები და მიდგომები, რომლებიც გამოყენებულია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის პარამეტრების განსაზღვრისთვის.

ჩვენ შევაფასეთ დეფოლტის შემთხვევაში ზარალი, დეფოლტის ალბათობის, საპროგნოზო ინფორმაციისა და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრისას გამოყენებული მნიშვნელოვანი განსჯის და ძირითადი დაშვებების მიზანშეწონილობა.

ჩვენ დამოუკიდებლად შევამოწმეთ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლის სიზუსტე და შევაფასეთ, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლა შესაბამისობაში იყო თუ არა დამტკიცებულ მოდელის მეთოდოლოგიასთან.

აუდიტის ძირითადი საკითხები

მიუხედავად. ხელმძღვანელობამ შეიმუშავა და დანერგა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დარეზერვების მოდელი, რათა მიაღწიოს ფასს 9-ის მოთხოვნებთან შესაბამისობას. ამასთან, ხელმძღვანელობა იყენებს განსჯას მოდელებთან მიმართებით ისეთ სიტუაციებში, როდესაც მიიჩნევა, რომ წარსული გამოცდილება არ ასახავს სამომავლო შედეგებს შეზღუდული ან არასაკმარისი მონაცემების გამო.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ მოდელის მეთოდოლოგიების მიზანშეწონილობა და ქვემოთ მოცემული განსჯა, რომელიც გამოყენებულია მოდელირებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის განსაზღვრისთვის, მნიშვნელოვანია:

– დეფოლტის შემთხვევაში ზარალის და დეფოლტის ალბათობის განსაზღვრისთვის გამოყენებული კრიტიკული დაშვებები;

– საპროგნოზო ინფორმაციასთან დაკავშირებული ძირითადი დაშვებების, მათ შორის სცენარებისთვის მინიჭებული წონების და მაკროეკონომიკური ცვლადების მიზანშეწონილობის შეფასება.

ჩვენ შევაფასეთ ხელმძღვანელობის მიერ მოდელის ფუნქციონირების და სტაბილურობის შესაფასებლად ჩატარებული მოდელის მონიტორინგის და შემოწმების ძირითადი ასპექტები და კრიტიკულად შევაფასეთ მონიტორინგის შედეგები. სტატისტიკური მოდელების ტესტირების შედეგების ინტერპრეტაცია მოხდა შესაბამისი გარემოებების კონტექსტში და განმარტებები იქნა მოძიებული მოლოდინისგან გადახრების შემთხვევაში.

საფუძვლიანად შევამოწმეთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული მაკროეკონომიკური მოდელების მიზანშეწონილობა და ასევე თითოეული მაკროეკონომიკური სცენარისთვის მინიჭებული წონა.

ასევე მხედველობაში მივიღეთ, იყო თუ არა საჭირო მოდელირების შემდგომი კორექტირებები (PMA) შესაბამისი რისკების სამართავად, რომლებიც მოდელირებულ ანარიცხებში არ იყო ასახული.

გადავამოწმეთ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესახებ განმარტებითი შენიშვნების სიზუსტე და სისრულე.

ხელმძღვანელობის და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტის პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტის მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტის პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის – ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებას. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, და ასევე ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- კომპანიის 2024 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, შესაბამისობაშია 2024 წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- 2024 წლის მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნებს.

ხელმძღვანელობის და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშგების მომზადებაზე ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხს აგებენ მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა მოსაზრების გამოთქმა იმის თაობაზე, კომპანიის მიერ მოწოდებული მმართველობის ანგარიშგება შეესაბამება თუ არა ფინანსურ ანგარიშგებას, ასევე მასში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს თუ არა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნებს.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია:

ივანე ჟუჟუნაშვილი (რეგისტრაციის # SARAS-A-720718)

შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

15 მაისი, 2025 წ.



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ათას ლარში	შენიშვნა	31 დეკემბერი, 2024 წ.	31 დეკემბერი, 2023 წ.
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	6	66,868	57,326
მოთხოვნები ბანკების მიმართ	7	-	10,000
გადახდილი ავანსები	8	4,128	3,086
საგადასახადო აქტივები, წმინდა	9	2,559	5,654
სალიზინგო ხელშეკრულებებზე გადახდილი ავანსები	10	119,196	27,191
ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნები	11	436,564	368,287
ძირითადი საშუალებები	12	3,275	3,292
არამატერიალური აქტივები	13	4,017	3,552
ლიზინგის მიზნით შესყიდული აქტივები		6,887	3,410
ლიზინგის შეწყვეტის შედეგად დასაკუთრებული აქტივები	14	4,433	2,935
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	29	-	91
სხვა ფინანსური აქტივები	15	29,002	29,624
სხვა აქტივები		4	4
მთლიანი აქტივები		**676,933**	**514,452**
ვალდებულებები			
ბანკებიდან და ფინანსური დაწესებულებებიდან მიღებული სესხები	16	356,288	255,898
მომხმარებლებისგან მიღებული ავანსები	17	52,601	23,450
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	18	114,656	103,127
სუბორდინირებული სესხები	19	49,676	42,184
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	29	445	-
სხვა ვალდებულებები	20	6,511	11,091
მთლიანი ვალდებულებები		**580,177**	**435,750**
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	21	3,659	3,659
დამატებით შეტანილი კაპიტალი	21	7,550	7,550
გაუნაწილებელი მოგება		85,547	67,493
მთლიანი საკუთარი კაპიტალი		**96,756**	**78,702**
მთლიანი ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		**676,933**	**514,452**

დირექტორი
გაიოზ გოგუა

ფინანსური დირექტორი
ნუგზარ ლოლაძე

15 მაისი, 2025 წ.

118-173 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

ათას ლარში	შენიშვნა	2024	2023
ფინანსური შემოსავალი ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნებიდან		91,465	71,837
ამონაგები საოპერაციო ლიზინგიდან		8	960
საპროცენტო ხარჯი		(37,710)	(30,485)
პირდაპირი სალიზინგო დანახარჯები	24	(12,628)	(11,075)
წმინდა სალიზინგო შემოსავალი		**41,135**	**31,237**
ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებულ მოთხოვნებზე საკრედიტო ზარალის რეზერვი	11	(3,055)	(2,000)
წმინდა სალიზინგო შემოსავალი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შემდეგ		**38,080**	**29,237**
საკრედიტო ზარალის რეზერვი სხვა ფინანსური აქტივებისთვის	15	(3,181)	(4,570)
ამონაგები დასაკუთრებული აქტივების გაყიდვიდან	14	7,747	12,678
გაყიდული დასაკუთრებული აქტივების თვითღირებულება	14	(7,752)	(12,322)
დასაკუთრებული აქტივების გათავისუფლებით განპირობებული შემოსულობა	14	427	34
შემოსულობა/(ზარალი) დასაკუთრებული აქტივების საწყისი აღიარებიდან		(31)	1,141
დასაკუთრებული აქტივების ჩამოფასება წმინდა სარეალიზაციო ღირებულებამდე	14	(185)	(799)
წმინდა ზარალი წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებიდან	29	(2,981)	(1,191)
ვალუტის კონვერტაციიდან მიღებული წმინდა შემოსულობა		2,389	957
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	25	(17,186)	(13,092)
სხვა შემოსავალი	22	5,727	4,655
წლის წმინდა მოგება		**23,054**	**16,728**
სხვა სრული შემოსავალი:			
მუხლები, რომლებიც შეიძლება შემდგომში რეკლასიფიცირდეს მოგებაში ან ზარალში:			
ზარალი ფულადი ნაკადების ჰეჯირებიდან		-	(1,091)
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		**23,054**	**15,637**

118-173 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

ათას ლარში	სააქციო კაპიტალი	დამატებით შეტანილი კაპიტალი	ფულადი ნაკადის ჰეჯირების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**3,659**	**7,550**	**1,091**	**50,765**	**63,065**
წლის წმინდა მოგება	-	-	-	16,728	16,728
სხვა სრული შემოსავალი	-	-	(1,091)	-	(1,091)
მთლიანი სრული შემოსავალი	**-**	**-**	**(1,091)**	**16,728**	**15,637**
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**3,659**	**7,550**	**-**	**67,493**	**78,702**
წლის წმინდა მოგება	-	-	-	23,054	23,054
მთლიანი სრული შემოსავალი	**-**	**-**	**-**	**23,054**	**23,054**
გამოცხადებული დივიდენდები	-	-	-	(5,000)	(5,000)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**3,659**	**7,550**	**-**	**85,547**	**96,756**

118-173 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ათას ლარში	შენიშვნა	2024	2023
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
ლიზინგის მიმღებებისგან მიღებული ფულადი სახსრები		234,626	195,984
ანაბრებიდან მიღებული ფულადი სახსრები (მოთხოვნები ბანკების მიმართ)		94,064	33,110
ლიზინგის მიმღებებისგან მიღებული ფულადი სახსრები ლიზინგის დაწყებამდე		24,638	20,367
დასაკუთრებული აქტივების გაყიდვიდან მიღებული ფულადი სახსრები		8,644	14,668
შეწყვეტილი სალიზინგო ხელშეკრულებებიდან მიღებული ფულადი სახსრები		2,717	1,876
ფულადი ნაკადების შემოდინება/ (გადინება) წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებიდან		(10,476)	2,527
მიმდინარე ანგარიშებიდან მიღებული პროცენტი		4,379	4,095
ანაბრებიდან მიღებული პროცენტი		425	59
ფინანსური ლიზინგის მიზნებისთვის აქტივების შესასყიდად გადახდილი ფულადი სახსრები		(309,084)	(241,537)
ანაბრებზე გადახდილი ფულადი სახსრები (მოთხოვნები ბანკების მიმართ)		(75,285)	(44,859)
პირდაპირი სალიზინგო დანახარჯებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები		(10,192)	(10,574)
თანამშრომლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები		(8,812)	(6,010)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები		(4,978)	(6,553)
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები		**(49,334)**	**(36,847)**
ბანკებიდან და ფინანსური დაწესებულებებიდან მიღებულ სესხებზე გადახდილი პროცენტი	26	(18,697)	(14,135)
გამოშვებული სავალო ფასიან ქაღალდებზე გადახდილი პროცენტი	26	(13,449)	(17,092)
სუბორდინირებულ სესხებზე გადახდილი პროცენტი	26	(3,783)	(3,351)
გადახდილი გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა		(12,157)	(15,263)
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		**(97,420)**	**(86,688)**
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	12	(109)	(45)
არამატერიალური აქტივების შესყიდვა	13	(1,048)	(908)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		**(1,157)**	**(953)**
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
ბანკებიდან და ფინანსური დაწესებულებებიდან აღებული სესხები	26	211,974	197,387
აღებული სუბორდინირებული სესხები	26	5,548	11,805
ბანკებიდან და ფინანსური დაწესებულებებიდან მიღებული სესხების დაფარვა	26	(112,991)	(155,894)
გადახდილი დივიდენდები		(5,000)	-
სუბორდინირებული სესხების დაფარვა	26	-	(2,447)
სალიზინგო ვალდებულებების დაფარვა	26	(798)	(559)
შემოსულობა სავალო ფასიანი ქაღალდების გამოშვებიდან	26	11,633	50,282
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		**110,366**	**100,574**
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(2,247)	(1,453)
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა		**9,542**	**11,480**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	6	57,326	45,846
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	**6**	**66,868**	**57,326**

118-173 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

1. შესავალი

სს „თიბისი ლიზინგი“ (შემდგომში „კომპანია“) დაფუძნდა 2003 წელს და მდებარეობს საქართველოში. კომპანია არის სააქციო საზოგადოება, რომელიც შეზღუდულია აქციებით. იგი შეიქმნა საქართველოს რეგულაციების შესაბამისად და რეგისტრირებულია ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს მიერ საიდენტიფიკაციო ნომრით: 205016560.

ძირითადი საქმიანობა. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა საქართველოში იურიდიული და ფიზიკური პირებისთვის ფინანსური და საოპერაციო ლიზინგის მომსახურების გაწევაა. კომპანია არის სალიზინგო პროდუქტების ფართო სპექტრის უმსხვილესი მომწოდებელი 2,000-ზე მეტი დიდი, კორპორაციული და მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოებისთვის და ფიზიკური პირებისთვის მთელ საქართველოში. კომპანიის პროდუქტები მოიცავს ფინანსურ და საოპერაციო ლიზინგს აგრო, სამედიცინო, სამშენებლო, მომსახურების, საწარმოო და საცალო ბიზნესის სექტორებში. კომპანია კლიენტებს პროდუქტებს სთავაზობს სხვადასხვა ტიპის გაყიდვების არხების, მათ შორის მშობლიური ბანკის, ოფიციალური დილერების, სალიზინგო საგნის მომწოდებლების და გაყიდვების პირდაპირი არხების მეშვეობით. კომპანია ლიზინგით გასცემს სხვადასხვა ტიპის აქტივებს, დაწყებული წარმოებასა და საინფორმაციო ტექნოლოგიებში გამოყენებული აღჭურვილობით, დამთავრებული სატრანსპორტო საშუალებებით, რომელთა შესყიდვა მომწოდებლებისგან ხდება საქართველოში და საზღვარგარეთ. კომპანია არის ისეთი სახელმწიფო უწყებების პარტნიორი, როგორიცაა „აწარმოე საქართველოში“ და „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო“, რომლებიც სუბსიდირებას უწევს კომპანიებს, რათა დაეხმარონ მათ თავიანთი ბიზნესის ზრდაში. კომპანიაში დასაქმებულია 170 მუდმივი თანამშრომელი და მოიცავს სათავო ოფისსა და საცალო მომსახურების სამ ფილიალს.

კომპანიის აქციონერი არის სს „თიბისი ბანკი“ (შემდგომში „ბანკი“), რომელსაც 2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ეკუთვნის კაპიტალის 100%-იანი წილი. საჯარო სააქციო საზოგადოება „თიბისი ბანკის ჯგუფი“ არის გაერთიანებულ სამეფოში დაფუძნებული საჯარო სააქციო საზოგადოება. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სს „თიბისი ბანკის“ (შემდგომში „ბანკი“) სააქციო კაპიტალის 99.88%-ს (2023 წ.: 99.88%) ფლობდა საჯარო სააქციო საზოგადოება „თიბისი ბანკის ჯგუფი“, ამრიგად წარმოადგენდა „თიბისი ლიზინგის“ საბოლოო მშობელ საწარმოს. საჯარო სააქციო საზოგადოება „თიბისი ბანკის ჯგუფი“ და მისი შვილობილი საწარმოები მოიხსენიებიან, როგორც „თიბისი ბანკის ჯგუფი“ ან „ჯგუფი“.

2024 წლის 31 დეკემბერსა და 2023 წლის 31 დეკემბერს საჯარო სააქციო საზოგადოება „თიბისი ბანკის ჯგუფის“ აქციები კოტირებული იყო ლონდონის საფონდო ბირჟაზე და არ ჰყავს საბოლოო ბენეფიციარი მესაკუთრე.

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის იურიდიული მისამართია: ჭავჭავაძის გამზ. 76მ, თბილისი 0160, საქართველო.

წარსადგენი ვალუტა. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათას ქართულ ლარში („ლარი“) თუკი სხვა რამე არ არის მითითებული.

2. კომპანიის საოპერაციო გარემო

მიმოხილვა: საქართველო, სადაც კომპანია საქმიანობას ეწევა, აგრძელებს განვითარებადი ბაზრისთვის დამახასიათებელი ნიშნების გამოვლენას. სამართლებრივი, საგადასახადო და მარეგულირებელი ბაზა ვითარდება, ახასიათებს ხშირი ცვლილება და სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაცია, რაც ასახავს საქართველოს დინამიკურ ბიზნესგარემოს. გლობალური გეოპოლიტიკური ცვლილებების, მიწოდების ჯაჭვების მოშლის, ვაჭრობის გადამისამართებისა და რუსეთ-უკრაინის მიმდინარე კონფლიქტის შედეგად მიგრაციის ნაკადების პირობებში, საქართველომ ანგარიშგასაწევი ეკონომიკური მედეგობა გამოავლინა.

ეკონომიკური ვითარება: 2024 წლის პოლიტიკური მერყეობის მიუხედავად, საქართველოს ეკონომიკამ მძლავრი ზრდა აჩვენა: წელს მშპ 9.4%-ით გაიზარდა, რასაც წინ უსწრებდა 2021 წელს 10.6%-იანი, 2022 წელს 11%-იანი და 2023 წელს 7.8%-იანი ზრდის ტემპები. ზრდის ასეთი შენარჩუნებული ტემპი მეტწილად განპირობებული იყო მაღალი შიდა მოხმარებით, ტურიზმის გამოცოცხლებით და რეალური კრედიტების ძლიერი ზრდით. თუმცა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა და ფულადმა გზავნილებმა მცირედი კლება აჩვენა. შემცირდა მიგრაციასთან დაკავშირებული შემოდინებები, რის შედეგადაც მათი მონაწილეობა საერთო ზრდაში ზომიერი გახდა.

გეოპოლიტიკური და ეკონომიკური რისკები: მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში შემოდინებული ფულადი ნაკადები დივერსიფიცირებულია, ქვეყანა მაინც მოწყვლადია როგორც რეგიონში, ისე მთელ მსოფლიოში მიმდინარე გეოპოლიტიკური და ეკონომიკური მოვლენების მიმართ. მთავარი რისკები კვლავაც გამომდინარეობს რუსეთ-უკრაინის მიმდინარე კონფლიქტიდან, რამაც შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს საქართველოს ეკონომიკაზე ვაჭრობის მოშლით, ბაზრის მერყეობითა და საგარეო ურთიერთობების ცვლილებით. გარდა ამისა, საშინაო პოლიტიკური არასტაბილურობა და პოლიტიკური დაძაბულობის ზრდა ზეწოლას ახდენს ქართულ ლარზე, ტურისტულ ნაკადზე და პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე.

2. კომპანიის საოპერაციო გარემო გაგრძელება

საქართველოს ასევე აქვს პოტენციური სამხედრო კონფლიქტების გაღვივების რისკები თავის სეპარატისტულ რეგიონებში, რომლებიც რუსეთის მიერ არის ოკუპირებული. ამასთან, გლობალურმა მოვლენებმა, როგორიცაა დაძაბულობის ესკალაცია ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში ან ცვლილებები გლობალურ ნავთობის ბაზრებზე, შეიძლება გავლენა მოახდინოს საქართველოს ეკონომიკურ მდგომარეობაზე ისეთი ფაქტორებით, როგორიცაა აშშ დოლარის გამყარება, ნავთობის ფასების გაზრდა და ცვლილებები მიგრაციის ნაკადებში.

მიგრაციის გავლენა და შიდა დინამიკა: 2024 წელს მიგრაციის გავლენამ ეკონომიკურ ზრდაზე შესუსტება დაიწყო. მართალია, მიგრაციასთან დაკავშირებული შემოდინებები ოდესღაც ეკონომიკური საქმიანობის მნიშვნელოვანი განმაპირობებელი იყო, ეს გავლენა შემცირდა. ამის მიუხედავად, მიგრაცია ჯერაც შესამჩნევ როლს თამაშობს საქართველოს ეკონომიკის ჩამოყალიბებაში და მიგრანტების ერთბაშად გადინება შეიძლება უარყოფითად აისახოს ბიზნეს კლიმატზე და ეკონომიკურ ვითარებაზე. მეორე მხრივ, რეგიონული კონფლიქტების ან პოლიტიკური დაძაბულობის სწრაფად გადაჭრა სავარაუდოდ გამოიწვევდა დადებით ეკონომიკურ არაპირდაპირ გავლენებს, მათ შორის მკვეთრ გამოცოცხლებას რუსეთსა და უკრაინაში, რაც საქართველოსთვის სასარგებლო იქნებოდა.

გლობალური მოვლენები და რისკები: საქართველოს ეკონომიკა ჯერჯერობით მედეგობას ინარჩუნებს გაზრდილი გეოპოლიტიკური რისკებისა და რუსეთის მიერ უკრაინაში შეჭრის უარყოფითი გავლენის პირობებში. ამის მიუხედავად, რჩება უფრო მწვავე ე.წ. „გადმოღვრის ეფექტის“ რისკი, განსაკუთრებით გლობალური კრიზისის გათვალისწინებით. პოტენციურმა გეოპოლიტიკურმა ძვრებმა, რეგიონულმა კონფლიქტებმა, მიწოდების ჯაჭვის მოშლამ და ჯანმრთელობასთან დაკავშირებულმა რისკებმაც კი, როგორიცაა მომავალ პანდემიები, შეიძლება საქართველოს ეკონომიკის დესტაბილიზაცია გამოიწვიოს. ამ რისკების მატერიალიზაციამ შეიძლება შედეგად გამოიღოს მნიშვნელოვანი ეკონომიკური დაღმასვლა და უარყოფითად აისახოს როგორც ბიზნესგარემოზე, ისე კომპანიის კლიენტებზე.

პროგნოზირება და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლის მიზნით, კომპანია კვლავაც ეყრდნობა სანდო საპროგნოზო ინფორმაციას, რაც მოიცავს მაკროეკონომიკურ პროგნოზებს. როგორც ეკონომიკურ პროგნოზებს ახასიათებს, ეს ალბათობები ექვემდებარება განუსაზღვრელობის მაღალ ხარისხს და ამიტომ ფაქტობრივი შედეგები შეიძლება პროგნოზირებულებისგან მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს. კომპანია ფხიზლად აკონტროლებს მთავარი რისკების ფაქტორებს, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს ეკონომიკურ გარემოზე და ფინანსურ სტაბილურობაზე საქართველოში.

3. არსებითი საარღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძველი. ეს ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) მიხედვით პირვანდელი ღირებულების მეთოდით, რომელიც მოდიფიცირებულია ქვემოთ, პოლიტიკებში, წარმოდგენილი გარკვეული ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების შეფასებით და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა აღწერილია ქვემოთ.

ფუნქციონირებადი საწარმო. საბჭომ სრულად გადახედა ხელმისაწვდომ ინფორმაციას ძირითადი არსებული და ახალი რისკების სტრატეგიის, ფინანსური სიჯანსაღის, ოპერაციების მომგებიანობის, ლიკვიდურობის, კომპანიის გადახდისუნარიანობის შესახებ და განსაზღვრა, რომ კომპანიის ბიზნესი ფუნქციონირებადი საწარმოა. დირექტორებს არ გამოუვლენიათ არსებითი განუსაზღვრელობები, რომლებიც დაემუქრებოდა ჯგუფის ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებას და აქვთ გონივრული მოლოდინი იმისა, რომ კომპანიას აქვს საკმარისი რესურსები, დარჩეს ფუნქციონირებადი და გადახდისუნარიანი განჭვრეტად მომავალში (რაც, ამ მიზნისთვის, არის 12-თვიანი ვადა ამ ფინანსური ანგარიშგებების დამტკიცების თარიღიდან).

აქედან გამომდინარე, თანდართული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის ფუნქციონირებადობის პრინციპის საფუძველზე.

ფინანსური ინსტრუმენტები – შეფასების ძირითადი პირობები. სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ნებაყოფლობითი ოპერაციის პირობებში შეფასების თარიღისთვის. სამართლიანი ღირებულების ყველაზე ზუსტი მაჩვენებელი აქტიურ ბაზარზე მოქმედი ფასია. აქტიური ბაზარი ისეთი ბაზარია, სადაც აქტივისა თუ ვალდებულების გარიგებები ისეთი სიხშირითა და მოცულობით დგება, რომ ფასწარმოქმნის შესახებ ინფორმაცია მუდმივად არსებობდეს. აქტიურ ბაზარზე მიმოქცევაში

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა გაგრძელება

მყოფი ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება ფასდება, როგორც ცალკეული აქტივის ან ვალდებულების კოტირებული ფასის ნამრავლი საწარმოს მიერ ფლობილ რაოდენობაზე. ეს იმ შემთხვევაშიც ასეა, თუ ბაზრის ნორმალური დღიური სავაჭრო მოცულობა არ არის საკმარისი, რომ შთანთქას ფლობილი რაოდენობა და ერთიანი ოპერაციით პოზიციის გასაყიდად შეკვეთების განთავსებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს კოტირებულ ფასზე.

გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების დასადგენად, რომელთა ფასების შესახებ არ მოიპოვება გარე საბაზრო ინფორმაცია, გამოიყენება შეფასების ისეთი მეთოდები, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადების მეთოდები ან „გაშლილი ხელის მანძილის“ პრინციპით შესრულებული ბოლოდროინდელი ოპერაციებისა თუ ინვესტირებული საწარმოების ფინანსური მონაცემების გათვალისწინების მეთოდები. სამართლიანი ღირებულების შეფასებების ანალიზი ხდება სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონეების მიხედვით: (i) 1-ელი დონე – იდენტური აქტივების ან ვალდებულების კოტირებული (არაკორექტირებული) საბაზრო ფასები აქტიურ ბაზრებზე, (ii) მე-2 დონე – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის პირდაპირი ან არაპირდაპირი განსაზღვრა, და (iii) მე-3 დონე – ღირებულებითი შეფასების მეთოდები, რომლებიც არ ეყრდნობა მხოლოდ ემპირიულ საბაზრო მონაცემებს (ე.ი. შეფასება მოითხოვს მნიშვნელოვან არაემპირიულ ამოსავალ მონაცემებს). სამართლიანი ღირებულების იერარქიაში დონეებს შორის გადატანა ჩაითვლება განხორციელებულად საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. იხილეთ 30-ე შენიშვნა.

გარიგების დანახარჯები არის დამატებითი დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება ფინანსური ინსტრუმენტის შესყიდვას, გამოშვებას ან გასხვისებას. დამატებითი დანახარჯი ისეთი დანახარჯია, რომელიც არ გაიწეოდა გარიგება რომ არ შემდგარიყო. გარიგების დანახარჯებში შედის რწმუნებულებისთვის (მათ შორის თანამშრომლებისთვის, რომლებიც გაყიდვების აგენტების ფუნქციას ასრულებენ), ბროკერებისა და დილერებისთვის გადახდილი საკომისიო, მარეგულირებელი ორგანოებისა და ფასიანი ქაღალდების ბირჟების მოსაკრებლები და აქტივების გადაცემისთვის დაწესებული გადასახადები და მოსაკრებლები. გარიგების დანახარჯები არ მოიცავს სავალო ინსტრუმენტების პრემიებსა თუ დისკონტებს, ფინანსურ დანახარჯებსა თუ შიდა ადმინისტრაციულ ან ფლობის ხარჯებს.

ამორტიზებული ღირებულება არის ღირებულება, რომლითაც შეფასდა ფინანსური ინსტრუმენტი საწყისი აღიარების დროს, გამოკლებული სესხის ძირითადი თანხის დასაფარად გადასახდელი თანხები, დამატებული დარიცხული პროცენტი და, ფინანსური აქტივების შემთხვევაში, გამოკლებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნებისმიერი რეზერვი. დარიცხული პროცენტი მოიცავს იმ გარიგების დანახარჯების ამორტიზაციას, რომლებიც საწყისი აღიარების დროს მომდევნო პერიოდზეა გადატანილი და ვადამოსული თანხის ყოველგვარი პრემიასა თუ დისკონტს, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯი, მათ შორის როგორც დარიცხული კუპონი, ისე ამორტიზებული დისკონტი და პრემია (წარმოქმნისას შემდგომ პერიოდზე გადატანილი საკომისიოს ჩათვლით, ასეთის არსებობის შემთხვევაში), ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ არის ინდივიდუალურად წარმოდგენილი და არ აისახება შესაბამისი მუხლების საბალანსო ღირებულებებში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლისა და საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე გადანაწილების მეთოდი პერიოდის მუდმივი საპროცენტო განაკვეთის (ეფექტური საპროცენტო განაკვეთის) მისაღებად საბალანსო ღირებულებაზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახორციელებს ფულადი სახსრების მომავალში მოსალოდნელი გადახდების ან შემოდინებების (სამომავლო საკრედიტო ზარალების გამოკლებით) დისკონტირებას ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელ ვადაზე ან, თუ მართებულია, უფრო ხანმოკლე პერიოდზე, ფინანსური ინსტრუმენტის საერთო საბალანსო ღირებულებამდე.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთით ხდება ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების ფულადი ნაკადების დისკონტირება პროცენტის მომდევნო გადაფასების თარიღამდე, გარდა პრემიისა თუ დისკონტისა, რომელიც ასახავს საკრედიტო სპრედს ინსტრუმენტის ცვალებად განაკვეთზე ან სხვა ცვლადებზე, რომლებიც საბაზრო განაკვეთების მიხედვით არ კორექტირდება. ასეთი პრემიებისა და დისკონტების ამორტიზაცია ხდება ინსტრუმენტის მთლიან მოსალოდნელ ვადაზე. დისკონტირებული (დღევანდელი) ღირებულების გაანგარიშება მოიცავს ხელშეკრულების მხარეებს შორის გადახდილ თუ მიღებულ ყველა საკომისიოს, რომლებიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს. შეძენილი ან შექმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, საწყისი აღიარებისას უნდა განისაზღვროს საკრედიტო რისკით კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, მაგალითისთვის, სახელშეკრულებო გადახდების ნაცვლად, ის საწყისი აღიარებისას მოსალოდნელი ფულადი სახსრების საფუძველზე გამოითვლება.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა გაგრძელება

ფინანსური ინსტრუმენტები – საწყისი აღიარება. სამართლიანი ინსტრუმენტები, რომლებიც არის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით, თავდაპირველად აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით. ყველა დანარჩენი ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით, რომელიც კორექტირდება გარიგების დანახარჯების მიხედვით. საწყისი აღიარებისას სამართლიან ღირებულებას ყველაზე კარგად ასახავს გარიგების ფასი. საწყისი აღიარებისას შემოსულობა ან ზარალი მხოლოდ მაშინ აისახება, როდესაც სამართლიანი ღირებულება და გარიგების ფასი განსხვავებულია, რომლის მტკიცებულებასაც შეიძლება წარმოადგენდეს იმავე ინსტრუმენტის სხვა მიმდინარე ემპირიული საბაზრო ოპერაციები ან შეფასების ხერხი, რომელიც გულისხმობს მხოლოდ ემპირიული ამოსავალი მონაცემების გამოყენებას. საწყისი აღიარების შემდეგ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის აღიარება ხდება ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივებისთვის და სავალო ინსტრუმენტებში ინვესტიციებისთვის, რომლებიც არის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, რაც იწვევს მყისიერ ბუღალტრულ ზარალს.

ფინანსური აქტივების ყველა ყიდვა-გაყიდვა, რომელიც მოითხოვს მიწოდებას რეგულაციით ან ბაზარზე დამკვიდრებული პრაქტიკით (ყიდვა-გაყიდვა „სტანდარტული პროცედურით“) გათვალისწინებულ ვადაში, აღირიცხება გარიგების თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც კომპანია იღებს ფინანსური აქტივის მიწოდების ვალდებულებას. ყველა დანარჩენი შესყიდვის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც საწარმო ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მხარე.

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – შეფასების კატეგორიები. კომპანია ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას განსაზღვრავს შემდეგი შეფასების კატეგორიების მიხედვით: სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით, სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით და ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული. ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება დამოკიდებულია: (i) კომპანიის ბიზნესმოდელზე, რომელიც გამოიყენება შესაბამისი აქტივების პორტფელის მართვისთვის და (ii) აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე.

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – ბიზნესმოდელი. ბიზნესმოდელი ასახავს, თუ როგორ მართავს კომპანია თავის აქტივებს ფულადი ნაკადების წარმოსაქმნელად - კომპანიის მიზანია (i) ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით („სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად ფლობილი“), თუ (ii) როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება, ისე აქტივების გაყიდვიდან წარმოქმნილი ფულადი ნაკადების მიღება („სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად და გასაყიდად ფლობილი“) ან, თუ არც (i) და არც (ii) შესაფერისი არ არის, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება „სხვა“ ბიზნესმოდელში და შეფასდება სამართლიანი ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით.

აქტივების ჯგუფისთვის (პორტფელის დონეზე) ბიზნესმოდელი განისაზღვრება კომპანიის მიერ შეფასების თარიღით ხელმისაწვდომი პორტფელისთვის დადგენილი მიზნების მისაღწევად განხორციელებული საქმიანობის შესახებ შესაფერისი მტკიცებულების საფუძველზე. კომპანიის მიერ ბიზნესმოდელის განსაზღვრისთვის გათვალისწინებული ფაქტორები მოიცავს: პორტფელის დანიშნულებას და შემადგენლობას, წარსულ გამოცდილებას იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ მიიღებოდა ფულადი ნაკადები შესაბამისი აქტივებიდან, როგორ ხდება რისკების შეფასება და მართვა, როგორ ფასდება აქტივების შედეგიანობა და როგორ ხდება მენეჯერების კომპენსაცია.

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – ფულადი ნაკადების მახასიათებლები. როდესაც ბიზნესმოდელი გულისხმობს აქტივების ფლობას სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად ან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად და გასაყიდად, მაშინ კომპანია აფასებს ფულადი ნაკადები წარმოადგენენ თუ არა მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას (“SPPI”). ჩართული წარმოებული ინსტრუმენტების მქონე ფინანსური აქტივები მთლიანად განიხილება იმის განსაზღვრისას, შეესაბამება თუ არა მათი ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდის (SPPI) მახასიათებელს. შეფასებისას კომპანია ითვალისწინებს, სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები საბაზისო სასესხო ხელშეკრულების შესაბამისია თუ არა, ანუ პროცენტში მხოლოდ საკრედიტო რისკი და ფულის დროითი ღირებულებაა გათვალისწინებული თუ სხვა საბაზისო რისკები და მოგების მარჟა.

როდესაც სახელშეკრულებო პირობები მოიცავს რისკს ან ცვალებადობას, რომელიც საბაზისო სასესხო ხელშეკრულებასთან შეუსაბამოა, მაშინ ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება და შეფასდება, როგორც სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით. SPPI-ს შეფასება ხდება აქტივის საწყისი აღიარებისას და შემდეგ მისი ხელახლა შეფასება არ ხდება.

ფინანსური აქტივები – რეკლასიფიკაცია. ფინანსური აქტივები მხოლოდ მაშინ რეკლასიფიცირდება, როდესაც პორტფელის მართვის ბიზნესმოდელი მთლიანად იცვლება. რეკლასიფიკაციას პერსპექტიული გავლენა აქვს და ტარდება ბიზნესმოდელის შეცვლის შემდეგ პირველი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისიდან. საწარმოს არ შეუცვლია თავისი ბიზნესმოდელი მიმდინარე და შესადარის პერიოდში და არ განუხორციელებია რეკლასიფიკაცია.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა გაგრძელება

ფინანსური აქტივების გაუფასურება – საკრედიტო ზარალის რეზერვი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის. კომპანია პერსპექტიულ საფუძველზე აფასებს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული სავალო ინსტრუმენტებისთვის, ისევე როგორც სალიზინგო ვალდებულებისა და ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებებიდან წარმოქმნილი რისკისთვის. კომპანია ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის აფასებს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს და აღიარებს საკრედიტო ზარალის რეზერვს. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებაში აისახება: (i) მიუკერძოებელი და ალბათობით შეწონილი თანხა, რომელიც განისაზღვრება შესაძლო შედეგების სპექტრის შეფასებით, (ii) ფულის დროითი ღირებულება და (iii) ყველა მიზანშეწონილი და დასაბუთებადი ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომია მეტისმეტი დანახარჯებისა და ძალისხმევის გაწევის გარეშე თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს წარსული მოვლენების, არსებული მდგომარეობისა და სამომავლო ვითარების პროგნოზის შესახებ.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული სავალო ინსტრუმენტები წარმოდგენილია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის გარეშე. სალიზინგო ვალდებულებებისა და ფინანსური გარანტიების შემთხვევაში, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ხდება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ცალკე ანარიცხების აღიარება ვალდებულების სახით.

კომპანია იყენებს გაუფასურების სამი სტადიის მოდელს, რომელიც ეფუძნება საწყისი აღიარების შემდეგ ცვლილებებს საკრედიტო ხარისხში.

- 1-ელი სტადია: ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც საწყისი აღიარებისას არ არის საკრედიტო რისკით გაუფასურებული, მიეკუთვნება 1-ელ სტადიას. 1-ელ სტადიაზე მყოფი ფინანსური აქტივების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ფასდება იმ ოდენობით, რომელიც უდრის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის იმ ნაწილს, რომელსაც განაპირობებს მომდევნო 12 თვის განმავლობაში ან ხელშეკრულების დაფარვის თარიღამდე (რომელიც უფრო ხანმოკლე ვადაა) შესაძლო დეფოლტის მოვლენა („12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“).
- მე-2 სტადია: თუ კომპანია გამოავლენს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას საწყისი აღიარების შემდეგ, აქტივი გადავა მე-2 სტადიაზე და მისი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი შეფასდება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საფუძველზე, ანუ სახელშეკრულებო ვადის ამოწურვამდე, მაგრამ მოსალოდნელი ავანსების გათვალისწინებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში („არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“). ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ განსაზღვრავს კომპანია საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდას, აღწერილია 27-ე შენიშვნაში.
- მე-3 სტადია: თუ კომპანია განსაზღვრავს, რომ ფინანსური აქტივი არის საკრედიტო რისკით გაუფასურებული, აქტივი გადავა მე-3 სტადიაზე და მისი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი შეფასდება, როგორც არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი. კომპანიის მიერ საკრედიტო რისკით გაუფასურებული აქტივების განმარტება და დეფოლტის განმარტება ახსნილია 27-ე შენიშვნაში.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელი გამოიყენება არა მხოლოდ ლიზინგში ინვესტიციებისთვის, არამედ სხვა ფინანსური აქტივებისთვისაც. 27-ე შენიშვნაში წარმოდგენილია ინფორმაცია ამოსავალი მონაცემების, დაშვებების და წინასწარი შეფასების ხერხების თაობაზე, რომლებიც გამოიყენება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად, მათ შორის ახსნილია, როგორც იყენებს კომპანია საპროგნოზო ინფორმაციას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელებში.

ფინანსური აქტივები – ჩამოწერა. ფინანსური აქტივები მთლიანად ან ნაწილობრივ ჩამოიწერება, როდესაც კომპანია ამოწურავს თანხის ამოღების ყველა პრაქტიკულ შესაძლებლობას და დაასკვნის, რომ აღარ არსებობს თანხის ამოღების გონივრული მოლოდინი. ჩამოწერა წარმოადგენს აღიარების შეწყვეტას. კომპანიამ შეიძლება ჩამოწეროს ფინანსური აქტივები, რომელთა მიმართ აღსრულების ღონისძიებები ჯერ კიდევ ხორციელდება, როდესაც კომპანია ცდილობს იმ თანხების ამოღებას, რომელთა გადახდის სახელშეკრულებო უფლება არსებობს, თუმცა, არ არსებობს ამოღების გონივრული მოლოდინი.

ფინანსური აქტივები – აღიარების შეწყვეტა. კომპანია ფინანსური აქტივების აღიარებას წყვეტს, როდესაც (ა) მოხდა აქტივების გამოსყიდვა ან მათთან დაკავშირებულ ფულად ნაკადებზე უფლებას ვადა სხვაგვარად გაუვიდა, ან (ბ) კომპანიამ სხვას გადასცა ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან დადო აქტივის გადაცემის ხელშეკრულება, რომლითაც (i) აგრეთვე გადასცა აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული რისკი და სარგებელი ან (ii) საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი არც გადაცემულია და არც შენარჩუნებულია, მაგრამ კონტროლი არ არის შენარჩუნებული. გადაცემულ აქტივზე კონტროლი ნარჩუნდება, თუ მიმღებ სუბიექტს არ გააჩნია გადაცემული აქტივის გაყიდვის პრაქტიკული შესაძლებლობა არადაკავშირებულ მესამე მხარეზე და აქტივის გადაცემაზე შეზღუდვების დაწესების გარეშე.

ფინანსური აქტივები – მოდიფიცირება. კომპანია ზოგჯერ ახდენს ფინანსური აქტივების სახელშეკრულებო პირობების რესტრუქტურიზაციას ან სხვაგვარ მოდიფიკაციას. კომპანია აფასებს, არის თუ არა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მოდიფიკაცია არსებითი, რა დროსაც, სხვა ფაქტორებთან ერთად,

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა გაგრძელება

მხედველობაში იღებს შემდეგსაც: ნებისმიერი ახალი სახელშეკრულებო პირობა, რომელიც არსებითად მოქმედებს აქტივის რისკის პროფილზე (მაგ. მოგების წილი ან კაპიტალზე უკუგება), მნიშვნელოვანი ცვლილება საპროცენტო განაკვეთში, ვალუტაში გამოხატვის ცვლილება, ახალი უზრუნველყოფის საგანი ან საკრედიტო ხარისხის გაუმჯობესება, რომელიც საგრძნობლად მოქმედებს აქტივთან დაკავშირებულ საკრედიტო რისკზე ან ლიზინგის მნიშვნელოვნად გახანგრძლივება, როდესაც მსესხებელს არ აქვს ფინანსური სიძნელეები.

თუ მოდიფიცირებული პირობები არსებითად განსხვავებულია, თავდაპირველი აქტივიდან ფულად ნაკადებზე უფლება შეწყდება და კომპანია შეწყვეტს თავდაპირველი ფინანსური აქტივის აღიარებას და ახალ აქტივს აღიარებს სამართლიანი ღირებულებით. რესტრუქტურიზაციის თარიღად მიიჩნევა საწყისი აღიარების თარიღი გაუფასურების შემდგომი გამოთვლის მიზნებისათვის, მათ შორის იმის განსაზღვრისთვის, ადგილი ჰქონდა თუ არა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას. კომპანია შეაფასებს ასევე ახალი ლიზინგი ან სავალო ინსტრუმენტი აკმაყოფილებს თუ არა მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდის (“SPPI”) კრიტერიუმს. აღიარებაშეწყვეტილი თავდაპირველი აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ახალი, მნიშვნელოვნად მოდიფიცირებული აქტივის სამართლიან ღირებულებას შორის ნებისმიერი სხვაობა მოგება-ზარალში აღიარდება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს განსხვავება მიეკუთვნება მფლობელებთან კაპიტალურ ოპერაციას.

ისეთ ვითარებაში, როდესაც რესტრუქტურიზაცია გამოწვეული იყო პარტნიორის ფინანსური სირთულეებით და თავდაპირველად შეთანხმებული გადახდების განხორციელების უუნარობით, კომპანია შეადარებს თავდაპირველ და გადასინჯულ ფულად ნაკადებს, რათა შეაფასოს აქტივის რისკები და სარგებელი არსებითად განსხვავებულია თუ არა ხელშეკრულების მოდიფიცირების შედეგად. თუ რისკები და სარგებელი არ იცვლება, მაშინ მოდიფიცირებული აქტივი მნიშვნელოვნად არ განსხვავდება თავდაპირველი აქტივისგან და მოდიფიცირება აღიარების შეწყვეტას არ გამოიწვევს. კომპანია ხელახლა გამოითვლის საერთო საბალანსო ღირებულებას მოდიფიცირებული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების დისკონტირებით თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით (ან კრედიტით კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთით შეძენილი ან შექმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივებისთვის (“POCI” აქტივები)) და მოდიფიცირებით განპირობებულ შემოსულობას ან ზარალს მოგებაში ან ზარალში აღიარებს.

ფინანსური ვალდებულებები – შეფასების კატეგორიები. ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია, როგორც შემდგომ ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული, გარდა (i) სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით, შეფასებული ფინანსური ვალდებულებებისა: ეს კლასიფიკაცია ეხება წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს, სავაჭროდ განკუთვნილ ფინანსურ ვალდებულებებს (მაგ., ფასიანი ქაღალდების მოკლე პოზიცია), პირობით ანაზღაურებას, რომელიც მყიდველი საწარმოს მიერ არის აღიარებული საწარმოთა გაერთიანებისას და სხვა ფინანსურ ვალდებულებებს, რომლებსაც ეს კატეგორია აქვთ მინიჭებული საწყისი აღიარებისას და (ii) ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებებისა და სალიზინგო ვალდებულებებისა.

ფინანსური ვალდებულებები – აღიარების შეწყვეტა. ფინანსური ვალდებულებების აღიარება შეწყდება, როდესაც ისინი დაიფარება (ანუ როდესაც ხელშეკრულებაში მითითებული ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ვადა ამოეწურება).

კომპანიასა და მის თავდაპირველ გამსესხებლებს შორის მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობების მქონე სავალო ინსტრუმენტების გაცვლა, ასევე არსებული ფინანსური ვალდებულებების პირობების მნიშვნელოვანი მოდიფიცირება, აღირიცხება, როგორც თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების დაფარვა და ახალი ფინანსური ვალდებულების აღიარება. პირობები მნიშვნელოვნად განსხვავებულია, თუ ახალი პირობებით ფულადი ნაკადების დისკონტირებული ახლანდელი ღირებულება, გადახდილი საკომისიოს ჩათვლით და მიღებული საკომისიოს გამოკლებით, რომელიც დისკონტირებულია თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, სულ მცირე 10%-ით განსხვავდება თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების დარჩენილი ფულადი ნაკადების დისკონტირებული დღევანდელი ღირებულებისგან. თუ სავალო ინსტრუმენტების გაცვლა ან პირობების მოდიფიცირება დაფარვის სახით აღირიცხება, ნებისმიერი გაწეული დანახარჯი ან საკომისიო აღიარდება დაფარვისას წარმოქმნილ შემოსულობის ან ზარალის ნაწილად. თუ გაცვლა ან მოდიფიცირება დაფარვის სახით არ აღირიცხება, ნებისმიერი დანახარჯით ან საკომისიოთი კორექტირდება ვალდებულების საბალანსო ღირებულება და ამორტიზდება მოდიფიცირებული ვალდებულების დარჩენილ ვადაში.

ვალდებულებების მოდიფიცირება, რომელიც არ იწვევს დაფარვას, აღირიცხება, როგორც შეფასების ცვლილება, კუმულაციური ამოქაჩვის მეთოდით, შემოსულობის ან ზარალის მოგება-ზარალში ასახვით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საბალანსო ღირებულებებს შორის სხვაობა ეკონომიკური შინაარსით მიეკუთვნება მფლობელებთან კაპიტალურ ოპერაციას.

ჰეჯირების აღრიცხვა. ჰეჯირების აღრიცხვის მიზანია წარმოადგინოს რისკის მართვის საქმიანობის ეფექტი, რომელიც იყენებს ფინანსურ ინსტრუმენტებს კონკრეტული რისკებიდან წარმომდგარი დავალიანების

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა გაგრძელება

მოცულობების სამართავად, რომლებსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს მოგება-ზარალზე ან სხვა სრულ შემოსავალზე.

ჰეჯირების აღრიცხვის მოთხოვნები გამოიყენება მხოლოდ მაშინ, თუ ქვემოთ მოყვანილი ყველა პირობაა დაკმაყოფილებული:

- ჰეჯირების ურთიერთობა შედგება მხოლოდ შესაბამისი ჰეჯირების ინსტრუმენტისგან და შესაბამისი ჰეჯირებული მუხლისგან;
- ჰეჯირების ურთიერთობის დაწყებისას ჰეჯირების ურთიერთობას მინიჭებული აქვს ფორმალური კლასიფიკაცია და არსებობს ჰეჯირების ურთიერთობის, კომპანიის რისკის მართვის მიზნისა და ჰეჯირების განხორციელების სტრატეგიის დოკუმენტაცია. ამ დოკუმენტაციაში მითითებულია ჰეჯირების ინსტრუმენტი, ჰეჯირებული მუხლი, ჰეჯირებული რისკის ხასიათი და აღწერილია მეთოდი, რომლის მეშვეობითაც კომპანია შეაფასებს, ჰეჯირების ურთიერთობა აკმაყოფილებს თუ არა ჰეჯირების ეფექტურობის მოთხოვნებს.

ჰეჯირების ურთიერთობა შეესაბამება ჰეჯირების ეფექტურობის ყველა მოთხოვნას, თუ:

- ჰეჯირებულ მუხლსა და ჰეჯირების ინსტრუმენტს შორის არსებობს ეკონომიკური ურთიერთობა;
- აღნიშნული ეკონომიკური ურთიერთობით გამოწვეულ ღირებულების ცვლილებაში არ დომინირებს საკრედიტო რისკის გავლენა, და
- განსახილველი ჰეჯირების ურთიერთობისთვის ჰეჯირების კოეფიციენტი იგივეა, რაც გამომდინარეობს კომპანიის მიერ ფაქტობრივად ჰეჯირებული მუხლების თანხიდან და ამ მუხლების ჰეჯირებისთვის კომპანიის მიერ ფაქტობრივად გამოყენებული ჰეჯირების ინსტრუმენტების ოდენობიდან.

ჩვენი რისკის მართვის სტრატეგიებისა და ჩვენი ფინანსური ინსტრუმენტებისთვის დამახასიათებელი რისკების საფუძვლიანი მიმოხილვის შემდეგ, კომპანიამ განაახლა თავისი ჰეჯირების აღრიცხვის პრაქტიკა, რომელიც ძალაში შევიდა 2023 ფინანსური წლიდან. ეს განახლება უზრუნველყოფს ჩვენი რისკის მართვის მიზნების და ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების უკეთ შესრულებას.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები არის მუხლები, რომლებიც იოლად კონვერტირებადი ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობად და რომლებსაც აქვს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკი. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ნაშთს ბანკებში, რომელთა თავდაპირველი ვადა სამ თვეზე ნაკლებია. ფულადი სახსრები, რომლებიც შეზღუდულია განთავსებიდან სამ თვეზე მეტი ხნის ვადით, არ შედის ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში, როგორც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, ისე ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისათვის. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ვინაიდან: (i) მათი ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს, და (ii) ისინი არ არის კლასიფიცირებული, როგორც სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

მოთხოვნები ბანკის მიმართ. მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ მოიცავს ბანკებში განთავსებულ თანხებს, რომელთა თავდაპირველი ვადა სამ თვეზე მეტია და შეზღუდული წვდომის დეპოზიტებს, რომელთა გამოყენება არ არის შესაძლებელი ამ ნაშთებზე დაწესებული შეზღუდვების გამო.

საპროცენტო შემოსავალი საბანკო ანაბრებზე. საპროცენტო შემოსავალი საბანკო ანაბრებზე აღირიცხება დარიცხვის მეთოდით, სახელშეკრულებო საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით და მოიცავს შემოსავალს საბანკო ანაბრებიდან და ბანკებში განთავსებული მიმდინარე ანგარიშებიდან. საპროცენტო შემოსავალი საბანკო ანაბრიდან აღიარებულია, როგორც სხვა შემოსავალი მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ლიზინგის დასაწყისი. ლიზინგის დასაწყისად მიიჩნევა სალიზინგო ხელშეკრულების თარიღსა და ვალდებულებების აღების თარიღს შორის უფრო ადრინდელი. ამ განმარტების მიზნით, ვალდებულება უნდა იყოს წერილობითი, ხელმოწერილი გარიგებაში ჩართული მხარეების მიერ და მკაფიოდ უნდა აყალიბებდეს გარიგების ძირითად პირობებს.

ლიზინგის ვადის დასაწყისი. ლიზინგის ვადის დასაწყისი არის თარიღი, როდესაც ლიზინგის მიმღებს ეძლევა ლიზინგით მიღებული აქტივის გამოყენების უფლება. ეს არის ლიზინგის საწყისი აღიარების თარიღი.

ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნები. თუ კომპანია არის ლიზინგის გამცემი ისეთ ლიზინგში, რომელიც გადასცემს საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს ლიზინგის მიმღებს, ლიზინგით გადაცემული აქტივები აისახება, როგორც ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნები და აღირიცხება სამომავლო სალიზინგო გადახდების დღევანდელი ღირებულებით. ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება საწყისი თარიღით (როდესაც იწყება ლიზინგის ვადა) ლიზინგის გაფორმების თარიღით (სალიზინგო ხელშეკრულების ვადასა და

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა გაგრძელება

მხარეების მიერ ლიზინგის მთავარი პირობების შესრულების ვალდებულების აღების თარიღს შორის უადრესი) დადგენილი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით.

სხვაობა მთლიან მოთხოვნებსა და მის დღევანდელ ღირებულებას შორის წარმოადგენს გამოუმუშავებელი ფინანსურ შემოსავალს. ამ შემოსავლის აღიარება ხდება ლიზინგის ვადის განმავლობაში ლიზინგში ნაგულისხმევი განაკვეთის გამოყენებით. დამატებითი დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება ლიზინგზე მოლაპარაკებას და ლიზინგის გაფორმებას, აისახება ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნების თავდაპირველ შეფასებაში და ამცირებს სალიზინგო ვადის განმავლობაში შემოსავლის ოდენობას. ლიზინგებიდან ფინანსური შემოსავალი აღირიცხება მოგებაში ან ზარალში.

საკრედიტო ზარალის რეზერვის აღიარება ხდება ზოგადი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი განისაზღვრება იმავე წესით, როგორითაც ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული სესხები და ავანსები და აღიარდება რეზერვის ანგარიშის მეშვეობით, რათა მოთხოვნების წმინდა საბალანსო ღირებულება ჩამოიწეროს მოსალოდნელი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე, რომელიც დისკონტირებულია ფინანსურ ლიზინგებში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით. სავარაუდო სამომავლო ფულადი ნაკადები ასახავს იმ ფულად ნაკადებს, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას ლიზინგს დაქვემდებარებული აქტივების მიღებიდან და გაყიდვიდან.

საოპერაციო ლიზინგი. თუ კომპანია გამოდის ლიზინგის გამცემად ისეთ სალიზინგო ურთიერთობაში, რომელშიც არ ხდება საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკისა და სარგებლის გადაცემა კომპანიისგან ლიზინგის მიმღებზე, მისაღები სალიზინგო გადახდები აღიარდება, როგორც ლიზინგიდან შემოსავალი ლიზინგის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით. ლიზინგის ვადა არის უცვლადი დროის პერიოდი, რომლის განმავლობაშიც ლიზინგის მიმღებს ლიზინგით აქვს მიღებული აქტივი, დამატებითი ვადების გათვალისწინებით, რომელთა განმავლობაშიც ლიზინგის მიმღებს შეუძლია განაგრძოს აქტივის ლიზინგი, დამატებითი გადასახადით ან მის გარეშე, როდესაც ლიზინგის დასაწყისში საკმარისად სარწმუნოა, რომ ლიზინგის მიმღები აღასრულებს აღნიშნულ ოფციონს. საოპერაციო ლიზინგის აქტივების აღრიცხვის პოლიტიკა განსაზღვრულია ქვემოთ, ძირითადი საშუალებების ნაწილში.

ლიზინგის აღრიცხვა კომპანიის, როგორც ლიზინგის მიმღების მიერ. კომპანიის ლიზინგი აღიარდება აქტივის გამოყენების უფლებით და როგორც შესატყვისი ვალდებულება იმ თარიღით, როდესაც ლიზინგით გადაცემული აქტივი კომპანიის მიერ გამოყენებისთვის ხელმისაწვდომია. ყოველი სალიზინგო გადახდა გადანაწილდება ვალდებულებას და საფინანსო ხარჯებს შორის. ფინანსური ხარჯები ლიზინგის მთლიანი ვადის განმავლობაში, თითოეულ საანგარიშგებო პერიოდზე ისე უნდა განაწილდეს, რომ წარმოიქმნას მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთი, თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ვალდებულებების ნაშთის მიმართ. აქტივის გამოყენების უფლება აღიარდება თვითღირებულებით და ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადასა და ლიზინგის ვადას შორის უფრო ხანმოკლე პერიოდზე.

ლიზინგიდან წარმოქმნილი ვალდებულებების საწყისი შეფასება ხდება მათი დისკონტირებული ღირებულების საფუძველზე. სალიზინგო ვალდებულებები შედგება ქვემოთ მოყვანილი სალიზინგო გადახდების წმინდა დისკონტირებული ღირებულებისგან:

- ფიქსირებულ გადახდებს (მათ შორის, არსებითად ფიქსირებულ გადახდებს), მიღებული ლიზინგის წამახალისებელი გადახდების გამოკლებით;
- ცვლად სალიზინგო გადახდებს, რომლებიც ეფუძნება ინდექსს ან განაკვეთს;
- თანხებს, რომლებსაც მოსალოდნელია, რომ ლიზინგის მიმღები გადაიხდის ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით;
- შესყიდვის ოფციონის აღსრულების ფასს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ ლიზინგის მიმღები აღასრულებს ამ ოფციონს, და
- ლიზინგის ვადამდე შეწყვეტისთვის ჯარიმების გადახდას, თუ ლიზინგის ვადა ასახავს ლიზინგის მიმღების მიერ ლიზინგის ვადამდე შეწყვეტის ოფციონის აღსრულებას.

ლიზინგის გადახდების დისკონტირება ხდება სალიზინგო ხელშეკრულებაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით. თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა შეუძლებელია, გამოიყენება ლიზინგის მიმღების ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთი, რომელიც წარმოადგენს განაკვეთს, რომელსაც ლიზინგის მიმღები გადაიხდიდა მსგავსი ღირებულების აქტივის მოსაპოვებლად საჭირო სესხით სარგებლობისთვის ანალოგიურ ეკონომიკურ გარემოში ანალოგიური პირობებით.

სალიზინგო აქტივის გამოყენების უფლება ფასდება თვითღირებულებით და მოიცავს შემდეგს:

- სალიზინგო ვალდებულების თავდაპირველი შეფასების თანხა;
- ნებისმიერი სალიზინგო გადახდა, გადახდილი ლიზინგის დაწყების თარიღით ან მანამდე, შემცირებული მიღებული ნებისმიერი ლიზინგის წამახალისებელი გადახდებით;

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა გაგრძელება

- ყოველგვარი თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯები, და
- აღდგენის დანახარჯები.

ზემოაღნიშნულიდან გამონაკლისის სახით, კომპანია მოკლევადიან ლიზინგებს და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების ლიზინგებს აღრიცხავს სალიზინგო გადახდების აღიარებით საოპერაციო ხარჯად დარიცხვის წრფივი მეთოდით.

ლიზინგის პირობის განსაზღვრისას კომპანიის ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ყველა ფაქტსა და გარემოებას, რომელიც განაპირობებს ლიზინგის ვადის გაგრძელების ოფციონის აღსრულების და არა ლიზინგის ვადამდე შეწყვეტის ოფციონის აღსრულების ეკონომიკურ სტიმულს.

სალიზინგო ხელშეკრულებებზე გადახდილი ავანსები. სალიზინგო ხელშეკრულებებზე გადახდილი ავანსები წარმოადგენს საავანსო გადახდებს სალიზინგო აქტივების შესასყიდად, რომლებიც გადადის ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებულ მოთხოვნებში სალიზინგო ხელშეკრულების გაფორმების თარიღით.

შეწყვეტილი ლიზინგებიდან მისაღები თანხები. კომპანია შეწყვეტილი ხელშეკრულებებიდან მისაღებ თანხებს აღიარებს სალიზინგო ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტში. მოთხოვნები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით.

ლიზინგის მიმღებებისთვის გაცემული სესხები. შეწყვეტილი ლიზინგებიდან მისაღები თანხები რეკლასიფიცირდება ლიზინგის მიმღებებისთვის გაცემულ სესხებში გარკვეულ შემთხვევებში, როდესაც მისაღები თანხები ვადაგადაცილებულია და ყოფილ ლიზინგის მიმღებსა და კომპანიას შორის არსებობს შეთანხმება ძირითადი თანხის გადახდაზე დარიცხულ პროცენტთან ერთად. სესხების აღიარება თავდაპირველად ხდება მისაღები დავალიანების თვითღირებულებით, რასაც აკლდება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი და შემდეგ ამორტიზებული ღირებულებით, რომელსაც აკლდება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი.

გადახდილი ავანსები. გადახდილი ავანსები ძირითადად შედგება სალიზინგო აქტივების დასაზღვევად, საოპერაციო ლიზინგისთვის განკუთვნილი აქტივებისთვის გადახდილი ავანსებისგან და სხვა წინასწარი გადახდებისგან. გადახდილი ავანსები აღირიცხება გაუფასურების რეზერვით შემცირებული თვითღირებულებით. თუ წინასწარი გადახდის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, წინასწარი გადახდის საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. სხვაობა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს, რომელიც აღიარდება ხარჯის სახით იმ წლის მოგებაში ან ზარალში, რომლის განმავლობაშიც ის წარმოიქმნა. წინასწარი გადახდების გაუფასურება ფასდება ინდივიდუალურად.

სხვა მოთხოვნები. სხვა მოთხოვნების აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით, შემდეგ, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, და აკლდება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელის გამოყენებით განსაზღვრული ზარალის რეზერვი.

ლიზინგის შეწყვეტის შედეგად დასაკუთრებული აქტივები. ფინანსური და საოპერაციო სალიზინგო ხელშეკრულებების შეწყვეტის შედეგად დაბრუნებული აქტივები ითვლება ისეთ აქტივებად, რომლებიც შეიძლება გაიყიდოს ან ხელახლა გადაიცეს ლიზინგით. როდესაც აქტივები საოპერაციო ლიზინგით გაიცემა, მისაღები სალიზინგო გადახდების აღიარება ხდება ლიზინგიდან შემოსავლად წრფივი მეთოდით ლიზინგის მთელ პერიოდზე. ფინანსური სალიზინგო ხელშეკრულებების შემთხვევაში, კომპანია ამ აქტივების სამართლიან ღირებულებას განსაზღვრავს შესაბამისი სალიზინგო ხელშეკრულების შეწყვეტის თარიღით შიდა შემფასებლის მიერ ჩატარებული შეფასების საფუძველზე. კომპანია წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას განსაზღვრავს საანგარიშგებო თარიღისთვის, როგორც გასაყიდ ფასს, რომელიც შემცირებულია გაყიდვის ოპერაციისთვის საჭირო ყველა სავარაუდო დანახარჯით. სამართლიანი ღირებულება და გასაყიდი ფასი განისაზღვრება შიდა ან გარე შემფასებლების მიერ საბაზრო შედარების, დანახარჯებისა თუ ამონაგების მიდგომებით.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება აკუმულირებული ცვეთა და გაუფასურებით გამოწვეული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ხელმძღვანელობა თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის აფასებს, არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ნიშანი. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ხელმძღვანელობა განსაზღვრავს ანაზღაურებად ღირებულებას, რომელიც განისაზღვრება, როგორც აქტივის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებასა და მისი გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. საბალანსო ღირებულება მცირდება ანაზღაურებად ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალი აისახება წლის მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. გაუფასურების ზარალი, რომელიც აღიარებულია აქტივისათვის წინა წლებში, შებრუნდება, თუ ადგილი ჰქონდა ცვლილებას გაანგარიშებებში, რომლებიც გამოყენებული იქნა აქტივის გამოყენების ღირებულების ან გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის მიზნით.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა გაგრძელება

შეწყვეტის დროისთვის საოპერაციო ლიზინგით გადაცემული ავტომობილების აღწერა წარმოდგენილია მე-3 შენიშვნაში. შეწყვეტილი ლიზინგიდან დასაკუთრებული აქტივები. ძირითადი საშუალებების აღიარების შეწყვეტით განპირობებული შემოსულობა ან ზარალი აისახება მოგებაში ან ზარალში.

ცვეთა. მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებების ცვეთა გამოიანგარიშება კლებადი ნაშთის მეთოდით, რათა მოხდეს მათი ხარჯის განაწილება ნარჩენ ღირებულებაზე მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, გარდა ავტომობილებისა, რომლებიც გადაცემულია საოპერაციო ლიზინგით, რა შემთხვევაშიც გამოიყენება ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდი. სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადები მოცემულია ცხრილში:

	წელი
კომპიუტერული ტექნიკა და საოფისე აღჭურვილობა	5
სატრანსპორტო საშუალებები და საოპერაციო ლიზინგით გადაცემული ავტოტრანსპორტი	5
ავეჯი და მოწყობილობები	5
სალიზინგო ქონების გაუმჯობესება	6.5
აქტივის გამოყენების უფლება	3

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო თანხა, რომელსაც ბანკი ამჟამად მიიღებდა ამ აქტივის გაყიდვით, რასაც აკლდება აქტივის გასვლასთან დაკავშირებული სავარაუდო დანახარჯები, იმ შემთხვევაში, თუ აქტივები უკვე იმ სიძველისაა და იმ მდგომარეობაშია, როგორც ეს მოსალოდნელია მისი სასარგებლო მომსახურების ვადის ბოლოს. აქტივის ნარჩენი ღირებულება ნულია თუ კომპანია მოელის აქტივის გამოყენებას მისი ფიზიკური მომსახურების ვადის ბოლომდე. ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის აქტივების ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები გადაისინჯება და, საჭიროების შემთხვევაში, დაკორექტირდება.

არამატერიალური აქტივები. კომპანიის არამატერიალურ აქტივებს აქვს სასარგებლო მომსახურების განსაზღვრული ვადა და, ძირითადად, მოიცავს კაპიტალიზებულ კომპიუტერული პროგრამულ უზრუნველყოფას და ლიცენზიებს.

შეძენილი კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფის და ლიცენზიების კაპიტალიზება ხდება იმ ხარჯების საფუძველზე, რომლებიც გაწეულია ამ პროგრამული უზრუნველყოფის შესაძენად და სამუშაო პირობებში მოსაყვანად.

საწარმოს კონტროლის ქვეშ მყოფ იდენტიფიცირებად და უნიკალურ პროგრამული უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ხარჯები აღირიცხება, როგორც არამატერიალური აქტივები, თუ მოსალოდნელია, რომ შემოდინებული ზღვრული ეკონომიკური სარგებელი გადააჭარბებს ხარჯებს. კაპიტალიზებული ხარჯები მოიცავს პროგრამული უზრუნველყოფის განვითარების ჯგუფში შემავალი პერსონალის ხარჯებს და შესაბამის ზედნადებ ხარჯებს. ყველა სხვა ხარჯი, რომელიც კომპიუტერების პროგრამულ უზრუნველყოფას უკავშირდება, მაგ. მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა, აღირიცხება მათი გაწევის დროს.

არამატერიალური აქტივები ამორტიზდება დარიცხვის წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში:

	წელი
საწარმოო რესურსების დაგეგმვის (ERP) პროგრამული უზრუნველყოფის ლიზინგით გადაცემა	10
სხვა არამატერიალური აქტივები	5-7

გაუფასურების შემთხვევაში არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულება შემცირდება მათი გამოყენების ღირებულებასა და გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებას შორის უფრო მაღალ ღირებულებამდე.

მომხმარებლებისგან მიღებული ავანსები. ლიზინგის მიმღებებისგან მიღებული ავანსები წარმოადგენს ლიზინგის ვადის დასაწყისამდე მიღებულ გადახდებს და აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით. ამგვარი ავანსები გაიქვითება ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებულ მოთხოვნებთან მომხმარებლის მიერ პირველი სალიზინგო გადახდის თარიღისთვის.

სხვა ვალდებულებები. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები დაირიცხება მაშინ, როდესაც კონტრაჰენტმა შეასრულა ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოვალეობები და აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა გაგრძელება

ბანკებიდან და ფინანსური დაწესებულებებიდან მიღებული სესხები. ბანკებიდან მიღებული სესხები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით. ამის შემდეგ ვალდებულებები ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით.

სუბორდინირებული სესხები. სუბორდინირებული სესხები მოიცავს ბანკებისგან მიღებულ გრძელვადიან სესხებს და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით. ლიკვიდაციის შემთხვევაში, სუბორდინირებული სესხის დაფარვა ხდება მას შემდეგ, რაც ყველა დანარჩენი კრედიტორის მოთხოვნები დაკმაყოფილდება.

გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები. გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები მოიცავს კომპანიის მიერ გამოშვებულ ობლიგაციებს. სავალო ფასიანი ქაღალდები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით. თუ კომპანია შეისყიდის საკუთარ სავალო ფასიან ქაღალდებს, მათ ამოიღებენ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან, ხოლო სხვაობა ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ საზღაურს შორის აისახება ვალის დაფარვის შედეგად მიღებულ შემოსულობაში.

ანარიცხები. რეზერვის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას აქვს მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულებები წარსულში მომხდარი მოვლენების გამო, ვალდებულებების შესასრულებლად მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება და ვალდებულებების მისაღები სიზუსტით შეფასება არის შესაძლებელი.

სააქციო კაპიტალი. ჩვეულებრივი აქციები და გამოსყიდვის უფლების არმქონე პრივილეგირებული აქციები დისკრეციული დივიდენდებით კლასიფიცირდება, როგორც კაპიტალი. ახალი აქციების ან ოფციონების გამოშვებასთან პირდაპირ დაკავშირებული დამატებითი დანახარჯები კაპიტალში ნაჩვენებია, როგორც გამოქვითვები კაპიტალის შემოსავლებიდან, გადასახადის გათვალისწინებით. გამოშვებული აქციების ნომინალურ ღირებულებაზე მეტი ნებისმიერი სამართლიანი ღირებულების მქონე მიღებული საზღაური აღირიცხება, როგორც დამატებით შეტანილი კაპიტალი.

პირობითი ვალდებულებები. პირობითი ვალდებულებების აღიარება არ ხდება ფინანსურ ანგარიშგებაში, თუ არ არის მოსალოდნელი, რომ საჭირო გახდება რესურსების გადინება ვალდებულების დასაფარად და თუ არ შეიძლება სარწმუნო პროგნოზის გაკეთება. პირობითი აქტივი არ არის აღიარებული ფინანსურ ანგარიშგებაში, თუმცა მასზე ინფორმაცია წარმოდგენილია მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღებაა მოსალოდნელი.

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები. წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება მათი სამართლიანი ღირებულებით. კომპანია ასევე თავის კონტრაჰენტ ბანკებთან მიმართებაში ახდენს ანაბრების გაქვითვას ვალუტის გადაცვლის მიზნით. ასეთი ანაბრები იურიდიულად განცალკევებულია, მაგრამ არის აგრეგირებული და აღირიცხება ერთიანი წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტის სახით (სავალუტო სვოპი) ნეტოს საფუძველზე, როდესაც (i) ანაბრების განთავსება ხდება ერთსა და იმავე დროს და ერთმანეთის გათვალისწინებით, (ii) ჰყავთ ერთი და იგივე კონტრაჰენტი, (iii) აქვთ ერთი და იგივე რისკი, და (iv) არ არსებობს ოპერაციების განცალკევების მიზანი, რომლის მიღწევაც არ შეიძლება ერთიანი ოპერაციით. ყველა წარმოებული ინსტრუმენტი აღირიცხება აქტივად, როდესაც სამართლიანი ღირებულება დადებითია და ვალდებულებად, როცა სამართლიანი ღირებულება უარყოფითია. წარმოებული ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების ცვლილებები აისახება მოგებაში ან ზარალში.

მოგების გადასახადი. მოგების გადასახადები გათვალისწინებულია ფინანსურ ანგარიშგებაში კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც ამოქმედებული ან არსებითად ამოქმედებულია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვითაც კომპანიებს (ბანკების, საკრედიტო დაწესებულებების, სადაზღვევო კომპანიების და ლომბარდების გარდა) 2017 წლის 1 იანვრიდან არ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდის სახით ან არ ჩაითვლება განაწილებულად.

ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემის მომენტში ხდება 15% მოგების გადასახადის დარიცხვა „აგროსილ“ ღირებულებაზე (მაგ. წმინდა დივიდენდები „აიგროსება“ შემადგენელი 5%-იანი დაკავებული გადასახადით, საჭიროებისამებრ, და გაიყოფა 0.85-ზე). მიღებული მოგებიდან რეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემა 2017 წლის 1 იანვრიდან თავისუფლდება მოგების გადასახადისგან.

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებიდან გაცემული დივიდენდები იბეგრება მოგების გადასახადით „აგროსილ“ ღირებულებაზე, რომელიც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო ჩათვლით, რომელიც გამოითვლება, როგორც დასაბეგრ მოგებაზე გამოცხადებული და გადახდილი მოგების გადასახადის წილი იმავე პერიოდის მთლიან წმინდა მოგებაში, გამრავლებული გასანაწილებელ დივიდენდებზე. თუმცა საგადასახადო ჩათვლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილ რეალურ მოგების გადასახადს.

დივიდენდების განაწილებით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა გაგრძელება

დივიდენდების განაწილების გარდა გადასახადი გადასახდელია იმ ხარჯებსა და სხვა გადახდებზე, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი ეკონომიკურ საქმიანობასთან – აქტივების ან მომსახურების უფასო მიწოდება და წარმომადგენლობითი დანახარჯები, რაც აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მაქსიმალურ თანხას. ყველა გადახდილი ავანსი საწარმოებზე, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში და სხვა გარკვეული ოპერაციები მსგავს საწარმოებთან, ისევე როგორც ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები, დაუყოვნებლივ დაბეგვრადია. მსგავსი გადასახადები, სხვა გადასახადებთან ერთად, შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში დარეგისტრირებული საწარმოებისაგან აღნიშნული გადახდილი ავანსის სანაცვლოდ მიღებულ აქტივებზე ან მომსახურებებზე მოთხოვნილი საგადასახადო კრედიტის გამოკლებით, ან ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტებზე გაცემული სესხების ამოღების გამოკლებით, აღირიცხება მუხლში „გადასახადებში, მოგების გადასახადის გარდა“ საოპერაციო ხარჯების ნაწილში.

განუსაზღვრელი საგადასახადო სტატუსი. კომპანიის განუსაზღვრელ საგადასახადო სტატუსს ხელმძღვანელობა ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს. ვალდებულებები აღირიცხება მოგების გადასახადის იმ პოზიციებისთვის, რომლებზეც ხელმძღვანელობის აზრით, უფრო არის მოსალოდნელი დამატებითი გადასახადების დაკისრება, თუ ამ პოზიციებს საგადასახადო ორგანოები ეჭვქვეშ დააყენებენ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობების ინტერპრეტაციებს, რომლებიც ძალაში შევიდა ან ფაქტობრივად შევიდა ძალაში საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის, ასევე ამ საკითხებთან დაკავშირებით სასამართლოს ან სხვა უწყების ნებისმიერ გადაწყვეტილებას. ვალდებულებები ჯარიმების, პროცენტის და გადასახადების სახით, რომლებიც არ არის დაკავშირებული მიღებულ შემოსავალთან, აღიარებულია იმ ოდენობით, რა ოდენობითაც ხელმძღვანელობა აფასებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ამ ვალდებულებების დაფარვისთვის საჭირო დანახარჯებს. განუსაზღვრელი მოგების გადასახადის პოზიციების ცვლილება აღირიცხება მოგების გადასახადის ფარგლებში.

დამატებული ღირებულების გადასახადი („დღგ“). გადასახდელი დამატებული ღირებულების გადასახადის საგადასახადო უწყებებისთვის გადახდა უნდა მოხდეს (ა) კლიენტების მიმართ არსებული მოთხოვნების მიღებისას ან (ბ) საქონლის ან მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისას, რომელსაც უფრო ადრე ექნება ადგილი. დღგ-ს ჩასათვლელი თანხა ზოგადად მიიღება გადასახდელი დღგ-ს საფუძველზე, დღგ-ს ინვოისის მიღებისთანავე. საგადასახადო ორგანოების მიერ ნებადართულია დღგ-ს ჩათვლა წმინდა საფუძველზე.

ლიზინგში თანამონაწილეობასთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადები აღირიცხება, როგორც მომხმარებლებისგან მიღებული ავანსები, და შესაბამისი დღგ-ს თანხები ლიზინგის დაწყების თარიღისთვის გადაინაცვლებს დღგ-ს დავალიანებაში.

შემოსავლისა და ხარჯის აღიარება. შემოსავლის და ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით და გამოითვლება ეფექტური შემოსავლიანობის მეთოდით. ნასესხებ სახსრებზე და მიღებულ სესხებზე გადახდილი სესხის გაცემის საკომისიო, თუ მნიშვნელოვანია, გადავადდება (მასთან დაკავშირებულ პირდაპირ დანახარჯებთან ერთად) და აღიარდება, როგორც სესხის ეფექტური შემოსავლიანობის კორექტირება. საკომისიო შემოსავალი/ხარჯი აღიარდება დარიცხვის მეთოდით.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია. კომპანიის სამუშაო და წარსადგენი ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა – ქართული ლარი („ლარი“). უცხოურ ვალუტებში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ქართულ ლარში ხდება საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული შესაბამისი სპოტ-კურსით. უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაციები აღირიცხება ოპერაციის თარიღისთვის მოქმედი სავალუტო კურსებით. ამ ოპერაციებიდან წარმომდგარი მოგება და ზარალი აისახება წმინდა შემოსულობაში სავალუტო ოპერაციებიდან.

2024 წლის 31 დეკემბრისთვის უცხოურ ვალუტაში ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული „დღის ბოლოს“ გაცვლითი კურსი იყო 1 აშშ დოლარი = 2.8068 ლარი (2023 წ.: 1 აშშ დოლარი = 2.6894 ლარი); 1 ევრო = 2.9306 ლარი (2023 წ.: 1 ევრო = 2.9753 ლარი).

თანამშრომლებზე გაწეული დანახარჯები და შესაბამისი შენატანები. ხელფასები, შვებულება და ბიულეტენი, პრემიები და არაფულადი სარგებელი, ასევე აქციებზე დაფუძნებული გადახდების ფულადი სახსრებით ანგარიშსწორებული ნაწილი ირიცხება იმ წელს, რომელშიც შესაბამისი მომსახურება გაიწია კომპანიის თანამშრომლების მიერ.

4. კრიტიკული ბუღალტრული შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

კომპანია აკეთებს შეფასებებს და განსჯას, რაც გავლენას ახდენს აქტივებისა და ვალდებულებების გაცხადებულ ოდენობებზე. შეფასებები და დაშვებები მუდმივად გადაისინჯება და ეყრდნობა ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენებს, რომელთა გონივრული პროგნოზირებაც შესაძლებელია გარემოებების გათვალისწინებით. შეფასებების გარდა, ხელმძღვანელობა ასევე გარკვეულ გადაწყვეტილებებს იღებს სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. ქვემოთ მოცემულია განსჯა და შეფასებები, რომლებსაც აქვს ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და შეფასებები, რომლებმაც შეიძლება მნიშვნელოვნად შეცვალოს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება:

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება მნიშვნელოვანი შეფასებაა, რომელიც გულისხმობს მომავალი ეკონომიკური პირობების პროგნოზირებას. რაც უფრო ხანგრძლივია პროგნოზირების ვადა, მით უფრო მეტი ხარისხით მონაწილეობს მასში ხელმძღვანელობის განსჯა და ეს განსჯა შესაძლოა გახდეს განუსაზღვრელობის წყარო. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების მეთოდოლოგია დაწვრილებით არის განხილული 27-ე შენიშვნაში. საკრედიტო რისკის რეზერვზე შემდეგ კომპონენტებს აქვს დიდი გავლენა: დეფოლტის განმარტება, საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის განმარტება, დეფოლტის ალბათობა, დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანება და დანაკარგები დეფოლტის შემთხვევაში, და ასევე მაკროეკონომიკურ სცენარებს, რომლებიც გამოიყენება საპროგნოზო ინფორმაციის კორექტირებებისთვის. კომპანია რეგულარულად გადახედავს და ამტკიცებს ამ სცენარებს, რათა შემცირდეს ყოველგვარი სხვაობა დეფოლტის ალბათობასა და დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგების პარამეტრებს შორის, რომლებიც მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამომწვევი ერთ-ერთი მთავარი მიზეზია.

დეფოლტის განმარტებაში გამოყენებული კრიტერიუმების განსაზღვრისას გამოყენებული განსჯა. კომპანია დეფოლტს განმარტავს როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი კრიტერიუმების გამოყენებით. კლიენტი კლასიფიცირდება, როგორც დეფოლტის სიტუაციაში მყოფი, თუ: ხელშეკრულებით გათვალისწინებული დაფარვები 90 დღეზე მეტი ხნით არის ვადაგადაცილებული, თუ დავალიანება რეკლასიფიკაციისას მიიჩნევა ფინანსურად დასუსტებულად, ან ინდივიდუალურად შეფასებული კლიენტების შემთხვევაში, სხვა ფაქტორები მიუთითებს იმაზე, რომ გადახდა არ არის მოსალოდნელი. დაწვრილებითი ინფორმაცია მეთოდოლოგიის შესახებ წარმოდგენილია 27-ე შენიშვნაში.

საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის განსაზღვრისას გამოყენებული განსჯა. კრიტერიუმები იმის შესაფასებლად, მოხდა თუ არა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა, ასეთია: 30 დღეზე მეტი ხნით ვადაგადაცილებული დავალიანება, რესტრუქტურიზებული დავალიანება ფინანსურად დასუსტებულის გარდა, ადრე დეფოლტის სიტუაციაში მყოფი დავალიანებების გამოსაცდელი ვადა. დაწვრილებითი ინფორმაცია მეთოდოლოგიის შესახებ წარმოდგენილია 27-ე შენიშვნაში.

ქვემოთ მოცემულია ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაბამისი მგრძნობელობის ანალიზის ეფექტები:

ათას ლარში	**2024**	**2023**
დეფოლტის ალბათობის შეფასების 10%-იანი ზრდა (შემცირება)	დეფოლტის ალბათობა – ლიზინგებზე საკრედიტო ზარალის რეზერვის ზრდა (შემცირება) 656 ათასი ლარით (671 ათასი ლარით)	დეფოლტის ალბათობა – ლიზინგებზე საკრედიტო ზარალის რეზერვის ზრდა (შემცირება) 470 ათასი ლარით (481 ათასი ლარით)
დეფოლტის შემთხვევაში ზარალის შეფასების 10%-იანი ზრდა (შემცირება)	ზარალი დეფოლტის შემთხვევაში – ლიზინგებზე საკრედიტო ზარალის რეზერვის ზრდა (შემცირება) 888 ათასი ლარით (888 ათასი ლარით)	ზარალი დეფოლტის შემთხვევაში – ლიზინგებზე საკრედიტო ზარალის რეზერვის ზრდა (შემცირება) 776 ათასი ლარით (776 ათასი ლარით)
საპროგნოზო ინფორმაციის შეფასებების 10%-იანი გაუარესება (გაუმჯობესება)	ლიზინგებზე საკრედიტო ზარალის რეზერვის ზრდა (შემცირება) 655 ათასი ლარით (670 ათასი ლარით)	ლიზინგებზე საკრედიტო ზარალის რეზერვის ზრდა (შემცირება) 443 ათასი ლარით (450 ათასი ლარით)

5. ახალი ან შესწორებული სტანდარტების და ინტერპრეტაციების მიღება

2024 წლის 1 იანვრიდან შემდეგი შეცვლილი სტანდარტები ამოქმედდა

სტანდარტებში ცვლილებების მიღებას გავლენა არ მოუხდენია კომპანიაზე ან გავლენა იმდენად უმნიშვნელო იყო, რომ განმარტებითი შენიშვნები საჭირო არ გახდა.

ცვლილებები ფასს (IFRS) 16-ში: სალიზინგო ვალდებულებები უკულიზინგის პირობით გაყიდვის ოპერაციებში (გამოცემული 2022 წლის 22 სექტემბერს და ძალაში მყოფი 2024 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ცვლილება უკავშირდება აქტივის უკულიზინგის პირობით გაყიდვის ოპერაციებს, რომლებიც აკმაყოფილებს ფასს 15-ს მოთხოვნებს გაყიდვად აღრიცხვასთან დაკავშირებით. ცვლილება მოითხოვს, რომ გამყიდველმა-ლიზინგის მიმღებმა ოპერაციიდან წარმომდგარი ვალდებულებების შემდგომი შეფასება მოახდინოს იმგვარად, რომ არ აღიაროს შენარჩუნებული აქტივის გამოყენების უფლებასთან დაკავშირებული შემოსულობა ან ზარალი. ეს ნიშნავს ამგვარი შემოსულობის გადავადებას მაშინაც კი, თუ ვალდებულება გულისხმობს ცვლადი გადახდების შესრულებას, რომლებიც არ არის მიბმული ინდექსზე ან განაკვეთზე.

ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად – ცვლილებები ბასს 1-ში (თავდაპირველად გამოშვებული 2020 წლის 23 იანვარს, შემდეგ შეცვლილი 2020 წლის 15 ივლისს და 2022 წლის 31 ოქტომბერს და საბოლოოდ ძალაში შესული 2024 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ეს ცვლილებები აზუსტებს, რომ ვალდებულებები კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი ან გრძელვადიანი იმისდა მიხედვით, თუ რა უფლებები არსებობს საანგარიშგებო პერიოდის დასრულებისას. ვალდებულებები გრძელვადიანია, თუ საწარმოს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს აქვს არსებითი უფლება, გადაავადოს ვალდებულების დაფარვა სულ მცირე 12 თვის განმავლობაში. სტანდარტით აღარ არის სავალდებულო, რომ ეს უფლება უპირობო იყოს. 2022 წლის ოქტომბრის ცვლილებამ დაადგინა, რომ სესხის პირობები, რომლებიც უნდა დაკმაყოფილდეს საანგარიშგებო თარიღის შემდეგ, არ მოქმედებს ვალის მოკლევადიანად ან გრძელვადიანად კლასიფიკაციაზე საანგარიშგებო თარიღისთვის. ხელმძღვანელობის მოლოდინი იმასთან დაკავშირებით, შემდგომში გამოიყენებს თუ არა ვალდებულების დაფარვის უფლებას, არ მოქმედებს ვალდებულებების კლასიფიკაციაზე. ვალდებულება მოკლევადიანად კლასიფიცირდება, თუ დაირღვევა რომელიმე პირობა საანგარიშგებო თარიღამდე ან საანგარიშგებო თარიღით მაშინაც კი, თუ კრედიტორისგან მიღებულია ამ პირობის დაკმაყოფილების მოთხოვნაზე უარი საანგარიშგებო პერიოდის გასვლის შემდეგ. ამავდროულად, სესხის კლასიფიცირება გრძელვადიანად ხდება მაშინ, თუ სესხის პირობა დაირღვევა მხოლოდ საანგარიშგებო თარიღის შემდეგ. ცვლილებები ასევე მოიცავს კლასიფიკაციის მოთხოვნების დაზუსტებას ისეთი დავალიანების შემთხვევაში, რომელიც კომპანიამ შეიძლება დაფაროს მისი კაპიტალად გარდაქმნით. „ვალდებულების დაფარვა“ განიმარტება, როგორც ვალდებულების გასტუმრება ფულადი სახსრებით, სხვა ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსებით ან საწარმოს საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტებით. კაპიტალად კონვერტირებადი ინსტრუმენტებისთვის დაშვებულია გამონაკლისი, მაგრამ მხოლოდ იმ ინსტრუმენტებისთვის, რომელთა კონვერტაციის ოფციონი კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი რთული ფინანსური ინსტრუმენტის ცალკე კომპონენტის სახით.

ცვლილებები ბასს 7-ში „ფულადი ნაკადების ანგარიშგება“ და ფასს 7-ში „ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები: ფინანსური გარიგებები მომწოდებლებთან (გამოშვებული 2023 წლის 25 მაისს და ძალაში შესული 2024 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ფინანსური გარიგებების შესახებ არასაკმარისი ან შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის გამჟღავნებასთან დაკავშირებით ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების შეშფოთებაზე რეაგირების მიზნით, ბასსს-მა გამოუშვა ცვლილებები ბასს 7-ში და ფასს 7-ში და მოითხოვა ინფორმაციის გამჟღავნება საწარმოს მომწოდებლებთან ფინანსური გარიგებების შესახებ. ეს ცვლილებები საწარმოებისგან მოითხოვს მომწოდებლებთან ფინანსური გარიგებების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებას, რაც ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს საშუალებას მისცემს, შეაფასონ ამ გარიგებების გავლენა საწარმოს ვალდებულებებზე და ფულად ნაკადებზე, ასევე საწარმოს ლიკვიდურობის რისკის მოცულობაზე. დამატებითი მოთხოვნების მიზანია მომწოდებლებთან ფინანსური გარიგებების გამჭვირვალობის გაუმჯობესება. ცვლილებები არ აისახება აღიარების და შეფასების პრინციპებზე და მოქმედებს მხოლოდ ინფორმაციის გამჟღავნებასთან დაკავშირებულ მოთხოვნებზე.

კომპანიას ვადაზე ადრე არ გამოუყენებია რომელიმე ცვლილება, რომელიც ძალაში შევიდა 2024 წლის 31 დეკემბრის შემდეგ. კომპანია მოელის, რომ ამ ცვლილებებს უმნიშვნელო ეფექტი ექნება.

ცვლილებები ბასს (IAS) 21-ში ურთიერთგაცვლის შესაძლებლობის არარსებობა (გამოშვებული 2023 წლის 15 აგვისტოს და ძალაში შესული 2025 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). 2023 წლის აგვისტოში ბასსს-მა გამოუშვა ცვლილებები ბასს 21-ში რომ დახმარებოდა საწარმოებს ორ ვალუტას შორის ურთიერთგაცვლის შესაძლებლობის შეფასებაში და განესაზღვრა სპოტ სავალუტო კურსი, როდესაც არ არსებობდა ურთიერთგაცვლის შესაძლებლობა. საწარმოს ეს ცვლილება ეხება მაშინ, როდესაც მას აქვს გარიგება ან ოპერაცია უცხოურ ვალუტაში, რომელიც სხვა ვალუტაში გადაცვლადი არ არის შეფასების თარიღისთვის კონკრეტული მიზნით. ბასს 21-ში შესული ცვლილებები

5. ახალი ან შესწორებული სტანდარტების და ინტერპრეტაციების მიღება გაგრძელება

დაწვრილებით მოთხოვნებს არ შეიცავს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა განისაზღვროს სპოტ სავალუტო კურსი. ამის ნაცვლად ისინი გვთავაზობენ ჩარჩოს, რომლის საფუძველზეც საწარმოს შეუძლია განსაზღვროს სპოტ სავალუტო კურსი შეფასების თარიღისთვის. ახალი მოთხოვნების გამოყენებისას დაუშვებელია შესადარისი ინფორმაციის გადაანგარიშება. სავალდებულოა შესაბამისი თანხების კონვერტაცია გამოთვლილი სპოტ სავალუტო კურსით სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის და გაუნაწილებელი მოგების ან დაგროვილი საკურსო სხვაობების რეზერვის დაკორექტირება.კომპანია ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების შესაძლო გავლენას თავის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ცვლილებები ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციასა და შეფასებაში – ცვლილებები ფასს 9-სა და ფასს 7-ში (გამოშვებული 2024 წლის 30 მაისს და ძალაში შესული 2026 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

2024 წლის 30 მაისს ბასსს-მა გამოუშვა ცვლილებები ფასს 9-სა და ფასს 7-ში, რათა:

(ა) განმარტოს გარკვეული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარებისა და აღიარების შეწყვეტის თარიღი, და ახალი გამონაკლისი დააწესოს ზოგიერთი ფინანსური ვალდებულებისთვის, რომელიც იფარება ელექტრონული ფულადი გადარიცხვის სისტემით;

(ბ) განმარტოს და დააზუსტოს იმის შეფასება, აკმაყოფილებს თუ არა ფინანსური აქტივი მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდის (SPPI) კრიტერიუმს;

(გ) დაამატოს ახალი განმარტებითი შენიშვნები ზოგიერთი ინსტრუმენტისთვის, ისეთი სახელშეკრულებო პირობებით, რომლებმაც შეიძლება შეცვალოს ფულადი ნაკადები (კერძოდ, ზოგიერთი ინსტრუმენტი, რომლის თვისებები მიბმულია გარემოს მიღწევებზე, გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობის სამიზნე მაჩვენებლებზე); და

(დ) განაახლოს განმარტებითი შენიშვნები წილობრივი ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით.

კომპანია ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების შესაძლო გავლენას თავის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

წლიური გაუმჯობესებები ფასს-ის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებში (გამოშვებული 2024 წლის ივლისში და ძალაში შესული 2026 წლის 1 იანვრიდან). ფასს 1-ით განიმარტა, რომ ჰეჯირება უნდა შეწყდეს ფასს-ის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებზე გადასვლისას, თუ ის არ აკმაყოფილებს ჰეჯირების აღრიცხვის „მაკვალიფიცირებელ კრიტერიუმებს“ და არა „პირობებს“, რათა გადაჭრილიყო პოტენციური გაუგებრობა, რომელსაც წარმოშობდა არათანმიმდევრულობა ფასს 1-ის ფორმულირებასა და ჰეჯირების აღრიცხვასთან დაკავშირებულ ფასს 9-ის მოთხოვნებს შორის. ფასს 7 მოითხოვს განმარტებით შენიშვნებს იმ ფინანსურ აქტივებთან დაკავშირებული აღიარების შეწყვეტით განპირობებული შემოსულობის ან ზარალის შესახებ, რომლებშიც საწარმოს აქვს შენარჩუნებული მონაწილეობა, მათ შორის სამართლიანი ღირებულების შეფასება მოიცავდა თუ არა „მნიშვნელოვან არაემპირიულ ამოსავალ მონაცემებს“. ამ ახალმა ფრაზამ ჩაანაცვლა მინიშნება „მნიშვნელოვან ამოსავალ მონაცემებზე, რომლებიც არ ეყრდნობოდა ბაზრის ემპირიულ მონაცემებს“. ცვლილებას ფორმულირება შესაბამისობაში მოჰყავს ფასს 13-თან. გარდა ამისა, ფასს 7-ის დანერგვის გარკვეული სახელმძღვანელო მაგალითები განიმარტა და ტექსტი დაემატა, რომ მაგალითები შესაძლოა არ ასახავდეს ყველა მოთხოვნას, რომელსაც შეიცავს ფასს 7-ის დამოწმებული მუხლები. ფასს 16-ის ცვლილება აზუსტებს, რომ როდესაც ლიზინგის მიმღები განსაზღვრავს, რომ სალიზინგო ვალდებულება დაფარულია ფასს 9-ის შესაბამისად, ლიზინგის მიმღები ვალდებულია ფასს 9-ის სახელმძღვანელო მითითებების გამოყენებით, ყოველგვარი შემოსულობა ან ზარალი აღიაროს მოგებაში ან ზარალში. დაზუსტება ვრცელდება იმ სალიზინგო ვალდებულებებზე, რომლებიც დაფარულია იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის დაწყების თარიღით ან მის შემდგომ, რომელშიც საწარმო პირველად იყენებს ამ ცვლილებას. ფასს 9-სა და ფასს 15-ს შორის შეუსაბამობის აღმოსაფხვრელად, სავაჭრო მოთხოვნები ამჯერად თავდაპირველად უნდა აღიარდეს, როგორც „ფასს 15-ის გამოყენებით განსაზღვრული თანხა“, ნაცვლად „მათი გარიგების ფასისა (ფასს 15-ის განმარტების შესაბამისად)“. ფასს 10 იმგვარად შეიცვალა, რომ იყენებდეს ნაკლებად დასკვნით ენას, როდესაც საწარმო არის „დე ფაქტო რწმუნებული“ და განმარტოს, რომ ფასს 10-ის ბ74 პუნქტში აღწერილი ურთიერთობა მხოლოდ ერთი მაგალითია ისეთი გარემოებისა, რომელშიც განსჯა არის საჭირო იმის დასადგენად, არის თუ არა მხარე დე ფაქტო რწმუნებული. ბასს 7 ჩასწორდა, რათა წაშლილიყო მინიშნება „დანახარჯების მეთოდზე“, რომელიც 2008 წლის მაისში იქნა ამოღებული ფასს-ის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებიდან, როდესაც ბასსს-მა გამოუშვა ცვლილება „შვილობილ საწარმოში, ერთობლივად კონტროლირებადი ერთეულში ან მეკავშირე საწარმოში ინვესტიციის დანახარჯი“. კომპანია ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების შესაძლო გავლენას თავის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

5. ახალი ან შესწორებული სტანდარტების და ინტერპრეტაციების მიღება გაგრძელება

ფასს 18 ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და განმარტებითი შენიშვნები (გამოშვებული 2024 წლის 9 აპრილს და ძალაში შესული 2027 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). 2024 წლის აპრილში ბასსს-მა გამოუშვა ფასს 18, ახალი სტანდარტი ფინანსური ანგარიშგების წარდგენასა და განმარტებითი შენიშვნებზე, რომელიც ყურადღებას ამახვილებს მოგება-ზარალის ანგარიშგების განახლებებზე. მთავარი ახალი ცნებები, რომელიც ფასს 18-მა შემოიტანა, უკავშირდება:

- მოგება-ზარალის ანგარიშგების სტრუქტურას;
- სავალდებულო განმარტებით შენიშვნებს ფინანსურ ანგარიშგებებში გარკვეული მოგების ან ზარალის შედეგების შეფასებებისთვის, რომელთა ანგარიშგება ხდება საწარმოს ფინანსური ანგარიშგების გარეთ (ანუ ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული საქმიანობის შეფასებები); და
- გაფართოებულ პრინციპებს აგრეგირებასა და დეზაგრეგირებაზე, რომელიც ვრცელდება ძირითად პირველად ანგარიშგებებზე და, ზოგადად, განმარტებით შენიშვნებზე.

ფასს 18 ჩაანაცვლებს ბასს 1-ის; ბევრი სხვა არსებული პრინციპი ბასს 1-იშ ნარჩუნდება, მცირედი ცვლილებებით. ფასს 18 არ მოახდენს გავლენას ფინანსურ ანგარიშგებებში მუხლების აღიარებაზე ან შეფასებაზე, მაგრამ მან შეიძლება შეცვალოს ის, თუ რას წარმოადგენს საწარმო თავის „საოპერაციო მოგებად ან ზარალად“. ფასს 18 გავრცელდება 2027 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისთვის და ის ასევე ვრცელდება შესადარის ინფორმაციაზე.

კომპანია მოელის, რომ ამ ცვლილებებს, მიღების შემთხვევაში, უმნიშვნელო ეფექტი ექნება.

ფასს 19 – „შვილობილი საწარმოები საჯარო ანგარიშვალდებულების გარეშე: განმარტებითი შენიშვნები (გამოშვებული 2024 წლის 9 მაისს და ძალაში შესული 2027 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ (ბასსს) გამოუშვა ახალი ფასს-ის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტები შვილობილი საწარმოებისთვის. ფასს 19 შესაბამის შვილობილ საწარმოებს უფლებას აძლევს გამოიყენონ ფასს-ის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტები ნაკლები განმარტებითი შენიშვნებით.

ფასს 19-ის გამოყენება შეამცირებს შვილობილი საწარმოების ფინანსური ანგარიშგებების მომზადების ხარჯს და ამავდროულად შეინარჩუნებს სასარგებლო ინფორმაციას მათი ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისთვის. შვილობილი საწარმოები, რომლებიც ფასს-ის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებს იყენებენ თავიანთი საკუთარი ფინანსური ანგარიშგებებისთვის, შეიძლება წარმოადგენდნენ განმარტებით შენიშვნებს, რომლებიც შეუსაბამოა მათი მომხმარებლების საინფორმაციო საჭიროებებთან. ფასს 19 ამ გამოწვევებს გადაჭრის შემდეგით:

- შვილობილი საწარმოებისთვის იმის უფლების მიცემა, რომ მხოლოდ აწარმოონ სააღრიცხვო ჩანაწერების მხოლოდ ერთი კომპლექტი – რათა დააკმაყოფილონ როგორც მშობელი საწარმოს, ასევე მათი ფინანსური ანგარიშგებების მომხმარებლების საჭიროებები.
- უფრო მცირე ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნები – ფასს 19 უფრო მცირე ინფორმაციის გამჟღავნების უფლებას იძლევა, რაც უკეთ შეესაბამება ფინანსური ანგარიშგებების მომხმარებლების საჭიროებებს.

ფასს 19 გავლენას არ მოახდენს, ვინაიდან კომპანიას არ ევალება მისი გამოყენება.

ბუნებაზე დამოკიდებული ელექტროენერგიის შესახებ ხელშეკრულებები – ცვლილებები ფასს (IFRS) 9-სა და ფასს (IFRS) 7-ში (გამოშვებული 2024 წლის 18 დეკემბერს და ძალაში შესული 2026 წლის 1 იანვრიდან). ბასსს-მა გამოუშვა ცვლილებები, რომლებიც დაეხმარება კომპანიებს იმაში, რომ უკეთ წარმოადგინონ ბუნებაზე დამოკიდებული ელექტროენერგიის ხელშეკრულებების ფინანსური ეფექტები, რომლებიც ხშირად შედგენილია, როგორც ელექტროენერგიის ნასყიდობის ხელშეკრულებები (PPA). არსებული სააღრიცხვო მოთხოვნები შეიძლება სათანადოდ ვერ ასახავდეს იმას, თუ როგორ მოქმედებს ასეთი ხელშეკრულებები კომპანიის საქმიანობის შედეგებზე. იმისათვის, რომ კომპანიებს საშუალება მიეცეთ, უკეთ ასახონ ეს ხელშეკრულებები ფინანსურ ანგარიშგებებში, ბასსს-მა ცვლილებები შეიტანა ფასს 9-ში „ფინანსური ინსტრუმენტები“ და ფასს 7-ში „ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები. ცვლილებები მოიცავს შემდეგს: (ა) „საკუთარი მოხმარების“ მოთხოვნების გამოყენების განმარტება, (ბ) გარკვეული ჰეჯირების აღრიცხვის მოთხოვნების შემსუბუქება, თუ ასეთი ხელშეკრულებები გამოიყენება ჰეჯირების ინსტრუმენტებისთვის და (გ) ინფორმაციის გამჟღავნების ახალი მოთხოვნების დამატება, რაც ინვესტორებს საშუალებას მისცემს, გაერკვნენ იმაში, თუ რა გავლენას ახდენს ასეთი ხელშეკრულებები საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებზე. კომპანია ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების შესაძლო გავლენას თავის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

6. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ათას ლარში	**31 დეკემბერი, 2024 წ.**	**31 დეკემბერი, 2023 წ.**
მიმდინარე ანგარიშები ბანკებში	66,868	57,326
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	**66,868**	**57,326**

2024 წლის 31 დეკემბრისთვის 44,059 ათასი ლარის (2023 წ.: 29,116 ათასი ლარი) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტებია განთავსებული კომპანიის მიმდინარე ანგარიშებზე სს „თიბისი ბანკში“. ნაღდი ფულის ნაშთები მოიცავს 1,492 ათას ლარს (2023 წ.: 15,064 ათასი ლარი), რომელიც დაბლოკილია მოკლევადიანი სესხის გამო.

ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების ნაშთების საკრედიტო ხარისხი შემდეგნაირად შეიძლება შეჯამდეს 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ათას ლარში	**31 დეკემბერი, 2024 წ.**	**31 დეკემბერი, 2023 წ.**
მიმდინარე ანგარიშები „BB-“-დან „BB+“-მდე რეიტინგის მქონე ბანკებში	53,824	42,538
მიმდინარე ანგარიშები „B-“-დან „B+“-მდე რეიტინგის მქონე ბანკებში	13,030	14,786
მიმდინარე ანგარიშები რეიტინგის არმქონე ბანკებში	14	2
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	**66,868**	**57,326**

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 20,637 ათასი ლარის ნაღდი ფულის ნაშთები (2023 წ.: 14,975 ათასი ლარი) დაგირავდა ბანკებისგან და ფინანსური დაწესებულებებისგან მიღებული სესხების უზრუნველსაყოფად.

ინფორმაცია დაკავშირებული მხარის ნაშთებისა და გარიგებების შესახებ წარმოდგენილია 33-ე შენიშვნაში.

ქვემოთ მოცემულია ის საინვესტიციო და საფინანსო ოპერაციები, რომლებსაც არ დასჭირდა ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების გამოყენება, ამიტომ არ შევიდა ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში:

ათას ლარში	**31 დეკემბერი, 2024 წ.**	**31 დეკემბერი, 2023 წ.**
აქტივის გამოყენების უფლების აღიარება სალიზინგო ვალდებულებებთან მიმართებით	99	899
არაფულადი საინვესტიციო საქმიანობა	**99**	**899**

ათას ლარში	**31 დეკემბერი, 2024 წ.**	**31 დეკემბერი, 2023 წ.**
სალიზინგო ვალდებულებების საწყისი აღიარება	99	899
არაფულადი ფინანსური საქმიანობა	**99**	**899**

7. მოთხოვნები ბანკების მიმართ

ათას ლარში	**31 დეკემბერი, 2024 წ.**	**31 დეკემბერი, 2023 წ.**
ბანკებში განთავსებული თანხები, რომელთა თავდაპირველი ვადა სამ თვეზე მეტია	-	10,000
მოთხოვნები ბანკების მიმართ	**-**	**10,000**

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ნული მოთხოვნები (2023 წ.: 10,000 ათასი ლარი) ბანკების მიმართ დაგირავდა ბანკებისგან და ფინანსური დაწესებულებებისგან მიღებული სესხების უზრუნველსაყოფად.

ბანკებიდან და ფინანსური დაწესებულებებიდან მიღებული სესხების შესახებ ინფორმაცია მოცემულია მე-16 შენიშვნაში. ინფორმაცია დაკავშირებული მხარის ნაშთებისა და გარიგებების შესახებ წარმოდგენილია 33-ე შენიშვნაში.

8. გადახდილი ავანსები

ათას ლარში	31 დეკემბერი, 2024 წ.	31 დეკემბერი, 2023 წ.
წინასწარ გადახდილი დაზღვევა სალიზინგო აქტივებზე	4,050	3,008
სხვა გადახდილი ავანსები	78	78
სულ გადახდილი ავანსები	**4,128**	**3,086**

9. საგადასახადო აქტივები

2024 წლის დეკემბრისთვის საგადასახადო აქტივები გაუტოლდა 2,559 ათას ლარს (2023 წ.: 5,654 ათასი ლარი) და ძირითადად შედგებოდა ჩასათვლელი დღგ-ისგან. ზოგადად, კომპანია აღრიცხავს დღგ-ს, ქონების და საშემოსავლო გადასახადს. ბოლო ორი ძირითადად ირიცხება და გადაიხდება ისე, რომ მნიშვნელოვანი ნაშთი არ დაგროვდეს. ზოგადად, დღგ-ის გადახდა საგადასახადო ორგანოებისთვის უნდა მოხდეს შემდეგ ორ თარიღს შორის უადრესით: (ა) მომხმარებლებისგან მოთხოვნების ან ავანსების ამოღება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდებისას. როგორც წესი, დეკემბერი შედარებით აქტიური თვეა ახალი ლიზინგის გენერირებისთვის, ამიტომ კომპანიამ დღგ უნდა გადაიხადოს ლიზინგებიდან მიღებულ ავანსებზე, რის გამოც წლის ბოლოს ჩასათვლელი დღგ-ის არსებითი ნაშთი იქმნება. უნდა აღინიშნოს, რომ ჩასათვლელი დღგ-ის არსებითი ნაშთი ძირითადად წარმოიშობა ლიზინგის გაცემის მხრივ დატვირთული პერიოდების ბოლოსთვის და ბალანსზე რჩება მხოლოდ შესაბამისი ლიზინგის დაწყებამდე.

10. სალიზინგო ხელშეკრულებებზე გადახდილი ავანსები.

სალიზინგო ხელშეკრულებებზე გადახდილი ავანსები მოიცავდა 119,196 ათას ლარს 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (2023 წ.: 27,191 ათასი ლარი). ეს ავანსები, ჩვეულებრივ, წარმოშობს ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებულ მოთხოვნებს საანგარიშგებო თარიღიდან ერთიდან სამ თვემდე ვადაში და ამიტომ მეტწილად კლასიფიცირებულია, როგორც მოკლევადიანი.

მიუხედავათ ამისა, ლიზინგით გადაცემული აქტივის ტიპიდან გამომდინარე, გარკვეული ავანსები შეიძლება უკავშირდებოდეს სალიზინგო ხელშეკრულებებს, რომლებიც ფორმდება უფრო გრძელვადიანი პერიოდისთვის. ასეთ შემთხვევებში ეს ავანსები შეიძლება კლასიფიცირდეს, როგორც გრძელვადიანი.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სალიზინგო ხელშეკრულებების ფარგლებში გადახდილი ავანსები, 117,324 ათასი ლარის ოდენობით (2023 წ.: 51,861 ათასი ლარი) დაგირავდა, როგორც ბანკებისა და ფინანსური დაწესებულებებისგან ნასესხები სახსრების უზრუნველსაყოფად. დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ მე-16 შენიშვნა.

11. ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნები

მთლიანი ინვესტიცია ფინანსურ ლიზინგში და ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნები ასე გამოიყურება:

ათას ლარში	31 დეკემბერი, 2024 წ.	31 დეკემბერი, 2023 წ.
ბრუტო ინვესტიცია ფინანსურ ლიზინგში	610,260	515,747
გამოუმუშავებელი ფინანსური შემოსავალი	(164,395)	(139,692)
ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნები (მთლიანი)	**445,865**	**376,055**
საკრედიტო ზარალის რეზერვი	(9,301)	(7,768)
ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნები	**436,564**	**368,287**

11. ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნები გაგრძელება

ცხრილში წარმოდგენილია ბრუტო ინვესტიციები ფინანსურ ლიზინგში ვადიანობის მიხედვით:

ათას ლარში	1 წლის განმავლობაში დასაფარი	1-2 წელში დასაფარი	2-3 წელში დასაფარი	3-4 წელში დასაფარი	4-5 წელში დასაფარი	5-ზე მეტ წელში დასაფარი	სულ
ბრუტო ინვესტიცია ფინანსურ ლიზინგში 2023 წლის მდგომარეობით	168,823	119,340	70,111	47,313	32,911	77,249	**515,747**
გამოუმუშავებელი ფინანსური შემოსავალი	(45,432)	(31,380)	(19,548)	(12,940)	(8,333)	(22,059)	**(139,692)**
საკრედიტო ზარალის რეზერვი	(2,489)	(1,791)	(1,071)	(728)	(520)	(1,169)	**(7,768)**
ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნები 2023 წლის დეკემბრის მდგომარეობით	**120,902**	**86,169**	**49,492**	**33,645**	**24,058**	**54,021**	**368,287**
ბრუტო ინვესტიცია ფინანსურ ლიზინგში 2024 წლის მდგომარეობით	201,435	125,934	84,932	62,610	41,886	93,463	**610,260**
გამოუმუშავებელი ფინანსური შემოსავალი	(49,218)	(40,982)	(24,703)	(16,687)	(10,583)	(22,222)	**(164,395)**
საკრედიტო ზარალის რეზერვი	(3,163)	(1,776)	(1,259)	(960)	(654)	(1,489)	**(9,301)**
ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნები 2024 წლის დეკემბრის მდგომარეობით	**149,054**	**83,176**	**58,970**	**44,963**	**30,649**	**69,752**	**436,564**

კომპანიას არ აქვს სახელშეკრულებო დაუფარავი თანხა ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებულ მოთხოვნებზე, რომელიც ჩამოიწერა 2024 წლის და 2023 წლის საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში და ჯერ კიდევ ექვემდებარება იძულებითი აღსრულების ღონისძიებას.

ცხრილში წარმოდგენილია საკრედიტო ზარალის რეზერვისა და მთლიანი (ბრუტო) საბალანსო ღირებულების ცვლილებები, აღრიცხული ამორტიზებული ღირებულებით, საანგარიშგებო პერიოდის საწყის და საბოლოო თარიღებს შორის. ქვემოთ, ცხრილში აღწერილია ძირითადი ცვლილების დინამიკები:

- გადატანები ხდება 1-ელ, მე-2 და მე-3 სტადიებს შორის საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის (ან შემცირების) ან დავალიანების მოცულობის დეფოლტის სიტუაციაში აღმოჩენის გამო პერიოდის განმავლობაში და, შესაბამისი „გაუმჯობესება“ (ან „გაუარესება“) 12-თვიან და არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს შორის.
- „ახალი შექმნილი ან შეძენილი“ გვაძლევს ინფორმაციას გაცემული ბრუტო ლიზინგებისა და პერიოდის განმავლობაში შექმნილი საკრედიტო ზარალის შესაბამისი რეზერვის შესახებ (თუმცა, მათში არ შედის დავალიანებები, რომლებიც გაიცა და დაიფარა პერიოდის განმავლობაში და გაიცა არსებული მათგანების რეფინანსირების მიზნით).
- „აღიარებაშეწყვეტილი პერიოდის განმავლობაში“ გულისხმობს ლიზინგების და საკრედიტო ზარალის რეზერვის ნაშთს პერიოდის დასაწყისში, რომლებიც მთლიანად დაიფარა პერიოდის განმავლობაში.
- „ნაწილობრივი დაფარვები“ გულისხმობს წმინდა ცვლილებას ბრუტო საბალანსო ღირებულებებში, რაც წარმოადგენს შენატანებით შემცირებულ გაცემულ ლიზინგს, გარდა სრულად დაფარული სესხებისა;
- „ცვლილებები მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების მოდელის დაშვებებში სტადიებზე გადანაცვლების გამო და რისკის პარამეტრების ცვლილება“ გულისხმობს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ცვლილების დინამიკას დავალიანების სტადიებს შორის გადატანის ან რისკის პარამეტრებში და საპროგნოზო მოლოდინებში ცვლილებების გამო;
- „სავალუტო კურსის ცვლილების დინამიკა“ გულისხმობს უცხოურ ვალუტაში გამოხატული აქტივების კონვერტაციას;
- „ჩამოწერები“ გულისხმობს პერიოდის განმავლობაში ლიზინგების ჩამოწერას;
- სხვა ცვლილების დინამიკა მოიცავს დარიცხულ პროცენტს, ჯარიმას და მოდიფიკაციებს.

11. ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნები გაგრძელება

	საკრედიტო ზარალის რეზერვი				მთლიანი საბალანსო ღირებულება			
ათას ლარში	1-ელი სტადია (12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი)	მე-2 სტადია (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის შედეგად)	მე-3 სტადია (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი საკრედიტო რისკით გაუფასურების შედეგად)	სულ	1-ელი სტადია (12-თვიანი საკრედიტო ზარალი)	მე-2 სტადია (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის შედეგად)	მე-3 სტადია (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი საკრედიტო რისკით გაუფასურების შედეგად)	სულ
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**2,916**	**2,054**	**2,798**	**7,768**	**319,749**	**38,670**	**17,636**	**376,055**
ცვლილების დინამიკა, რომელსაც გავლენა აქვს საკრედიტო ზარალის რეზერვის დარიცხვაზე პერიოდის განმავლობაში:								
შიდა გადაცემები:								
– 12-თვიან საკრედიტო ზარალში (მე-2 და მე-3 სტადიებიდან 1-ელ სტადიაში)	440	(382)	(58)	**-**	4,054	(3,892)	(162)	**-**
– არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში (1-ელი და მე-3 სტადიებიდან მე-2 სტადიაში)	(442)	1,026	(584)	**-**	(34,771)	37,493	(2,722)	**-**
– საკრედიტო რისკით გაუფასურებულში (1-ელი და მე-2 სტადიებიდან მე-3 სტადიაში)	(35)	(339)	374	**-**	(22,847)	4,649	18,198	**-**
ახალი წარმოშობილი ან შეძენილი	2,342	1,176	63	**3,581**	229,246	-	-	**229,246**
ჩამოწერილი პერიოდის განმავლობაში	(732)	(1,197)	(1,730)	**(3,659)**	(79,207)	(20,077)	(12,273)	**(111,557)**
ნაწილობრივი დაფარვა	-	-	-	**-**	(41,740)	(2,860)	(643)	**(45,243)**
ცვლილების დინამიკა, რომელსაც გავლენა არ აქვს საკრედიტო ზარალის რეზერვის დარიცხვაზე პერიოდის განმავლობაში:								
უცხოური ვალუტის ეფექტი	(157)	67	52	**(38)**	1,935	282	494	**2,711**
საკრედიტო ხარისხის შეცვლით გამოწვეული ცვლილებები	(245)	1,127	767	**1,649**	-	-	-	**-**
სხვა ცვლილების დინამიკა	-	-	-	**-**	(13,501)	8,545	(391)	**(5,347)**
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**4,087**	**3,532**	**1,682**	**9,301**	**362,918**	**62,810**	**20,137**	**445,865**

11. ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნები გაგრძელება

	საკრედიტო ზარალის რეზერვი				მთლიანი საბალანსო ღირებულება			
ათას ლარში	1-ელი სტადია (12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი)	მე-2 სტადია (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის შედეგად)	მე-3 სტადია (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი საკრედიტო რისკით გაუფასურების შედეგად)	სულ	1-ელი სტადია (12-თვიანი საკრედიტო ზარალი)	მე-2 სტადია (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის შედეგად)	მე-3 სტადია (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი საკრედიტო რისკით გაუფასურების შედეგად)	სულ
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**3,655**	**1,462**	**2,564**	**7,681**	**237,281**	**34,689**	**18,175**	**290,145**
ცვლილების დინამიკა, რომელსაც გავლენა აქვს საკრედიტო ზარალის რეზერვის დარიცხვაზე პერიოდის განმავლობაში:								
შიდა გადაცემები:								
– 12-თვიან საკრედიტო ზარალში (მე-2 და მე-3 სტადიებიდან 1-ელ სტადიაში)	255	(157)	(98)	**-**	4,109	(3,459)	(650)	**-**
– არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში (1-ელი და მე-3 სტადიებიდან მე-2 სტადიაში)	(420)	460	(40)	**-**	(28,268)	30,825	(2,557)	**-**
– საკრედიტო რისკით გაუფასურებულში (1-ელი და მე-2 სტადიებიდან მე-3 სტადიაში)	(262)	(337)	599	**-**	(12,428)	(4,989)	17,417	**-**
ახალი წარმოშობილი ან შეძენილი	1,655	505	387	**2,547**	210,676	-	-	**210,676**
ჩამოწერილი პერიოდის განმავლობაში	(1,169)	(653)	(1,515)	**(3,337)**	(60,815)	(12,995)	(9,869)	**(83,679)**
ნაწილობრივი დაფარვა	-	-	-	**-**	(26,654)	(11,758)	(8,503)	**(46,915)**
ცვლილების დინამიკა, რომელსაც გავლენა არ აქვს საკრედიტო ზარალის რეზერვის დარიცხვაზე პერიოდის განმავლობაში:								
უცხოური ვალუტის ეფექტი	13	14	10	**37**	1,015	338	36	**1,389**
ჩამოწერა	(811)	760	891	**840**	-	-	-	**-**
სხვა ცვლილების დინამიკა	-	-	-	**-**	(5,167)	6,019	3,587	**4,439**
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**2,916**	**2,054**	**2,798**	**7,768**	**319,749**	**38,670**	**17,636**	**376,055**

11. ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნები გაგრძელება

კომპანია, როგორც წესი, ფინანსური სალიზინგო ხელშეკრულებებს ისე აყალიბებს, რომ ლიზინგის მიმღები იხდის მინიმალურ ავანსს აღჭურვილობის შესყიდვის ფასის 20%-ის ოდენობით ლიზინგის ვადის დასაწყისში. კომპანია საკუთრების უფლებას ფლობს სალიზინგო აქტივებზე ლიზინგის ვადის განმავლობაში. აქტივზე საკუთრების უფლება ფინანსური სალიზინგო ხელშეკრულების ფარგლებში ლიზინგის მიმღებს გადაეცემა სახელშეკრულებო ვადის დასასრულს, სალიზინგო ვალდებულებების სრულად დაფარვის შემდეგ. ლიზინგის ვადა, ზოგადად, ხუთ წლამდეა.

უზრუნველყოფის საგნის საჭირო მოცულობა და ტიპი დამოკიდებულია მსესხებლის საკრედიტო რისკის შეფასებაზე. მიღებული უზრუნველყოფის ძირითადი ტიპებია:

- სალიზინგო აქტივები
- წინასწარი შენატანი
- უძრავი ქონება

უზრუნველყოფის საგნის ფინანსური ეფექტი წარმოდგენილია უზრუნველყოფის საგნის ღირებულებების ცალ-ცალკე წარმოდგენით (i) იმ აქტივებისთვის, სადაც უზრუნველყოფის საგნის და კრედიტის საგარანტიო სხვა საშუალებები უტოლდება ან აღემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას („ზედმეტად უზრუნველყოფილი აქტივები“) და (ii) იმ აქტივებისთვის, სადაც უზრუნველყოფის საგანი და კრედიტის საგარანტიო სხვა საშუალებები ნაკლებია აქტივის საბალანსო ღირებულებაზე („არასრულად უზრუნველყოფილი აქტივები“).

უზრუნველყოფის საგნის ეფექტი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	ზედმეტად უზრუნველყოფილი აქტივები		არასრულად უზრუნველყოფილი აქტივები	
ათას ლარში	აქტივების საბალანსო ღირებულება	უზრუნველყოფის საგნის სამართლიანი ღირებულება	აქტივების საბალანსო ღირებულება	უზრუნველყოფის საგნის სამართლიანი ღირებულება
ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნები	332,351	525,040	113,514	80,983

უზრუნველყოფის საგნის ეფექტი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	ზედმეტად უზრუნველყოფილი აქტივები		არასრულად უზრუნველყოფილი აქტივები	
ათას ლარში	აქტივების საბალანსო ღირებულება	უზრუნველყოფის საგნის სამართლიანი ღირებულება	აქტივების საბალანსო ღირებულება	უზრუნველყოფის საგნის სამართლიანი ღირებულება
ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნები	281,478	419,188	94,577	78,262

11. ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნები გაგრძელება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნების საკრედიტო ხარისხის ანალიზი ასეთია:

ათას ლარში	1-ელი სტადია (12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი)	მე-2 სტადია (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის შედეგად)	მე-3 სტადია (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი საკრედიტო რისკით გაუფასურების შედეგად)	სულ
ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნების რისკის კატეგორია				
– ძალიან დაბალი	341,634	-	-	**341,634**
– დაბალი	21,284	8,735	-	**30,019**
– საშუალო	-	47,877	-	**47,877**
– მაღალი	-	6,198	-	**6,198**
– ვალდებულების შეუსრულებლობა	-	-	20,137	**20,137**
მთლიანი საბალანსო ღირებულება	**362,918**	**62,810**	**20,137**	**445,865**
საკრედიტო ზარალის რეზერვი	(4,087)	(3,532)	(1,682)	**(9,301)**
საბალანსო ღირებულება	**358,831**	**59,278**	**18,455**	**436,564**

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნების საკრედიტო ხარისხის ანალიზი ასეთია:

ათას ლარში	1-ელი სტადია (12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი)	მე-2 სტადია (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის შედეგად)	მე-3 სტადია (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი საკრედიტო რისკით გაუფასურების შედეგად)	სულ
ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნების რისკის კატეგორია				
– ძალიან დაბალი	255,318	-	-	**255,318**
– დაბალი	64,431	9,637	-	**74,068**
– საშუალო	-	17,525	-	**17,525**
– მაღალი	-	11,508	-	**11,508**
– ვალდებულების შეუსრულებლობა	-	-	17,636	**17,636**
მთლიანი საბალანსო ღირებულება	**319,749**	**38,670**	**17,636**	**376,055**
საკრედიტო ზარალის რეზერვი	(2,916)	(2,054)	(2,798)	**(7,768)**
საბალანსო ღირებულება	**316,833**	**36,616**	**14,838**	**368,287**

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, წმინდა ინვესტიციის წილი ლიზინგში, 245,585 ათასი ლარის ოდენობით (2023 წ.: 222,060 ათასი ლარი) დაგირავდა ბანკებისა და ფინანსური დაწესებულებებისგან აღებული სესხების უზრუნველსაყოფად.

12. ძირითადი საშუალებები

ათას ლარში	მიწა	შენობა-ნაგებობები	კომპიუტერული ტექნიკა და საოფისე აღჭურვილობა	ავეჯი და მოწყობილობები	სატრანსპორტო საშუალებები	ავტო ტრანსპორტი*	სალი ზინგო ქონების გაუმჯობესება	აქტივების გამოყენების უფლება	სულ
თვითღირებულება 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	23	7	509	517	351	4,129	201	1,758	**7,495**
დაგროვილი ცვეთა	-	(4)	(272)	(291)	(198)	(2,314)	(65)	(948)	**(4,092)**
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**23**	**3**	**237**	**226**	**153**	**1,815**	**136**	**810**	**3,403**
შემოსვლები	-	-	107	94	-	-	242	899	**1,342**
გასვლები	-	-	-	-	(35)	(3,679)	-	-	**(3,714)**
ცვეთის ხარჯი	-	-	(67)	(53)	(48)	(424)	(38)	(308)	**(938)**
გასვლისას და გადატანისას დაგროვილი ცვეთის ჩამოწერა	-	-	21	-	26	2,375	5	772	**3,199**
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**23**	**3**	**298**	**267**	**96**	**87**	**345**	**2,173**	**3,292**
თვითღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	23	7	616	611	316	450	443	2,657	**5,123**
დაგროვილი ცვეთა	-	(4)	(318)	(344)	(220)	(363)	(98)	(484)	**(1,831)**
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**23**	**3**	**298**	**267**	**96**	**87**	**345**	**2,173**	**3,292**
შემოსვლები	-	-	121	95	239	-	93	99	**647**
გასვლები	-	-	-	-	-	(447)	-	-	**(447)**
ცვეთის ხარჯი	-	-	(71)	(54)	(68)	(5)	(54)	(622)	**(874)**
გასვლისას და გადატანისას დაგროვილი ცვეთის ჩამოწერა	-	-	-	-	14	365	-	278	**657**
საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**23**	**3**	**348**	**308**	**281**	**-**	**384**	**1,928**	**3,275**
თვითღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	23	7	737	706	555	3	536	2,756	**5,323**
დაგროვილი ცვეთა	-	(4)	(389)	(398)	(274)	(3)	(152)	(828)	**(2,048)**
საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**23**	**3**	**348**	**308**	**281**	**-**	**384**	**1,928**	**3,275**

* ავტომანქანები საოპერაციო ლიზინგისთვის

აქტივის გამოყენების უფლება მოიცავს კომპანიის ოფისებს.

13. არამატერიალური აქტივი

ათას ლარში	საწარმოო რესურსების დაგეგმვის (ERP) პროგრამული უზრუნველყოფის ლიზინგით გადაცემა	სხვა არამატე-რიალური აქტივები	სულ
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**2,823**	**6**	**2,829**
შემოსავლები	991	79	**1,070**
ამორტიზაციის ხარჯი	(310)	(37)	**(347)**
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**3,504**	**48**	**3,552**
თვითღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	4,346	109	**4,455**
დაგროვილი ამორტიზაცია	(842)	(61)	**(903)**
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**3,504**	**48**	**3,552**
შემოსავლები	865	36	**901**
ამორტიზაციის ხარჯი	(388)	(48)	**(436)**
საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**3,981**	**36**	**4,017**
თვითღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	5,211	145	**5,356**
დაგროვილი ამორტიზაცია	(1,230)	(109)	**(1,339)**
საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**3,981**	**36**	**4,017**

14. ლიზინგის შეწყვეტის შედეგად დასაკუთრებული აქტივები

ათას ლარში	31 დეკემბერი, 2024 წ.	31 დეკემბერი, 2023 წ.
საბალანსო ღირებულება წლის დასაწყისში	**2,935**	**17,766**
ლიზინგის შეწყვეტის შედეგად დასაკუთრებული აქტივები	16,528	12,816
გასვლა გაყიდვის მეშვეობით ფინანსური ლიზინგიდან	(7,752)	(15,701)
გასვლა ახალ ფინანსურ ლიზინგში გადატანით	(7,093)	(11,134)
ჩამოფასება წმინდა სარეალიზაციო ღირებულებამდე	(185)	(799)
სხვა ცვლილების დინამიკა	-	(13)
საბალანსო ღირებულება წლის ბოლოსთვის	**4,433**	**2,935**

დასაკუთრებული აქტივების გაყიდვიდან ან გათავისუფლებიდან მიღებული შემოსულობა შეადგენდა 422 ათას ლარს და 390 ათას ლარს 2024 წლისა და 2023 წლისთვის, შესაბამისად.

15. სხვა ფინანსური აქტივები

კერძო და იურიდიული საწარმოები, რომლებმაც განიცადეს ფინანსური ან საოპერაციო სიძნელეები, ექვემდებარებიან ლიზინგის შეწყვეტას და მათი ნაშთები ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნებიდან გადადის სხვა ფინანსურ აქტივებში. მხოლოდ ის საწარმოები, რომლებიც შეასრულებენ თავიანთ ვალდებულებებს ჩამოიწერება სხვა ფინანსური აქტივების ნაშთიდან.

2024 წელს, ბიზნესმოდელისა და დაგროვილი მონაცემების საფუძველზე კომპანიამ ოდნავ შეცვალა ფინანსური აქტივების დარეზერვების მეთოდოლოგია, კერძოდ, კონკრეტული აქტივის შეფასებული ღირებულების მიხედვით თითოეული ხელშეკრულებისთვის გამოთვლილი LGD-ების (ზარალი დეფოლტის შემთხვევაში) გამოყენების ნაცვლად გადაწყდა პორტფელების მიხედვით სტატისტიკური LGD-ების გამოყენება. შეწყვეტის შემთხვევაში, LGD 100%-მდე იზრდება ამოღების ვადის გავლის შემდეგ და აქტივის დასაკუთრება არ ხდება ორივე მეთოდის გამოყენებისას:

ათას ლარში	31 დეკემბერი, 2024 წ.	31 დეკემბერი, 2023 წ.
მთლიანი მოთხოვნები შეწყვეტილი ლიზინგიდან	53,915	58,945
გამოკლებული: საკრედიტო ზარალის რეზერვი შეწყვეტილი ლიზინგიდან მოთხოვნებისთვის	(29,613)	(34,297)
შეწყვეტილი ლიზინგიდან ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული მოთხოვნების საბალანსო ღირებულება, სულ	**24,302**	**24,648**
სხვა მთლიანი მოთხოვნები	4,994	5,624
გამოკლებული: საკრედიტო ზარალის რეზერვი სხვა მოთხოვნებისთვის	(1,900)	(1,966)
ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება, სულ	**3,094**	**3,658**
ლიზინგის მიმღებებისთვის გაცემული მთლიანი სესხები	2,770	2,684
გამოკლებული: საკრედიტო ზარალის რეზერვი ლიზინგის მიმღებებისთვის გაცემული სესხებისთვის	(1,164)	(1,366)
ლიზინგის მიმღებებისთვის გაცემული, ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული სესხების საბალანსო ღირებულება, სულ	**1,606**	**1,318**
მთლიანი სხვა ფინანსური აქტივები	**29,002**	**29,624**

15. სხვა ფინანსური აქტივები გაგრძელება

სხვა ფინანსური აქტივების მთლიანი საბალანსო ღირებულებისა და და საკრედიტო ზარალის რეზერვის ფასს 9-ის სტადიების მიხედვით წარდგენა, სადაც სხვა ცვლილების დინამიკა მოიცავს შეწყვეტილი აქტივების ამოღებას, ასევე სხვა ფინანსური აქტივების წარმოშობას, ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნებიდან გადმოტანილის გარდა:

	საკრედიტო ზარალის რეზერვი				მთლიანი საბალანსო ღირებულება			
ათას ლარში	1-ელი სტადია (12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი)	მე-2 სტადია (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის შედეგად)	მე-3 სტადია (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი საკრედიტო რისკით გაუფასურების შედეგად)	სულ	1-ელი სტადია (12-თვიანი საკრედიტო ზარალი)	მე-2 სტადია (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის შედეგად)	მე-3 სტადია (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი საკრედიტო რისკით გაუფასურების შედეგად)	სულ
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**-**	**-**	**37,629**	**37,629**	**-**	**-**	**67,253**	**67,253**
ცვლილების დინამიკა, რომელსაც გავლენა აქვს საკრედიტო ზარალის რეზერვის დარიცხვაზე პერიოდის განმავლობაში:								
გადატანილი ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნებიდან	-	-	3,599	**3,599**	-	-	17,057	**17,057**
ჩამოწერილი პერიოდის განმავლობაში	-	-	(8,033)	**(8,033)**	-	-	(11,075)	**(11,075)**
საკრედიტო ხარისხის შეცვლით გამოწვეული ცვლილებები	-	-	1,852	**1,852**	-	-	2,685	**2,685**
ნაწილობრივი დაფარვა	-	-	(2,370)	**(2,370)**	-	-	(14,241)	**(14,241)**
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**-**	**-**	**32,677**	**32,677**	**-**	**-**	**61,679**	**61,679**

15. სხვა ფინანსური აქტივები გაგრძელება

	საკრედიტო ზარალის რეზერვი				მთლიანი საბალანსო ღირებულება			
ათას ლარში	1-ელი სტადია (12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი)	მე-2 სტადია (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის შედეგად)	მე-3 სტადია (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი საკრედიტო რისკით გაუფასურების შედეგად)	სულ	1-ელი სტადია (12-თვიანი საკრედიტო ზარალი)	მე-2 სტადია (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის შედეგად)	მე-3 სტადია (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი საკრედიტო რისკით გაუფასურების შედეგად)	სულ
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**-**	**-**	**28,015**	**28,015**	**-**	**-**	**38,291**	**38,291**
ცვლილების დინამიკა, რომელსაც გავლენა აქვს საკრედიტო ზარალის რეზერვის დარიცხვაზე პერიოდის განმავლობაში:								
გადატანილი ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნებიდან	-	-	8,250	**8,250**	-	-	30,708	**30,708**
ჩამოწერილი პერიოდის განმავლობაში	-	-	(1,712)	**(1,712)**	-	-	(1,712)	**(1,712)**
საკრედიტო ხარისხის შეცვლით გამოწვეული ცვლილებები	-	-	4,104	**4,104**	-	-	5,845	**5,845**
ნაწილობრივი დაფარვა	-	-	(1,028)	**(1,028)**	-	-	(5,879)	**(5,879)**
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**-**	**-**	**37,629**	**37,629**	**-**	**-**	**67,253**	**67,253**

16. ბანკებიდან და ფინანსური დაწესებულებებიდან მიღებული სესხები

ცხრილში წარმოდგენილია ბანკებიდან და ფინანსური დაწესებულებებიდან მიღებული სესხები:

ათას ლარში	31 დეკემბერი, 2024 წ.	31 დეკემბერი, 2023 წ.
უცხოური ბანკებიდან და ფინანსური დაწესებულებებიდან მიღებული სესხები	**306,880**	**201,809**
ქართული ლარი	77,407	21,375
აშშ დოლარი	61,900	59,860
ევრო	167,573	120,574
ადგილობრივი ბანკებიდან და ფინანსური დაწესებულებებიდან მიღებული სესხები	**49,408**	**54,089**
ქართული ლარი	-	30,053
აშშ დოლარი	49,408	24,036
სულ ბანკებიდან და ფინანსური დაწესებულებებიდან მიღებული სესხები	**356,288**	**255,898**

ბანკებიდან და ფინანსური დაწესებულებებიდან მიღებული სესხები უზრუნველყოფილია გარკვეული ფულადი სახსრებით და მათი ეკვივალენტებით, გარკვეული ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნებით და სალიზინგო ხელშეკრულებებზე გადახდილი ავანსებით, რაც დაწვრილებით არის წარმოდგენილი მე-6, მე-10 და მე-11 შენიშვნებში. ლიზინგში მთლიანი ინვესტიციის ოდენობა, რომელიც დაგირავებული იყო უზრუნველყოფის სახით, მოიცავდა 245,585 ათას ლარს (2023 წ.: 222,060 ათასი ლარი), სალიზინგო ხელშეკრულებებზე გადახდილი ავანსები, რომელიც დაგირავებული იყო უზრუნველყოფის სახით, მოიცავდა 117,324 ათას ლარს (2023 წ.: 51,861 ათასი ლარი), ასევე ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების ოდენობა, რომლებიც დაგირავებული იყო უზრუნველყოფს სახით, შეადგენდა 20,637 ათას ლარს (2023 წ.: 14,975 ათასი ლარი).

კომპანია ვალდებულია დააკმაყოფილოს სასესხო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული გარკვეული ფინანსური პირობები. 2024 წლისა და 2023 წლის დეკემბრის მდგომარეობით, ყველა პირობა დაკმაყოფილებული იყო.

ბანკებიდან და ფინანსური დაწესებულებებიდან მიღებული სესხების სავარაუდო სამართლიანი ღირებულება მოცემულია 30-ე შენიშვნაში. ინფორმაცია დაკავშირებული მხარის ნაშთებისა და გარიგებების შესახებ წარმოდგენილია 33-ე შენიშვნაში.

17. მომხმარებლებისგან მიღებული ავანსები

მომხმარებლებისგან მიღებული ავანსები, რომლებიც წლის ბოლოსთვის დაუფარავი იყო, შეადგენდა 52,601 ათას ლარს 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (2023 წ.: 23,450 ათასი ლარი). როგორც წესი, კომპანია მომხმარებლებისგან მოითხოვს ავანსის გადახდას მინიმუმ სალიზინგო აქტივის მთლიანი ღირებულების 20%-ის ოდენობით. ამ თანხების ამოღება ხდება კომპანიის მომხმარებლებისგან წინასწარ, სალიზინგო ხელშეკრულებების გაფორმებისთანავე და გამოიყენება სალიზინგო აქტივის ღირებულების ნაწილის დასაფინანსებლად მისი შეძენისას და ნარჩუნდება ბუფერის სახით მანამ, სანამ სალიზინგო აქტივები გადაეცემა მომხმარებელს. სალიზინგო აქტივების ფიზიკური გადაცემის შემდეგ, მომხმარებლებისგან ავანსად მიღებული თანხები კრედიტდება ლიზინგში წმინდა ინვესტიციასთან მიმართებით, რომელიც მისაღებია იმავე მომხმარებლისგან. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 50,673 ათასი ლარი (2023 წ.: 21,484 ათასი ლარი) წარმოადგენს მომხმარებლებისგან წინასწარ მიღებულ საგარანტიო შენატანს, ხოლო ნაშთის დარჩენილი ნაწილი წარმოადგენს წინასწარ მიღებულ სალიზინგო გადახდებს და დასაკუთრებული აქტივების გაყიდვისთვის მიღებულ ავანსებს.

18. გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები

ათას ლარში	ვალუტა	დაფარვის თარიღი	31 დეკემბერი, 2024 წ.	31 დეკემბერი, 2023 წ.
ადგილობრივ ბაზარზე გამოშვებული ობლიგაციები	ლარი	მარტი – ივნისი, 2026 წ.	114,656	103,127
მთლიანი გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები			**114,656**	**103,127**

2024 წლის 31 დეკემბრისთვის, გამოშვებულ სავალო ფასიან ქაღალდებს აქვს 10.99%-იანი კუპონის განაკვეთი (2023 წ.: 13.71%) და 11.03%-იანი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი მათ საემისიო ფასზე დაყრდნობით, გარიგების დანახარჯების გამოკლებით.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დარიცხული საპროცენტო დავალიანება, რომელიც შედიოდა გამოშვებულ სავალო ფასიან ქაღალდებში, შეადგენდა 331 ათას ლარს (2023 წ.: 350 ათასი ლარი).

გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები უზრუნველყოფილია გარკვეული ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნებით და სალიზინგო ხელშეკრულებებზე გადახდილი ავანსებით, რაც მოცემულია მე-10 და მე-11 შენიშვნებში. ლიზინგებში მთლიანი ინვესტიციის თანხა, რომელიც უზრუნველყოფის სახით იყო დაგირავებული, შეადგენდა 122,831 ათას ლარს (2023 წ.: 114,415 ათასი ლარი), სალიზინგო ხელშეკრულებებზე გადახდილი ავანსების ოდენობა, რომელიც უზრუნველყოფის სახით იყო დაგირავებული, შეადგენდა 8,597 ათას ლარს (2023 წ.: 1,024 ათასი ლარი).

გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდების სავარაუდო სამართლიანი ღირებულება მოცემულია 30-ე შენიშვნაში. ინფორმაცია დაკავშირებული მხარის ნაშთებისა და გარიგებების შესახებ წარმოდგენილია 33-ე შენიშვნაში. გარდა ამისა, ინფორმაცია საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მოვლენებზე წარმოდგენილია 34-ე შენიშვნაში.

19. სუბორდინირებული სესხები

ათას ლარში	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთები	ვადები	31 დეკემბერი, 2024 წ.	31 დეკემბერი, 2023 წ.
სუბორდინირებული ობლიგაციები	აშშ დოლარი	9.0%	31.მარტ.28	18,424	17,613
სუბორდინირებული ობლიგაციები	აშშ დოლარი	9.5%	31.მარტ.28	16,985	16,241
ფინანსური დაწესებულებებისგან მიღებული სუბორდინირებული სესხები	აშშ დოლარი	9.0%	15.აპრ.28	8,704	8,330
ფინანსური დაწესებულებებისგან მიღებული სუბორდინირებული სესხები	აშშ დოლარი	9.3%	15.იანვ.30	5,563	-
სულ სუბორდინირებული სესხები				**49,676**	**42,184**

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დარიცხული საპროცენტო დავალიანება, რომელიც შედიოდა სუბორდინირებულ სესხებში, შეადგენდა 445 ათას ლარს (2023 წ.: 741 ათასი ლარი).

სუბორდინირებული სესხების სავარაუდო სამართლიანი ღირებულება ნახეთ 30-ე შენიშვნაში. ინფორმაცია დაკავშირებული მხარის ნაშთებისა და გარიგებების შესახებ წარმოდგენილია 33-ე შენიშვნაში. გარდა ამისა, ინფორმაცია საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მოვლენებზე წარმოდგენილია 34-ე შენიშვნაში.

20. სხვა ვალდებულებები

ათას ლარში	31 დეკემბერი, 2024 წ.	31 დეკემბერი, 2023 წ.
სალიზინგო ვალდებულებები	2,168	2,270
ვალდებულებები აქტივების მომწოდებლების წინაშე	1,821	5,348
ვალდებულებები მომსახურების მომწოდებლების წინაშე	605	1,627
დარიცხული ხარჯები	253	227
სხვა ვალდებულებები	69	105
მთლიანი სხვა ფინანსური ვალდებულებები	**4,916**	**9,577**
გასაცემი პრემიები	1,595	1,514
სხვა არაფინანსური ვალდებულებები, სულ	**1,595**	**1,514**
მთლიანი სხვა ვალდებულებები	**6,511**	**11,091**

ვალდებულებები აქტივების მომწოდებლების მიმართ წარმოადგენს ვალდებულებების ნაშთს სალიზინგო მიზნით მიღებული აქტივებისთვის.

გადასახდელი პრემიები მოკლევადიანი ხასიათისაა. ფინანსური ვალდებულების მოკლევადიანი და გრძელვადიანი ნაწილი წარმოდგენილია 27-ე შენიშვნაში.

ცხრილში მოცემულია სალიზინგო ვალდებულებების ვადიანობა 2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაბამისად:

ათას ლარში	2024	2023
1 თვემდე	52	42
1 თვიდან 3 თვემდე	104	85
3 თვიდან 1 წლამდე	159	407
1 წლიდან 5 წლამდე	1,854	1,736
სულ სალიზინგო ვალდებულებები	**2,169**	**2,270**

21. სააქციო კაპიტალი

კომპანიის სააქციო კაპიტალი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო 3,659 ათასი ლარი (2023 წ.: 3,659 ათასი ლარი). 2019 წლის დეკემბერში კომპანიამ გამოუშვა 600 ათასი ლარის ჩვეულებრივი აქცია, რომელთაგან თითოეულის ნომინალური ღირებულება იყო 1,000 ლარი, ხოლო საემისიო ფასი – 10,000 ლარი. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ნებადართული, გამოშვებული და გადახდილი აქციების მთლიანი რაოდენობა შედგებოდა 3,659 ჩვეულებრივი აქციისგან, რომელთაგან თითოს ნომინალური ღირებულება იყო 1,000 ლარი. თითოეული აქცია სარგებლობს ერთი ხმის უფლებით. 2024 წლისა და 2023 წლის განმავლობაში სააქციო კაპიტალში ცვლილების დინამიკა არ დაფიქსირებულა.

საქართველოს მეწარმეთა შესახებ კანონთან შესაბამისად, კომპანია აცხადებს, რომ მისი სააქციო კაპიტალი სრულად წარმოადგენს განთავსებულ კაპიტალს, რაც 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 3,659 ათას ლარს (2023: 3,659 ათასი ლარი).

დამატებით შეტანილი კაპიტალი გაუტოლდა 7,550 ათას ლარს 2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და წარმოადგენს გამოშვებული აქციების ნომინალურ ღირებულებაზე მიღებული საზღაურის სამართლიანი ღირებულების ნამეტს.

2024 წელს ნოემბრის თვეში კომპანიამ გამოაცხადა და თავის აქციონერებს გადაუხადა 5,000 ათასი ლარის დივიდენდები.

22. სხვა შემოსავალი

ათას ლარში	**2024**	**2023**
საპროცენტო შემოსავალი საბანკო ანაბრებზე	3,892	3,577
სხვადასხვა შემოსავალი	846	140
ანაზღაურება მზღვეველისგან	793	700
შემოსავალი დისკონტებიდან	109	78
შემოსავალი სხვა მომსახურებების კაპიტალიზაციიდან	59	-
შემოსავალი მორიგებიდან	28	160
სხვა შემოსავალი	**5,727**	**4,655**

საბანკო ანაბრებზე საპროცენტო შემოსავალი გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით

23. სეგმენტის ანალიზი

საოპერაციო სეგმენტები არის ბიზნეს საქმიანობაში ჩართული კომპონენტები, რომლებმაც შეიძლება წარმოქმნას ამონაგები ან გაწიოს ხარჯები. საოპერაციო სეგმენტები შემდეგნაირად განისაზღვრა:

- ბიზნესი – იურიდიულ პირებზე ან საწარმოების ჯგუფზე გაცემული ყველა ლიზინგი, სადაც დაფინანსებული აქტივი არ წარმოადგენს ავტომობილს
- საავტომობილო – იურიდიულ პირებზე ან საწარმოების ჯგუფზე გაცემული ყველა ლიზინგი, სადაც დაფინანსებული აქტივი არის ავტომობილი
- საცალო – ფიზიკური პირები, რომლებიც არ წარმოადგენენ ბიზნესს;
- კორპორაციული ცენტრი და სხვა ოპერაციები – მოიცავს ხაზინას და ფინანსური რისკის მართვის ერთეულს

კომპანიის ხელმძღვანელობა აფასებს საოპერაციო სეგმენტების შედეგებს წლის მთლიანი სრული შემოსავლის/(ზარალის) მიხედვით.

საანგარიშგებო სეგმენტები იგივე საოპერაციო სეგმენტებია.

კომპანიის ამონაგები საქართველოზე მოდის. აქტივებისა და ვალდებულებების წარმოქმნის გეოგრაფიული ანალიზი მოცემულია ფინანსური რისკის მართვის შესახებ შენიშვნაში.

არაპირდაპირი ხარჯების განაწილება, თუ შესაძლებელია, ხდება თითოეული ტიპის დანახარჯისთვის განსაზღვრული გამომწვევი ფაქტორების საფუძველზე. თუ რომელიმე ტიპის ხარჯისთვის/ზედნადები ხარჯისთვის გამომწვევი ფაქტორის განსაზღვრა შეუძლებელია, ეს ხარჯები სეგმენტებს შორის ნაწილდება იმავე ლოგიკის საფუძველზე, რომელიც გამოიყენება ანალოგიური ხასიათის ხარჯებისთვის.

23. სეგმენტის ანალიზი (გაგრძელება)

ქვემოთ წარმოდგენილია საანგარიშგებო სეგმენტების შეჯამება 2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის:

ათას ლარში	ბიზნესი	საავტო-მობილო	საცალო	კორპორა-ციული ცენტრი და სხვა ოპერა-ციები	სულ
ფინანსური შემოსავალი ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნებიდან	71,000	7,924	12,541	-	**91,465**
ამონაგები საოპერაციო ლიზინგიდან	-	8	-	-	**8**
საპროცენტო ხარჯი	(28,529)	(3,493)	(5,688)	-	**(37,710)**
პირდაპირი სალიზინგო დანახარჯები	(7,850)	(2,271)	(2,507)	-	**(12,628)**
წმინდა სალიზინგო შემოსავალი	**34,621**	**2,168**	**4,346**	**-**	**41,135**
ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებულ მოთხოვნებზე საკრედიტო ზარალის (რეზერვი)/ამოღება	(2,692)	35	(398)	-	**(3,055)**
წმინდა სალიზინგო შემოსავალი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შემდეგ	**31,929**	**2,203**	**3,948**	**-**	**38,080**
საკრედიტო ზარალის რეზერვი სხვა ფინანსური აქტივებისთვის	(221)	(317)	(2,643)	-	**(3,181)**
ამონაგები დასაკუთრებული აქტივების გაყიდვიდან	6,099	605	1,043	-	**7,747**
გაყიდული დასაკუთრებული აქტივების თვითღირებულება	(6,104)	(605)	(1,043)	-	**(7,752)**
დასაკუთრებული აქტივების გათავისუფლებიდან მიღებული ზარალი	427	-	-	-	**427**
შემოსულობა დასაკუთრებული აქტივების საწყისი აღიარებიდან	(31)	-	-	-	**(31)**
დასაკუთრებული აქტივების ჩამოფასება წმინდა სარეალიზაციო ღირებულებამდე	(185)	-	-	-	**(185)**
წმინდა ზარალი შემოსულობის გარეშე წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებიდან	-	-	-	(2,981)	**(2,981)**
ვალუტის კონვერტაციიდან მიღებული შემოსულობა ზარალის გამოკლებით/(ზარალი შემოსულობის გამოკლებით)	-	-	-	2,389	**2,389**
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	(13,790)	(1,491)	(1,726)	(179)	**(17,186)**
სხვა შემოსავალი	-	-	-	5,727	**5,727**
წლის წმინდა მოგება	**18,124**	**395**	**(421)**	**4,956**	**23,054**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	-	-	-	66,868	**66,868**
სალიზინგო ხელშეკრულებებზე გადახდილი ავანსები	115,405	117	3,674	-	**119,196**
ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნები, მთლიანი	341,535	37,510	66,821	-	**445,866**
საკრედიტო ზარალის რეზერვი	(8,186)	(442)	(674)	-	**(9,302)**
მომხმარებლებისგან მიღებული ავანსები	51,844	43	714	-	**52,601**

23. სეგმენტის ანალიზი (გაგრძელება)

ათას ლარში	ბიზნესი	საავტო-მობილო	საცალო	კორპორა-ციული ცენტრი და სხვა ოპერაცი-ები	სულ
ფინანსური შემოსავალი ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნებიდან	54,567	8,609	8,661	-	**71,837**
ამონაგები საოპერაციო ლიზინგიდან	-	960	-	-	**960**
საპროცენტო ხარჯი	(22,950)	(3,475)	(4,060)	-	**(30,485)**
პირდაპირი სალიზინგო დანახარჯები	(7,189)	(2,205)	(1,681)	-	**(11,075)**
წმინდა სალიზინგო შემოსავალი	**24,428**	**3,889**	**2,920**	**-**	**31,237**
ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებულ მოთხოვნებზე საკრედიტო ზარალის (რეზერვი)/ამოღება	(1,729)	(494)	223	-	**(2,000)**
წმინდა სალიზინგო შემოსავალი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შემდეგ	**22,699**	**3,395**	**3,143**	**-**	**29,237**
საკრედიტო ზარალის რეზერვი სხვა ფინანსური აქტივებისთვის	(3,338)	(251)	(981)	-	**(4,570)**
ამონაგები დასაკუთრებული აქტივების გაყიდვიდან	11,874	634	170	-	**12,678**
გაყიდული დასაკუთრებული აქტივების თვითღირებულება	(11,518)	(634)	(170)	-	**(12,322)**
დასაკუთრებული აქტივების გათავისუფლებიდან მიღებული ზარალი	34	-	-	-	**34**
შემოსულობა დასაკუთრებული აქტივების საწყისი აღიარებიდან	1,141	-	-	-	**1,141**
დასაკუთრებული აქტივების ჩამოფასება წმინდა სარეალიზაციო ღირებულებამდე	(799)	-	-	-	**(799)**
წმინდა ზარალი შემოსულობის გარეშე წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებიდან	-	-	-	(1,191)	**(1,191)**
ვალუტის კონვერტაციიდან მიღებული შემოსულობა ზარალის გამოკლებით/(ზარალი შემოსულობის გამოკლებით)	-	-	-	957	**957**
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	(9,777)	(1,835)	(1,082)	(398)	**(13,092)**
სხვა შემოსავალი	-	-	-	4,655	**4,655**
წლის წმინდა მოგება	**10,316**	**1,309**	**1,080**	**4,023**	**16,728**
სხვა სრული შემოსავალი:					
მუხლები, რომლებიც შეიძლება შემდგომში რეკლასიფიცირდეს მოგებაში ან ზარალში:					
შემოსულობა ფულადი ნაკადების ჰეჯირებიდან	-	-	-	(1,091)	**(1,091)**
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	**10,316**	**1,309**	**1,080**	**2,932**	**15,637**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	-	-	-	57,326	**57,326**
მოთხოვნები ბანკების მიმართ	-	-	-	10,000	**10,000**
სალიზინგო ხელშეკრულებებზე გადახდილი ავანსები	25,773	663	755	-	**27,191**
ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნები, მთლიანი	304,841	39,538	31,676	-	**376,055**
საკრედიტო ზარალის რეზერვი	(6,944)	(500)	(324)	-	**(7,768)**
მომხმარებლებისგან მიღებული ავანსები	23,094	186	170	-	**23,450**

23. სეგმენტის ანალიზი (გაგრძელება)

საანგარიშგებო სეგმენტების აქტივები მთლიან აქტივებთან შემდეგნაირად შეჯერდა:

ათას ლარში	31 დეკემბერი, 2024 წ.	31 დეკემბერი, 2023 წ.
აქტივები		
სულ სეგმენტის აქტივები (საერთო)	631,929	470,572
სეგმენტებზე განაწილებული საკრედიტო ზარალის რეზერვი	(9,301)	(7,768)
გადახდილი ავანსები	4,128	3,086
საგადასახადო აქტივები, წმინდა	2,559	5,654
ძირითადი საშუალებები	3,275	3,292
არამატერიალური აქტივები	4,017	3,552
ლიზინგის მიზნით შესყიდული აქტივები	6,887	3,410
ლიზინგის შეწყვეტის შედეგად დასაკუთრებული აქტივები	4,433	2,935
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	-	91
სხვა ფინანსური აქტივები	29,002	29,624
სხვა აქტივები	4	4
სულ აქტივები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მიხედვით	**676,933**	**514,452**
ვალდებულებები		
მომხმარებლებისგან მიღებული ავანსები	52,601	23,450
ბანკებიდან და ფინანსური დაწესებულებებიდან მიღებული სესხები	356,288	255,898
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	114,656	103,127
სუბორდინირებული სესხები	49,676	42,184
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	445	-
სხვა ვალდებულებები	6,511	11,091
სულ ვალდებულებები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მიხედვით	**580,177**	**435,750**

24. პირდაპირი სალიზინგო დანახარჯები

სალიზინგო აქტივების იურიდიული საკუთრება კომპანიისგან მოითხოვს ქონების გადასახადის გადახდას სალიზინგო აქტივებზე და აქტივების დაზღვევას. კომპანია მოქმედებს, როგორც მარწმუნებელი და ამ გადასახადებს ყოველთვიურად იხდის იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც იგი იურიდიულად ფლობს ლიზინგით გადაცემულ აქტივს. ეს დანახარჯები მიიჩნევა პირდაპირ მიკუთვნებადად სალიზინგო შემოსავალზე და ისინი წარმოდგენილია პირდაპირ სალიზინგო შემოსავლის ქვეშ მოგებაში ან ზარალში. ქონების გადასახადის განაკვეთი და გამოთვლის მეთოდი რეგულირდება საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიერ.

ცხრილში ნაჩვენებია პირდაპირი სალიზინგო დანახარჯები 2024 წლისა და 2023 წლისთვის, შესაბამისად.

ათას ლარში	2024	2023
სადაზღვევო ხარჯები	7,316	5,714
ქონების გადასახადი სალიზინგო აქტივებზე	4,887	5,221
სხვა სალიზინგო დანახარჯები	425	140
სულ პირდაპირი სალიზინგო დანახარჯები	**12,628**	**11,075**

25. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები

ათას ლარში	2024	2023
თანამშრომლებზე გაწეული დანახარჯები	11,459	8,568
პროფესიული მომსახურება	1,432	674
ცვეთისა და საამორტიზაციო დანარიცხი	1,310	1,222
გადასახადები მოგების გადასახადის გარდა	550	250
შენობის დატვირთვა და ქირა	379	310
ლიცენზიის და გამოწერის ხარჯი	366	272
სარეკლამო ხარჯი	310	263
აქტივების ტექნიკურ-სამეურნეო მომსახურების ხარჯები	241	234
საბანკო მომსახურების საზღაური	179	398
მიწისა და შენობა-ნაგებობების ტექნიკური მომსახურება	61	75
ქონების დაზღვევის სხვა ხარჯები	29	105
სხვა ხარჯები	870	721
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	**17,186**	**13,092**

შენობის დატვირთვისა და ქირის ხარჯი მოიცავს დაბალი ღირებულების მქონე აქტივების ლიზინგს და მოკლევადიან ლიზინგს 97 ათასი ლარის ოდენობით (2023 წ.: 161 ათასი ლარი).

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, პროფესიული მომსახურება მოიცავდა 98 ათას ლარს ფინანსური აუდიტისთვის (2023 წ.: 94 ათასი ლარი) და 15 ათას ლარს საგადასახადო აუდიტისთვის (2023 წ.: 15 ათასი ლარი). ხარჯები გადასახადის გარეშეა წარმოდგენილი.

26. ფინანსური საქმიანობით გამოწვეული ვალდებულებების შეჯერება

	ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ვალდებულებები				
ათას ლარში	ბანკებიდან და ფინანსური დაწესებულებებიდან მიღებული სესხები	გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	სუბორდინირებული სესხები	სალიზინგო ვალდებულება	სულ
წმინდა ვალი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**211,481**	**58,580**	**32,357**	**810**	**303,228**
ფულადი ნაკადები	27,358	33,190	6,007	(559)	**65,996**
სავალუტო კურსის კორექტირებები	2,788	-	235	59	**3,082**
პროცენტის დარიცხვა	13,955	12,481	3,938	111	**30,485**
ცვლილება სახელშეკრულებო ფულად ნაკადებში	-	-	-	1,849	**1,849**
სხვა არაფულადი მუხლების ცვლილების დინამიკა	316	(1,124)	(353)	-	**(1,161)**
წმინდა ვალი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**255,898**	**103,127**	**42,184**	**2,270**	**403,479**
ფულადი ნაკადები	80,286	(1,816)	1,765	(798)	**79,437**
სავალუტო კურსის კორექტირებები	1,089	-	1,842	84	**3,015**
პროცენტის დარიცხვა	20,053	13,451	4,033	173	**37,710**
სხვა არაფულადი მუხლების ცვლილების დინამიკა	(1,038)	(106)	(148)	439	**(853)**
წმინდა ვალი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**356,288**	**114,656**	**49,676**	**2,168**	**522,788**

ზედა ცხრილში წარმოდგენილია ჩვენი ვალის ანალიზი და ჩვენი ვალის ცვლილების დინამიკა თითოეულ პერიოდში. ეს სავალო მუხლები ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში ასახულია ფინანსური საქმიანობის ნაწილში.

ინფორმაცია დაკავშირებული მხარის ნაშთებისა და გარიგებების შესახებ წარმოდგენილია 33-ე შენიშვნაში.

27. ფინანსური რისკის მართვა

კომპანიის რისკის მართვის ფუნქცია მუშაობს ფინანსურ რისკებზე (საკრედიტო, ლიკვიდურობის და საბაზრო რისკები (სავალუტო და საპროცენტო რისკების ჩათვლით), გეოგრაფიულ, საოპერაციო რისკებსა და იურიდიულ რისკებზე. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის ძირითადი ამოცანებია რისკის ლიმიტების დადგენა და შემდგომ უზრუნველყოფა იმისა, რომ დაუფარავი დავალიანება დადგენილ ლიმიტებს არ სცდებოდეს. საოპერაციო და იურიდიული რისკის მართვის ფუნქციების მიზანია შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორად ფუნქციონირების უზრუნველყოფა საოპერაციო და იურიდიული რისკების მინიმუმამდე დასაყვანად.

საკრედიტო რისკი. კომპანიას გააჩნია მგრძნობელობა საკრედიტო რისკის მიმართ, რაც არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის მონაწილე ერთი მხარე ვერ შეძლებს მოვალეობის შესრულებას და ამით მეორე მხარეს ფინანსურ ზარალს მიაყენებს. საკრედიტო რისკის კომპანიას ექმნება ფინანსური სალიზინგო ხელშეკრულებების გაფორმებისა და კონტრაჰენტებთან სხვა ოპერაციების გამო, რაც იწვევს ფინანსური აქტივების წარმოქმნას. კომპანიის საკრედიტო რისკის მაქსიმალური მოცულობა უდრის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებული ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებებს.

რისკის მართვა და მონიტორინგი ხდება უფლებამოსილების ფარგლებში მშობელი საწარმოს საკრედიტო კომიტეტისა და კომპანიის დირექტორთა საბჭოს მიერ. სამეთვალყურეო საბჭოს წევრები მონაწილეობენ 1,500,000 აშშ დოლარზე მეტი ღირებულების ლიზინგთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებში. საკრედიტო კომიტეტისთვის ან კომპანიის დირექტორთა საბჭოსთვის განაცხადის წარდგენამდე, სალიზინგო პროცესებთან დაკავშირებული ყველა რეკომენდაცია (ლიზინგის მიმღებისთვის დამტკიცებული ლიმიტები ან სალიზინგო ხელშეკრულებებში შესული ცვლილებები და სხვა) განიხილება და მტკიცდება რისკის მენეჯერის ან საკრედიტო განყოფილების მიერ.

კომპანია, როგორც წესი, ფინანსური სალიზინგო ხელშეკრულებებს ისე აყალიბებს, რომ ლიზინგის მიმღები იხდის ავანსს აქტივების შესყიდვის ფასის 20%-ის ოდენობით სალიზინგო ხელშეკრულების დასაწყისში. კომპანია საკუთრების უფლებს ფლობს სალიზინგო აქტივებზე ლიზინგის ვადის განმავლობაში. ფინანსური სალიზინგო ხელშეკრულებით გადაცემულ აქტივებზე საკუთრების უფლება ამ სახელშეკრულებო ვადების დასრულების შემდეგ, როდესაც სრულად დაიფარება ვალდებულება, ლიზინგის მიმღებებს გადაეცემა.

სალიზინგო აქტივებთან დაკავშირებული რისკები, როგორიცაა სხვადასხვა მიზეზით გამოწვეული დაზიანება, ქურდობა და სხვა ყოველთვის დაზღვეულია. ხელმძღვანელობა პერიოდულად აფასებს ლიზინგის მიმღებების ფინანსურ მდგომარეობას მათი ფინანსური ანგარიშების გაანალიზებით. მთავარი ფაქტორები, რომლებსაც კომპანია ითვალისწინებს იმის დასადგენად, ლიზინგი გაუფასურებულია თუ არა, არის მისი ვადაგადაცილებული სტატუსი, ლიზინგის მიმღების ფინანსური შედეგები და ლიკვიდურობა და სალიზინგო აქტივის ღირებულება. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ფინანსურ ლიზინგში ინვესტიციისთვის შექმნილი ანარიცხები საკმარისია იმისათვის, რომ შეიწოვოს საანგარიშგებო თარიღისთვის სალიზინგო პორტფელში არსებული პოტენციური ზარალი.

ხელმძღვანელობა ასევე აფასებს სხვა ფინანსური აქტივების ამოღებადობას კვარტალურად, მოვალეების ფინანსურ მდგომარეობაზე და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, როგორიცაა სასამართლო დავების შედეგები. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ სხვა ფინანსური აქტივებისთვის შექმნილი ანარიცხები საკმარისია საანგარიშგებო თარიღისთვის.

საკრედიტო ხარისხი: ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება საკრედიტო ხარისხის კატეგორიებად, ერთდროულად შიდა და გარე საკრედიტო ხარისხის ინფორმაციის გათვალისწინებით (მაგ. ვადაგადაცილება). კომპანია შემდეგ საკრედიტო რისკის საფეხურებს განსაზღვრავს:

- ძალიან დაბალი რისკი – დავალიანებები ავლენს ფინანსური ვალდებულებების შესრულების ძლიერ უნარს;
- დაბალი რისკი – დავალიანებები ავლენს ფინანსური ვალდებულებების შესრულების საკმარის უნარს;
- საშუალო რისკი – დავალიანებები ავლენს ფინანსური ვალდებულებების შესრულების დამაკმაყოფილებელ უნარს;
- მაღალი რისკი – დავალიანებები საჭიროებს თვალყურის მკაცრად დევნებას, და
- დეფოლტი – დავალიანებები დეფოლტის სიტუაციაში, საკრედიტო რისკით გაუფასურებული.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის სამომავლო ფულადი სახსრების დეფიციტის დღევანდელი ღირებულების ალბათობით შეწონილი შეფასება. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება მიუკერძოებელია და განისაზღვრება შესაძლო შედეგების დიაპაზონის შეფასებით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისას კომპანია ეყრდნობა იყენებს ოთხ კომპონენტს: დეფოლტის ალბათობა (“PD”), დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანება (“EAD”), ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (“LGD”) და დისკონტირების განაკვეთი. ამ შეფასებებში ითვალისწინებენ პერსპექტიულ ინფორმაციას, ანუ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ასახავს ძირითადი მაკროეკონომიკური ცვლადების, რომლებიც გავლენას ახდენენ საკრედიტო რისკზე, ალბათობით შეწონილ ცვლილებას.

27. ფინანსური რისკის მართვა გაგრძელება

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად კომპანია მიმართავს სამი სტადიის მოდელს: კომპანია თავის ლიზინგის ოდენობას პირველ სტადიას მიაკუთვნებს, თუ საწყისი აღიარების შემდეგ საკრედიტო ხარისხი მნიშვნელოვნად არ გაუარესებულა და ინსტრუმენტი არ იყოს საკრედიტო რისკით გაუფასურებული საწყისი აღიარებისას. დავალიანების ოდენობა მეორე სტადიას მიეკუთვნება, თუ საწყისი აღიარების შემდეგ დაფიქსირდა საკრედიტო ხარისხის მნიშვნელოვანი გაუარესება, მაგრამ ფინანსური ინსტრუმენტი არ მიიჩნევა საკრედიტო რისკით გაუფასურებულად. დავალიანების ოდენობა, რომელზეც გამოვლენილია საკრედიტო რისკით გაუფასურების ნიშნები, მიეკუთვნება მესამე სტადიის ინსტრუმენტებს. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ოდენობა განსხვავდება დავალიანების ოდენობის ერთ-ერთი სტადიისთვის მიკუთვნების მიხედვით. პირველი სტადიის ინსტრუმენტების შემთხვევაში, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი წარმოადგენს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის იმ ნაწილს, რომელიც შეიძლება მიეწეროს საანგარიშგებო თარიღიდან მომდევნო 12 თვის განმავლობაში დამდგარ დეფოლტის მოვლენებს. მეორე სტადიის ინსტრუმენტების შემთხვევაში, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი წარმოადგენს არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, ანუ საკრედიტო ზარალს, რომელიც შეიძლება მიეწეროს შესაძლო დეფოლტის მოვლენებს ფინანსური ინსტრუმენტის მთლიანი არსებობის ვადის განმავლობაში. როგორც წესი, არსებობის ვადა უდრის ფინანსური ინსტრუმენტის დარჩენილ სახელშეკრულებო ვადას. მესამე სტადიის ინსტრუმენტების შემთხვევაში, დეფოლტის მოვლენა უკვე დამდგარია და არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება თანხების მოსალოდნელი ამოღების საფუძველზე.

კომპანია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად ორ მიდგომას მიმართავს - ინდივიდუალურ შეფასებას და კოლექტიურ შეფასებას. ინდივიდუალური შეფასება გამოიყენება ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი ლიზინგებისთვის, რომელთა სალიზინგო თანხა მინიმუმ 3.5 მილიონი ლარია. გარდა ამისა, კომპანიამ შეიძლება თვითნებურად აირჩიოს გარკვეული დავალიანებების მოცულობები მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ინდივიდუალურად შეფასებისთვის, კომპანიის საკრედიტო რისკის მართვის ან ანდერაიტინგის განყოფილებების გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით.

კომპანია დისკონტირებული ფულადი ნაკადების მეთოდს იყენებს ინდივიდუალური შეფასებით ამოსაღები თანხის დასადგენად. ანაზღაურებადი ღირებულების ზუსტი შეფასების უზრუნველსაყოფად კომპანია მიმართავს სცენარული ანალიზის მიდგომას. სცენარები განისაზღვრება ინდივიდუალური მსესხებლის სპეციფიკური ინფორმაციისა და სამომავლო პროგნოზის, მსესხებლის საქმიანობის სფეროს ან უზრუნველყოფის საგნის ღირებულების ცვლილების მიხედვით. კომპანია ახდენს თითოეული სცენარისთვის ანაზღაურებადი ღირებულების პროგნოზირებას და აფასებს შესაბამის ზარალებს. საბოლოო მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება, როგორც თითოეულ სცენარში მოსალოდნელი ზარალების საშუალო შეწონილი, რომელიც შეიწონება სცენარის დადგომის ალბათობით.

27. ფინანსური რისკის მართვა გაგრძელება

საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა: სალიზინგო კომპანია თითოეული ფინანსური ინსტრუმენტისა და ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის აფასებს, ხომ არ მომხდარა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა საწყისი აღიარების შემდეგ (საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის ნიშანი). საკრედიტო რისკის ზრდის შეფასებისას კომპანია შემდეგი ფაქტორების მონიტორინგს ახდენს: ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობა, რესტრუქტურიზაცია და გამოსაცდელი ვადა დეფოლტის სიტუაციაში არსებული ლიზინგებისთვის.

ცხრილში შეჯამებულია კომპანიის მიერ გამოყენებული მიდგომის დეტალები:

საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის მაჩვენებელი	საწყისი მდგომარეობა	საბოლოო მდგომარეობა
1. ვადაგადაცილებული 30 დღის ზღვარი	ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობა აღემატებოდა 30-დღიან ლიმიტს (ვადაგადაცილებული თანხის მიუხედავად). კორპორაციული/საშუალო და მცირე ზომის მსესხებლების შემთხვევაში, თუ საწყისი მდგომარეობის პირობა დაკმაყოფილებულია მინიმუმ ერთ ხელშეკრულებაში, მსესხებლის ყველა ხელშეკრულება მიეკუთვნება მეორე სტადიას.	ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობა (კლიენტის ნებისმიერ ხელშეკრულებაზე) აღარ აღემატება 30 დღეს (ვადაგადაცილებული თანხის მიუხედავად).
2. რესტრუქტურიზაცია	ხელშეკრულება რესტრუქტურიზებულია, მაგრამ რესტრუქტურიზებული დავალიანება არ არის ფინანსურად დასუსტებული, ანუ დავალიანების ოდენობა არ არის დეფოლტის სიტუაციაში („კარგი“ რესტრუქტურიზაცია)	6 თანმიმდევრული თვე, არაუმეტეს 30-დღიანი ვადაგადაცილებით, რესტრუქტურიზაციის თარიღიდან
3. დეფოლტის გასვლის ვადა (დეფოლტის საცდელი ვადის გასვლა)	3 თანმიმდევრული თვე გავიდა, არაუმეტეს 30 დღით ვადაგადაცილებით, 90 დღით ვადაგადაცილების თარიღის შემდეგ ან 6 თანმიმდევრული თვე გავიდა, არაუმეტეს 30 დღით ვადაგადაცილებით „ცუდი“ რესტრუქტურიზაციის თარიღის შემდეგ	3 თანმიმდევრული თვე, არაუმეტეს 60-დღიანი ვადაგადაცილებით, დეფოლტის გასვლის თარიღიდან

დეფოლტის კრიტერიუმები

ცხრილში შეჯამებულია კომპანიის მიერ გამოყენებული მიდგომის დეტალები:

დეფოლტის კრიტერიუმები	საწყისი მდგომარეობა	საბოლოო მდგომარეობა
1. 90 ვადაგადაცილებული დღე	90-ზე მეტი ხნით ვადაგადაცილებული დავალიანება	6 თანმიმდევრული თვე, არაუმეტეს 30 დღიანი ვადაგადაცილებით, 90 ვადაგადაცილებული დღის ბოლო საანგარიშგებო თარიღიდან
2. ფინანსურად დასუსტებული დავალიანების რესტრუქტურიზაცია	ფინანსურად დასუსტებულად ან „ცუდ“ რესტრუქტურიზაციად კლასიფიცირებული დავალიანება	6 თანმიმდევრული თვე, არაუმეტეს 30-დღიანი ვადაგადაცილებით, რესტრუქტურიზაციის თარიღიდან
3. გადახდის პერსპექტივის გარეშე	ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი დავალიანება, დეფოლტის სიტუაციაში მყოფად ჩაითვლება, თუ კომპანიის ფინანსური სიჯანსაღის გაუარესება დადგინდება კომპანიის მონაცემების და/ან მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოსათვლელად გამოყენებული ფინანსური ინფორმაციის გაანალიზებით	6 თანმიმდევრული თვე, არაუმეტეს 30-დღიანი ვადაგადაცილებით, მას შემდეგ, რაც დეფოლტის სიტუაციაში მყოფად ჩაითვალა გადახდის მოლოდინის არარსებობის გამო

27. ფინანსური რისკის მართვა გაგრძელება

დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანება. დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანება წარმოადგენს საკრედიტო რისკის მოცულობას ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის განმავლობაში დეფოლტის დადგომის მომენტისთვის. დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანების პარამეტრი, რომელიც გამოიყენება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლის მიზნით, დროზეა დამოკიდებული, ანუ კომპანია უშვებს პარამეტრის სხვადასხვა სიდიდის გამოყენებას მომდევნო დროით პერიოდებზე დავალიანების ოდენობის არსებობის მანძილზე. დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანების ასეთი სტრუქტურა გამოიყენება ყველა ფინანსური ინსტრუმენტისთვის, რომელიც მიეკუთვნება პირველ და მეორე სტადიებს. მესამე სტადიის ფინანსური ინსტრუმენტების შემთხვევაში, დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანების ვექტორი შედგება ერთი ელემენტისგან, სადაც მიმდინარე დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანება ერთადერთი სიდიდეა.

დეფოლტის ალბათობა. დეფოლტის ალბათობის პარამეტრი აღწერს ინსტრუმენტის დეფოლტის დადგომის ალბათობას გარკვეული დროის პერიოდში. იგი აფასებს იმის ალბათობას, რომ მსესხებელი ვერ შეძლებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული დავალიანების დაფარვას. დეფოლტის ალბათობის პარამეტრი დროზეა დამოკიდებულია (ანუ აქვს კონკრეტული ვადიანობის სტრუქტურა) და ვრცელდება ყველა მოქმედ (არადეფოლტირებულ) ხელშეკრულებაზე.

მოდელი ეყრდნობა მოკლევადიანი და გრძელვადიანი დეფოლტის ალბათობის შეფასებებს. პირველი გამოითვლება წლიური დეფოლტის განაკვეთის საფუძველზე იმ პერიოდისთვის, რომელიც მოკლევადიანი დეფოლტისადმი მიდრეკილების ამსახველად მიიჩნევა. ეს პარამეტრი განსხვავდება ლიზინგის მიმღების რისკის ჯგუფის მიხედვით. მეორე წარმოადგენს სალიზინგო კომპანიის კლიენტების გრძელვადიანი დეფოლტისადმი მიდრეკილებას, განურჩევლად მათთვის მინიჭებული რისკის ჯგუფისა.

სალიზინგო კომპანია განსაზღვრავს რისკის ჯგუფებს ლიზინგის მიმღების ვადაგადაცილებული დღეების სტატუსის მიხედვით.) მოდელი აკეთებს დაშვებას, რომ დეფოლტის ალბათობა მომდევნო 12-თვიანი პერიოდისთვის საანგარიშგებო თარიღის შემდეგ უდრის მოკლევადიანი დეფოლტის ალბათობის შეფასებას და დამოკიდებულია რისკის ჯგუფის მინიჭებაზე. გრძელვადიანი დეფოლტის ალბათობის შეფასება გამოიყენება საანგარიშგებო თარიღიდან ათვლილი მეოთხე წლიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის, ხოლო შუალედში დაშვებულია დეფოლტის ალბათობის წრფივი ინტერპოლაცია.

გრძელვადიანი დეფოლტის ალბათობის შეფასების მიზნებისთვის, სალიზინგო კომპანია იყენებს დეფოლტის განაკვეთებს. დეფოლტის განაკვეთები გამოითვლება, როგორც პერიოდის გადაუხდელი (დეფოლტის სიტუაციაში მყოფი) დავალიანების მოცულობა გაყოფილი მთლიან მოქმედ კრედიტზე პერიოდის დასაწყისში.

ზარალი დეფოლტის შემთხვევაში. დეფოლტის შემთხვევაში ზარალის პარამეტრი წარმოადგენს დავალიანების მოცულობის წილს, რომელიც სამუდამოდ (აუნაზღაურებლად) დაიკარგება, თუ მსესხებელი აღმოჩნდება დეფოლტის სიტუაციაში. რაც შეეხება პირველი სტადიისა და მეორე სტადიის ფინანსური ინსტრუმენტებს, ზარალი დეფოლტის შემთხვევაში ფასდება თითოეული პერიოდისთვის ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე და ასახავს მოსალოდნელი დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანების წილს ამ პერიოდისთვის, რომლის ამოღება არ მოხდება ინსტრუმენტის დარჩენილი ვადის განმავლობაში დეფოლტის თარიღის შემდეგ. რაც შეეხება მესამე სტადიის ფინანსურ ინსტრუმენტებს, ზარალი დეფოლტის შემთხვევაში წარმოადგენს დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანების წილს საანგარიშგებო თარიღისთვის, რომლის ამოღება არ მოხდება ამ ინსტრუმენტის დარჩენილი ვადის განმავლობაში. დეფოლტის შემთხვევაში ზარალის შეფასება ხდება ისტორიული ზარალების საფუძველზე, რომლებიც კომპანიის მთავარმა ბიზნესმიმართულებებმა განიცადა დეფოლტის სიტუაციაში მყოფი ლიზინგებიდან. ჯგუფი დეფოლტის შემთხვევაში ზარალის თითოეული პორტფელისთვის განსაზღვრავს ამოღების დროის მონაკვეთს, დეფოლტის თარიღიდან, რომლის შემდეგაც არსებითი ამოღებები ნავარაუდევი არ არის. თანხების ამოღების ვადა განისაზღვრება მონაცემების ანალიზით და ექსპერტის განსჯით.

საპროგნოზო ინფორმაცია. მიუკერძოებელი, ალბათობით შეწონილი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება მოითხოვს მასში გონივრული დანახარჯით ან ძალისხმევით მოპოვებული საპროგნოზო ინფორმაციის ჩართვას. საპროგნოზო ინფორმაციის მიზნებისთვის, კომპანია სამ მაკრო სცენარს განსაზღვრავს. სცენარები განისაზღვრება, როგორც საბაზო (ყველაზე უფრო სავარაუდო), ოპტიმისტური (ყველაზე უფრო სავარაუდოზე უკეთესი) და პესიმისტური (ყველაზე უფრო სავარაუდოზე უარესი) 50%, 25% და 25%-ით, შესაბამისად. საბაზო მაკროეკონომიკური სცენარის მისაღებად, კომპანია ითვალისწინებს პროგნოზებს სხვადასხვა გარე წყაროდან – საქართველოს ეროვნული ბანკი, ფინანსთა სამინისტრო, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, თიბისი კაპიტალი, ასევე სხვა საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებები – რათა უზრუნველყოს საბაზრო მოლოდინების კონსენსუსი. ოპტიმისტური და პესიმისტური სცენარები განისაზღვრება ბანკის მაკროეკონომიკური განყოფილების მიერ შემუშავებული სისტემით. კომპანია მოსალოდნელ გაუფასურების ზარალს ანგარიშობს თითოეული სცენარისთვის. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საბოლოო სიდიდის მისაღებად გამოიყენება ალბათობით შეწონილი საშუალოს მეთოდს, სადაც თითოეული სცენარის ალბათობა გამოყენებული წონის სახით.

27. ფინანსური რისკის მართვა გაგრძელება

საპროგნოზო ინფორმაციის კორექტირება დეფოლტის ალბათობაზე გამოიყენება სამწლიანი პერიოდისთვის, იმის გათვალისწინებით, რომ მაკროეკონომიკურ პროგნოზებთან დაკავშირებული განუსაზღვრელობა შეიძლება უფრო გრძელ ვადას მოიცავდეს.

სხვა არაფინანსურ აქტივებზე შექმნილი ანარიცხები. კომპანიის ფინანსური აქტივების ყველაზე არსებითი ნაშთი, რომელიც ექვემდებარება დარეზერვებას, სალიზინგო პორტფელის მერე, არის დაუფარავი შეწყვეტილი ლიზინგები. 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებულ წლამდე, ამ დავალიანებებზე მოსალოდნელი ზარალი გამოითვლებოდა ინდივიდუალური LGD-ების საფუძველზე – შესაბამისი სალიზინგო აქტივის ბოლოს შეფასებული ღირებულების მიხედვით. ამის მიუხედავად, დავალიანების ამოღების ვადის შემდეგ, LGD 100%-ით გაიზრდებოდა. 2024 წლის ბოლოდან ჩვენ გარკვეული ცვლილებები შევიტანეთ ამ მიდგომაში და, შესაბამისად, მეთოდოლოგიაში, კერძოდ: დავიწყეთ შეწყვეტილი ლიზინგების ისევე აღრიცხვა, როგორც მესამე სტადიის დავალიანებებს აღვრიცხავდით აქტიურ პორტფელში და ამჟამად მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრისთვის ვიყენებთ სტატისტიკურ LGD-ს (გამოითვლება კონკრეტულად შეწყვეტილ ლიზინგებზე). სალიზინგო აქტივის დასაკუთრებისას ხდება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გადაანგარიშება აქტივის შეფასების საფუძველზე. თუ არ ხდება სალიზინგო აქტივის დასაკუთრება, LGD თანდათან იზრდება და აღწევს 100%-ს მას შემდეგ, რაც გაივლის ვალდებულების მოსალოდნელი ამოღების ვადა შეწყვეტის თარიღიდან.

სალიზინგო აქტივებთან დაკავშირებული რისკი. სალიზინგო აქტივებთან დაკავშირებული რისკის სამართავად კომპანია გარკვეულ სალიზინგო საგნის მომწოდებლებთან მიმართავს გამოსყიდვის ოფციონს. თუ ასეთი თვისების მქონე ლიზინგი დეფოლტის სიტუაციაში აღმოჩნდება, სალიზინგო საგნის მომწოდებელი გადაიხდის წინასწარ განსაზღვრულ თანხას ლიზინგის გაფორმებიდან გასული დროის მიხედვით. კიდევ ერთი ინსტრუმენტი, რომელსაც კომპანია იყენებს, უკავშირდება სალიზინგო აქტივების პერიოდულ მონიტორინგს ჩვენი აქტივების მონიტორინგის განყოფილების მიერ. თუ აქტივი დაზიანებულია იმაზე მეტად, ვიდრე უნდა ყოფილიყო ნორმალური ექსპლუატაციის პირობებში, ეს საკითხი ეცნობება ლიზინგის მენეჯერებს და საკრედიტო რისკის განყოფილებას. ხდება ინდივიდუალური გადაწყვეტილების მიღება და ლიზინგის მიმღებს შეიძლება მოეთხოვოს ნაადრევი გადახდის შესრულება, რათა აანაზღაუროს აქტივის ღირებულების ნორმალურზე მეტად შემცირება.

საბაზრო რისკი. კომპანიას ახასიათებს საბაზრო რისკები. საბაზრო რისკებს განაპირობებს ღია პოზიციები სავალუტო და საპროცენტო განაკვეთების, რომელთაგან ყველაზე მოქმედებს ბაზრის ზოგადი და კონკრეტული ცვლილებები. ხელმძღვანელობა აწესებს ლიმიტებს რისკის დასაშვებ მოცულობაზე, რისი მონიტორინგიც ხდება ყოველთვიურად. თუმცა, ასეთი მიდგომა ვერ უზრუნველყოფს დანაკარგების აღმოფხვრას დაწესებული ლიმიტის ზევით ბაზარზე მომხდარი მნიშვნელოვანი ცვლილებების შემთხვევაში.

კლიმატის რისკი. კომპანიის ხელმძღვანელობა ყურადღებით ეკიდება კლიმატური ცვლილების პოტენციური გავლენის შესახებ გლობალური ცნობადობის ამაღლების საკითხს. ამჟამად ამ საკითხს მნიშვნელოვანი გავლენა არ აქვს ფინანსურ ანგარიშგებაზე, მაგრამ ხელმძღვანელობა აგრძელებს ამ სფეროში მიმდინარე მოვლენებზე დაკვირვებას.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი განიმარტება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება მერყევი იქნება სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე გავლენას ახდენს ძირითადი ვალუტების კურსების მერყეობა.

დირექტორთა საბჭო სავალუტო რისკს აკონტროლებს ღია სავალუტო პოზიციის მართვით ქართული ლარის გაუფასურებისა და სხვა მაკროეკონომიკური მაჩვენებლების შეფასებაზე დაყრდნობით, რაც კომპანიას საშუალებას აძლევს, მინიმუმამდე დაიყვანოს ეროვნულ ვალუტასთან მიმართებაში მნიშვნელოვანი სავალუტო კურსების მერყეობით გამოწვეული დანაკარგები.

27. ფინანსური რისკის მართვა გაგრძელება

კომპანიის სავალუტო რისკის მოცულობა 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ცხრილშია მოცემული:

ათას ლარში	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სხვა	სულ
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	28,434	16,789	21,640	5	**66,868**
ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნები	151,682	151,119	133,763	-	**436,564**
სალიზინგო ხელშეკრულებებზე გადახდილი ავანსები	3,349	111,563	4,284	-	**119,196**
სხვა ფინანსური აქტივები	984	19,417	8,601	-	**29,002**
ფინანსური აქტივები, სულ	**184,449**	**298,888**	**168,288**	**5**	**651,630**
ბანკებიდან და ფინანსური დაწესებულებებიდან მიღებული სესხები	77,407	111,308	167,573	-	**356,288**
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	114,656	-	-	-	**114,656**
მომხმარებლებისგან მიღებული ავანსები	3,303	47,037	2,261	-	**52,601**
სუბორდინირებული სესხები	-	49,676	-	-	**49,676**
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	(76,963)	78,374	(966)	-	**445**
სხვა ფინანსური ვალდებულებები	839	3,613	464	-	**4,916**
მთლიანი ფინანსური ვალდებულებები	**119,242**	**290,008**	**169,332**	**-**	**578,582**
წმინდა საბალანსო პოზიცია	**65,207**	**8,880**	**(1,044)**	**5**	**73,048**

კომპანიის სავალუტო რისკის მოცულობა 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ცხრილშია მოცემული:

ათას ლარში	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სხვა	სულ
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	36,932	10,806	9,584	4	**57,326**
მოთხოვნები ბანკების მიმართ	-	10,000	-	-	**10,000**
ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნები	94,852	217,075	56,360	-	**368,287**
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	75,919	(45,182)	(30,646)	-	**91**
სალიზინგო ხელშეკრულებებზე გადახდილი ავანსები	4,149	19,898	3,144	-	**27,191**
სხვა ფინანსური აქტივები	13,702	9,550	6,372	-	**29,624**
მთლიანი ფინანსური აქტივები	**225,554**	**222,147**	**44,814**	**4**	**492,519**
ბანკებიდან და ფინანსური დაწესებულებებიდან მიღებული სესხები	51,428	83,896	120,574	-	**255,898**
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	103,127	-	-	-	**103,127**
მომხმარებლებისგან მიღებული ავანსები	3,196	16,703	3,551	-	**23,450**
სუბორდინირებული სესხები	-	42,184	-	-	**42,184**
სხვა ფინანსური ვალდებულებები	1,877	6,597	1,103	-	**9,577**
მთლიანი ფინანსური ვალდებულებები	**159,628**	**149,380**	**125,228**	**-**	**434,236**
წმინდა საბალანსო პოზიცია	**65,926**	**72,767**	**(80,414)**	**4**	**58,283**

27. ფინანსური რისკის მართვა გაგრძელება

სავალუტო რისკის მართვის მიზნით ხელმძღვანელობა აწესებს ლიმიტებს და ყოველთვიურად გადახედავს მოკლე და გრძელ სავალუტო პოზიციას ამ ლიმიტების ფარგლებში.

ვალუტის მგრძნობელობის ანალიზი. ქვედა ცხრილში წარმოდგენილია კომპანიის მგრძნობელობა ლართან მიმართებით აშშ დოლარის/ევროს 10%-იანი ზრდის და შემცირების მიმართ (2023 წ.: 10%). 10% არის მგრძნობელობის დონე, რომელიც გამოიყენება სავალუტო რისკის შიდა ანგარიშგებისთვის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წინაშე და წარმოადგენს ხელმძღვანელობის მხრიდან სავალუტო კურსების შესაძლო ცვლილების შეფასებას. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გამოხატულ დაუფარავ ფულად მუხლებს და აკორექტირებს მათ გადაყვანას პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების 10%-იანი ცვლილების მიხედვით.

	31 დეკემბერი, 2024 წ.		31 დეკემბერი, 2023 წ.	
ათას ლარში	**გავლენა მოგებაზე ან ზარალზე**	**გავლენა კაპიტალზე**	**გავლენა მოგებაზე ან ზარალზე**	**გავლენა კაპიტალზე**
აშშ დოლარის გამყარება 10%-ით	888	888	5,287	5,287
ევროს გამყარება 10%-ით	(104)	(104)	(8,356)	(8,356)
აშშ დოლარის გაუფასურება 10%-ით	(888)	(888)	(5,287)	(5,287)
ევროს გაუფასურება 10%-ით	104	104	8,356	8,356

27. ფინანსური რისკის მართვა გაგრძელება

საპროცენტო განაკვეთის რისკი. კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე მოქმედებს ბაზარზე არსებული საპროცენტო განაკვეთების დონეების მერყეობა. მიღებულ ფინანსურ შემოსავალსა და გადახდილ საპროცენტო ხარჯებს შორის მარჟები შეიძლება ასეთი ცვლილებების გამო გაიზარდოს, მაგრამ შეიძლება შემცირდეს, ან წარმოქმნას ზარალი მოულოდნელი მერყეობის შემთხვევაში.

ცხრილში წარმოდგენილია კომპანიის საბალანსო ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივების და ვალდებულებების აგრეგირებული თანხები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რომლებიც კლასიფიცირებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპროცენტო განაკვეთის შეცვლის ან დაფარვის ვადის მოსვლის თარიღებს შორის უადრესის მიხედვით.

ათას ლარში	1 თვემდე	1 თვიდან 3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1 წელზე მეტი ვადით	სულ
ფინანსური აქტივები					
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	66,868	-	-	-	**66,868**
ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნები	31,300	21,808	95,934	287,522	**436,564**
სალიზინგო ხელშეკრულებებზე გადახდილი ავანსები	25,239	11,226	34,041	48,690	**119,196**
სხვა ფინანსური აქტივები	26,538	1,514	335	615	**29,002**
ფინანსური აქტივები, სულ	**149,945**	**34,548**	**130,310**	**336,827**	**651,630**
ფინანსური ვალდებულებები					
ბანკებიდან და ფინანსური დაწესებულებებიდან მიღებული სესხები	2,420	11,291	97,938	244,639	**356,288**
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	288	-	-	114,368	**114,656**
მომხმარებლებისგან მიღებული ავანსები	21,257	2,005	20,605	8,734	**52,601**
სუბორდინირებული სესხები	752	-	-	48,924	**49,676**
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	445	-	-	-	**445**
სხვა ფინანსური ვალდებულებები	2,800	104	485	1,527	**4,916**
მთლიანი ფინანსური ვალდებულებები	**27,962**	**13,400**	**119,028**	**418,192**	**578,582**
წმინდა საპროცენტო განაკვეთის მგრძნობელობის შედარებითი ანალიზი	**121,983**	**21,148**	**11,282**	**(81,365)**	**73,048**

27. ფინანსური რისკის მართვა გაგრძელება

ცხრილში წარმოდგენილია კომპანიის საბალანსო ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივების და ვალდებულებების აგრეგირებული თანხები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რომლებიც კლასიფიცირებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპროცენტო განაკვეთის შეცვლის ან დაფარვის ვადის მოსვლის თარიღებს შორის უადრესის მიხედვით.

ათას ლარში	1 თვემდე	1 თვიდან 3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1 წელზე მეტი ვადით	სულ
ფინანსური აქტივები					
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	57,326	-	-	-	**57,326**
მოთხოვნები ბანკების მიმართ	-	-	10,000	-	**10,000**
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	91	-	-	-	**91**
ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნები	30,867	16,702	73,533	247,185	**368,287**
სალიზინგო ხელშეკრულებებზე გადახდილი ავანსები	24,335	1,199	1,657	-	**27,191**
სხვა ფინანსური აქტივები	28,463	133	308	720	**29,624**
მთლიანი ფინანსური აქტივები	**141,082**	**18,034**	**85,498**	**247,905**	**492,519**
ფინანსური ვალდებულებები					
ბანკებიდან და ფინანსური დაწესებულებებიდან მიღებული სესხები	30,700	3,179	66,058	155,961	**255,898**
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	317	-	-	102,810	**103,127**
მომხმარებლებისგან მიღებული ავანსები	18,766	369	4,315	-	**23,450**
სუბორდინირებული სესხები	718	-	-	41,466	**42,184**
სხვა ფინანსური ვალდებულებები	7,349	85	407	1,736	**9,577**
მთლიანი ფინანსური ვალდებულებები	**57,850**	**3,633**	**70,780**	**301,973**	**434,236**
წმინდა საპროცენტო განაკვეთის მგრძნობელობის შედარებითი ანალიზი	**83,232**	**14,401**	**14,718**	**(54,068)**	**58,283**

ლიკვიდურობის რისკი. ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანიას ან არ აქვს საკმარისი ფინანსური რესურსები ხელმისაწვდომი, რომ დაფაროს ყველა თავისი ვალდებულება ვადის დადგომისას, ან შეუძლია ამ რესურსებზე წვდომა მხოლოდ მაღალი ხარჯით. რისკს მართავენ ფინანსური რისკის მართვისა და ხაზინის დეპარტამენტები და მონიტორინგს უწევს დირექტორთა საბჭო, რომელიც შედგება გენერალური დირექტორისგან, რისკების დირექტორისგან, ფინანსური დირექტორისგან და კომერციული დირექტორისგან.

კომპანიის ლიკვიდურობის რისკის მართვის პოლიტიკის მთავარი ამოცანებია: (i) უზრუნველყოს ფულადი სახსრების ხელმისაწვდომობა, რათა დააკმაყოფილოს მთლიანი ვალდებულებებისგან წარმომდგარი მოთხოვნები ეკონომიკურ ფასად; (ii) აღიაროს ნებისმიერი სტრუქტურული შეუსაბამობა, რომელიც არსებობს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში და დააწესოს მონიტორინგის კოეფიციენტები, რათა მართოს დაფინანსება კარგად დაბალანსებული ზრდის შესაბამისად; და (iii) მოახდინოს ლიკვიდურობის და დაფინანსების მუდმივი მონიტორინგი, რათა უზრუნველყოს, რომ ბიზნესის დამტკიცებული მიზნები სრულდება კომპანიის რისკის პროფილისთვის საფრთხის შექმნის გარეშე.

27. ფინანსური რისკის მართვა გაგრძელება

ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი დარჩენილი არადისკონტირებული სახელშეკრულებო ვალდებულებების საფუძველზე 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ათას ლარში	1 თვემდე	1 თვიდან 3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1 წლიდან 5 წლამდე	სულ
ფინანსური ვალდებულებები					
ბანკებიდან და ფინანსური დაწესებულებებიდან მიღებული სესხები	3,853	14,749	116,826	261,994	**397,422**
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	288	3,161	9,491	117,942	**130,881**
მომხმარებლებისგან მიღებული ავანსები	21,257	2,005	20,605	8,734	**52,601**
სუბორდინირებული სესხები	1,563	408	3,134	61,191	**66,296**
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	445	-	-	-	**445**
სხვა ფინანსური ვალდებულებები	2,800	104	485	1,527	**4,916**
სულ პოტენციური სამომავლო გადახდები ფინანსური ვალდებულებებისთვის	**30,206**	**20,426**	**150,541**	**451,388**	**652,562**

ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი დარჩენილი არადისკონტირებული სახელშეკრულებო ვალდებულებების საფუძველზე 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ათას ლარში	1 თვემდე	1 თვიდან 3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1 წლიდან 5 წლამდე	სულ
ფინანსური ვალდებულებები					
ბანკებიდან და ფინანსური დაწესებულებებიდან მიღებული სესხები	31,271	5,766	78,469	173,179	**288,685**
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	317	3,270	9,708	120,356	**133,651**
მომხმარებლებისგან მიღებული ავანსები	18,766	369	4,315	-	**23,450**
სუბორდინირებული სესხები	1,882	-	2,669	54,943	**59,494**
სხვა ფინანსური ვალდებულებები	7,349	85	407	1,736	**9,577**
სულ პოტენციური სამომავლო გადახდები ფინანსური ვალდებულებებისთვის	**59,585**	**9,490**	**95,568**	**350,214**	**514,857**

27. ფინანსური რისკის მართვა გაგრძელება

კომპანია არ იყენებს ზემოაღნიშნულ არადისკონტირებულ ვადიანობის ანალიზს ლიკვიდურობის სამართავად. ამის ნაცვლად კომპანია ლიკვიდურობის გეპის ანალიზის მონიტორინგს ახდენს დისკონტირებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების მოსალოდნელი ვადიანობის საფუძველზე. ქვემოთ, ცხრილში, წარმოდგენილია 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოსალოდნელი ლიკვიდურობის გეპი:

ათას ლარში	1 თვემდე	1 თვიდან 3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1 წლიდან 5 წლამდე	სულ
ფინანსური აქტივები					
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	66,868	-	-	-	**66,868**
ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნები	31,300	21,808	95,934	287,522	**436,564**
სალიზინგო ხელშეკრულებებზე გადახდილი ავანსები	25,239	11,226	34,041	48,690	**119,196**
სხვა ფინანსური აქტივები	26,538	1,514	335	615	**29,002**
ფინანსური აქტივები, სულ	**149,945**	**34,548**	**130,310**	**336,827**	**651,630**
ფინანსური ვალდებულებები					
ბანკებიდან და ფინანსური დაწესებულებებიდან მიღებული სესხები	2,420	11,291	97,938	244,639	**356,288**
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	288	-	-	114,368	**114,656**
მომხმარებლებისგან მიღებული ავანსები	21,257	2,005	20,605	8,734	**52,601**
სუბორდინირებული სესხები	752	-	-	48,924	**49,676**
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	445	-	-	-	**445**
სხვა ფინანსური ვალდებულებები	2,800	104	485	1,527	**4,916**
მთლიანი ფინანსური ვალდებულებები	**27,962**	**13,400**	**119,028**	**418,192**	**578,582**
კუმულაციური ლიკვიდურობის გეპი	**121,983**	**21,148**	**11,282**	**(81,365)**	**73,048**

27. ფინანსური რისკის მართვა გაგრძელება

ქვემოთ, ცხრილში, წარმოდგენილია 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოსალოდნელი ლიკვიდურობის გეპი:

ათას ლარში	1 თვემდე	1 თვიდან 3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1 წლიდან 5 წლამდე	სულ
ფინანსური აქტივები					
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	57,326	-	-	-	**57,326**
მოთხოვნები ბანკების მიმართ	-	-	10,000	-	**10,000**
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	91	-	-	-	**91**
ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნები	30,867	16,702	73,533	247,185	**368,287**
სალიზინგო ხელშეკრულებებზე გადახდილი ავანსები	24,335	1,199	1,657	-	**27,191**
სხვა ფინანსური აქტივები	28,463	133	308	720	**29,624**
მთლიანი ფინანსური აქტივები	**141,082**	**18,034**	**85,498**	**247,905**	**492,519**
ფინანსური ვალდებულებები					
ბანკებიდან და ფინანსური დაწესებულებებიდან მიღებული სესხები	30,700	3,179	66,058	155,961	**255,898**
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	317	-	-	102,810	**103,127**
მომხმარებლებისგან მიღებული ავანსები	18,766	369	4,315	-	**23,450**
სუბორდინირებული სესხები	718	-	-	41,466	**42,184**
სხვა ფინანსური ვალდებულებები	7,349	85	407	1,736	**9,577**
მთლიანი ფინანსური ვალდებულებები	**57,850**	**3,633**	**70,780**	**301,973**	**434,236**
კუმულაციური ლიკვიდურობის გეპი	**83,232**	**14,401**	**14,718**	**(54,068)**	**58,283**

გეოგრაფიული კონცენტრაცია. აქტივებისა და ვალდებულებების გეოგრაფიული კონცენტრაცია, როგორც წესი, სტაბილურია, ვინაიდან კომპანია არ საქმიანობს საქართველოს გარეთ. კომპანიას საქართველოს ფარგლებს გარეთ არ აქვს აქტივები.

დაკავშირებული მხარის დაფინანსების რისკი. კომპანიას აქვს მესამე მხარეებისგან დაფინანსების მნიშვნელოვანი კონცენტრაციის რისკი. კომპანია არის მსხვილი საბანკო ჯგუფის წევრი. ფუნქციონირებადი საწარმოს რისკი მცირდება კომპანიის მფლობელის მხრიდან დაპირებით, რომ კომპანიას სტაბილურ ფინანსურ მხარდაჭერას აღმოუჩენს.

28. კაპიტალის მართვა

კომპანიის მიზნები კაპიტალის მართვისას არის, უზრუნველყოს კომპანიის უნარი, რომ გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, რათა შექმნას უკუგება მფლობელებისთვის და სარგებელი სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის და შეინარჩუნოს კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურა, რათა შემცირდეს კაპიტალის ღირებულება. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან დაკორექტირების მიზნით, ბანკმა შესაძლებელია შეცვალოს აქციონერებისათვის გადახდილი დივიდენდების ოდენობა, დაუბრუნოს კაპიტალი აქციონერებს, გამოუშვას ახალი აქციები ან გაყიდოს აქტივები ვალის შემცირების მიზნით. კომპანია განიხილავს თავის კაპიტალს, როგორც საკუთარ კაპიტალს და სუბორდინირებულ სესხებს. კაპიტალის ოდენობა, რომელსაც კომპანია 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მართავდა, იყო 146,432 ათასი ლარი (2023 წ.: 120,886 ათასი ლარი).

29. წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები

ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში კომპანია აფორმებს წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს სავალუტო და ლიკვიდურობის რისკების სამართავად.

სავალუტო ფორვარდები და მთლიანი დაფარული სავალუტო სვოპები. როგორც წესი, კომპანია წარმოებული სავალუტო ინსტრუმენტებით ვაჭრობს ბირჟის გარე ბაზარზე პროფესიონალ კონტრაჰენტებთან სტანდარტიზებული სახელშეკრულებო პირობებით. წარმოებულ ინსტრუმენტებს აქვს პოტენციურად ხელსაყრელი (აქტივები) ან არახელსაყრელი (ვალდებულებები) პირობები ბაზარზე საპროცენტო განაკვეთების, სავალუტო კურსების ან სხვა ცვლადი მაჩვენებლების მერყეობის გამო, მათი ვადების გათვალისწინებით. ცხრილში წარმოდგენილია საანგარიშგებო თარიღისთვის მისაღები ან გადასახდელი ვალუტების სამართლიანი ღირებულებები სავალუტო ფორვარდული ხელშეკრულებების თანახმად, მთლიანი დაფარული სავალუტო სვოპები და კომპანიის მიერ გაფორმებული საკომპენსაციო სესხები. ცხრილში მოცემულია მთლიანი პოზიციები კონტრაჰენტის პოზიციების (და გადახდების) გაქვითვამდე და მოიცავს ხელშეკრულებებს შესაბამისი საანგარიშგებო თარიღის შემდგომი ანგარიშსწორების თარიღებით. ხელშეკრულებები მოკლევადიანი ხასიათისაა.

	2024		2023	
სავალუტო ფორვარდები და სვოპები: სამართლიანი ღირებულებები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	**ხელშეკრულებები დადებითი სამართლიანი ღირებულებით**	**ხელშეკრულებები უარყოფითი სამართლიანი ღირებულებით**	**ხელშეკრულებები დადებითი სამართლიანი ღირებულებით**	**ხელშეკრულებები უარყოფითი სამართლიანი ღირებულებით**
- აშშ დოლარი ანგარიშსწორებისას გადასახდელი (-)	(31,155)	(54,236)	(37,691)	(7,530)
- აშშ დოლარი ანგარიშსწორებისას მისაღები (+)	-	7,017	-	-
- ლარი ანგარიშსწორებისას გადასახდელი (-)	-	(7,051)	-	(6,026)
- ლარი ანგარიშსწორებისას მისაღები (+)	40,409	43,606	38,631	34,428
- ევრო ანგარიშსწორებისას გადასახდელი (-)	(8,793)	-	(3,571)	(27,075)
- ევრო ანგარიშსწორებისას მისაღები (+)	-	9,758	2,975	5,951
სავალუტო ფორვარდების და სვოპების სამართლიანი ღირებულება	**461**	**(906)**	**344**	**(253)**
სავალუტო ფორვარდების და სვოპების წმინდა სამართლიანი ღირებულება		**(445)**	**91**	

ზარალი შემოსულობის გარეშე წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებიდან 2024 წლისთვის შეადგენდა 2,981 ათას ლარს. (2023 წ.: (1,191) ათასი ლარი).

30. სამართლიანი ღირებულების განმარტებითი შენიშვნები

სამართლიანი ღირებულების შეფასებების ანალიზი ხდება სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონეების მიხედვით: (i) 1-ელი დონე - იდენტური აქტივების ან ვალდებულების კოტირებული (არაკორექტირებული) საბაზრო ფასები აქტიურ ბაზრებზე, (ii) მე-2 დონე – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის პირდაპირი ან არაპირდაპირი განსაზღვრა, და (iii) მე-3 დონე - ღირებულებითი შეფასების მეთოდები, რომლებიც არ ეყრდნობა ემპირიულ საბაზრო მონაცემებს (ე.ი. არაემპირიული ამოსავალი მონაცემები). ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების იერარქიის გამოყენებით შეფასებისას ხელმძღვანელობა იყენებს განსჯას.

(ა) სამართლიანი ღირებულების პერიოდული შეფასება

სამართლიანი ღირებულების პერიოდული შეფასება ისეთი შეფასებაა, რომელსაც მოითხოვს ან უშვებს სააღრიცხვო სტანდარტები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის. სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონე, რომელსაც მიეკუთვნება სამართლიანი ღირებულების პერიოდული შეფასება, ასეთია:

	31 დეკემბერი, 2024 წ.				31 დეკემბერი, 2023 წ.			
ათას ლარში	**დონე 1**	**დონე 2**	**დონე 3**	**სულ**	**დონე 1**	**დონე 2**	**დონე 3**	**სულ**
აქტივების სამართლიანი ღირებულება								
ფინანსური აქტივები								
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	-	-	-	**-**	-	91	-	**91**
სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ვალდებულებები								
ფინანსური ვალდებულებები								
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტი	-	445	-	**445**	-	-	-	-
სულ აქტივების სამართლიანი ღირებულების პერიოდული შეფასება	**-**	**445**	**-**	**445**	**-**	**91**	**-**	**91**

შეფასების მეთოდის აღწერა და მეორე დონის შეფასებისთვის სამართლიანი ღირებულების შეფასებაში გამოყენებული ამოსავალი მონაცემების აღწერა:

ათას ლარში	**2024**	**2023**	**შეფასების მეთოდი**	**გამოყენებული ამოსავალი მონაცემები**
აქტივების სამართლიანი ღირებულება				
ფინანსური აქტივები				
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	-	91	ფორვარდული ფასწარმოქმნა დღევანდელი ღირებულების გაანგარიშებების გამოყენებით	საბაზრო საპროცენტო განაკვეთები, ოფიციალური გაცვლითი კურსი
სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ვალდებულებები				
ფინანსური ვალდებულებები				
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტი	445	-	ფორვარდული ფასწარმოქმნა დღევანდელი ღირებულების გაანგარიშებების გამოყენებით	საბაზრო საპროცენტო განაკვეთები, ოფიციალური გაცვლითი კურსი
სულ აქტივების სამართლიანი ღირებულების პერიოდული შეფასება	**445**	**91**		

ცვლილებები მეორე დონის სამართლიანი ღირებულების შეფასების მეთოდში არ მომხდარა 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებულ წელს (2023 წ.: არა).

30. სამართლიანი ღირებულების განმარტებითი შენიშვნები გაგრძელება

სამართლიანი ღირებულების შეფასების ანალიზი, სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონის მიხედვით, წარმოდგენილია მე-3 შენიშვნაში.

(ბ) აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც არ არის შეფასებული სამართლიანი ღირებულებით, თუმცა მათი სამართლიანი ღირებულება მოცემულია განმარტებით შენიშვნებში

სამართლიანი ღირებულების იერარქიაში შესაბამისი დონის მიხედვით გაანალიზებული სამართლიანი ღირებულებები და იმ აქტივების საბალანსო ღირებულება, რომლებიც არ არის შეფასებული სამართლიანი ღირებულებით:

	31 დეკემბერი, 2024 წ.				31 დეკემბერი, 2023 წ.			
ათას ლარში	დონე 1	დონე 2	დონე 3	საბალანსო ღირებულება	დონე 1	დონე 2	დონე 3	საბალანსო ღირებულება
ფინანსური აქტივები								
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	-	66,868	-	**66,868**	-	57,326	-	**57,326**
მოთხოვნები ბანკების მიმართ	-	-	-	**-**	-	10,000	-	**10,000**
ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნები	-	-	513,843	**436,564**	-	-	347,392	**368,287**
სხვა ფინანსური აქტივები	-	-	29,002	**29,002**	-	-	29,624	**29,624**
სულ აქტივები	**-**	**66,868**	**542,845**	**532,434**	**-**	**67,326**	**377,016**	**465,237**
ფინანსური ვალდებულებები								
ბანკებიდან და ფინანსური დაწესებულებებიდან მიღებული სესხები	-	357,158	-	**356,288**	-	257,723	-	**255,898**
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	-	-	115,000	**114,656**	-	-	103,710	**103,127**
მომხმარებლებისგან მიღებული ავანსები	-	50,673	-	**50,673**	-	21,484	-	**21,484**
სუბორდინირებული სესხები	-	-	49,273	**49,676**	-	-	41,834	**42,184**
სხვა ფინანსური ვალდებულებები	-	4,916	-	**4,916**	-	9,577	-	**9,577**
სულ ვალდებულებები	**-**	**412,747**	**164,273**	**576,209**	**-**	**288,784**	**145,544**	**432,270**

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, რაც უდრის მიმდინარე საბალანსო ღირებულებას. ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნები და სხვა ფინანსური აქტივები აღრიცხულია საკრედიტო ზარალის რეზერვის გამოკლებით. ბანკებისგან მიღებული სესხები და სუბორდინირებული სესხები ფასდება ამორტიზებული ღირებულებით. ამ ფინანსური აქტივების სავარაუდო სამართლიანი ღირებულება წარმოადგენს სავარაუდო სამომავლო ფულადი ნაკადების დისკონტირებულ თანხას, რომლის მიღებაც არის მოსალოდნელი. მოსალოდნელი ფულადი ნაკადების დისკონტირება ხდება მიმდინარე საბაზრო განაკვეთებით მათი სამართლიანი ღირებულების დასადგენად.

სამართლიანი ღირებულების იერარქიის მეორე და მესამე დონეში სამართლიანი ღირებულებები შეფასდა დისკონტირებული ფულადი ნაკადების შეფასების მეთოდის გამოყენებით. ცვალებადი კურსის ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება, რომლებიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე, შეფასდა, როგორც მათი საბალანსო ღირებულების ტოლი. არაკოტირებული ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება შეფასდა მომავალში მოსალოდნელი საპროგნოზო ფულადი ნაკადების საფუძველზე, რომლებიც დისკონტირებულია მსგავსი საკრედიტო რისკებისა და დარჩენილი დაფარვის ვადების მქონე ახალი ინსტრუმენტებისთვის დადგენილი საპროცენტო განაკვეთებით. მოთხოვნამდე ან შეტყობინების პერიოდის („მოთხოვნადი ვალდებულებები“) შემდეგ გადასახდელი ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება ფასდება, როგორც მოთხოვნამდე გადასახდელი თანხა, რომელიც დისკონტირებულია პირველი თარიღიდან, როდესაც თანხის გადახდის მოთხოვნა შეიძლებოდა. გამოყენებული დისკონტირების განაკვეთები შეესაბამებოდა კომპანიის საკრედიტო რისკს და ასევე დამოკიდებულია ინსტრუმენტის ვალუტასა და ვადაზე.

31. ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა შეფასების კატეგორიის მიხედვით

ცხრილში წარმოდგენილია ფინანსური აქტივების შეჯერება ამ შეფასების კატეგორიებთან 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ათას ლარში	**ამორტიზებული ღირებულება**
აქტივები	
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	66,868
სალიზინგო ხელშეკრულებებზე გადახდილი ავანსები	119,196
სხვა ფინანსური აქტივები	29,002
სულ ფინანსური აქტივები, რომლებიც ფასს 9-ის მიხედვით იყოფა შეფასების კატეგორიებად	**215,066**

ცხრილში წარმოდგენილია ფინანსური აქტივების შეჯერება შეფასების კატეგორიებთან 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ათას ლარში	**ამორტიზებული ღირებულება**	**სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით**	**სულ**
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	57,326	-	**57,326**
მოთხოვნები ბანკების მიმართ	10,000	-	**10,000**
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	-	91	**91**
სხვა ფინანსური აქტივები	29,624	-	**29,624**
სულ ფინანსური აქტივები, რომლებიც ფასს 9-ის მიხედვით იყოფა შეფასების კატეგორიებად	**96,950**	**91**	**97,041**

32. პირობითი ვალდებულებები

სასამართლოში საქმის წარმოება. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ამ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული რეზერვი საკმარისია და თანხის გაცხადება საჭირო არ არის, ვინაიდან მას არ ექნება კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე და მომავალი ოპერაციების შედეგებზე არსებითი უარყოფითი გავლენა.

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ექვემდებარება სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას და საკმაოდ ხშირ ცვლილებას. შესაბამის ორგანოებს შეუძლიათ ეჭვქვეშ დააყენონ ხელმძღვანელობის მხრიდან კანონმდებლობის ამგვარი ინტერპრეტაციები კომპანიის ოპერაციებთან და საქმიანობასთან მიმართებაში. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მისეული ინტერპრეტაცია მართებულია და რომ კომპანიის საგადასახადო სტატუსი უცვლელი დარჩება. შესაბამისად, 2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ აღრიცხულა რეზერვი პოტენციური საგადასახადო ვალდებულებებისთვის.

სატრანსფერო ფასწარმოქმნის კანონმდებლობა ტექნიკურად დახვეწილია და შესაბამისობაშია ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (ეთგო) მიერ შემუშავებულ სატრანსფერო ფასწარმოქმნის პრინციპებთან და საგადასახადო ორგანოებს საშუალებას აძლევს, მოახდინონ სატრანსფერო ფასწარმოქმნის კორექტირებები და დააკისრონ დამატებითი საგადასახადო ვალდებულებები კონტროლირებულ ოპერაციებთან დაკავშირებით (ოპერაციები გარკვეულ დაკავშირებულ და დამოუკიდებელ მხარეებთან), თუ ოპერაციის ფასი არ ეყრდნობა გაშლილი ხელის პრინციპს.

32. პირობითი ვალდებულებები გაგრძელება

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ დანერგილი აქვს სატრანსფერო ფასწარმოქმნის კანონმდებლობით მოთხოვნილი შიდა კონტროლები. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს სატრანსფერო ფასწარმოქმნის წესების დანერგვის პრაქტიკა ჯერ არ არის განვითარებული, კომპანიის სატრანსფერო ფასწარმოქმნასთან დაკავშირებული გამოწვევების შედეგების სარწმუნოდ განსაზღვრა შეუძლებელია, თუმცა ეს შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს კომპანიის ფინანსური მდგომარეობისთვის და/ან ზოგადი საქმიანობისთვის.

შესაბამისობა შეთანხმებულ პირობებთან. კომპანია ექვემდებარება გარკვეულ პირობებს, რომლებიც ძირითადად უკავშირდება ბანკებისგან და საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებებისგან ნასესხებ სახსრებს. ამ პირობების შეუსრულებლობამ შესაძლოა კომპანიისთვის გამოიწვიოს უარყოფითი შედეგები, მათ შორის ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯებისა და მათი დაფარვის დროის ზრდა. 2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანია აკმაყოფილებდა აღნიშნულ პირობებს.

33. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

როგორც წესი, მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ისინი ექვემდებარებიან საერთო კონტროლს, ან ერთ მხარეს შეუძლია გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა შეუძლია მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ ან საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. დაკავშირებული მხარეების ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

„სხვა დაკავშირებული საწარმოები“ გულისხმობს საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ სვა კომპანიებს და მშობელი საწარმოს მნიშვნელოვან აქციონერებს. უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა შედგება კომპანიის დირექტორთა საბჭოს წევრებისგან.

31 დეკემბრის მდგომარეობით, დაკავშირებულ მხარეებთან დაუფარავი ნაშთები ასე გამოიყურებოდა:

	2024			2023		
ათას ლარში	მშობელი საწარმო	საერთო კონტროლს დაქვემდე-ბარებული საწარმოები	სხვა დაკავში-რებული საწარმოები	მშობელი საწარმო	საერთო კონტროლს დაქვემდე ბარებული საწარმოები	სხვა დაკავში-რებული საწარმო-ები
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	44,179	-	-	29,116	-	-
ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული მოთხოვნები (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი: 16%-29%)	5,431	-	948	5,730	-	525
ბანკებისგან და ფინანსური დაწესებულებებისგან აღებული სესხები (სახელშეკრულებო საპროცენტო განაკვეთი: 12.2 %-13.0%)	15,045	-	-	20,079	-	-
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	24,598	-	-	24,917	-	-
სხვა ფინანსური აქტივები	116	805	-	24	909	-
გადახდილი ავანსები	-	2,683	-	-	2,179	-
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	655	-	-	142	-	-
სხვა ვალდებულებები	43	-	-	-	-	-

33. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები გაგრძელება

მოგებისა და ხარჯების მუხლები დაკავშირებულ მხარეებთან 2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის ასე გამოიყურებოდა:

	2024			2023		
ათას ლარში	მშობელი საწარმო	საერთო კონტროლს დაქვემდე-ბარებული საწარმოები	სხვა დაკავში-რებული საწარმოები	მშობელი საწარმო	საერთო კონტროლს დაქვემდე ბარებული საწარმოები	სხვა დაკავში-რებული საწარმო-ები
ამონაგები საოპერაციო ლიზინგიდან	8	-	-	939	-	-
ფინანსური შემოსავალი	665	-	69	82	-	68
სხვა შემოსავალი	1,572	617	-	1,542	632	-
საპროცენტო ხარჯი	4,693	-	-	4,702	-	-
პირდაპირი სალიზინგო დანახარჯები	-	5,321	-	-	4,623	-
საბანკო და სხვა მომსახურების ხარჯი	15	-	-	86	28	-
ზარალი წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებიდან	1,444	-	-	1,783	-	-
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	93	586	-	191	805	-
ვალუტის კონვერტაციიდან მიღებული შემოსულობა ზარალის გამოკლებით/ (ზარალი შემოსულობის გამოკლებით)	(253)	-	-	884	-	-

ქვემოთ წარმოდგენილია ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება:

	2024		2023	
ათას ლარში	ხარჯები	დარიცხული ვალდებულება	ხარჯები	დარიცხული ვალდებულება
ხელფასები და მოკლევადიანი პრემიები	1,345	646	1,300	667

2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრების ანაზღაურება, რომლებიც დირექტორთა საბჭოს წევრები არიან (2024 წ.: 4 პირი, 2023 წ.: 4 პირი), შედგებოდა ხელფასებისგან და პრემიებისგან.

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის პრემიების სქემა

2024 წელს ჯგუფმა დანერგა გადასინჯული საქმიანობის შედეგებზე დაფუძნებული პრემიების სქემა უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობისთვის, რომლის მიზანი იყო აღმასრულებელი პირების ანაზღაურების შესაბამისობა სტრატეგიულ და საოპერაციო მიზნებთან. სქემა სტრუქტურირებულია საქმიანობის როგორც ზოგადი, ისე ინდივიდუალური მაჩვენებლების გარშემო და წონები მისადაგებულია უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ფუნქციებთან. ზოგადი მიზნობრივი მაჩვენებლები მოიცავს ისეთ საზომებს, როგორიცაა პორტფელის ზრდა, წმინდა საპროცენტო მარჟა, რისკის ხარჯი და წმინდა შემოსავალი, ხოლო ინდივიდუალური მიზნობრივი მაჩვენებლები მოიცავს საცალო პორტფელის შედეგების, დაფინანსების ხარჯისა და უმოქმედო სესხების კოეფიციენტებს.

შეფასების კრიტერიუმებია აგრეთვე დამატებითი ხარისხობრივი საზომები, როგორიცაა თანამშრომელთა ჩართულობა და კლიენტთა კმაყოფილება, რომლებიც ფასდება თანამშრომელთა ლოიალურობის ინდექსით (ENPS) და მომხმარებლის ლოიალურობის ინდექსით (NPS), შესაბამისად. პრემიები განისაზღვრება ფიქსირებული ანაზღაურების პროცენტული წილით, შეწონილი ეფექტიანობის ძირითადი მაჩვენებლების (KPI) შესრულების საფუძველზე.

34. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2025 წელს კომპანიამ მიიღო 52,659 ათასი ლარის სესხები როგორც ადგილობრივი, ისე უცხოური ფინანსური დაწესებულებებისგან.

წლიური ანგარიში 2024

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N250573588
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	15.05.2025 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	**დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის ხელმოწერის დამოწმება**
ნოტარიუსი	**თეა კიკუაშვილი**
სანოტარო ბიუროს მისამართი	**ქალაქი თბილისი,კ.ლესელიძის ქ. #17**
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	593235532
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	77892425422825

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ათას ოცდახუთი წლის თხუთმეტ მაისს მე, ნოტარიუსი *თეა კიკუაშვილი*, რომლის სანოტარო ბიურო ბარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ლესელიძის ქ. 17-ში, ვადასტურებ თარჯიმანი ქეთევან ყანჩაშვილის (დაბ. 9.1982, რეგისტრირებული: ქ. თბილისი, მუხიანი, მე-4 ა მ/რ, კორპ.1, ბ.43, პირადი # 01003009915, ბაკალავრის ლომი AB 0001886 გაც. 2003 წელს თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო ვერსიტეტის მიერ) ხელმოწერის ნამდვილობას. მე, ნოტარიუსმა გავაფრთხილე თარჯიმანი, რომ პასუხს აგებს გმანის სიზუსტეზე, რომელმაც დაადასტურა თარჯიმნობის გამომრიცხავი გარემოების არარსებობის ახებ და რომ ჯეროვნად იცის ინგლისური ენა და უზრუნველყოფს თარგმანის სიზუსტეს.

the 15.04.2025 I, Tea Kikuashvili, the notary whose Notary Bureau is located at Tbilisi, 17, Leselidze Street, certify the henticity of the signature of translator Ketevan Kanchashvili (born on 14.09.1982, personal number 01003009915, residing Mukhiani 4a micro district, Building 1, Apt. 43; Bachelor's diploma AB 0001886 issued in 2003 by Tbilisi Ilia Chavchavadze te University of Language and Culture). I warned the translator that she is responsible for the accuracy of the translation. confirmed that she properly knows the English language and ensures accuracy of the translation.

დახდილია 346-00 ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილების (29 დეკემბერი 2011 წ.) ე მუხლისა, ასევე დღგ **62.28** *ლარი თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე ხლისა. ასევე სარეგისტრაციო მოსაკრებელი 5-00 ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის დგენილების (29 დეკემბერი 2011 წ.) 39-ე მუხლისა.* ***ერთი ეგზემპლარისთვის***

e paid 346-00 GEL, according to the Article 31st, resolution #507 dated 29.12.2011 adopted by Georgian Government about e fees, the rules of payment and approving the service terms determined for the Notary Chamber of Georgia and for the lfillment of notary activities, also VAT 62.28 GEL, according to Article 166th of Georgian Tax Code, also 5-00 GEL, according to he Article 39th resolution (dated 29.12.2011).

ნოტარიუსი ---------- /თეა კიკუაშვილი



დანართი 1. განაცხადი კორპორაციული მართვის კოდექსთან შესაბამისობის ანგარიშის წარდგენის შესახებ

საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

განაცხადი
კორპორაციული მართვის კოდექსთან შესაბამისობის ანგარიშის წარდგენის შესახებ

Application
on submitting Corporate Governance Compliance Report

თარიღი (დღე/თვე/წელი)/Date (DD/MM/YYYY) 15 / 05 / 2025

1.ინფორმაცია ემიტენტის შესახებ / INFORMATION ABOUT ISSUER

ემიტენტის სახელწოდება/Issuer`s Name	სს თიბისი ლიზინგი
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა/Legal Form	სააქციო საზოგადოება
იურიდიული მისამართი/Legal Address	ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი #76 "მ"
ფაქტობრივი მისამართი/Factual Address	ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი #76 "მ"
ტელეფონის ნომერი/Contact Number	2122777
ელ.ფოსტა/E-mail	info@tbcleasing.ge
ვებ-გვერდი/Web Site	https://tbcleasing.ge/

2. დანართების ჩამონათვალი/LIST OF APPENDIXES

განაცხადის ფორმას თან ერთვის შემდეგი დანართები (ასლებისა და ფურცლების რაოდენობის მითითებით) /
Following annexes enclosed to the application (indicate number of copies and number of pages):

დანართი #1 საწარმოს წესდება - 38 ფურცელი
დანართი #2 შინაგანაწესი - 24 ფურცელი
დანართი #3 ეთიკის კოდექსი - 21 ფურცელი
დანართი #4 თიბისი ჯგუფის შიდა აუდიტის დებულება - 78 ფურცელი
დანართი #5 რისკების მართვის კომიტეტის დებულება - 6 ფურცელი
დანართი #6 საწარმოს ორგანიზაციული და მმართველობის სტრუქტურა - 1 ფურცელი
დანართი #7 რისკ აპეტიტის მართვის ჩარჩო - 32 ფურცელი
დანართი #8 შიდა კონტროლის განხორციელების პროცედურა - 9 ფურცელი
დანართი #9 გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვის სისტემა - 24 ფურცელი
დანართი #10 შესაბამისობის რისკის მართვის ჩარჩო - 13 ფურცელი
დანართი #11 შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა - 38 ფურცელი
დანართი #12 ინციდენტზე რეაგირების პოლიტიკა - 15 ფურცელი
დანართი #13 თიბისი ჯგუფის Board diversity Policy - 5 ფურცელი
დანართი#14 მრავალფეროვნების, ჩართულობის და თანასწორობის პოლიტიკა - 17 ფურცელი
დანართი #15 გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობით სტრატეგია - 11 ფურცელი
დანართი #16 თიბისი ჯგუფის ინსაიდერული ინფორმაციის გამჟღავნების პოლიტიკა - 49 ფურცელი

3. ინფორმაცია დეკლარანტის შესახებ/INFORMATION ABOUT APPLICANT PERSON

სახელი და გვარი /Name and Surname	გაიოზ გოგუა
დაკავებული პოზიცია/Position Held	დირექტორი
ტელეფონის ნომერი/Contact Number	577 53 97 54
ელ.ფოსტა/E-mail	ggogua@tbcleasing.ge

ხელმოწერა /Signature




თარიღი/DATE (DD/MM/YYYY)
15 / 05 / 2025

4. ინფორმაცია დეკლარანტის შესახებ/INFORMATION ABOUT APPLICANT PERSON

სახელი და გვარი /Name and Surname	თორნიკე გოგიჩაიშვილი
დაკავებული პოზიცია/Position Held	სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე
ტელეფონის ნომერი/Contact Number	599 535 500
ელ.ფოსტა/E-mail	ToGogichaishvili@Tbcbank.com.ge

ხელმოწერა /Signature



თარიღი/DATE (DD/MM/YYYY)
15 / 05 / 2025

დანართი 2. კორპორაციული მართვის კოდექსით შესაბამისობის ანგარიში

საკანონმდებლო მოთხოვნა	საკანონმდებლო მოთხოვნის აღწერა	მოთხოვნის შესრულება კი, არა, არ არის/არ გამოიყენება	მითითება წლიური ანგარიშში გამყდავნებულ შესაბამის ინფორმაციაზე (ციტირებით)	შესაბამისი დოკუმენტაცია, რომელშიც დამატებით განხილულია კოდექსით განსაზღვრული მოთხოვნები	შენიშვნა
1	2	3	4	5	6
კორპორაციული მართვის კოდექსი, თავი II - მმართველი ორგანო					
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 3, პუნქტი 1)	საწარმოს კორპორაციული მართვის ამ კოდექსის მოთხოვნებთან შესაბამისობაზე პასუხისმგებელია სამეთვალყურეო საბჭო, დირექტორთა საბჭო ცალდებულია ეურჩნეველოს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული კორპორაციული მართვის სხვადასხვა პოლიტიკის ეფექტიანი შესრულება.	კ	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103	საწარმოს წესდება	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 3, პუნქტი 2, "ა" ქვეპუნქტი);	ა)საწარმოს უნდა გაჩნდეს საწარმოს წესდება, რომელიც განსაზღვრავს სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოს ფუნქციებსა და პასუხისმგებლობებს იმგვარად, რომ უზრუნველყოფილი იყოს მათ მიერ საკუთარი უფლებამოსილებების შესრულება და ეფექტიანი გადაწყვეტილების მიღების პროცესი;	კ	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103	საწარმოს წესდება	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 3, პუნქტი 2, "ბ" ქვეპუნქტი)	ბ)საწარმოს უნდა გაჩნდეს ეთიკის კოდექსი, რომელიც დანერგავს თანამშრომლების და მმართველი ორგანოს წევრების ეთიკური ქცევის მაღალ სტანდარტებს.	კ	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103	ეთიკის კოდექსი	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 3 პუნქტი 2, "გ" ქვეპუნქტი)	გ)საწარმოს უნდა გაჩნდეს სტრატეგია და სათანადო რესურსები, რათა მიღწეულ იქნეს დასახული მიზნები, მათ შორის მდგრადი განვითარების მიზნებიც;	კ	წლიური ანგარიში, ჩვენი სტრატეგიის ქვეთავი, გვ. 48-55	წლიური ანგარიში	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 3 პუნქტი 2, "დ" ქვეპუნქტი)	დ)საწარმოს უნდა გაჩნდეს მდგრადი განვითარების მიზნები, მათ შორის გარემოსდაცვითი და სოციალური მმართველობის საკითხები, რომლებიც მინიმუმ უნდა მოიცავდეს იმეთ საკითხებს, როგორიცაა:	კ	წლიური ანგარიში, მთავარი ფინანსური მაჩვენებლების ქვეთავი, გვ. 10-13 და კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103	პოლიტიკა/პროცედურები	გარემოს დაცვითი და სოციალური რისკების მართვის სისტემა, გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობით სტრატეგია
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 3 პუნქტი 2, "დ.ა" ქვეპუნქტი)	დ.ა.) ადამიანური რესურსების პოლიტიკის შემუშავება, რომელიც ეფუძნება როგორც ქართულ კანონმდებლობას, ასევე საერთაშორისოდ აღიარებულ შრომით სტანდარტებს და ადამიანის უფლებების დაცვას;	კ	წლიური ანგარიში, ბიზნესის პასუხისმგებლობით ჯგუფის ქვეთავი, გვ. 56-67	პოლიტიკა/პროცედურები	მრავალეროვნების, თანასწორობის და ჩართულობის პოლიტიკა
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 3 პუნქტი 2, "დ.ბ" ქვეპუნქტი)	დ.ბ) თანამშრომლებისთვის უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა;	კ	წლიური ანგარიში, ბიზნესის პასუხისმგებლობით ჯგუფის ქვეთავი, გვ. 56-67	პოლიტიკა/პროცედურები	შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა; საგანგები სიტუაციების მართვის პოლიტიკა.
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 3 პუნქტი 2, "დ.გ" ქვეპუნქტი)	დ.გ) გარემოს დაცვა გარემოსდაცვითი რეგულაციებისა და საერთაშორისო სტანდარტებისა და სახელმძღვანელოების შესაბამისად;	კ	წლიური ანგარიში, ბიზნესის პასუხისმგებლობით ჯგუფის ქვეთავი, გვ. 56-67	პოლიტიკა/პროცედურები	გარემოს დაცვითი და სოციალური რისკების მართვის სისტემა
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 3, პუნქტი 2, "ე" ქვეპუნქტი)	ე)საწარმოს უნდა გააჩნდეს სამეთვალყურეო საბჭოსთან მუქმნი კომიტეტთა დებულებები, რომელშიც გაწერილი იქნება კომიტეტის მანდატი, საქმიანობის მიმართულებები და პროცედურები, მათ შორის კომიტეტის სამეთვალყურეო საბჭოსთან ანგარიშების, კომიტეტის წევრობასთან დაკავშირებული შეზღუდვების, კომიტეტის წევრთა როლებისა და ფუნქციების შესახებ საკითხები;	კ	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103	კომიტეტის დებულება(ები)	შიდა აუდიტის დებულება; რისკების მართვის კომიტეტის დებულება;
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 3, პუნქტი 2, "ვ" ქვეპუნქტი)	ვ)საწარმოს უნდა გააჩნდეს მკაფიოდ განსაზღვრული ორგანიზაციული და მმართველობის სტრუქტურა, სადაც არავინ სარგებლობს შეუზღუდავი უფლებამოსილებებით და რომელიც უზრუნველყოფს პასუხისმგებლობების განაწილებას, რისკების ეფექტიანი იდენტიფიცირების, მართვის, მონიტორინგისა და ანგარიშგების პროცესებს, შესაბამის შიდა კონტროლის მექანიზმებს, მათ შორის ჯანსაღი აუდიტინგტორინგისა და საკონიტორო პროცედურებს, რისკების მართვის ეფექტურ საინფორმაციო სისტემებსა და კონტროლებს, ანაზღაურების პოლიტიკასა და პროცედურებს.	კ	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103	საწარმოს ორგანიზაციული და მმართველობის სტრუქტურა	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 3, პუნქტი 3)	საწარმოს მმართველი ორგანოს ნებისმიერი წევრი უფლებამოსილია საწარმოს კორპორაციული მართვის სისტემასთან არსებულ პრობლემურ საკითხებზე მიმართოს სამეთვალყურეო საბჭოს.	კ	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103	წლიური ანგარიში	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 3, პუნქტი 4)	საწარმოს წესდება, ეთიკის კოდექსი და კომიტეტთა დებულებები პერიოდულად უნდა განახლდეს და იყოს საჯაროდ ხელმისაწვდომი.	კ	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103	წლიური ანგარიში	საწარმოს წესდება და ეთიკის კოდექსი საჯაროა., კომიტეტის დებულებები საჯარო არ არის.
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 3, პუნქტი5)	საწარმომ უნდა ეურჩნეველოს საკუთარი კორპორაციული მართვის სისტემის ამ კოდექსის მოთხოვნებთან შესაბამისობა. მის მიერ შეიმუშავებულ სხვადასხვა პოლიტიკასა და პროცედურებში სრულად უნდა იყოს გათვალისწინებული ამ კოდექსის მოთხოვნები.	კ	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103	წლიური ანგარიში	სს თიბისი ლიზინგმა განახორციელა მაქსიმალური ძალისხმევა კორპორაციული სისტემის კოდექსის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მისაყვანად, მისი ზომისა და სტრუქტურის გათვალისწინებით, მათ შორის სხვადასხვა ალტერნატიული გზებით
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 4, პუნქტი 1)	თითოეულ საწარმოს უნდა გააჩნდეს ეთიკის კოდექსი, რომელიც ანესრიგებს ინტერესთა კონფლიქტის, მაღალუფლების პიროლტად გამოყენების, კორუფციის, ინსაიდერული ვაჭრობის, ფულის გათეთრებისა და სხვა განსაზღვრულად მიჩნეული ქმედებების თავიდან აცილების საკითხებს, კერძოდ, ეთიკის კოდექსი უნდა მოიცავდეს:	კ	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103	ეთიკის კოდექსი	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 4, პუნქტი 1, "ა" ქვეპუნქტი)	ა) მითითებას იმის თაობაზე, რომ მმართველი ორგანოს წევრები და საწარმოს თანამშრომლები უნდა მოქმედებდნენ ეთიოლსინდისიერად და პროფესიონალურად;	კ	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103	ეთიკის კოდექსი	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 4, პუნქტი 1, "ბ" ქვეპუნქტი)	ბ) მითითებას იმის თაობაზე, რომ დირექტორები უნდა მოქმედებდნენ საწარმოს და აქციონერთა/პარტნიორთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით;	კ	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103	ეთიკის კოდექსი	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 4, პუნქტი 1, "გ" ქვეპუნქტი)	გ) არსებული და პოტენციური ინტერესთა კონფლიქტის რეგულირებისა და მისი გამოვლინის პროცედურებს;	კ	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103	ეთიკის კოდექსი	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 4, პუნქტი 1, "დ" ქვეპუნქტი)	დ) კორუფციული პრაქტიკის აღკვეთის პროცედურებს, რომელიც მოიცავს ჭრთამის, სარეკლამო თუ სხვა სახის საჩუქრების მეთავაზებასა და მიღებას;	კ	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103	ეთიკის კოდექსი	შინაგანაწესი
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 4, პუნქტი 1, "ე" ქვეპუნქტი)	ე) უკანონო ან არაეთიკურ ქცევასთან დაკავშირებით ინფორმაციის გამჟღავნების პროცედურებს;	კ	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103	ეთიკის კოდექსი	ინციდენტზე რეაგირების პოლიტიკა
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 4, პუნქტი 1, "ვ" ქვეპუნქტი)	ვ) საწარმოს ინფორმაციის, აქტივების მიზნობრივი გამოყენების დაცვისა და ეურჩნეველოფის საკითხებს;	კ	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103	ეთიკის კოდექსი	შინაგანაწესი
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 4, პუნქტი 1, "ზ" ქვეპუნქტი)	ზ) კანონმდებლობასთან შესაბამისობის ეურჩნეველოფის საკითხებს;	კ	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103	ეთიკის კოდექსი	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 4, პუნქტი 1, "თ" ქვეპუნქტი)	თ) ანონიმური მხილების ეფექტურ სისტემას, რომლის ფარგლებშიც თანამშრომლებსა და დაინტერესებულ მხარეებს შეეძლებათ უკანონოსანქციონირებული ფაქტების კონფიდენციალურად, ფოველლაური დისკრიმინაციული და არასათანადო მოპყრობის საფრთხის გარეშე დაფიქსირება. ანონიმური მხილების სისტემა, მათ შორის, უნდა ანესრიგებდეს დაფიქსირებული ფაქტების მოკლევებისა და რეაგირების პროცედურულ საკითხებსაც. ანონიმური მხილების სისტემის შექმნასა და მისი სათანადო აღსრულების საკითხებზე მონიტორინგი უნდა განახორციელოს სამეთვალყურეო საბჭომ.	კ	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103	ეთიკის კოდექსი	ინციდენტზე რეაგირების პოლიტიკა
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 4, პუნქტი2)	საწარმოში ეთიკის კოდექსის შემუშავებასა და მისი სათანადო აღსრულების საკითხებზე მონიტორინგი უნდა განახორციელოს სამეთვალყურეო საბჭომ	კ	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103	ეთიკის კოდექსი	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 4, პუნქტი3)	საწარმოს ეთიკის კოდექსი ვრცელდება საწარმოს მმართველ ორგანოსა და საწარმოში მომუშავე პირებზე.	კ	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103	ეთიკის კოდექსი	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 5, პუნქტი 1)	კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ფუნქციების შესრულებასთან ერთად, საწარმოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ინდივიდუალურად და ერთობლივად პასუხისმგებელნი არიან:	კ	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103	ეთიკის კოდექსი	

კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 5, პუნქტი 1, "ა" ქვეპუნქტი)	ა) განსაზღვრონ საწარმოს ღირებულებები და მართონ საწარმო სამართლიანობის, კომპეტენტურობის, პროფესიონალიზმისა და ეთიკის პრინციპების სრული დაცვით;	კ	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103	ეთიკის კოდექსი	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 5, პუნქტი 1, "ბ" ქვეპუნქტი)	ბ) განსაზღვრონ საწარმოს ორგანიზაციული სტრუქტურა, მათ შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები იმგვარად, რომ უზრუნველყონ საბჭოს და დირექტორთა საბჭოს მიერ საკუთარი უფლებამოსილებების შესრულება და ვებქტიანი გადაწყვეტილების მიღების პროცესი;	კ	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103	ეთიკის კოდექსი	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 5, პუნქტი 1, "გ" ქვეპუნქტი)	გ) განსაზღვრონ საწარმოს ეთიკის პრინციპები და მუდმივად ავასებდნენ დირექტორთა საქმიანობილს ჯანსაღი კორპორაციული და ეთიკური კულტურის დამყარებასა და შენარჩუნებაში, რაც სხვა საკითხებთან ერთად მოიცავს არსებულ კანონმდებლობასთან, მათ შორის, ამ კოდექსთან, ასევე, საწარმოს ეთიკის კოდექსთან და საწარმოს შიდა სტანდარტებთან შეუმჭიე შესაბამისობას;	კ	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103	ეთიკის კოდექსი	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 5, პუნქტი 1, "დ" ქვეპუნქტი)	დ) დაამტკიცონ საწარმოს ყოველწლიური ბიუჯეტი, განსაზღვრონ საწარმოს სტრატეგია და მონიტორინგი გაუწიონ დირექტორთა საბჭოს მიერ სტრატეგიული მიზნების შესრულებას;	კ	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103	საწარმოს წესდება	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 5, პუნქტი 1, "ე" ქვეპუნქტი)	ე) დირექტორთა საბჭოსთან ერთად განსაზღვრონ და დაამტკიცონ საწარმოს რისკების მართვის ჩარჩო, რომლის შემუშავებისას გათვალისწინებული უნდა იყოს კონკურენტული გარემო, შესაძლო სამომავლო რეგულაციები, გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის საკითხები, საწარმოს ვრცელდადანი ინტერესები, რისკების ეფექტური მართვის, მონიტორინგისა და შიდა კონტროლის ფუნქციები;	ალტერნატივა	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103	პოლიტიკა/პროცედურები	რისკ-პატიტის ჩარჩო, შესაბამისობის რისკის მართვის ჩარჩო და რისკების მართვის კომიტეტის დებულება
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 5, პუნქტი 1, "ვ" ქვეპუნქტი);	ვ) მონიტორინგი გაუწიონ დირექტორთა საბჭოს საქმიანობას და შეადგინონ მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები; უზრუნველყონ, რომ საბეთვალყურეო საბჭოს წევრები დირექტორთა საბჭოსგან ლებედნენ საკმარის ინფორმაციას, მათ შორის განმარტებებსა და რწმუნების იმის თაობაზე, რომ დირექტორთა საბჭოს საქმიანობა სრულად შეესაბამება საბეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებულ სტრატეგიასა და რისკების მართვის ჩარჩოს;	კ	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103	საწარმოს წესდება	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 5, პუნქტი 1, "ზ" ქვეპუნქტი)	ზ) მონიტორინგი გაუწიონ საწარმოში შრომის ანაზღაურების სისტემის გამართულ მუშაობას, რაც, მათ შორის, გულისხმობს დირექტორთა ანაზღაურების საკითხების განხილვასა და მონიტორინგს, საწარმოს რისკის კულტურასა და რისკის მართვის ჩარჩოსთან შესაბამისობას;	კ	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103	საწარმოს წესდება	რისკ-პაეტატის ჩარჩო
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 5, პუნქტი 1, "თ" ქვეპუნქტი)	თ) უზრუნველყონ დირექტორთა საბჭოსა და სხვა მნიშვნელოვანი თანამშრომლების ჩანაცვლების ეფექტური სისტემა და მონიტორინგი გაუწიონ მის განხორციელებას.	ალტერნატივა	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103	სხვა (გთხოვთ მოუთითოთ შენიშვნის სახით)	ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების მიერ დაიდექნიფიცირებული საგანგანო პოზიციი ხელმძღვანელ ორგანოსთან ერთად და არსებობს მათი არსებობს მათი პოზიციურად ჩანაცვლებული, იმ შემთხვევაში თუ ვინმეს ჩანაცვლება საჭირო
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 5, პუნქტი 2);	სამეთვალყურეო საბჭო სულ მცირე ყოველ ერთხელ უნდა მართავდეს სხდომებს, ხოლო აუცილებლობის შემთხვევებში, ზრდადეს სხდომების სიხშირეს.	კ	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103	საწარმოს წესდება	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 5, პუნქტი 3)	საკუთარი ფუნქციების შესრულებისას, სამეთვალყურეო საბჭო, პირველ რიგში, უნდა ითვალისწინებდეს საწარმოს, აქციონერების/პარტნიორებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ინტერესებს. სამეთვალყურეო საბჭომ უნდა უზრუნველყოს აქციონერებთან/პარტნიორებთან და დაინტერესებულ მხარეებთან ეფექტური კომუნიკაცია და თანამშრომლობა.	კ	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103	საწარმოს წესდება	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 5, პუნქტი 4)	სამეთვალყურეო საბჭო რეგულარულად უნდა ხედებოდეს დირექტორთა საბჭოსა და შიდა კონტროლის განსახორციელებელ სტრუქტურულ ერთეულებს, მათ შორის, შიდა აუდიტის, რისკის მართვისა და შესაბამისობის ფუნქციების განსახორციელებელ პირებს, სხვადასხვა პოლიტიკასა და კონტროლების განსახილველად, მნიშვნელოვანი რისკების, იმ საკითხებისა და სფეროების იდენტიფიცირების მიზნით, რომლებიც გაუმჯობესებას საჭიროებენ. დირექტორთა საბჭოსთან კომუნიკაციის ფარგლებში, სამეთვალყურეო საბჭო კრიტიკულად უნდა ავასებდეს დირექტორთა საბჭოს მიერ წარმოდგენილ განმარტებებს და შესაბამის ინფორმაციას. ამასთან, საწარმოს ორგანიზაციული მოწყობის გათვალისწინებით, კორპორაციული მდგომარეობა უნდა ითავსებდეს სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმების წარმოებას. როგორც სამეთვალყურეო საბჭოს, ასევე სამეთვალყურეო საბჭოსთან შექმნილი კომიტეტების სხდომის ოქმები, მიღებულ გადაწყვეტილებების ჩათვლით, უნდა ასახავდეს იმას, თუ როგორ მოხდა შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება, მათ შორის, საბჭოს/კომიტეტის წევრების იმ მნიშვნელოვან პოზიციის, რომლებმაც განაპირობა კონკრეტული გადაწყვეტილების მიღება და ასევე საბჭოს იმ წევრების პოზიციებს, რომლებმაც მხარი არ დაუჭირეს მიღებულ გადაწყვეტილებას.	კ	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103	საწარმოს წესდება	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 5, პუნქტი 5)	სამეთვალყურეო საბჭომ წლიურ ანგარიშში უნდა აღწეროს ფინანსური წლის განმავლობაში მისი საქმიანობა, რომელიც, მათ შორის, მოიცავს ამ კოდექსის შესრულებასთან დაკავშირებულ ინფორმაციას, ასევე, მდგრადი განვითარების, განეიმდაცვითი საკითხებს.	კ	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103 და არაფინანსური რისკის მართვის ქვეთავი, გვ. 78-81	წლიური ანგარიში	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 6, პუნქტი 1)	სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა კომპეტენცია და უნარები ერთობლივად უნდა უზრუნველყოფდეს საწარმოს საქმიანობის სათანადოდ წარმართვისა და რისკების მართვის ეფექტური ეფექტურობის შესაძლებლობას. სამეთვალყურეო საბჭოს ერთ შესაფეს, მაგრამ არანაკლებ ორი წევრისა უნდა ჰქონდეს ფინანსური ანგარიშების ანალიზის უნარი და შესაბამისი გამოცდილება ფინანსურ, ეკონომიკურ, აუდიტორულ ან/და სხვა დაკვირვებულ სფეროებში. ამასთან, თუ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი ვერ ასრულებს დაკისრებულ ფუნქციებს ან ალარ შეესაბამება კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს, სამეთვალყურეო საბჭომ უნდა მიიღოს შესაბამისი ზომები, მათ შორის, მოითხოვოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრის შეცვლა, მაგრამ, ერთდროულად, არაუმეტეს საბჭოს წევრთა ერთი მესამედისა და საქართველოს ეროვნულ ბანკს მიაწოდოს შესაბამისი ინფორმაცია.	კ	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103		
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 6, პუნქტი 2)	საქმიანობის მასშტაბისა და კომპლექსურობის მიუხედავად, საწარმოს სამეთვალყურეო საბჭო უნდა შედგებოდეს არანაკლებ 5 წევრისგან.	კ	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103	საწარმოს წესდება	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 6, პუნქტი 3)	საწარმოს სამეთვალყურეო საბჭოს თავჯდომარე იმავდროულად არ შეიძლება იყოს ამ საზოგადოების დირექტორი.	კ	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103	საწარმოს წესდება	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 6, პუნქტი 4)	სამეთვალყურეო საბჭოს ერთი მესამედი, მაგრამ არანაკლებ ორი წევრისა უნდა წარმოადგენდეს კორპორაციული მართვის კოდექსის მე-16 მუხლით განსაზღვრულ დამოუკიდებელ წევრს.	ალტერნატივა	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103		
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 6, პუნქტი 5)	საწარმოს საერთო კრებამ უნდა უზრუნველყოს სამეთვალყურეო საბჭოს იმგვარად დაკომპლექტება, რომ დაცული იყოს მოსაზრებათა მრავალფეროვნების პალანსი. აღნიშნული გულისხმობს საბჭოს განსხვავებული ხასიათ, უნარ-ჩვევების, ცოდნისა და გამოცდილების მქონე პირებით დაკომპლექტებას, რომლებსაც გააჩნიათ თავიანთი ფუნქციების შესრულებისთვის აუცილებელი დრო, რესურსი, სათანადო კვალიფიკაცია, პროფესიული გამოცდილება, შესაბამისი კომპეტენცია და საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულება.	კ	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103		
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 6, პუნქტი 6)	საწარმოში უნდა არსებობდეს სამეთვალყურეო საბჭოს შერჩევის კრიტერიუმებთან შესაბამისობის შესაბამისი პოლიტიკა და პროცედურები.	ალტერნატივა	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103	სხვა (გთხოვთ მოუთითოთ შენიშვნის სახით)	თიბისი ჯგუფის პოლიტიკა საბჭოს დივერსიფიკაციის შესახებ
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 7, პუნქტი 1)	სამეთვალყურეო საბჭო საკუთარი შუამდგენლობიდან ირჩევს თავჯდომარეს, რომელიც პასუხისმგებელია საბჭოს ეფექტიან ფუნქციონირებაზე, მათ შორის, საბჭოს წევრებს შორის ნდობისა და კონეუქციური ურთიერთობის კოორდინაციასა და ეფექტიან თანამშრომლობაზე.	კ	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103	საწარმოს წესდება	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 7, პუნქტი 2)	სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე უნდა იყოს საბჭოს კორპორაციული მართვის კოდექსის კოდექსის მე-16 მუხლით გათვალისწინებული დამოუკიდებელი წევრი.	ალტერნატივა	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103	წლიური ანგარიში	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 7, პუნქტი 3)	თუ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე გადაწყვეტილების მიღების პროცესში აღმოაჩენს, რომ აქვს ან/და შესაძლოა, ჰქონდეს კანონმდებლობით დადგენილი ინტერესთა კონფლიქტი, მისი მოადგილე პასუხისმგებელია არსებული და პოტენციური ინტერესთა კონფლიქტის არიდებასა და გამორიცხვაზე.	კ	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103	საწარმოს წესდება	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 8, პუნქტი 1)	სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტები თავისი ფუნქციების შესრულებისას ხელმძღვანელობენ სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული კომიტეტების დებულების შესაბამისად.	კ	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103	საწარმოს წესდება	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 8, პუნქტი 2); "დასაწინ ქალაქდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონი (მუხლი 9(1))	ყველა საწარმო, მიუხედავად მისი ზომითი კატეგორიის კომპლექსურობისა და საქმიანობის მასშტაბებისა, ვალდებულია, სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისაგან შექმნას აუდიტის კომიტეტი.	კ	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103	საწარმოს წესდება	

კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 8, პუნქტი 3 და პუნქტი 4)	ეფექტიანობის გაზრდისათვის სასურველია სამეთვალყურეო საბჭოსთან სხვა ფუნქციის მქონე კომიტეტების შექმნა, მათ შორის რისკების მართვის, აუდიტის, ნომინაციისა და კორპორაციული მართვის კომიტეტები და სხვა. ამასთან, გარკვეულ ინდუსტრიაში მოღვაწე საწარმოებისთვის, შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს სპეციალური მოწინილობის მქონე ცალკე კომიტეტების შექმნა, როგორიცაა ინფორმაციული ტექნოლოგიების, უსაფრთხოებისა და მდგრადი განვითარების კომიტეტები. რისკების მართვის, აუდიტის, ნომინაციისა და კორპორაციული მართვის კომიტეტების არარსებობის შემთხვევაში სამეთვალყურეო საბჭომ ან არსებულმა კომიტეტებმა უნდა უზრუნველყონ ამ კომიტეტების შესაბამისი ფუნქციების შესრულება.	აღტერნატივა	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103	საწარმოს წესდება	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 8, პუნქტი 5)	სამეთვალყურეო საბჭო გონივრული პერიოდულობით უნდა აცხადებდეს კომიტეტის თავმჯდომარისა და წევრთა შემადგენლობას, რათა უზრუნველყოფილ იქნას კომიტეტის საქმიანობაში ახალი ხედვებისა და მიმართულებების წახალისება.	კი	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103	საწარმოს წესდება	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 8, პუნქტი 6)	კომიტეტების მიერ მიღებულ რეკომენდაციებსა და განხილვების შედეგებზე უნდა ინფორმირებდეს შესაბამისი ჩანაწერები, შესაძლებლობის შემთხვევაში კორპორაციული მდივნის მიერ. კომიტეტები გადამწყვეტილებებისა და რეკომენდაციების თაობაზე ანგარიშს რეგულარულად უნდა წარადგენდნენ სამეთვალყურეო საბჭოსთან.	კი	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103	საწარმოს წესდება	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 8, პუნქტი 7)	კომიტეტი მინიმუმ 3 წევრისგან უნდა იყოს დაკომპლექტებული, გარდა მცირე ზომის საწარმოსი, რომლის კომიტეტებიც შეიძლება შედგებოდეს 2 წევრისგან. სამეთვალყურეო საბჭოს წევრი ერთდროულად არ უნდა იყოს ორზე მეტი კომიტეტის წევრი.	კი	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103	საწარმოს წესდება	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 8, პუნქტი 8)	კომიტეტების შეხვედრები წინ უნდა უძღოდეს სამეთვალყურეო საბჭოს სხდომებს. სხვა შემთხვევაში ისინი უნდა ჩატარებისთანავე წელიწადში მინიმუმ ორჯერ, ასევე, ნებისმიერ დროს აუცილებლობის შემთხვევაში.	კი	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103	საწარმოს წესდება	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 8, პუნქტი 9)	სამეთვალყურეო საბჭო კომიტეტებში წევრებს საჭირო სპეციალიზებული უნარებისა და გამოცდილების გათვალისწინებით უნდა ნიშნავდეს. კომიტეტებში წახალისებული უნდა იყოს ობიექტურობა და არსებობდეს ჯანსაღი დისკუსიისთვის საჭირო გარემო.	კი	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103	საწარმოს წესდება	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 9, პუნქტი 1)	აუდიტის კომიტეტი იკრიბება წელიწადში ოთხჯერ და წარუდგენს სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშგებას წლიური და ნახევარწლიური ანგარიშგების დამტკიცების პერიოდის შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში მას შეუძლია მოითხოვოს დირექტორთა, მიდა და გარე აუდიტორების და სხვა დაკონკრეტებულ პირების შეხვედრაზე დასწრება.	კი	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103	საწარმოს წესდება	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 9, პუნქტი 2)	სამეთვალყურეო საბჭოსთან შექმნილი აუდიტის კომიტეტი სხვა ფუნქციებთან ერთად პასუხისმგებელია:	კი	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103	საწარმოს წესდება	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 9, პუნქტი 2, "ა" ქვეპუნქტი)	ა) განსაზღვროს მიდა აუდიტისა და ფინანსური ანგარიშების პოლიტიკა;	კი	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103	საწარმოს წესდება	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 9, პუნქტი 2, "ბ" ქვეპუნქტი)	ბ) მონიტორინგი გაუწიოს ფინანსური და არაფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესებს;	კი	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103	საწარმოს წესდება	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 9, პუნქტი 2, "გ" ქვეპუნქტი)	გ) მონიტორინგი გაუწიოს და აქტიურად ითანამშრომლოს საწარმოს მიდა და გარე აუდიტორებთან;	კი	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103	საწარმოს წესდება	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 9, პუნქტი 2, "დ" ქვეპუნქტი)	დ) შეაფასოს გარე აუდიტორის ეფექტიანობა, გამოთქვას მოსაზრება გარე აუდიტორთა კანდიდატურებთან დაკავშირებით, წარუდგინოს შესაბამისი რეკომენდაციები სამეთვალყურეო საბჭოს ან აკციონერებს/პარტნიორებს მათ კანდიდატურებთან, დანიშვნასთან, ანაზღაურებასთან ან გათავისუფლებასთან დაკავშირებით;	კი	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103	საწარმოს წესდება	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 9, პუნქტი 2 "ე" ქვეპუნქტი)	ე) შეაფასოს მიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობის ეფექტიანობა და დამოუკიდებლობა;	კი	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103	საწარმოს წესდება	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 9, პუნქტი 2, "ვ" ქვეპუნქტი)	ვ) უზრუნველყოს მიდა და გარე აუდიტორების ფუნქციების ადეკვატურობა, დამოუკიდებლობა და ეფექტური ურთიერთთანამშრომლობა;	კი	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103	საწარმოს წესდება	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 9, პუნქტი 2, "ზ" ქვეპუნქტი)	ზ) განიხილოს გარე აუდიტორის მიერ მოშზადებული სარეკომენდაციო წერილი და მონიტორინგი გაუწიოს დირექტორთა საბჭოს მიერ ინსტრუმენტალური კონტროლის სისტემების, განმახორციელებლობასთან შეუსაბამობის ან სხვა ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად;	კი	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103	საწარმოს წესდება	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 9, პუნქტი 2, "თ" ქვეპუნქტი)	თ) განიხილოს და სამეთვალყურეო საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინოს ჩასატარებელი მიდა აუდიტის ფარგლები და ჩატარების სიხშირე;	კი	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103	საწარმოს წესდება	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 9, პუნქტი 2, "ი" ქვეპუნქტი)	ი) მიიღოს მიდა აუდიტის ანგარიშგებები და უზრუნველყოს საწარმოს დირექტორატის მხრიდან სათანადო დონისძიებების დროულად გატარება აუდიტის პროცესში ან კონტროლის სხვა ფუნქციების მიერ იდენტიფიცირებული კონტროლის სისტემების, განმახორციელებლობასთან შეუსაბამობის ან სხვა ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად;	კი	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103	საწარმოს წესდება	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 9, პუნქტი 2, "კ" ქვეპუნქტი)	კ) მონიტორინგი გაუწიოს საწარმოს საარღიცხვო პოლიტიკასა და პრაქტიკას ჩამოყალიბებას;	კი	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103	საწარმოს წესდება	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 9, პუნქტი 2, "ლ" ქვეპუნქტი)	ლ) განიხილოს საწარმოს რისკების მართვის მთლიანი ჩარჩო და მიდა კონტროლის სისტემების ეფექტურობა და სტრუქტურა, მათ შორის, განიხილოს შესამე პირთა მოსაზრებები აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით.	კი	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103	საწარმოს წესდება	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 9, პუნქტი 3); "ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონი (მუხლი 9(1), პუნქტი 1)	კომიტეტის თავმჯდომარე უნდა იყოს სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი, მაგრამ, იმავდროულად, არ უნდა იყოს სამეთვალყურეო საბჭოს ან/და სხვა კომიტეტის თავმჯდომარე.	კი	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103	საწარმოს წესდება	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 9, პუნქტი 4);	აუდიტის კომიტეტის წევრებს, მათ შორის კომიტეტის თავმჯდომარეს უნდა ჰქონდეთ ფინანსური ანგარიშგების ანალიზის უნარი და ჰქონდეთ ფინანსური გამჟღავნება აწ შესაბამისი ფინანსური გამოცდილება.	კი	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103	საწარმოს წესდება	სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტების წევრების ზოგად პირობებში არის გაწერილი ეს ნაწილი, რომელიც ასევე ვრცელდება აუდიტის კომიტეტის წევრებზე.
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 9, პუნქტი 5);	აუდიტის კომიტეტის წევრებს შეუმჩევად უნდა ჰქონდეთ სრული წვდომა დირექტორთა საბჭოს, მიდა აუდიტისა და რისკების მართვის ფუნქციების თანამშრომლებთან. აუდიტის კომიტეტი ყოველწლიურად უნდა განიხილავდეს გარე აუდიტორთა დამოუკიდებლობას და კორპორაციული მართვის ანგარიშში ამცნობებდეს შემდეგი სახის ინფორმაციას:	კი	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103	საწარმოს წესდება	შიდა აუდიტის დებულება;
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 9, პუნქტი 5, "ა" ქვეპუნქტი);	ა) გარე აუდიტორებზე მთლიანი საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში გაცემული ანაზღაურების შესახებ;	კი	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103	საწარმოს წესდება	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 9, პუნქტი 5, "ბ" ქვეპუნქტი);	ბ) საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში აუდიტორული და სხვა სახის მომსახურებებზე გაცემული ანაზღაურების ელემენტების აწ შესაბამის უარყოფით მოსაზრებას საწარმოს წლიურ ანგარიშში. თუ გარე აუდიტორები გარდა აუდიტორული მომსახურებისა, ითვალისწინებენ უზრუნველყოფენ საწარმოსთვის სხვა სახის მომსახურების გაწევას, აუდიტის კომიტეტი უნდა განიხილავდეს ამ მომსახურებათა მიზანარსსა და ფარგლებს და უზრუნველყოფდეს ობიექტურობის შენარჩუნებას და ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვას.	კი	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103	საწარმოს წესდება	თითისი ჯგუფის შიდა აუდიტის დებულება;
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 9, პუნქტი 6);	საწარმოს მიმდინარე აუდიტის განმახორციელებელი ფირმის/აუდიტორის ყოფილი პარტნიორი ან დირექტორი არ შეიძლება იმავდროულად იყოს საწარმოს აუდიტის კომიტეტის წევრი;	კი	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103	საწარმოს წესდება	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 9, პუნქტი 6, "ა" ქვეპუნქტი);	ა) აუდიტორული ფირმის პარტნიორის ან დირექტორის პოზიციის დატოვებიდან 12 თვის განმავლობაში;	კი	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103	საწარმოს წესდება	სამეთვალყურეო საბჭოს წევრების რეზიუმე/ბიოგრაფიის ამსახველი ინფორმაცია

კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 9, პუნქტი 6, "ბ" ქვეპუნქტი);	ბ) თუ მას აქვს გარკვეული სახის ფინანსური ინტერესი აუდიტორულ ფირმაში მოეთხოვება პოზიციის დატოვების.	კ	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103	საწარმოს წესდება	სამეთვალყურეო საბჭოს წევრების რეზიუმე/ბიოგრაფიის ამსახველი ინფორმაცია
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 10, პუნქტი 1);	საწარმოს საქმიანობის შინაარსიდან გამომდინარე, შეიძლება სამეთვალყურეო საბჭოს წევრებთაგან შეიქმნას **რისკების კომიტეტი,** რომელიც სხვა ფუნქციებთან ერთად:	ალტერნატივა	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103	სხვა (გთხოვთ მიუთითოთ შენიშვნის სახით)	რისკის მართვის კომიტეტის დებულება
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 10, პუნქტი 1, "ა" ქვეპუნქტი);	ა) განიხილოს რისკის სტრატეგიის როგორც ავრეცვირებული, ისე ინდივიდუალური რისკის ჭრილში და აწვდის შესაბამის რეკომენდაციებს სამეთვალყურეო საბჭოს;	კ	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103	სხვა (გთხოვთ მიუთითოთ შენიშვნის სახით)	რისკის მართვის კომიტეტის დებულება
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 10, პუნქტი 1, "ბ" ქვეპუნქტი);	ბ) ამზადებს და სამეთვალყურეო საბჭოს წარუდგენს ანგარიშგებას საწარმოში არსებული რისკის კულტურის შესახებ და განიხილავს საწარმოს რისკის პოლიტიკას, სულ მცირე, ყოველწლიურად;	კ	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103	სხვა (გთხოვთ მიუთითოთ შენიშვნის სახით)	რისკის მართვის კომიტეტის დებულება
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 10, პუნქტი 1, "გ" ქვეპუნქტი);	გ) მონიტორინგს უწევს დირექტორთა საბჭოს მხრიდან საწარმოს საქმიანობის რისკის პოლიტიკასთან შესაბამისობის უზრუნველყოფას;	კ	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103	სხვა (გთხოვთ მიუთითოთ შენიშვნის სახით)	რისკის მართვის კომიტეტის დებულება
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 10, პუნქტი 1, "დ" ქვეპუნქტი);	დ) რეკომენდაციას აძლევს სამეთვალყურეო საბჭოს რისკის სტრატეგიებისა და სხვადასხვა პოლიტიკის ეფექტურობის თაობაზე, მათ შორის, იდენტიფიცირებული რისკებისთვის საკმარისი კაპიტალის შენარჩუნებასა და განაწილებაზე.	კ	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103	სხვა (გთხოვთ მიუთითოთ შენიშვნის სახით)	რისკის მართვის კომიტეტის დებულება
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 10, პუნქტი 2);	რისკების კომიტეტი მუდმივად უნდა იღებდეს შესაბამის ანგარიშგებას შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისგან საწარმოს მიმდინარე რისკის პროფილის, რისკის კულტურასთან დაკავშირებით შესაბამისი აქტივობების, ხაზგასმების, ხაზგასმების დარღვევებისა და მიტიგაციის გეგმებთან დაკავშირებით.	კ	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103	სხვა (გთხოვთ მიუთითოთ შენიშვნის სახით)	რისკის მართვის კომიტეტის დებულება
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 10, პუნქტი 3);	რისკისა და აუდიტის კომიტეტებს შორის უნდა არსებობდეს ეფექტური კომუნიკაცია და კოორდინაცია, რაც, მათ შორის, მოიცავს ინფორმაციის გაცვლას, კერძოდ ხასის რისკის გათვალისწინებას, მათ შორის, ახლად გამოვლენილი რისკებისა და ასევე ნებისმიერი ხასის საჭირო შესწორებების შეტანას საწარმოს რისკის მართვის ჩარჩოში.	კ	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103	სხვა (გთხოვთ მიუთითოთ შენიშვნის სახით)	რისკის მართვის კომიტეტის და აუდიტის კომიტეტის დებულებები
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 10, პუნქტი 4);	ფუნქციების ეფექტურად შესრულების მიზნით, რისკების კომიტეტს სრული წვდომა უნდა ჰქონდეს როგორც დირექტორთა საბჭოს, რისკების და ფინანსური კონტროლის პერსონალთან, ასევე, სხვა მიდგა და გარე მხარეებთან.	კ	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103	სხვა (გთხოვთ მიუთითოთ შენიშვნის სახით)	რისკის მართვის კომიტეტის დებულება
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 11, პუნქტი 1)	სამეთვალყურეო საბჭოსთან შექმნილი **ანაზღაურების კომიტეტი** ხელს უნდა უწყობდეს სამეთვალყურეო საბჭოს საწარმოს ანაზღაურების სისტემის შექმნასა და ფუნქციონირებაში, ასევე, იმის მიღწევაში, რომ საწარმოს ანაზღაურების სისტემა შეესაბამებოდეს მის კულტურას, გრძელვადიან ბიზნესს და რისკის მართვის ჩარჩოს, საწარმოს საქმიანობას და კონტროლის გარემოს ისევე, როგორც ვანონმდებლობის/ხაზგასმულ ფაქტორებს.	ალტერნატივა	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103	სხვა (გთხოვთ მიუთითოთ შენიშვნის სახით)	კომიტეტი არ არის შექმნილი, კომპანიის მიერ ამ ფუნქციის შეუსრულებლობით გამოწვეული რისკების შეფასება ხდება დირექტორთა საბჭოს მიერ
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 11, პუნქტი 2)	ანაზღაურების კომიტეტი სხვა ფუნქციებთან ერთად პასუხისმგებელია:	ალტერნატივა	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103	სხვა (გთხოვთ მიუთითოთ შენიშვნის სახით)	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 11, პუნქტი 2, "ა" ქვეპუნქტი)	ა) რეგულარულად განიხილოს საწარმოს ანაზღაურების პოლიტიკა და შესაბამისი რეკომენდაციები წარუდგინოს სამეთვალყურეო საბჭოს. უზრუნველყოფს საწარმოს ანაზღაურების პოლიტიკის ეფექტურობისა და მისი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება, მათ შორის ძირითადი საქმიანობის შედეგების ინდივიდუალურთან მიმართებით;	კ	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103	სხვა (გთხოვთ მიუთითოთ შენიშვნის სახით)	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 11, პუნქტი 2, "ბ" ქვეპუნქტი)	ბ) ყოველწლიურად მოამზადოს რეკომენდაციები მმართველი ორგანოს ანაზღაურებასთან დაკავშირებით და წარუდგინოს იგი დასამტკიცებლად საერთო კრებას.	კ	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103	სხვა (გთხოვთ მიუთითოთ შენიშვნის სახით)	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 12)	სამეთვალყურეო საბჭოსთან შექმნილი **კორპორაციული მართვის კომიტეტი,** გარდა სხვა ფუნქციების შესრულებისა:	ალტერნატივა	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103	სხვა (გთხოვთ მიუთითოთ შენიშვნის სახით)	კორპორაციული მართვის კომიტეტი არ არის შექმნილი, შესაბამისი საკითხები იფარება აუდიტორული და შესაბამისობის დეპარტამენტის მიერ
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 12, "ა" ქვეპუნქტი)	ა) უზრუნველყოფს საწარმოს შიდა მმართველობითი სტრუქტურის შესაბამისობას კორპორაციული მართვის საკითხების მომწესრიგებელ კანონმდებლობის მოთხოვნებთან და ორგანიზაციის შიდა წესებთან/დოკუმენტებთან;	კ	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103	სხვა (გთხოვთ მიუთითოთ შენიშვნის სახით)	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 12, "ბ" ქვეპუნქტი)	ბ) უზრუნველყოფს ორგანიზაციის მოგნით ისეთი გადაწყვეტილებების მიღების სისტემის არსებობას, რომელიც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს გადაწყვეტილებების მიღებას ორგანიზაციის ინტერესებიდან გამომდინარე ნების შეუფერხებლად და ამასთან, სრულ შესაბამისობას კანონმდებლობასთან და ორგანიზაციის შიდა სტანდარტებთან.	კ	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103	სხვა (გთხოვთ მიუთითოთ შენიშვნის სახით)	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 12, "გ" ქვეპუნქტი)	გ) წარუდგენს რეკომენდაციებს სამეთვალყურეო საბჭოს ახალ კანდიდატურათა და დირექტორთა საბჭოს კანდიდატურებთან დაკავშირებით. ამასთან, კორპორატიულ მართვისა და ნომინაციის კომიტეტი აქტიურად უნდა იყოს ჩართული სამეთვალყურეო საბჭოს სტრუქტურული დაეგეგმარების პროცესში, მათ შორის, საბჭოს წევრთა გადარჩევის საკითხების მიმართულებით, რა დროსაც გათვალისწინებული უნდა იყოს საწარმოსა და მისი ბიზნეს სტრატეგიის მოთხოვნები, საჭიროებები და საბჭოში არსებული უნარები და ვამსპეციული ცოდნა;	ალტერნატივა	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103	სხვა (გთხოვთ მიუთითოთ შენიშვნის სახით)	ამ საკითხზე გადაწყვეტილების მიღება ხდება თიბინი ჯგუფის სტანდარტის შესაბამისად, აქციონერის მიერ
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 12, "დ" ქვეპუნქტი)	დ) რეგულარულად განიხილავს საქმიანობაში ფუნქციონირების ვეფექტურობასა და ვეფექტიანობას. კორპორატიული მართვისა და ნომინაციის კომიტეტი რეგულარულად გადახედავს როგორც პიროვნულზე დანიშნულ პირთა კანდიდატურებს, როგორებიცაა აღმასრულებელი დირექტორი და ფინანსური დირექტორი და სხვა პირთა დანიშვნის საფუძვლებს;	ალტერნატივა	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103	სხვა (გთხოვთ მიუთითოთ შენიშვნის სახით)	ამ საკითხზე გადაწყვეტილების მიღება ხდება თიბინი ჯგუფის სტანდარტის შესაბამისად, აქციონერის მიერ
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 12, "ე" ქვეპუნქტი)	ე) უზრუნველყოფს, რომ საწარმოში არსებობდეს ადეკვატური პოლიტიკები და პროცედურები დირექტორთა საბჭოს წევრების დანიშვნის, გათავისუფლებისა და გადარჩევის კუთხით. კომიტეტი აქტიურად უნდა იყოს ჩართული ამ მიმართულებებით საწარმოში მიმდინარე პროცესებში;	ალტერნატივა	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103	სხვა (გთხოვთ მიუთითოთ შენიშვნის სახით)	ამ საკითხზე გადაწყვეტილების მიღება ხდება თიბინი ჯგუფის სტანდარტის შესაბამისად, აქციონერის მიერ
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 12, "ვ" ქვეპუნქტი)	ვ) ჩართული უნდა იყოს სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოსთანაცვლებისა და ვეფექტურობის შეფასების პროცესში ისევე, როგორც საწარმოს ადამიანური რესურსების პოლიტიკის მონიტორინგის პროცესებში.	ალტერნატივა	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103	სხვა (გთხოვთ მიუთითოთ შენიშვნის სახით)	ამ საკითხზე გადაწყვეტილების მიღება ხდება თიბინი ჯგუფის სტანდარტის შესაბამისად, აქციონერის მიერ
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 13, პუნქტი 1)	სამეთვალყურეო საბჭოში უზრუნველყოფილი უნდა იქნეს წევრთა უნარებისა და გამოცდილების ფართო სპექტრი და აღნიშნული გათვალისწინებული უნდა იყოს სამეთვალყურეო საბჭოს ახალი წევრის შერჩევის თითოეულ შემთხვევაში.	ალტერნატივა	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103	სხვა (გთხოვთ მიუთითოთ შენიშვნის სახით)	ამ საკითხზე გადაწყვეტილების მიღება ხდება თიბინი ჯგუფის სტანდარტის შესაბამისად, აქციონერის მიერ
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 13, პუნქტი 2)	სამეთვალყურეო საბჭოს მხრიდან ყოველწლიურ შეფასებას უნდა ვქვემდებარებოდეს საბჭოს სტრუქტურა, ზომა და შემადგენლობა, ასევე სამეთვალყურეო საბჭოსთან შექმნილი კომიტეტების სტრუქტურა და კორპორაცია. საბჭოს თითოეული წევრის შესაბამისობა კანონმდებლობასა და საწარმოს შიდა წესების მოთხოვნებთან, ასევე, შეფასებული უნდა იქნეს საბჭოს შიდა მმართველობითი პრაქტიკების და პროცედურების ვეფექტურობა.	ალტერნატივა	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103	სხვა (გთხოვთ მიუთითოთ შენიშვნის სახით)	ამ საკითხზე გადაწყვეტილების მიღება ხდება თიბინი ჯგუფის სტანდარტის შესაბამისად, აქციონერის მიერ
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 13, პუნქტი 3)	სამეთვალყურეო საბჭოს უნდა გააჩნდეს თვითშეფასების და შეფასების შესაბამისი პროცედურები.	ალტერნატივა	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103	სხვა (გთხოვთ მიუთითოთ შენიშვნის სახით)	ამ საკითხზე გადაწყვეტილების მიღება ხდება თიბინი ჯგუფის სტანდარტის შესაბამისად, აქციონერის მიერ
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 14, პუნქტი 1)	საწარმოს **დირექტორთა საბჭო** სხვა ფუნქციებთან ერთად, აღსრულებს საწარმოს ბიზნეს სტრატეგიებს, სამეთვალყურეო საბჭოსთან ერთად ქმნის ფინანსური და არაფინანსური ინდიკატორების, მათ შორის მდგრადი განვითარების, ვარემოსდაცვითი, სოციალური და მართვის ვეფექტურ სისტემებს, რისკის კულტურას, პროდუქტებსა და კონტროლებს, აწვდის სამეთვალყურეო საბჭოს ფუნქციების შესრულებისთვის საჭირო ინფორმაციას. აღნიშნული, მათ შორის, მოიცავს იმ ინფორმაციას, რაც საჭიროა სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დირექტორთა საბჭოს საქმიანობის შეფასებისა და ზედამხედველობის ფუნქციის ვეფექტურად შესრულებისთვის. სამეთვალყურეო საბჭოს რეგულარულად უნდა მიეწოდებოდეთ ინფორმაცია საწარმოს მნიშვნელოვან საკითხებსა და პრობლემებზე. საწარმოს დირექტორთა საბჭო ასევე პასუხისმგებელია საწარმოს თანამშრომელთა ფუნქცია-მოვალეობების სწორად გადანაწილებასა და ვეფექტური მმართველობის სტრუქტურის შექმნაზე, რომელიც საწარმოს მიგნით ანგარიშვალდებულებასა და გამჭვირვალობას უნდა უზრუნველყოფდეს.	კ	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103	საწარმოს წესდება	დირექტორთა საბჭოს ნაცვლად ამ ფუნქციებს ასრულებს ხელმძღვანელი ორგანო
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 14, პუნქტი 2)	საწარმოს დირექტორთა საბჭოს ფუნქციები და პასუხისმგებლობები განსაზღვრული უნდა იყოს საწარმოს წესდებით, რათა არ მოხდეს რომელიმე პირის/პირთა ჯგუფის მიერ განსაზღვრული კონტროლის მოპოვება საწარმოს ბიზნეს საქმიანობაზე.	კ	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103	საწარმოს წესდება	დირექტორთა საბჭოს ნაცვლად ამ ფუნქციებს ასრულებს დირექტორი

კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 14, პუნქტი 3)	დირექტორთა საბჭოს წევრებს უნდა გააჩნდეთ თავიანთი ფუნქციების ეფექტურად განხორციელებისთვის საჭირო გამოცდილება, კომპეტენცია და რესურსები. კომპეტენციებისა და საჭირო მიმართულებებით ცოდნის გაღრმავების მიზნით, მათ შესაძლებლობა უნდა ეძლეოდეთ. დირექტორთა საბჭოს წევრების შერჩევა სასურველია, წინა საქმიანობასთან დაკავშირებით მოფიქრებული რეკომენდაციის, საწარმოს სტრატეგიისა და სტრუქტურის შესაბამისად ხდებოდეს, ამ პროცესშიც ყოველ ეტაპზე მეფასებელი უნდა იქნას განდიდატების კვალიფიკაცია და უნარები.	კ	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103		აღნიშნული მოთხოვნები გაითვალისწინება დირექტორის შერჩევისას თანახმი ჯუფუის სტანდარტების შესაბამისად
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 15, პუნქტი 1)	ყველა საწარმოს დირექტორთა საბჭოს სტრუქტურულ წყობაში წარმოდგენილი უნდა იყოს აღმასრულებელი დირექტორი, რომელიც პასუხისმგებელია საწარმოს მიდგა ოპერაციებზე, შესაბამისობაზა და საქმიანობაზე და ამავდროულად მთავარი დამაკავშირებელი რგოლის ფუნქციას ასრულებს საწარმოს დირექტორთა საბჭოსა და სამეთვალყურეო საბჭოს შორის. მის დანიშვნაზე გადაწყვეტილებას სამეთვალყურეო საბჭო იღებს.	აღტერნატივა	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103	საწარმოს წესდება	აღმასრულებელი დირექტორის როლი შეთავსებული აქვს დირექტორს.
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 15, პუნქტი 2)	საწარმოს აღმასრულებელ დირექტორს უნდა გააჩნდეს თავისი ფუნქციების შესრულებისთვის აუცილებელი დრო, რესურსი, საინანაო ვალდებულება, პროფესიული გამოცდილება, შესაბამისი კომპეტენცია, საქმის და საწარმოს მდგომარეობის გაწვითარებისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულება.	აღტერნატივა	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103	საწარმოს წესდება	აღმასრულებელი დირექტორის როლი შეთავსებული აქვს დირექტორს, რომელიც მის მოადგილეებზე ახდენს რიგი ფუნქციების დელეგირებას.
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 16, პუნქტი 1)	საწარმოში სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელ წევრებს საქმიანობის განხორციელებისას უნდა ჰქონდეთ ობიექტური და დამოუკიდებელი ან სხვა გარემხრის გავლენის/პიტენციური გავლენის გარეშე გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობა და მათი რაოდენობა უნდა უზრუნველყოფდეს ნებისმიერი არსებითი ინტერესთა კონფლიქტის სათანადოდ განხილვის/აღმოფხვრის შესაძლებლობას.	კ	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103	საწარმოს წესდება	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 17, პუნქტი 1)	საწარმოში **კორპორაციული მდგომის ინსტიტუტის** არსებობა ხელს უწყობს, რეგორც საწარმოს მმართველი ორგანოს, ასევე უშუალოდ საწარმოს მართებულ და ეფექტურ საქმიანობას. კორპორაციული მდგომის ძირითად ფუნქციებს წარმოადგენს:	კ	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103	საწარმოს წესდება	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 17, პუნქტი 1, 'ა' ქვეპუნქტი)	ა) ორგანიზაციული და ინფორმაციული მხარდაჭერის გზით, დაეხმაროს საერთო კრებას, სამეთვალყურეო საბჭოსა (კომიტეტების ჩათვლით) და დირექტორთა საბჭოს თავიანთი საქმიანობის განხორციელებაში;	კ	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103	საწარმოს წესდება	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 17, პუნქტი 1, 'ბ' ქვეპუნქტი)	ბ) სამეთვალყურეო საბჭოს და დირექტორთა საბჭოს მისცეს კორპორაციულ დოკუმენტაციასთან და პროცედურულ საკითხებთან დაკავშირებული რჩევები;	კ	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103	საწარმოს წესდება	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 17, პუნქტი 1, 'გ' ქვეპუნქტი)	გ) მჭიდროდ ითანამშრომლოს სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოსთან მათი სხდომის დღის წესრიგის შედგენისა და დაგზავნის, სხდომის ორგანიზებისა და ჩატარების, აგრეთვე, შეტყობინებების დაგზავნის საკითხებში;	კ	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103	საწარმოს წესდება	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 17, პუნქტი 1, 'დ' ქვეპუნქტი)	დ) დაეგეგმის საჭირო ტრენინგები და მოსამზადებელი საორიენტაციო შეხვედრები უკვე მოქმედმა თუ ახლად დანიშნულ/არჩეულ სამეთვალყურეო საბჭოს და დირექტორთა საბჭოს წევრებისათვის;	კ	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103	საწარმოს წესდება	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 17, პუნქტი 1, 'ე' ქვეპუნქტი)	ე) აწარმოის და/ან შეინახოს ყველა კორპორაციული დოკუმენტი, იქმი თუ სხვა საჭირო საბუთი და ინფორმაცია მინიმუმ 6 წლის ვადით;	კ	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103	საწარმოს წესდება	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 17, პუნქტი 1, 'ვ' ქვეპუნქტი)	ვ) განახორციელოს დამაკავშირებელი რგოლის ფუნქცია აქციონერებს/პარტნიორებს, სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოს შორის;	კ	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103	საწარმოს წესდება	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 17, პუნქტი 1, 'ზ' ქვეპუნქტი)	ზ) ორგანიზება გაუკეთოს აქციონერთა/პარტნიორთა საერთო კრების ჩატარებას, რიგგარეშე კრების მოწვევას და ეურჩევეთოს ყველა საჭირო ვადებისა და პროცედურების დაცვა კრების ჩასატარებლად. ეურჩევეთოს, რომ კრების ოფიციალური მოწვევის განმახორციელებელ პირს მიეწეროდეს სრული ინფორმაცია იმ საკითხების შესახებ, რომელთა დღის წესრიგში შეტანა, განიმდებელობის და წესების დაცვით, მოითხოვილ იქნა აქციონერთა/პარტნიორთა, სამეთვალყურეო საბჭოსა თუ დირექტორთა საბჭოს წევრების მიერ;	კ	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103	საწარმოს წესდება	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 17, პუნქტი 1, 'თ' ქვეპუნქტი)	თ) ეურჩევეთოს მარეგულირებელია/ზედამხედველი ორგანოების მიერ მიღებულ კორპორაციულ მართვასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო და ასევე, საწარმოს მიერ მიღებული კორპორაციული მართვის კოდექსით გათვალისწინებულ პრინციპებთან შესაბამისობა;	კ	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103	საწარმოს წესდება	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 17, პუნქტი 1, 'ი' ქვეპუნქტი)	ი) განახორციელოს სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოს სხდომების, აგრეთვე აქციონერთა/პარტნიორთა საერთო კრების მდგომის ფუნქცია და აწარმოის იქმები.	კ	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103	საწარმოს წესდება	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 17, პუნქტი 2)	კორპორაციული მდგომი წარმოადგენს უშუალოდ სამეთვალყურეო საბჭოს დაკვემდებარებაში მყოფ პირს, რომელიც პირველეულებს საწარმოს მმართველი ორგანოს, აქციონერების/პარტნიორებსა და სხვა დაინტერესებულ პირებთან ინფორმაციულ და ორგანიზაციულ ეურჩევეთოფას.	აღტერნატივა	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103	სხვა (გთხოვთ მიუთითოთ შენიშვნის სახით)	კორპორაციული მდგომის ფუნქციას ითავსებს ბიუუკუტორების და ანგარიშგების განყოფილების უფროსი, რომელიც უშუალოდ ფინანსურ დირექტორს ექვემდებარება.
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 17, პუნქტი 3)	სამეთვალყურეო საბჭო უნდა დეტალურად განსაზღვრავდეს კორპორაციული მდგომის უფლებამოსილებასა და ვალდებულებებს, ფუნქციების ჩამონათვალს, საჭირო გამათლებასა და კვალიფიკაციას, რომელსაც უნდა ფლობდეს განდიდატი.	აღტერნატივა	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103	საწარმოს წესდება	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 17, პუნქტი 4)	სამეთვალყურეო საბჭო ნიშნავს კორპორაციულ მდგომს და განსაზღვრავს შრომითი ხელშეკრულების პირობებს.	აღტერნატივა	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103	საწარმოს წესდება	ვინაიდან კორპორაციული მდგომის ფუნქციებს ითავსებს ბიუუკუტორების განყოფილების უფროსი, მისი შრომითი ხელშეკრულებების პირობებს განსაზღვრავს კომპანიის დირექტორი
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 17, პუნქტი 5)	კორპორაციული მდგომი ამავე დროს არ უნდა იყოს საწარმოს მმართველი ორგანოს წევრი, მინიმუმეული ჰქონდეს გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილება, ან სხვაგვარად იყოს დაკავშირებული საწარმოსთან ისეთი ფორმით, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს მას თავისი მოვალეობების მიუკერძოებლად და დამოუკიდებლად შესრულებაში.	აღტერნატივა	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103	სხვა (გთხოვთ მიუთითოთ შენიშვნის სახით)	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 18, პუნქტი 1)	თუ საწარმო წარმოადგენს პოლდინგურ კომპანიას, ასეთ ეკუთვნი შემთავალი შეილობილი საწარმოების მმართველობითი სისტემის შექმნა და ფუნქციონირება პასუხისმგებელია მხოლოდ საწარმოს სამეთვალყურეო საბჭო. აღნიშნული მმართველობითი სისტემა უნდა შეესაბამებოდეს ეკუთვნა და მასში შემავალ საწარმოების სტრუქტურას, ბიზნეს-საქმიანობასა და რისკებს.				საწარმო არ წარმოადგენს პოლდინგურ კომპანიას
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 18, პუნქტი 2)	მმობელ საწარმოს სამეთვალყურეო საბჭო უნდა ფლობდეს ინფორმაციას იმ არსებითი რისკების და საკითხების შესახებ, რასაც შეიძლება გარკვეული გავლენა ჰქონდეს მასზე და მის შეილობილ საწარმოებზე. მმობელ საწარმოს სამეთვალყურეო საბჭო ადეკვატურ მონიტორინგს უნდა ეწევდეს შეილობილ საწარმოებს, რა პროცესშიც შეწარჩენებული უნდა იყოს შეილობილ საწარმოების მმართველი ორგანოს საქარილებრივი და მმართველობითი პასუხისმგებლობა.				საწარმო არ წარმოადგენს პოლდინგურ კომპანიას
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 18, პუნქტი 3)	ითითეული შეილობილი საწარმოს სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორთა საბჭო პასუხისმგებელია საწარმოს შიგნით რისკების მართვის ეფექტური პროცესების შენარჩენებაზე. საწარმოებმა ხელი უნდა შეუწყონ ჯგუფის დონეზე რისკების მართვის ეფექტურობას.				საწარმო არ წარმოადგენს პოლდინგურ კომპანიას
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 18, პუნქტი 4)	მმობელი საწარმოს მმართველი ორგანო უნდა ავასებდეს ჯგუფის ცალკეული პოლიტიკის შესაბამისობას ადგილობრივ კანონმდებლობასა და საზედამხედველო მოთხოვნებთან და საჭიროების შემთხვევაში, შეცვალოს აღნიშნული პოლიტიკები და შეიტანოს მასში გარკვეული შესწორებები, როდესაც ჯგუფის პოლიტიკები ეწინააღმდეგება კანონმდებლობას/საზედამხედველო მოთხოვნებს ამ ნაწილში. აღნიშნული ზომის მომტანი იქნება შეილობილი საწარმოს ჯანსაღი და პრუდენციული მართვის მოხდენისათვის.				საწარმო არ წარმოადგენს პოლდინგურ კომპანიას
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 18, პუნქტი 5)	მმობელი საწარმოს სამეთვალყურეო საბჭო ეფექტურობის გაზრდის მიზნით უნდა ითხოვდეს პერიოდულ დამოუკიდებელ მიმოხილვას შეილობილი საწარმოების სტრუქტურის, მათი კონტროლირების და საქმიანობის შესახებ ისევე, როგორც ინფორმაციას მათ მიერ დასტკიცებულ სტრატეგიასთან შესაფერისობის თაობაზე.				საწარმო არ წარმოადგენს პოლდინგურ კომპანიას
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 18, პუნქტი 6)	სამეთვალყურეო საბჭო მუდმივად უნდა ინარჩენებდეს მზადყოფნას, განახორციელოს შესაბამისი ანგარიშგება ზედამხედველი ორგანოსთან საწარმოში არსებული პოლიტიკის და სტრატეგიების თაობაზე.				საწარმო არ წარმოადგენს პოლდინგურ კომპანიას
კორპორაციული მართვის კოდექსი, თავი III - რისკების მართვა და შიდა კონტროლი					
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 19, პუნქტი 1)	რისკების მართვის სისტემის შექმნასა და მონიტორინგზე საბოლოო პასუხისმგებლობა სამეთვალყურეო საბჭოს აკისრია. საწარმოს რისკის იდენტიფიცირების, შემცირებისა და მონიტორინგის სისტემები უნდა შეესაბამებოდეს საწარმოს ზომით ჯტეეგორიას კომპლექსურობასა და რისკის პროფილს.	კ	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103		რისკ.კაპეტიტის მართვის ჩარჩო, შესაბამისობის რისკის მართვის ჩარჩო და რისკების მართვის კომიტეტის დებულება

კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 19, პუნქტი 2)	სამეთვალყურეო საბჭო სრულყოფილად უნდა იცნობდეს საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, საწარმოს რისკებს, მათ შორის გარემოსდაცვით და სოციალურ რისკებს, ასევე, რისკის უკუგების და მიზნებისაშინაარსის დონეზე, რაც უნდა მოიცავდეს როგორც მიმდინარე რისკების შესახებ ანალიზს, ასევე ახალი და მომავალი რისკების იდენტიფიცირების საკითხებს. აღნიშნულზე დაყრდნობით დოკუმენტურად უნდა იყოს განსაზღვრული საწარმოს რისკის მართვის ჩარჩო, რომელიც მკაფიოდ უნდა ეხებოდეს საწარმოს სტრატეგიას, გარემოს, ფინანსურ გეგმებსა და ანგარიშგების პრაქტიკებს.	კ	წლიური ანგარიში, რისკის მართვის ქვეთავი, გვ. 68-81, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103		რისკ.კომიტეტის მართვის ჩარჩო, შესაბამისობის რისკის მართვის ჩარჩო და რისკების მართვის კომიტეტის დებულება
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 19, პუნქტი 3)	რისკის მართვის ჩარჩო უნდა იყოს თანმიმდევრული და გასაგები, გათვალისწინებული საწარმოს მოკლევადიან, საშუალოვადიან და გრძელვადიან პერსპექტივებზე. სამეთვალყურეო საბჭომ მინიმუმ ყოველწლიურად უნდა გადაიტვირთოს რისკის მართვის ჩარჩოს.	კ	წლიური ანგარიში, რისკის მართვის ქვეთავი, გვ. 68-81, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103		რისკ.კომიტეტის მართვის ჩარჩო, შესაბამისობის რისკის მართვის ჩარჩო და რისკების მართვის კომიტეტის დებულება
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 19, პუნქტი 4)	საწარმოს უნდა გააჩნდეს რისკების მართვის სისტემა და დამტკიცებული პროცესები/პროცედურები ახალ პროდუქტებთან თუ მომსახურებასთან, გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებთან, ბიზნეს ხაზთან და მსგავსი და კომპლექსური ტრანზაქციებთან, გამოყენებული ტექნოლოგიებსა და მათ უსაფრთხოებასთან მიმართებით, რაც მნიშვნელოვან რესურსებს მოითხოვს ან/და რთულად განსაზღვრადი რისკები აქვს.	კ	წლიური ანგარიში, რისკის მართვის ქვეთავი, გვ. 68-81		რისკ.კომიტეტის მართვის ჩარჩო, შესაბამისობის რისკის მართვის ჩარჩო და რისკების მართვის კომიტეტის დებულება
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 19, პუნქტი 5)	ჰოლდინგური კომპანიის შემთხვევაში, რისკების იდენტიფიცირება და შეფასების მიდგომები უნდა არსებობდეს შვილობილ საწარმოებშიც. საწარმოს რისკების მართვის ჩარჩო უნდა მოიცავდეს არსებითი რისკის მატარებელი შვილობილი საწარმოებისგან მომავალი რისკების შეფასებას და უნდა ითვალისწინებდეს მათი რისკების მართვის პროცესებში, შერწყმებისა და მნიშვნელოვანი წილის შეძენის ტრანზაქციებს და სხვა მსგავს მნიშვნელოვან ცვლილებებს, რაც ასიცილდება მნიშვნელოვან გამოწვევებთან.				საწარმო არ წარმოადგენს ჰოლდინგურ კომპანიას
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 19, პუნქტი 6)	სამეთვალყურეო საბჭო რეგულარულად უნდა განიხილავდეს საწარმოს ძირითად პოლიტიკებსა და კონტროლის მექანიზმებს დირექტორთა საბჭოსთან და რისკების კომიტეტთან, შესაბამისობის და შიდა აუდიტის სამსახურის უფროსებთან ერთად იმ მიზნით, რომ გამოვლინონ და მათთან ერთად განიხილონ მნიშვნელოვანი რისკები, საკითხები და საქმიანები.	კ	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103		წესდება, რისკ.მართვის პოლიტიკის ჩარჩო, შესაბამისობის რისკის მართვის ჩარჩო და რისკების მართვის კომიტეტის დებულება
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 20, პუნქტი 1)	რისკების ეფექტური მართვის ფუნქციის მიზნებისათვის, მნიშვნელოვანია საწარმოს გააჩნდეს ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემები, რაც, მათ შორის, მოიცავს ეფექტიან შიდა აუდიტის სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც უზრუნველყოფს სამეთვალყურეო და დირექტორთა საბჭოსთვის დამოუკიდებელი რწმენების წარდგენას საწარმოს შიდა კონტროლის, რისკის მართვის, მართვის სისტემებისა და პროცესების ეფექტურობის თაობაზე.	კ	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103		წესდება, თიბისი უკუეფის შიდა აუდიტის პროცედურა
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 20, პუნქტი 2)	სამეთვალყურეო საბჭომ და დირექტორთა საბჭომ უნდა უზრუნველყონ **შიდა აუდიტის დამოუკიდებლობა და ეფექტურობა,** რაც გულისხმობს:	კ	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103		წესდება, თიბისი უკუეფის შიდა აუდიტის პროცედურა
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 20, პუნქტი 2, "ა" ქვეპუნქტი)	ა) შიდა აუდიტის სრულ წვდომას საწარმოში არსებულ ინფორმაციასთან, ჩანაწერებთან, ობიექტთა და სხვა მონაცემებთან;	კ	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103		წესდება, თიბისი უკუეფის შიდა აუდიტის პროცედურა
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 20, პუნქტი 2, "ბ" ქვეპუნქტი)	ბ) შიდა აუდიტის დამოუკიდებლობის შენარჩუნებას, შიდა კონტროლის, რისკების მართვის სისტემებისა და პროცესების ეფექტურობისა და ეფექტიანობის შეფასებისას;	კ	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103		წესდება, თიბისი უკუეფის შიდა აუდიტის პროცედურა
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 20, პუნქტი 2, "გ" ქვეპუნქტი)	გ) შიდა აუდიტორებისგან მათი საქმიანობისას სრული შესაბამისობის მოთხოვნა შიდა და საერთაშორისო პროფესიულ სტანდარტებთან;	კ	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103		წესდება, თიბისი უკუეფის შიდა აუდიტის პროცედურა
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 20, პუნქტი 2, "დ" ქვეპუნქტი)	დ) შიდა აუდიტის თანამშრომლების საკმარის ცოდნას, უნარებსა და რესურსებს საქმიანობის ეფექტურად წარმართვის მიზნით, რაც უნდა შეესაბამებოდეს საწარმოს საქმიანობასა და რისკებს;	კ	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103		წესდება, თიბისი უკუეფის შიდა აუდიტის პროცედურა
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 20, პუნქტი 2, "ე" ქვეპუნქტი)	ე) დირექტორთა საბჭოს ს მხრიდან აუდიტორან დაკავშირებული რეკომენდაციების გათვალისწინებასა და არსებული ნაკლოვანებების დროულ და ეფექტურ აღმოფხვრას;	კ	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103		წესდება, თიბისი უკუეფის შიდა აუდიტის პროცედურა
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 20, პუნქტი 2, "ვ" ქვეპუნქტი)	ვ) შიდა აუდიტის სამსახურის მიერ საწარმოს მთლიანი რისკების მართვის ჩარჩოს შეფასებას, რომელიც სულ მცირე მოიცავს:	კ	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103		წესდება, თიბისი უკუეფის შიდა აუდიტის პროცედურა
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 20, პუნქტი 2, "ვ.ა" ქვეპუნქტი)	ვ.ა) რისკების მართვისა და შესაბამისობის ფუნქციების ეფექტურობის შეფასებას;	კ	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103		წესდება, თიბისი უკუეფის შიდა აუდიტის პროცედურა
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 20, პუნქტი 2, "ვ.ბ" ქვეპუნქტი)	ვ.ბ) სამეთვალყურეო საბჭოსთან და დირექტორთა საბჭოსთან რისკების შესახებ ანგარიშგების პროცესების ხარისხის შეფასებას;	კ	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103		წესდება, თიბისი უკუეფის შიდა აუდიტის პროცედურა
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 20, პუნქტი 2, "ვ.გ" ქვეპუნქტი)	ვ.გ) საწარმოს შიდა კონტროლების სისტემის ეფექტურობის შეფასებას.	კ	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103		წესდება, თიბისი უკუეფის შიდა აუდიტის პროცედურა
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 20, პუნქტი 3)	შიდა აუდიტის სამსახური ანგარიშვალდებულია სამეთვალყურეო საბჭოსა და მასთან არსებულ აუდიტის კომიტეტთან. სამეთვალყურეო საბჭო ილეს გადაწყვეტილებებს შიდა აუდიტის სამსახურის უფროსის დანიშვნისა და გაათავისუფლების, შეფასებისა და ანაზღაურების თაობაზე. დაუშვებელია შიდა აუდიტის თანამშრომლების ანაზღაურების დამტკიცებაში საწარმოს დირექტორთა საბჭოს მონაწილეობა.	კ	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103		წესდება, თიბისი უკუეფის შიდა აუდიტის პროცედურა
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 20, პუნქტი 4)	სამეთვალყურეო საბჭოს ნინამე ანგარიშვალდებულების გარდა, შიდა აუდიტის სამსახურის მიერ დაუყოვნებლივ ანგარიშგება უნდა ხდებოდეს დირექტორთა საბჭოსთან იდენტიფიცირებული პრობლემურ საკითხებსა და შეფასების შედეგებზე.	კ	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103		თიბისი უკუეფის შიდა აუდიტის პროცედურა
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 20, პუნქტი 5)	შიდა აუდიტის სამსახურის ზოში და სტრუქტურა უნდა შეესაბამებოდეს შიდა აუდიტორთა გამსჯელო მიზნების სიორთულეს და საწარმოს წინამე არსებულ რისკებს. საწარმოს აუდიტის კომიტეტმა შესაფასებლად უნდა მისცეს შიდა აუდიტის სამსახურს, გარე სპეციალისტებისგან მიიღოს სამრჩევნებრივი, ტექნიკური და სხვა სახის კონსულტაციები და მომსახურება.	კ	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103		თიბისი უკუეფის შიდა აუდიტის პროცედურა
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 20, პუნქტი 6)	აუდიტის კომიტეტმა სულ მცირე წელიწადში ერთხელ მაინც, უნდა შეაფასოს საწარმოს შიდა კონტროლის და რისკების მართვის სისტემების ეფექტურობა და ამის თაობაზე მოახსენოს ა.ჭკუიონრთა/პარტნიორთა საერთო კრებას.	კ	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103		წესდება, თიბისი უკუეფის შიდა აუდიტის პროცედურა
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 21, პუნქტი 1 და პუნქტი 2)	მმართველი ორგანოს ანაზღაურების ოდენობისა და სტრუქტურის დამტკიცებაზე პასუხისმგებელია საერთო კრება. საწარმოს დოკუმენტურად უნდა ჰქონდეს განსაზღვრული ანაზღაურების პოლიტიკა, რაც სხვა საკითხებთან ერთად უნდა მოიცავდეს საქმიანობის შესაბამის ზომებს, ანაზღაურების ფორმებსა და მათ კომპონენტებს, მათ შორის, ფიქსირებული და ცვალებადი ანაზღაურების ფორმებს, პოლიტიკის ეფექტურობის უნდა ასევე გადახდების გრაფიკებისა და პერიოდულობის საკითხებს.	ალტერნატივა	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103, მიზნების პასუხისმგებლობით კეთების ქვეთავი, გვ. 56-67		მმართველი ორგანოს ანაზღაურების საკითხები რეგულირდება თიბისი უკუეფის სტანდარტების შესაბამისად
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 21, პუნქტი 3)	ანაზღაურების თაობაზე კორპორაციული მართვის ანგარიშში გამჟღავნების მიზნით უნდა მომზადდეს ანგარიში, სადაც გამჟღავნებული უნდა იყოს მმართველი ორგანოს ანაზღაურების პოლიტიკა, ანაზღაურების ოდენობა და ნებისმიერი სარგებელი. ასევე, ნებისმიერი ცვლილება, რაც განხორციელდება ანაზღაურების პოლიტიკაში საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ ნაილად უნდა იყოს ასახული ანაზღაურების ანგარიშში.	კ	წლიური ანგარიში, დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციების ქვეთავი, გვ. 172		
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 21, პუნქტი 4)	დირექტორთა საბჭოს მიერ ანაზღაურების სისტემის ეფექტური ფუნქციონირების მონიტორინგზე პასუხისმგებელია სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც თავად ან ანაზღაურების კომიტეტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მეშვეობით სულ მცირე, ყოველწლიურად გადახედავს ანაზღაურების გეგმებს, პროცესებსა და შედეგებს.	კ	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103		წესდება
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 21, პუნქტი 5)	სამეთვალყურეო საბჭო, ანაზღაურების კომიტეტთან ერთად ამტკიცებს, შიდა აუდიტის, კორპორაციული მდივნისა და, არსებობის შემთხვევაში, სხვა კომიტეტების ანაზღაურების პოლიტიკას, ოდენობას და ამასთან, მონიტორინგს უწევს ანაზღაურების პოლიტიკის, სისტემისა და დაკავშირებული კონტროლის პროცესების ეფექტურ ფუნქციონირებას.	ალტერნატივა	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103		ანაზღაურების კომიტეტის ნაკვლად კომპანიაში არსებობს შიდა უკუეფი. რომელიც შედგება შემდეგი წევრებისგან: დირექტორი, დირექტორის მოადგილეები, ბიუჯეტირების დეპარტამენტის უფროსი და ადამიანური რესურსების განყოფილების უფროსი. უკუეფი ასრულებს ანაზღაურების კომიტეტის ფუნქციებს, რომელიც განსაზღვრულ შიდა აუდიტის და

კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 21, პუნქტი 6)	დირექტორთა საბჭოს წევრთა ანაზღაურება უნდა იყოს საკმარისი, მაგრამ არა გაუმართლებლად დიდი, იმისათვის რომ მოიზიდოს, შეინარჩუნოს და სათანადო მოტივაცია მიჰკეს მათ. დირექტორთა საბჭოს წევრთა ანაზღაურება უნდა ეფუძნებოდეს, როგორც მთლიანად საწარმოს ეკონომიკიდან შედეგებს, ისე ცალკეული წევრების საქმიანობის შედეგებსაც. თითოეული წევრის ანაზღაურების განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იქნეს მათი მოვალეობები და პასუხისმგებლობა, აგრეთვე საწარმოს ფინანსური, საოპერაციო მაჩვენებლები და კონკურენტების პოზიციები ბაზარზე.	კ	წლიური ანგარიში, დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციების ქვეთავი, გვ. 172		
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 21, პუნქტი 7)	სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ანაზღაურება უნდა შეესაბამებოდეს მათ წარმოდგენას, დაკისრებულ პასუხისმგებლობებს, გაწეულ ძალისხმევასა და დროის რესურსს. ანაზღაურება რისკის ქვეშ არ უნდა აყენებდეს მათ დამოუკიდებლობას. სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ანაზღაურება უნდა მოიცავდეს მხოლოდ ფიქსირებულ ანაზღაურებას და არ უნდა მეიცავდეს პრემიას ან ცვალებად კომპონენტს, რომელიც საწარმოს მიერ გარეგნული ფინანსური თუ საოპერაციო მაჩვენებლების მიღწევასთან არის დაკავშირებული.	აღტერნატივა	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103		საერთო კრების გადაწყვეტილებით ანაზღაურებას იღებს მხოლოდ აუდიტის კომიტეტის დამოუკიდებელი წევრი(თავმჯდომარე).
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 21, პუნქტი 8)	ანაზღაურების პოლიტიკა სულ მცირე უნდა შეიცავდეს შემდეგ ელემენტებს:				
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 21, პუნქტი 8, "ა" ქვეპუნქტი)	ა) ანაზღაურების ფიქსირებული და ცვალებადი კომპონენტების განსაზღვრებებს;	კ	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103, ბიზნესის პასუხიმგებლობით კეთების ქვეთავი, გვ. 56-67		
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 21, პუნქტი 8, "ბ" ქვეპუნქტი)	ბ) ანაზღაურების თითოეული კომპონენტისთვის დაწესებული მაქსიმალურ ზღვარს;	კ	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103, ბიზნესის პასუხიმგებლობით კეთების ქვეთავი, გვ. 56-67		
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 21, პუნქტი 8, "გ" ქვეპუნქტი)	გ) მმართველი ორგანოს წევრების საქმიანობის ეფექტურობის განმსაზღვრელ კრიტერიუმებს;	კ	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103, ბიზნესის პასუხიმგებლობით კეთების ქვეთავი, გვ. 56-67		
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 21, პუნქტი 8, "დ" ქვეპუნქტი)	დ) კავშირს ანაზღაურებასა და საქმიანობის ეფექტურობას შორის;	კ	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103, ბიზნესის პასუხიმგებლობით კეთების ქვეთავი, გვ. 56-67		
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 21, პუნქტი 8, "ე" ქვეპუნქტი)	ე) პრემიების სქემის პირობებს და პარამეტრებს;	კ	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103, ბიზნესის პასუხიმგებლობით კეთების ქვეთავი, გვ. 56-67		
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 21, პუნქტი 8, "ვ" ქვეპუნქტი)	ვ) სხვა არაფულად ანაზღაურებას (საწარმოს აქციები, ოფციონები საწარმოს შეძენაზე, დაზღვევა, საპენსიო სქემა და ა.შ.).	კ	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103, ბიზნესის პასუხიმგებლობით კეთების ქვეთავი, გვ. 56-67		
კორპორაციული მართვის კოდექსი, თავი IV - აქციონერთა/პარტნიორთა და დაინტერესებულ მხარეთა უფლებები					
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 22, პუნქტი 1); გამჟვირვალობის წესის მე-9 მუხლი.	1. სამეთვალყურეო საბჭომ და დირექტორთა საბჭომ უნდა უზრუნველყოს საწარმოს „გამჟვირვალობის წესის" მე-9 მუხლის შესაბამისად განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობა, მათ შორის:	კ			
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 22, პუნქტი 1, "ა" ქვეპუნქტი); გამჟვირვალობის წესის მე-9 მუხლი.	ა) უზრუნველყოს თანაბარი მოპყრობა ფასიანი ქაღალდების ყველა მფლობელის მიმართ, რომლებიც თანაბარ პირობებში იმყოფებიან;	კ	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103		
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 22, პუნქტი 1, "ბ" ქვეპუნქტი); გამჟვირვალობის წესის მე-9 მუხლი.	ბ) გაასაჯაროს ინფორმაცია ფასიანი ქაღალდის მფლობელთა უფლებებისა და ფასიანი ქაღალდების პირობების ცვლილებების შესახებ (მე-9 მუხლი, პუნქტები 2-3);	კ	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103		
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 22, პუნქტი 1, "გ" ქვეპუნქტი); გამჟვირვალობის წესის მე-9 მუხლი.	გ) ფასიანი ქაღალდების მფლობელთა უფლებების სათანადოდ განსაზორციელებლად საჭირო ინფორმაციისა და საშუალებების ხელმისაწვდომობა;	კ	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103		
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 22, პუნქტი 2);	საწარმომ უნდა უზრუნველყოს, რომ აქციონერები/პარტნიორები კარგად აცნობიერებდნენ კორპორაციული მართვის პრინციპებს და უნდა მისცეს მათ შესაბამისი განმარტებები კოდექსიდან გადახვევის შემთხვევაში, ასევე, მისცეს მათ საშუალება გამოთქვან თავიანთი დასაბუთებული მოსაზრებები აღნიშნულთან დაკავშირებით. სამეთვალყურეო საბჭომ უნდა გამართოს დიალოგი აქციონერებთან/პარტნიორებთან, თუ ისინი არ ეთანხმებიან საწარმოს პოზიციას საწარმოს ზომითი კატეგორიის, კომპლექსურობის, მის წინაშე არსებული რისკების და გამოწვევების გათვალისწინებით.	კ	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103		
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 22, პუნქტი 3);	აქციონერებს/პარტნიორებს უნდა შეეძლოთ საკუთარი უფლებების დაცვა და კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მათთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა.	კ	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103		
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 22, პუნქტი 4);	საწარმომ უნდა უზრუნველყოს აქციონერებთან/პარტნიორებთან და, პრეცედენტურ აქციონერებთან/პარტნიორებთან **კომუნიკაციის და ინფორმაციის გაზიარების პოლიტიკის დაწერა.** აქციონერებს/პარტნიორებს უნდა შეეძლოთ სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოს წევრებისგან მათთვის საჭირო ინფორმაციის მიღება, ასევე რიგგარეშე აქციონერთა/პარტნიორთა საერთო კრების მოწვევა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.	კ	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103		
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 22, პუნქტი 5);	სამეთვალყურეო საბჭომ და დირექტორთა საბჭომ, აქციონერთა/პარტნიორთა საერთო კრების მუშაობით, უნდა უზრუნველყონ ეფექტური და სამართლიანი ურთიერთობა აქციონერებთან/პარტნიორებთან და ხელი შეუწყონ აქციონერების/პარტნიორების აქტიურ მონაწილეობას საერთო კრების მუშაობაში.	კ	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103		
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 22, პუნქტი 6)	საერთო კრების მუშაობას ხელმძღვანელობს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, მისი არყოფნისას - მოადგილე. მოადგილის არყოფნისას კი - ერთ-ერთი დირექტორი. მათი არყოფნისას კრების თავჯდომარის ხმათა უმრავლესობით ირჩევს საერთო კრება. მმართველი ორგანოს ყველა წევრი, მიდა აუდიტის და სხვა კომიტეტების თავჯდომარეები, ასევე გარე აუდიტორები უნდა ესწრებოდნენ საერთო კრებას. საერთო კრების ხელმძღვანელს უნდა უზრუნველყოს, რომ აქციონერთა/პარტნიორთა კითხვებს გაეცეს პასუხი. დირექტორებმა უნდა უპასუხონ აქციონერთა/პარტნიორთა კითხვებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პასუხი მატერიალურ ზიანს მიაყენებს საწარმოს, მის აქციონერებს/პარტნიორებსა და დასაქმებულებს, ან დაარღვევს კანონმდებლობის მოთხოვნებს.	კ	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103		
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 22, პუნქტი 7);	საწარმომ უნდა გაასაჯაროს კორპოაციული მართის კოდექსის 22-ე მუხლის მე-6 პუნქტში აღნიშნული ინფორმაცია და საერთო კრების ოქმი.	კ	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103		აქციონერთა კრების ოქმები საჯაროა განთავსებულია სამეწარმეო რეესტრის ვებ გვერდზე
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 23, პუნქტი 1);	საწარმოს უნდა გაჩნდეს შესაბამისი პოლიტიკა, რომელიც ითვალისწინებს დაინტერესებულ მხარეთა ინტერესებს და უზრუნველყოფს ინფორმაციის გამჟვირვნების ადეკვატურ დონეს.	კ	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103		თიბისი უკუნების ინსაიდერული ინფორმაციის გამჟღავნების პოლიტიკა
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 23, პუნქტი 2);	საწარმოს ვებ-გვერდი გამართულად უნდა ფუნქციონირებდეს, რათა ინვესტორებსა და დაინტერესებულ პირებს ჰქონდეთ წვდომა საწარმოს ფინანსურ და სხვა სახის ინფორმაციაზე, მათ შორის კორპორაციულ მართვასთან და გარემოსდაცვით, სოციალურ მმართველობასთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე.	კ	წლიური ანგარიში, მთავარი ფინანსური მაჩვენებლების ქვეთავი, გვ. 10-13		თიბისი ლიზინგის ვებ გვერდი მუდმივად განახლებადია
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 23, პუნქტი 3);	მმართველმა ორგანომ უნდა უზრუნველყოს, რომ დაინტერესებულ პირებს შეეძლოთ თავისუფლად გამოთქვან თავიანთი მოსაზრება საწარმოში არსებულ არაკანონიერ ან არაეთიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებით და ეს არ უნდა გახდეს მათი უფლებების შელახვის მიზეზი.	კ	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103		ეთიკის კოდექსი და ინციდენტებზე რეაგირების პოლიტიკა.
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 23, პუნქტი 4);	სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოს გააზრებული უნდა ჰქონდეთ დაინტერესებულ მხარეთა უფლებები და ინტერესები და უზრუნველყონ მათთან ეფექტური ურთიერთობა.	კ	წლიური ანგარიში, კორპორაციული მართვის ქვეთავი, გვ. 84-103		თიბისი უკუნების ინსაიდერული ინფორმაციის გამჟღავნების პოლიტიკა

დანართი 3. დამატებით წარსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი

დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტაცია	საჯაროდ ხელმისაწვდომია კი/არა	შესაბამისი მისამართი/ ჰიპერლინკი	შენიშვნა
1	2	3	4
საწარმოს წესდება	კი		იხ. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საიტზე განცხადება #B24140899
ეთიკის კოდექსი	კი	https://tbcleasing.ge/about/ethics	
შინაგანაწესი	არა		
თიბისი ჯგუფის შიდა აუდიტის დებულება	არა		
რისკების მართვის კომიტეტის დებულება	არა		
საწარმოს ორგანიზაციული და მმართველობის სტრუქტურა	არა		
რისკ აპეტიტის მართვის ჩარჩო	არა		
შიდა კონტროლის განხორციელების პროცედურა	არა		
გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვის სისტემა	არა		
შესაბამისობის რისკის მართვის ჩარჩო	არა		
მრომის უსაფრთხოების პოლიტიკა	არა		
ინციდენტზე რეაგირების პოლიტიკა	არა		
მრავალფეროვნების, ჩართულობის და თანასწორობის პოლიტიკა	არა		
თიბისი ჯგუფის Board diversity Policy	კი	https://www.tbcbankgroup.com/media/2950/board-diversity-policy.pdf	
გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობით სტრატეგია	არა		
თიბისი ჯგუფის ინსაიდერული ინფორმაციის გამჟღავნების პოლიტიკა	არა		
სამეთვალყურეო საბჭოს წევრების რეზიუმე/ბიოგრაფიის ამსახველი ინფორმაცია	კი	https://tbcleasing.ge/about/supervisory-board	
წლიური ანგარიში	კი	https://reportal.ge/ka/Reports/Report?q=205016560	
სხდომების ოქმები	კი	https://bs.napr.gov.ge/GetBlob?pid=400&bid=5Vh7[p04PHxidwXQXnMG5zX9kdW2mVBtBXSdQtQBnkPZVnkQBYWXnf40HF4Rmmfb	იხ. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საიტზე განცხადება #B24140899
სხდომების ოქმები	კი	https://bs.napr.gov.ge/GetBlob?pid=400&bid=5Vh7[p04PHxidwXQXnMG5]PRuMLUJ5IXGlYFAiQx9HZkcIAtNfSDAw5SuCIthH5w	იხ. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საიტზე განცხადება #B24140899
სხვა (გთხოვთ მიუთითოთ შენიშვნის სახით)			
სხვა (გთხოვთ მიუთითოთ შენიშვნის სახით)			
სხვა (გთხოვთ მიუთითოთ შენიშვნის სახით)			
სხვა (გთხოვთ მიუთითოთ შენიშვნის სახით)			
სხვა (გთხოვთ მიუთითოთ შენიშვნის სახით)			
სხვა (გთხოვთ მიუთითოთ შენიშვნის სახით)			
სხვა (გთხოვთ მიუთითოთ შენიშვნის სახით)			